

DEutsch-Georgische Zeitschrift für Rechtsvergleichung

5/2025

შედარებითი სამართლის ქართულ-გერმანული ჟურნალი

სტატიები

კაპიტალური ტიპის საზოგადოების მმართველ ორგანოსთან
დადებული სასამსახურო ხელშეკრულება
ულრიხ პაგენლოხი/სოფიკო ზარანდია

შესყიდვის ოფციით დადებული ლიზინგის შეწყვეტა და მისი
საგადასახადოსამართლებრივი კვალიფიკაცია
გიორგი რუსიაშვილი

შპს-ის წილის კლასების შედარებითი სამართლებრივი ანალიზი
ეკატერინე ფიფია

დემატერიალიზებული ფორმის ფასიანი ქაღალდი და მის ფლობასა და
მიმოქცევასთან დაკავშირებული ძირითადი სამართლებრივი ასპექტები
ანი გოგიშვილი

ბლოგი

მე არ ვარ რობოტი
ლევან ნანობაშვილი

სასამართლო პრაქტიკა

სუსგ: ქონების ერთ ლარად გასხვისება - falsa demonstratio
(სვიმონიშვილი)




5/2025

შვედრაგბიტი სამართლის

ქართულ-გერმანული ჟურნალი

Deutsch-Georgische
ZEITSCHRIFT FÜR
RECHTSVERGLEICHUNG



ISSN 2587-5191 (ბეჭდვითი)
ISSN 2667-9817 (ელექტრონული)
© ავტორები, 2025
www.lawjournal.ge

მთავარი რედაქტორები

დავით მაისურაძე
ასოც. პროფ. დოქ. გიორგი რუსიაშვილი
პროფ. დოქ. ოლაფ მუთჰორსტი

გამომცემლები

მოსამართლე ულრიხ ჰაგენლოხი
ასოც. პროფ. დოქ. გიორგი ჟორჟოლიანი
სულხან გველესიანი
ხათუნა დიასამიძე
ასოც. პროფ. დოქ. ლადო სირდაძე
პროფ. დოქ. ზვიად გაბისონია
მოსამართლე ვოლფრამ ებერჰარდი
პროფ. დოქ. არკადიუმ ვუდარსკი †
მოსამართლე დოქ. ტიმო უტერმარკი
ადვოკატი დოქ. მაქს გუთბროდი
ნოტარიუსი რიხარდ ბოკი
ასისტ. პროფ. დოქ. თემურ ცქიტიშვილი
პროფ. დოქ. ნუნუ კვანტალიანი
ადვოკატი გოჩა ოყრეშიძე
ნატალი გოგიაშვილი
ადვოკატი თემურ ბიგვავა
ადვოკატი ზვიად ბატიაშვილი
ხატია პაპიძე
ადვოკატი ქეთევან ბუაძე
ადვოკატი ნიკოლოზ შეყილაძე

სამუშაო ჯგუფი

სოფო ზარანდია

სარჩევი

სტატიები

კაპიტალური ტიპის საზოგადოების მმართველ ორგანოსთან დადებული
სასამსახურო ხელშეკრულების სამართლებრივი რეგულირება საქართველოსა და
გერმანიაში

ულრიხ ჰაგენლოხი / სოფიკო ზარანდია

7

შესყიდვის ოფციით დადებული ლიზინგის შეწყვეტა და მისი
საგადასახადოსამართლებრივი კვალიფიკაცია

გიორგი რუსიაშვილი

35

შპს-ის წილის კლასების შედარებითი სამართლებრივი ანალიზი

ეკატერინე ფიფია

43

დემატერიალიზებული ფორმის ფასიანი ქაღალდი და მის ფლობასა და
მიმოქცევასთან დაკავშირებული ძირითადი სამართლებრივი ასპექტები

ანი გოგიშვილი

73

ბლოგი

მე არ ვარ რობოტი

ლევან ნანობაშვილი

82

სასამართლო პრაქტიკა

უზენაესი სასამართლო: ქონების ერთ ლარად გასხვისება და *falsa demonstratio*

თამარ სვიმონიშვილი

86

კაკიბალური ტიპის საზოგადოების მმართველ ორგანოსთან დადებული სასამსახურო ხელშეკრულების სამართლებრივი რეგულირება საქართველოსა და გერმანიაში*

ულრიხ ჰაგენლოხი

დრეზდენის უმაღლესი სამხარეო სასამართლოს ყოფილი პრეზიდენტი (პენსიონირებული)

სოფიკო ზარანდია

შედარებითი სამართლის ქართულ-გერმანული ჟურნალის თანამშრომელი

A. შესავალი

წინამდებარე სტატია შეეხება შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების მმართველი ორგანოს წევრთან დადებული „სასამსახურო“ ხელშეკრულების სამართლებრივ ბუნებასა და მისი ვარიაციული შედგენის შესაძლებლობებს. სიმარტივისთვის, ძირითადი აქცენტი გაკეთდება შეზღუდული პასუხისმგებლობის კომპანიაზე (შემოკლებით: შპს). თუმცა აღნიშნული, ძირითადად, მიემართება ყველა ტიპის საზოგადოებისა და კოოპერატივების მმართველ ორგანოებს.

B. სასამსახურო ხელშეკრულების სამართლებრივი ბუნება გერმანიაში

I. ურთიერთმიმართება „სასამსახურო ხელშეკრულებასა“ და დირექტორს (რო-

გორც მმართველი ორგანოს, ორგანიზაციის ერთეულს) შორის

შპს-ს დირექტორის ვალდებულებით-სამართლებრივი ურთიერთობები სამართლებრივი თვალსაზრისით მკაცრად არის გამიჯნული დირექტორის, როგორც საზოგადოების მმართველ ორგანოდ დანიშვნის შედეგად მიღებული სტატუსისგან (დირექტორი, როგორც საზოგადოების/საწარმოს მმართველი ორგანო). ამრიგად, დირექტორის გამოწვევა (გათავისუფლება) პირდაპირ არ აისახება და არ იმოქმედებს საზოგადოების წინაშე მის ვალდებულებით-სამართლებრივ ურთიერთობაზე.

ამგვარი „გამიჯვნის“ პრინციპი ეფუძნება იმას, რომ დირექტორის დანიშვნა საზოგადოების წევრების კორპორატიული გადაწყვეტილების სამართლებრივი აქტია. ამით დირექტორს ენიჭება სამართლებრივი სტატუსი, როგორც მმართველ ორგანოს, შიდა

* გერმანიიდან თარგმნა ეთუნა ჩაჩანიძემ.

და გარე ურთიერთობებში.¹ შესაბამისად, დირექტორსა და კომპანიას შორის შესაბამისი უფლებები და ვალდებულებები განსაზღვრულია მათ შორის არსებული შრომითი ხელშეკრულებით. ამ საკითხთან დაკავშირებით, რომელზეც ერთიანი პრაქტიკა აქვს გერმანიის ფედერალურ უმაღლეს სასამართლოს² და შრომის ფედერალურ სასამართლოს, ეს უკანასკნელი შემდეგნაირად განმარტავს:³

„როგორც უკვე განიმარტა, ერთმანეთისგან მკაცრად უნდა გაიმიჯნოს, ერთი მხრივ, შპს-ს დირექტორის, როგორც საზოგადოების ორგანოს დანიშვნასთან და, მეორე მხრივ, ამ დანიშვნის საფუძველად არსებული ვალდებულებით-სამართლებრივ, მოცემულ შემთხვევაში, შრომით-სამართლებრივ ხელშეკრულებასთან დაკავშირებული სამართლებრივი ურთიერთობები. დირექტორის დანიშვნა თავისთავად ჯერ კიდევ არ წარმოშობს არანაირ ვალდებულებით-სამართლებრივ ურთიერთობას საზოგადოებასა და დირექტორს შორის. შპს-ს დირექტორის, როგორც ორგანოს სტატუსის სამართლებრივი საფუძველი არ არის შრომითი ურთიერთობა, არამედ ეფუძნება განსაკუთრებულ (საწარმოს კოლეგიურ) დანიშვნის აქტს (...სააქციო საზოგადოების გამგეობის წევრებთან დაკავშირებით შდრ.: ფედერალური უმაღლესი სოციალური სასამართლოს (BSG) 2020 წლის 15 დეკემბრის გადაწყვეტილება - B 2 U 4/20 R - ველის ნომერი -13, ასევე ფედერალური უმაღლესი სოციალური სასამართლოს

გადაწყვეტილება 131, 144). ამრიგად, დანიშვნა და შრომითი ურთიერთობა, ეს ორი, ერთმანეთისგან დამოუკიდებელი, ერთმანეთის პარალელურად არსებული სამართლებრივი ურთიერთობაა, ასევე ერთმანეთისგან დამოუკიდებელი სამართლებრივი შინაარსის განვითარებითა და „ბედისწერით“ (...). ამასთან, ორივე სამართლებრივი ურთიერთობა, როგორც წესი, სრულდება ერთმანეთისგან დამოუკიდებლად, თითოეული მათგანისთვის ცალკე მოქმედი რეგულაციების შესაბამისად (გერმანიის ფედერალური უმაღლესი სასამართლოს (BGH) 2010 წლის 11 ოქტომბრის გადაწყვეტილება - II ZR 266/08 - ველის ნომერი-7).“

შეზღუდული პასუხისმგებლობის მქონე კომპანიაში (GmbH) დირექტორის დანიშვნა ხდება ან წესდებით, ან პარტნიორთა კრების გადაწყვეტილებით (შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების შესახებ კანონის მე-6 პარაგრაფი). მიუხედავად იმისა, რომ კანონი პირდაპირ არ არეგულირებს, დირექტორის დანიშვნის ძალაში შესასვლელად აუცილებელია დირექტორის „თანხმობა“.⁴ ეს შეიძლება მოხდეს კონკლუდენტურად, მაგალითად, გერმანიის სავაჭრო რეესტრში ან საქართველოს მენარმეთა და არამენარმე (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრში რეგისტრაციის გზით.⁵ თუმცა, წესდების საფუძველზე, პარტნიორს შეიძლება დაეკისროს ნევრობიდან გა-

¹ ფედერალური სოციალური სასამართლოს 2020 წლის 15 დეკემბრის გადაწყვეტილება - B 2 U 4/20 R - BSGE 131, 144, juris პუნქტი მე-13, აქციონერების საზოგადოების მმართველი წევრისთვის.

² გერმანიის ფედერალური უმაღლესი სასამართლოს 2010 წლის 11 ოქტომბრის გადაწყვეტილება - II ZR 266/08 - NJW 2011, 920 - juris, აბზაცის ნომერი - 7; გერმანიის ფედერალური უმაღლესი სასამართლოს 2010 წლის 10 მაისის გადაწყვეტილება - NJW 2010, 2343 - II ZR 70/09 - NJW 2010, 2343, juris, აბზაცის ნომერი - 9.

³ გერმანიის შრომის ფედერალური სასამართლოს 2023 წლის 20 ივლისის გადაწყვეტილება - 6 AZR 228/22 -

NJW 2024, 234, juris, აბზაცის ნომერი - 39.

⁴ გერმანიის ფედერალური სასამართლოს 2005 წლის 24 ოქტომბრის გადაწყვეტილება - II ZR 55/04 - NJW-RR 2006, 182, juris პუნქტი მე-15; გერმანიის ფედერალური სასამართლოს 2023 წლის 17 იანვრის გადაწყვეტილება - II ZB 6/22 - BGHZ 236, 54, პუნქტი მე-20, აქციონერების საზოგადოების მმართველი წევრისთვის.

⁵ H. Bartl in: Bartl / Bartl / Beine / Koch / Schlarb / Schmitt / Schmitt, GmbH-Recht, 9. Auflage 2024, § 6 GmbHG, Rn. 15; Kleindiek in: Lutter/Hommelhoff, GmbH-Gesetz Kommentar, 21. Auflage 2023, § 6 GmbHG, Rn. 42.

მომდინარე დამატებითი ვალდებულება დირექტორის თანამდებობის დაკავების სახით და დადოს სასამსახურო ხელშეკრულება გონივრული პირობებით.⁶

დირექტორი, დანიშვნის შედეგად, არ წარმოადგენს მოვაჭრეს სავაჭრო სამართლის თვალსაზრისით და არც მენარმეს მომხმარებელთა დაცვის სამართლის გაგებით.⁷ აღნიშნულს არ ცვლის ის ფაქტიც, თუ დირექტორი ამავდროულად შპს-ს პარტნიორია. კაპიტალური ტიპის საზოგადოებაში ასეთი წილის ფლობა მიეკუთვნება მხოლოდ ქონების მართვას და არ იწვევს მოვაჭრის სტატუსის განსაზღვრას.⁸

II. სასამსახურო ხელშეკრულების სამართლებრივი კვალიფიკაცია

1. „თავისუფალი“ მომსახურების (იგივე „სასამსახურო“) და შრომითი ხელშეკრულების ურთიერთგამიჯვნა:

გაბატონებული აზრის მიხედვით, ანაზღაურებადი შრომითი ურთიერთობის („თავისუფალი“ მომსახურების ან შრომითი ხელშეკრულება) სამართლებრივი ბუნება არსებითად დამოკიდებულია იმ გარემოებაზე, არის თუ არა დასაქმებული პირი სუბორდინაციაში, ანუ დამსაქმებლის მითითებებზე

დამოკიდებული (საქართველოს შრომის კოდექსის მე-3 III მუხლი; გსკ-ის 611a პარაგრაფი).⁹

ამ პრინციპიდან გამომდინარე, კაპიტალური ტიპის საზოგადოების დირექტორის დანიშვნის, იგივე სასამსახურო ხელშეკრულების შემთხვევაში საქმე გვაქვს „თავისუფალ“ სამსახურებრივ ხელშეკრულებასთან (შემდეგში: „მომსახურების ხელშეკრულება“).¹⁰ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დირექტორი დანიშვნის ხელშეკრულების დებულებების თანახმად, მკაცრად ექვემდებარება საზოგადოების პარტნიორთა დავალებებს/მითითებებს, გამონაკლისის სახით საუბარია შრომით ხელშეკრულებაზე¹¹ (გსკ-ის 662-ე პარაგრაფი; გსკ-ის 709-ე და შემდგომი პარაგრაფები).¹²

თუმცა, აღსანიშნავია, რომ ასეთი სამართლებრივი შეფასებისთვის საკმარისი არ არის დირექტორისთვის კანონიდან და მისი სტატუსიდან გამომდინარე დაწესებული ანგარიშვალდებულების არსებობა პარტნიორთა კრების წინაშე, რომელიც ამ უკანასკნელს ანიჭებს გარკვეულწილად ჩარევისა და ასევე დირექტორის უფლებამოსილების შეზღუდვის შესაძლებლობას (მაგალითად როგორიცაა, კრების სავალდებულო თანხ-

⁶ Uwe H. Schneider/Sven H. Schneider in: Scholz, GmbHG, 13. Auflage 2022/2024/2025, § 6 GmbHG, Rn. 93; შდრ. ასევე ჰამმის რეგიონული სასამართლოს 2022 წლის 24 იანვრის გადაწყვეტილება - 15 W 8/02 - NZG 2002, 421, juris Rn. 12 ff.

⁷ ფედერალური სასამართლოს 2005 წლის 8 ნოემბრის გადაწყვეტილება - XI ZR 34/05 - BGHZ 165, 43, juris პუნქტი მე-15; ფედერალური სასამართლოს 2004 წლის 15 ივლისის გადაწყვეტილება - III ZR 315/03 - NJW 2004, 3039, juris პუნქტი მე-40.

⁸ ფედერალური სასამართლოს 2005 წლის 8 ნოემბრის გადაწყვეტილება - XI ZR 34/05 - BGHZ 165, 43, juris პუნქტი მე-15.

⁹ იხ. ასევე ევროკავშირის სასამართლოს 2010 წლის 11 ნოემბრის გადაწყვეტილება - C-232/09 - juris, აბზაცის ნომერი - 39 (Danosa); გერმანულად: https://eur-lex.europa.eu/legal-content/de/TXT/PDF/?uri=uriserv%3AOJ.C_.2011.013.0

1.0011.01.DEU; ინგლისურად: https://eur-lex.europa.eu/legal-content/en/TXT/PDF/?uri=uriserv%3AOJ.C_.2011.013.0 1.0011.01.ENG; გერმანიის შრომის ფედერალური სასამართლოს 2022 წლის 26 აპრილის გადაწყვეტილება - 9 AZR 139/21 - NZA 2022, 1333, juris, აბზაცის ნომერი - 20.

¹⁰ ცნება „თავისუფალი“ გამოყენებულია მხოლოდ „თავისუფალი“ სამსახურებრივი ხელშეკრულების შრომითი ხელშეკრულებისგან ენობრივად გასამიჯნად, რომელიც თავისთავად ასევე სამსახურებრივი ხელშეკრულებაა.

¹¹ ფედერალური სოციალური სასამართლოს 2021 წლის 3 ნოემბრის გადაწყვეტილება - B 11 AL 4/20 R - BSGE 133, 76, juris პუნქტი 23-ე.

¹² შდრ. Kleindiek in: Lutter/Hommelhoff, GmbH-Gesetz Kommentar, 21. Auflage 2023, Anhang zu § 6, Rn. 2 და 31.

მოზა ეკონომიკური თვალსაზრისით განსაკუთრებულად მნიშვნელოვანი საკითხების გადაწყვეტისას ან, ერთგვარი, შედარებით მოკრძალებული მასშტაბის „მითითებების“ შესაძლებლობა დირექტორის მიმართ).¹³ არამედ, შრომით ხელშეკრულებად კვალიფიკაციისთვის სახეზე უნდა იყოს ხელშეკრულების აშკარად არატიპური დათქმები, რომელთა შედეგადაც დირექტორი ფართო მასშტაბით, მნიშვნელოვან სფეროებში, ფაქტობრივად აღარ გვევლინება ავტონომიურად მოქმედ (გადაწყვეტილებების მიმღებ) მმართველ ორგანოდ, არამედ მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული პარტნიორთა ნებაზე და მხოლოდ ამ ნების აღმასრულებელია საზოგადოების ფარგლებს გარეთ.

შრომითი და სოციალური სასამართლოების პრაქტიკით დადგენილი კრიტერიუმების მიხედვით, სააქციო საზოგადოების მმართველობის წევრთან დადებული მომსახურების ხელშეკრულება არ შეიძლება ჩაითვალოს შრომით ხელშეკრულებად.¹⁴ ამის მიზეზი არის ის, რომ გერმანიის სააქციო სამართლის მიხედვით, არც საერთო კრებას და არც ზედამხედველობის საბჭოს არ გააჩნიათ მმართველობის წევრისადმი სავალდებულო მითითებების მიცემის უფლება, ვინაიდან მმართველობის წევრი ვალდებულია საკუთარი პასუხისმგებლობით წარმართოს

საზოგადოება (გერმანიის სააქციო საზოგადოების შესახებ კანონის 76 I პარაგრაფი). მხოლოდ რამდენიმე ფუნდამენტური მნიშვნელობის მქონე გადაწყვეტილებისთვის (მაგალითად, საზოგადოების მთელი ქონების გადაცემა, საწარმოთა შორის ხელშეკრულებები, ინტეგრირებასთან დაკავშირებული გადაწყვეტილებები) არის საჭირო კანონით განსაზღვრული საერთო კრების თანხმობა. მართალია, სასამართლო პრაქტიკა ამ თანხმობის აუცილებლობას აფართოებს ზოგიერთი შედარებით მნიშვნელოვანი გადაწყვეტილების მიმართაც (განსაკუთრებით ძირეული რესტრუქტურის ღონისძიებებზე – ე. წ. საერთო კრების დაუნერეული კომპეტენცია),¹⁵ თუმცა ეს არ გულისხმობს მითითებების გაცემის უფლებას – საერთო კრებას შეუძლია მხოლოდ არ გასცეს თანხმობა. მიუხედავად ამისა, დირექტორთა საბჭოს უფლებამოსილების ამგვარი შეზღუდვები იმდენად უმნიშვნელოა, რომ არ წარმოადგენს მისთვის მაღალი კონტროლის განევას.

მიუხედავად ამისა, ფედერალურმა სოციალურმა სასამართლომ ერთ-ერთ არატიპურ შემთხვევაში გაავრცელა შრომითი კანონმდებლობა, იმგვარი სამართლებრივი ურთიერთობის მიმართ, როგორშიც იყვნენ სააქციო საზოგადოება და დირექტორთა

¹³ ფედერალური სოციალური სასამართლოს 2020 წლის 15 დეკემბრის გადაწყვეტილება - B 2 U 4/20 R - BSGE 131, 144, juris პუნქტი მე-18; ფედერალური სოციალური სასამართლოს 2021 წლის 3 ნოემბრის გადაწყვეტილება - B 11 AL 4/20 R - BSGE 133, 76, juris პუნქტი 23-ე; ფედერალური შრომის სასამართლოს 2012 წლის 26 ოქტომბრის გადაწყვეტილება - 10 AZB 55/12 - GmbHR 2013, 253, juris პუნქტი მე-12; ფედერალური შრომის სასამართლოს 2014 წლის 3 დეკემბრის გადაწყვეტილება - 10 AZB 98/14 - NJW 2015, 718, juris პუნქტი მე-15; ფედერალური შრომის სასამართლოს 2009 წლის 3 თებერვლის გადაწყვეტილება - 5 AZB 100/08 - NJW 2009, 2078, juris პუნქტი მე-8; კიოლნის ფედერალური შრომის სასამართლოს 2024 წლის 4 დეკემბრის გადაწყვეტილება - 9 Ta 156/24 - juris პუნქტი 23-ე; Kleindiek in:

Lutter/Hommelhoff, GmbH-Gesetz Kommentar, 21. Auflage 2023, Anhang zu § 6, Rn. 3 ff.

¹⁴ ფედერალური სოციალური სასამართლოს 2021 წლის 3 ნოემბრის გადაწყვეტილება - B 11 AL 4/20 R - BSGE 133, 76, juris პუნქტი 23-ე; ფედერალური სოციალური სასამართლოს გადაწყვეტილება 2020 წლის 15 დეკემბრიდან - B 2 U 4/20 R - BSGE 131, 144, juris პუნქტი მე-13 და მომდევნო.

¹⁵ დეტალურად: გერმანიის ფედერალური სასამართლოს 2004 წლის 26 აპრილის გადაწყვეტილება - II ZR 155/02 - BGHZ 159, 30, juris პუნქტი 38-ე და მომდევნო; გერმანიის ფედერალური სასამართლოს 2006 წლის 20 ნოემბრის გადაწყვეტილება - II ZR 226/05 - NZG 2007, 234, juris; გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს 2011 წლის 7 სექტემბრის გადაწყვეტილება - 1 BvR 1460/10 - NZG 2011, 1379, juris პუნქტი მე-17.

საბჭოს წევრი, ვინაიდან იგი მანამდე ამ საზოგადოებაში დასაქმებული პირი იყო, ხოლო დირექტორად დანიშვნის შემდეგ განაგრძო მუშაობა ახალი მომსახურების ხელშეკრულების დადების გარეშე.¹⁶ იმავე გზით იმოქმედა ფედერალურმა შრომითმა სასამართლომ იმ შემთხვევაში, როდესაც ყოფილი თანამშრომელი დაინიშნა შპს-ს დირექტორად, შესაბამისი, სპეციალური სამოქალაქო-სამართლებრივი შეთანხმების გარეშე.¹⁷ მართალია, ორივე სასამართლომ, როგორც რევიზიის გამტარებელმა ინსტანციებმა თავად არ დაადგინეს ფაქტობრივი გარემოებები, არამედ გაიზიარეს სააპელაციო ინსტანციების ინტერპრეტაციები, ასეთი მიდგომა მაინც არ არის დამაჯერებელი. სახელშეკრულებო ურთიერთობის კლასიფიკაცია არ არის განმარტების საკითხი, არამედ სამართლის გამოყენების საკითხია. თუ მხარეებმა ურთიერთშეთანხმებით შეცვალეს ვალდებულებების ბუნება – დაქვემდებარებული პოზიციიდან მითითებებისგან თავისუფლებამდე, მაშინ ამის აუცილებელი სამართლებრივი შედეგი არის ის, რომ შრომითი ხელშეკრულება უკვე უნდა დაკვალიფიცირდეს, როგორც მომსახურების ხელშეკრულება, თუნდაც სხვა პირობები დარჩეს უცვლელი. ერთადერთი საკითხი, რომელიც განმარტებას ექვემდებარება არის ის, შეწყდა თუ არა ამით წინა შრომითი ხელშეკრულება, თუ დროებით შეჩერდა მისი მოქმედება (აღნიშნულზე დეტალურად ქვემოთ - B.

II. 5-ში).

ფედერალურმა უმაღლესმა სასამართლომ, ზოგიერთ ცალკეულ შემთხვევაში, გაიზიარა შრომითი და სოციალური სასამართლოების შეხედულება.¹⁸ თუმცა, სამართლებრივი საწყისი პოზიციის თვალსაზრისით, ფედერალური უმაღლესი სასამართლოს გადაწყვეტილებების უმრავლესობა ემხრობა იმ თვალსაზრისს, რომ კაპიტალური ტიპის საზოგადოების მმართველი ორგანოები გერმანული ეროვნული კანონმდებლობის მიხედვით არასდროს შეიძლება ჩაითვალოს დასაქმებულებად. ეს განისაზღვრება, ძირითადად, იმით, რომ მმართველი ორგანოები თავად ასრულებენ დამსაქმებლის ფუნქციებს კაპიტალური ტიპის საზოგადოების დაქვემდებარებული თანამშრომლების მიმართ და, შესაბამისად, ერთდროულად ვერ იქნებიან დასაქმებულებიც.¹⁹ ეს ოდნავ განსხვავებული სამართლებრივი მიდგომა შედეგობრივად არსებით განსხვავებას არ იძლევა. ერთი მხრივ, ფედერალური უმაღლესი სასამართლო მმართველი ორგანოს მომსახურების ხელშეკრულებაზე ავრცელებს შრომით სამართალში ჩამოყალიბებულ გარკვეულ პრინციპებს (ამაზე ქვემოთ უფრო დეტალურად). მეორე მხრივ, ევროპული სამართლის გაგებით, დასაქმებულის ცნება უფრო ფართოა, ვიდრე გერმანული ეროვნული კანონმდებლობა მოიაზრებს,²⁰ რის გამოც გარკვეულ პირობებში ევროკავ-

¹⁶ ფედერალური სოციალური სასამართლოს 2021 წლის 3 ნოემბრის გადაწყვეტილება - B 11 AL 4/20 R - BSGE 133, 76, juris პუნქტი 25-ე.

¹⁷ ფედერალური შრომის სასამართლოს 2023 წლის 20 ივლისის გადაწყვეტილება - 6 AZR 228/22 - BAGE 181, 319, juris პუნქტი მე-18 და მომდევნო.

¹⁸ ფედერალური უმაღლესი სასამართლოს 2007 წლის 8 იანვრის გადაწყვეტილება - II ZR 267/05 - NJW-RR 2007, 1632, juris პუნქტი მე-6; უფრო დეტალურად: ფედერალური სასამართლოს 2000 წლის 10 იანვრის გადაწყვეტილება - II ZR 251/98 - NJW 2000, 1864, juris პუნქტი მე-6.

¹⁹ ფედერალური უმაღლესი სასამართლოს 2019 წლის 26

მარტის გადაწყვეტილება - II ZR 244/17 - NJW 2019, 2086, juris პუნქტი 27-ე; ფედერალური სასამართლოს 2010 წლის 10 მაისის გადაწყვეტილება - II ZR 70/09 - NJW 2010, 2343, juris პუნქტი მე-7; ფედერალური სასამართლოს 1981 წლის 29 იანვრის გადაწყვეტილება - II ZR 92/80 - BGHZ 79, 291, juris პუნქტი მე-5 და სხვა სასამართლო წყაროები.

²⁰ ასევე: ევროპული სასამართლოს 2015 წლის 9 ივლისის გადაწყვეტილება - C-229/14 - NJW 2015, 2481, juris პუნქტი 35-ე (Balkaya); ევროპული სასამართლოს 2007 წლის 20 სექტემბრის გადაწყვეტილება - C-116/06 - NZA 2007, 274, juris პუნქტი 26-ე და სხვა სასამართლო წყაროები (Kiiski).

შირის შრომითი დაცვის ნორმები კაპიტალური ტიპის საზოგადოების მმართველ ორგანოზეც შეიძლება გავრცელდეს (ამაზე ვრცლად ქვემოთ). მარტივად რომ ვთქვათ: მმართველი ორგანო არ არის დასაქმებული ეროვნული სამართლის გაგებით, მაგრამ ზოგიერთ სფეროში მას უნდა მოექცნენ ისე, როგორც დასაქმებულს.

განსხვავებით ამ ზოგადი პრინციპებისგან, ფედერალური შრომითი სასამართლო დადგენილი პრაქტიკის შესაბამისად მიიჩნევს, რომ შრომითი ურთიერთობა არსებობს მაშინ, როცა ეს მმართველ ორგანოსა და საზოგადოებას შორის პირდაპირ არის შეთანხმებული; ფედერალური შრომითი სასამართლოს აზრით, ეს ხელშეკრულების თავისუფლებიდან გამომდინარეობს.²¹ თუმცა, ასეთი პოზიცია იურიდიულად ნაკლებად გასაზიარებელია. მართალია, სასამსახურო ხელშეკრულების მხარეებს გარკვეულ ფარგლებში შეუძლიათ შრომითი სამართლის დაცვითი ნორმების ინტეგრირება ხელშეკრულებაში (ამაზე ქვემოთ C. 3-ში), თუმცა, სახელშეკრულებო ურთიერთობის სამართლებრივი ბუნების განსაზღვრა მხარეების დისკრეციას არ წარმოადგენს და არც იმ ხელშეკრულების თავისუფლებას განეკუთვნება, რომელსაც ფედერალური შრომითი სასამართლო აღნიშნავს. ხელშეკრულების სამართლებრივი ბუნება განისაზღვრება შინაარსით, და არა მხოლოდ ტერმინოლოგიით, რომელსაც მხარეები იყენებენ (რომელსაც მხოლოდ ინდიკატორული მნიშვნელობა აქვს). თუ მმართველი ორგანო არ მოქმედებს სხვაზე დამოკიდებულად, მაშინ მისი სასამსახურო ხელშეკრულება

ვერ გადაიქცევა შრომით ხელშეკრულებად მხოლოდ იმიტომ, რომ მხარეებმა ასეთი სახელწოდება მიანიჭეს. სწორედ ამ საფუძველზე ფედერალურმა უმაღლესმა სასამართლომ ფედერალური შრომითი სასამართლოს ეს არგუმენტაცია არ გაიზიარა.

2. სოციალური დაცვის ნორმების გამოყენება დირექტორთან დადებულ მომსახურების ხელშეკრულებაზე

ზემოხსენებულისგან დამოუკიდებლად, პასუხი უნდა გაეცეს კითხვას, გამოიყენება თუ არა მომსახურების, რაც დაკვალიფიცირებულია როგორც სასამსახურო, ხელშეკრულებაზე შრომითი ხელშეკრულების მიმართ მოქმედი, სოციალური დაცვის ნორმები.

ევროკავშირის სასამართლოს 2010 წლის 11 ნოემბრის გადაწყვეტილების (დანოსა-*/Danosa*)²² ბოლო ნაწილში სასამართლო დისკრიმინაციის ამკრძალავი ნორმების ქრილში (მდრ. საქართველოს შრომის კოდექსის მე-4 და შემდეგი მუხლები) მსჯელობს ე. წ. გარე-დირექტორზე (იგულისხმება /გარედან მოსული/ დირექტორი, რომელიც იმავედროულად არ არის პარტნიორი), როგორც დასაქმებულზე.²³ რადგან არ არსებობს ობიექტური საფუძველი დისკრიმინაციის სხვადასხვა ნიშნის განსხვავებული სამართლებრივი შეფასებისა ან მოპყრობისთვის, რომლებიც კანონმდებლისთვის თანაბარი მნიშვნელობის მატარებელია, აღნიშნული გადაწყვეტილების არგუმენტები რელევანტურია, როგორც გერმანიის ზოგადი თანასწორობის კანონით²⁴ განსაზღვრული მე-2

²¹ ფედერალური შრომის სასამართლოს 2023 წლის 20 ივლისის გადაწყვეტილება - 6 AZR 228/22 - NJW 2024, 234, juris პუნქტი 23-ე; ფედერალური შრომის სასამართლოს 2020 წლის 17 ივნისის გადაწყვეტილება - 7 AZR 398/18 - NZA 2020, 1470, juris პუნქტი მე-15.

²² ევროკავშირის სასამართლოს 2010 წლის 11 ნოემბრის გადაწყვეტილება - C-232/09 - juris, აბზაცის ნომერი- 39

(Danosa); იხ. ასევე მე-3 სქოლიო დამატებითი მითითებებით.

²³ გერმანიის ფედერალური უმაღლესი სასამართლოს 2019 წლის 26 მარტის გადაწყვეტილება - II ZR 244/17 - NJW 2019, 2086, juris, აბზაცის ნომერი - 22-დან.

²⁴ „1-ელი პარაგრაფი: კანონპროექტის მიზანი

პარაგრაფის, ისე საქართველოს შრომის კოდექსის მე-4 და მომდევნო მუხლებით დადგენილი რეგულაციების მოქმედების მთელ სფეროზე. ამასთან დაკავშირებით ფედერალური უმაღლესი სასამართლო აღნიშნავს:²⁵

„იმ შემთხვევაში, თუ ეს წინაპირობები შესრულებულია, ევროკავშირის სამართალთან შესაბამისი ინტერპრეტაციის საფუძველზე და ევროკავშირის სასამართლოს მიერ დამკვიდრებული დასაქმებულის ცნების მიხედვით, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების გარე-დირექტორი (*Fremd-geschäftsführer*) უნდა ჩაითვალოს დასაქმებულად გერმანიის ზოგადი თანასწორობის კანონის 6 I 1 პარაგრაფის მიხედვით, სულ მცირე იმდენად, რამდენადაც ამ კანონის 2 I 2 პარაგრაფის მოქმედება ვრცელდება დირექტორთან მომსახურების ხელშეკრულების შეწყვეტაზე.²⁶

(ა) „დამსაქმებლის“ ცნება, ევროპული სასამართლოს უკვე კარგად დამკვიდრებული პრაქტიკის მიხედვით, უნდა განისაზღვროს ობიექტური კრიტერიუმების საფუძველზე, შრომით ურთიერთობაში მხარეთა უფლებებისა და ვალდებულებების მიხედვით. ამ კონტექსტში შრომითი ურთიერთობის არსებითი ნიშანია ის, რომ პირი გარკვეული დროის განმავლობაში ასრულებს მომსახურებას სხვა პირის მითითებების შესაბამისად და სანაცვლოდ იღებს ანაზღაურებას (ევროპის

სასამართლოს 2010 წლის 11 ნოემბრის გადაწყვეტილება - C-232/09, ZIP 2010, 2414 ველის ნომერი - 39 - დანოსა; 2015 წლის 9 ივლისის გადაწყვეტილება - C-229/14, ZIP 2015, 1555 ველის ნომერი - 34 - *Balkaya, beide mwN*; 2015 წლის 10 სექტემბრის გადაწყვეტილება - C-47/14, ZIP 2015, 2340 ველის ნომერი - 41 - *Holterman Ferho Exploitatie*).

ის ფაქტი, რომ პირი არის კაპიტალური ტიპის კომპანიის მმართველი ორგანოს წევრი, თავისთავად არ გამოორიცხავს იმის შესაძლებლობას, რომ ეს პირი იმყოფება ამ სანარმოსთან დაქვემდებარებულ ურთიერთობაში (შდრ. ევროპის სასამართლოს 2010 წლის 11 ნოემბრის გადაწყვეტილება - C-232/09, ZIP 2010, 2414 ველის ნომერი - 47 - დანოსა; 2015 წლის 9 ივლისის გადაწყვეტილება - C-229/14, ZIP 2015, 1555 ველის ნომერი - 38 - *Balkaya mwN*). უნდა იქნას განხილული ის პირობები, რომელთა მიხედვითაც ეს პირი დაინიშნა მმართველ ორგანოში, მისთვის მინიჭებული დავალებების ბუნება, ამ დავალებების შესრულებისთვის შესაბამისი სამუშაო გარემო, მისი უფლებამოსილებების მოცულობა და მასზე განხორციელებული კონტროლი, ასევე ის გარემოებები, რომელთა საფუძველზეც შესაძლებელია მისი გათავისუფლება (ევროპის სასამართლოს 2010 წლის 11 ნოემბრის გადაწყვეტილება - C-232/09, ZIP 2010, 2414 ველის ნომერი - 47 - დანოსა; 2015 წლის 9 ივლისის გადაწყვეტილება - C-229/14, ZIP 2015, 1555 ველის ნომერი - 38 - *Balkaya*).

კანონპროექტის მიზანია რასისა და ეთნიკური წარმოშობის, გენდერის, რელიგიის ან სამყაროს აღქმის, შუშ პირის სტატუსის, ასაკის ან სექსუალური იდენტობის გამო დისკრიმინაციის თავიდან აცილება ან აღმოფხვრა.

მე-2 პარაგრაფი: გამოყენების სფერო

(1) დისკრიმინაცია, რომელიც გამომდინარეობს 1-ელ პარაგრაფში მითითებული საფუძვლებიდან, დაუშვებელია და ამ კანონის შესაბამისად ვრცელდება შემდეგ საკითხებზე:

1. პირობები, მათ შორის შერჩევის კრიტერიუმები და დასაქმების პირობები, როგორც თვითდასაქმებულისთვის, ისე დამოკიდებული სამუშაოს შემსრულებ-

ლისთვის, საქმიანობის სფეროსა და პროფესიული პოზიციის მიუხედავად, ასევე პროფესიულ განვითარებაზე,

2. დასაქმებისა და შრომის პირობებზე, მათ შორის შრომის ანაზღაურებისა და გათავისუფლების პირობებზე, განსაკუთრებით ინდივიდუალური და კოლექტიური სამართლებრივი შეთანხმებებისა და ლონისძიებების დროს შრომითი ურთიერთობის განხორციელებასა და დასრულებაზე, ასევე პროფესიულ წინსვლაზე...“

²⁵ ფედერალური უმაღლესი სასამართლოს 2019 წლის 26 მარტის გადაწყვეტილება - II ZR 244/17 - NJW 2019, 2086, juris პუნქტი 30-ე და მომდევნო.

კაპიტალური ტიპის საზოგადოების მმართველი ორგანოს ის წევრი, რომელიც ანაზღაურების სანაცვლოდ ასრულებს მომსახურებას იმ საწარმოსთვის, რომელშიც იგი დანიშნა და რომლის სტრუქტურაშიც ის ინტეგრირებულია, აგრეთვე საქმიანობას ასრულებს ამ საწარმოს სხვა ორგანოს მითითებების შესაბამისად ან მისი ზედამხედველობის ქვეშ და რომლის თანამდებობიდან გათავისუფლება შეიძლება შეუზღუდავად, ნებისმიერ დროს. შესაბამისად, აკმაყოფილებს იმ კრიტერიუმებს, რათა ჩაითვალოს მუშაკად ევროკავშირის სამართლის მნიშვნელობით (ევროპის სასამართლოს 2010 წლის 11 ნოემბრის გადაწყვეტილება – C-232/09, ZIP 2010, 2414 ველის ნომერი - 51, 56 - დანოსა; 2015 წლის 9 ივლისის გადაწყვეტილება - C-229/14 ZIP 2015, 1555 ველის ნომერი - 39 - Balkaya; 2015 წლის 10 სექტემბრის გადაწყვეტილება - C-47/14, ZIP 2015, 2340 Rn. 45 ff. - Holterman Ferho Exploitatie).

(ბ) ევროპული სასამართლოს მიერ შემუშავებული კრიტერიუმების საფუძველზე, მოსარჩელე უნდა ჩაითვალოს „დამსაქმებლად“ გერმანიის ზოგადი თანასწორობის კანონის 6 I 1 პარაგრაფის მნიშვნელობით, რაც ეროვნული სასამართლოს მიერ დამოუკიდებლად უნდა შეფასდეს (V...). მოსარჩელე იყო მოპასუხე კომპანიის მმართველი ორგანოს წევრი და ანაზღაურების სანაცვლოდ ასრულებდა მომსახურებას იმ კომპანიისთვის (...), რომელმაც იგი დანიშნა და რომლის სტრუქტურაშიც იგი გარე-დირექტორის სტატუსით იყო ინტეგრირებული. ამ პოზიციაზე იგი მოპასუხესთან დაქვემდებარებულ ურთიერთობაში იმყოფებოდა. ფაქ-

ტობრივად, პარტნიორთა კრება იღებდა გადაწყვეტილებებს, რომლებიც განსაზღვრავდა კომპანიის ძირითად მიმართულებებს და ეს გადაწყვეტილებები ხორციელდებოდა დირექტორებისთვის მიცემული მითითებების გზით. პარტნიორთა კრება ასევე ახორციელებდა მართვაზე ფართო ზედამხედველობისა და შემოწმების უფლებამოსილებას (... ფედერალური უმაღლესი სასამართლოს 2019 წლის 8 იანვრის გადაწყვეტილება - II ZR 364/18-, BGHZ 220, 354, juris Rn. 33),²⁷ რაც მოცემულ შემთხვევაში, გაძლიერებული იყო ზედამხედველი საბჭოს კონტროლით (...). შეზღუდული პასუხისმგებლობის შესახებ კანონის 38 I პარაგრაფის თანახმად, მოსარჩელის დანიშვნა შესაძლებელია, პრინციპში, ნებისმიერ დროს გაუქმდეს (ამ მოსაზრებასთან დაკავშირებით, შდრ. ევროპის სასამართლოს 2015 წლის 9 ივლისის გადაწყვეტილება – C-229/14, ZIP 2015, 1555 ველის ნომერი - 40 - Balkaya; 2015 წლის 10 სექტემბრის გადაწყვეტილება - C-47/14, ZIP 2015, 2340 ველის ნომერი - 41, 45 - Holterman Ferho Exploitatie). შპს-ს მმართველი ორგანოს ასეთი წევრი – მიუხედავად იმისა, რომ მას გააჩნია გადაწყვეტილების მიღების დისკრეციული უფლებამოსილება, რის გამოც იგი სცილდება გერმანული სამართლის მიხედვით ჩვეულებრივი თანამშრომლის ცნებას – იმყოფება კომპანიასთან დაქვემდებარებულ ურთიერთობაში ევროპული სასამართლოს პრაქტიკის მნიშვნელობით (შდრ. ევროპის სასამართლოს 2015 წლის 9 ივლისის გადაწყვეტილება - C-229/14, ZIP 2015, 1555 Rn. 41 - Balkaya).“...

გერმანიაში მოქმედი, შრომითი შემოსავლის დაყადაღებისგან დაცვის რეგულაციების (გსსკ-ის 850 II პარაგრაფი)²⁸ შესაბამი-

²⁷ ციტატა დამატებულია ავტორების მიერ.

²⁸ გსსკ-ის 850-ე პარაგრაფი: შრომის შემოსავლის დაყადაღებისგან დაცვის წესი

(1) ფულად სახით ანაზღაურებადი შრომითი შემოსავალი დაყადაღებას ექვემდებარება მხოლოდ 850a- 850i პარაგრაფების შესაბამისად.

(2) ამ ნორმის ფარგლებში შრომით შემოსავლად მიიჩნევა საჯარო მოხელეთა სამსახურებრივი და საპენსიო ანაზღაურება, შრომითი და სამსახურებრივი ხელფასები, პენსიები და სხვა მსგავსი განმეორებადი შემოსავლები, რომლებიც გადაეცემა სამსახურის ან შრომითი ურთიერთობის დროებით ან სამუდამოდ შეწყვეტის შემდეგ, მარჩენალდაკარგულ პირთა პენსიები, ასევე სხვა

სად, ე. წ. პარტნიორ-მმართველისთვის გადახდილი ანაზღაურებაც შრომით შემოსავლად ითვლება.²⁹

თუმცა, ეს არ ნიშნავს, რომ შრომით ხელშეკრულებებზე გავრცელებული სოციალური დაცვის ნორმები ავტომატურად ვრცელდება მმართველ ორგანოსთან დადებულ მომსახურების, იგივე სასამსახურო ხელშეკრულებაზე. ასეთი გავრცელება მხოლოდ მაშინ არის დასაშვები, როდესაც შესაბამისი ნორმის დაცვითი მიზანი მოითხოვს მის გავრცელებას მმართველ ორგანოსთან დადებულ მომსახურების ხელშეკრულებაზეც³⁰ - მაგალითად, უკვე ნახსენები დისკრიმინაციის აკრძალვის, სამსახურებრივი რეკომენდაციის გაცემის მოთხოვნის³¹ ან შრომით სამართალში თანაბარი მოპყრობის (დისკრიმინაციის აკრძალვის) პრინციპის შემთხვევაში (იხ. ქვემოთ C. 3). შესაბამისად, უმეტეს შემთხვევაში მმართველი პირი, როგორც მომსახურების ხელშეკრულების კონტრაჰენტი, შრომითი სამართლის სოციალური დაცვის უფლებებით არ სარგებლობს.

მაგალითად, მმართველი ორგანოს წევრებთან დადებული სასამსახურო ხელშეკრულებები არ ექვემდებარება საქართველოს შრომის კოდექსის 12 IV მუხლის დაცვით მიზანს.³² აღნიშნული ნორმის მიზანია თავიდან იქნას აცილებული ის შემთხვევა, როცა დამსაქმებელი ე. წ. ჯაჭვური შრომითი ხელშეკრულებების დადებით ცდილობს თავი აარიდოს შრომის კოდექსის 12 III მუხლით გათვალისწინებული ვადიანი ხელშეკრულებების მომწესრიგებელ ნორმას. ამგვარი დაცვა არ ვრცელდება იმ დირექტორზე, რომელიც საქმიანობას მომსახურების ხელშეკრულების საფუძველზე ახორციელებს. ცალსახაა, რომ არ იქნება მიზანშეწონილი, თუ მომსახურების ხელშეკრულების შეწყვეტის შემდეგ ის კვლავ განაგრძობს მუშაობას, როგორც დაქვემდებარებული, მხარეთა შორის შესაბამისი შეთანხმების გარეშე. ანალოგიური მიდგომაა დამკვიდრებული გერმანიის სასამართლო პრაქტიკაშიც შრომითი ხელშეკრულებების ვადი-

ანაზღაურებები ყველა სახის მომსახურებისთვის, რომლებიც მთლიანად ან არსებითად იკავებს მოვალეს პროფესიულ საქმიანობას...

²⁹ ფედერალური სასამართლოს 2016 წლის 16 ნოემბრის გადაწყვეტილება - VII ZB 52/15 - NJW-RR 2017, 161, juris პუნქტი მე-15.

³⁰ შდრ. ფედერალური შრომის სასამართლოს 2023 წლის 20 ივლისის გადაწყვეტილება - 6 AZR 228/22 - NJW 2024, 234, juris პუნქტი 37-ე, შრომის უფლებების გაცემის შესახებ, როგორც გსკ-ის 631a პარაგრაფის მიხედვით, შედარებით საქართველოს შრომის კოდექსის 50 III მუხლთან; *Seibt in: K. Schmidt/Lutter AktG, Kommentar*, 5. Auflage 2024, § 84 AktG, Rn. 26; *Bürgers in: Bürgers/Lieder, Aktiengesetz*, 6. Auflage 2024, § 84 AktG, Rn. 15; *Kort in: Aktiengesetz Großkommentar*, 5. Aufl. 2015, § 84 Rn. 272a ff.

³¹ ფედერალური შრომის სასამართლოს 2003 წლის 13 თებერვლის გადაწყვეტილება - 8 AZR 654/01 - BAGE 104, 358, juris პუნქტი 37-ე.

³² „Beträgt die Laufzeit eines Arbeitsvertrags mehr als 30 Monate oder wird das Arbeitsverhältnis durch den zweimaligen oder wiederholten Abschluss eines

befristeten Arbeitsvertrags fortgesetzt und beträgt seine Laufzeit mehr als 30 Monate, gilt dies als Abschluss eines unbefristeten Arbeitsvertrags. Befristete Arbeitsverträge gelten als aufeinanderfolgend abgeschlossen, wenn der bestehende befristete Arbeitsvertrag unmittelbar nach seinem Ablauf verlängert wurde oder der nächste befristete Arbeitsvertrag innerhalb von 60 Tagen nach Ablauf des ersten befristeten Arbeitsvertrags abgeschlossen wurde.“

„თუ შრომითი ხელშეკრულების ვადა 30 თვეზე მეტია, ან თუ შრომითი ურთიერთობა ვადიანი შრომითი ხელშეკრულების მიმდევრობით ორჯერ ან მეტჯერ დადების შედეგად გრძელდება და მისი ხანგრძლივობა 30 თვეს აღემატება, მიიჩნევა, რომ დადებულია უვადო შრომითი ხელშეკრულება. ვადიანი შრომითი ხელშეკრულებები მიმდევრობით დადებულად ჩაითვლება, თუ არსებული ვადიანი შრომითი ხელშეკრულება მისი ვადის გასვლისთანავე გავრძელდა ან მომდევნო ვადიანი შრომითი ხელშეკრულება პირველი ვადიანი შრომითი ხელშეკრულების ვადის გასვლიდან 60 დღის ვადაში დაიდო.“

ნობასთან მიმართებით და ე. წ. ჯაჭვურ ხელშეკრულებებზე.³³ ეს განსხვავებები განსაკუთრებით თვალსაჩინოა სააქციო საზოგადოების მმართველი საბჭოს შემთხვევაში, რომელთანაც დადებული სასამსახურო ხელშეკრულება, საზოგადოების დაცვის მიზნით, აუცილებლად უნდა იყოს ვადიანი (სააქციო საზოგადოების შესახებ კანონის 84 I 5 პარაგრაფი).

ასევე, საწარმოს გადაცემასთან დაკავშირებული ნორმების (გსკ-ის 631a პარაგრაფი და საქართველოს შრომის კოდექსის 50 III მუხლი) დაცვითი მიზანი არ ამართლებს მათ ანალოგიურ გამოყენებას მმართველ ორგანოსთან დადებულ მომსახურების, იგივე სასამსახურო ხელშეკრულებებზე.³⁴ ეს უკვე იქიდან გამომდინარეობს, რომ აღნიშნული ნორმები ეხება მხოლოდ ვალდებულებითი (სახელშეკრულებო) ურთიერთობის და არა მმართველი ორგანოს წევრის სტატუსის ტრანსფერს,³⁵ რის შედეგადაც მომსახურების ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულება ამ სტატუსის არსებობის გარეშე შეუძლებელი ხდება. სიტუაცია განსხვავებულია მაშინ, როცა გამოწვევის სახით, სასამსახურო ხელშეკრულება შრომით ხელშეკრულებად ჩაითვლება; ასეთ შემთხვევაში, შრომითი ხელშეკრულების ტრანსფერი მოხდება (და შესაბამისად შესაძლებელია მისი შესრულება), ხოლო ორგანოს სტატუსის – არა.³⁶

შრომის სამართლის მარეგულირებელი ნორმის გავრცელება პირდაპირ არის გამორიცხული კაპიტალური ტიპის კომპანიების

მმართველ ორგანოებზე გერმანიაში, განსაკუთრებით თანამმართველობის უფლებაზე (თანამმართველობის შესახებ კანონის 3 I 2 პარაგრაფი), სამუშაო დროის რეგულირებაზე (სამუშაო დროის შესახებ კანონის 18 I 1 პარაგრაფი) და გათავისუფლებისგან დაცვის უფლებაზე (გათავისუფლებისგან დაცვის შესახებ კანონის 14 I 1 პარაგრაფი).

3. მმართველი ორგანოს თანამდებობიდან გათავისუფლების შემდგომ საქმიანობის გაგრძელების უფლება

ვინაიდან, შპს-ის დირექტორის დანიშვნის აქტი ნებისმიერ დროს შეიძლება გაუქმდეს (შპს-ის შესახებ კანონის 38-ე პარაგრაფი, ხოლო სააქციო საზოგადოებაში დანიშვნის აქტის გაუქმება სააქციო საზოგადოების შესახებ კანონის 84 IV პარაგრაფის შესაბამისად მხოლოდ არსებითი საფუძვლით არის შესაძლებელი), გამიჯვნის პრინციპის შედეგად, დირექტორი სახელშეკრულებო ურთიერთობაში რჩება კომპანიასთან. ეს მაშინ ხდება, როდესაც მისი სამსახურებრივი ხელშეკრულება არ წყდება არც ვადის გასვლით და არც ჩვეულებრივი ან დაუყოვნებლივი წესით. ასეთ შემთხვევაში ჩნდება კითხვა, უნდა გათავისუფლდეს თუ არა დირექტორი ვალდებულებებისგან ხელშეკრულების დარჩენილ პერიოდში (ხელფასის შენარჩუნებით) თუ მას საქმიანობის გაგრძელების მოთხოვნის უფლება აქვს.

ეს საკითხი მკაცრად უნდა გაიმიჯნოს საქართველოს შრომის კოდექსის 12 IV მუხ-

³³ ფედერალური შრომის სასამართლოს 2019 წლის 12 ივნისის გადაწყვეტილება - 7 AZR 477/17 - NJW 2020, 92, juris პუნქტი მე-10 და მომდევნო და 26-ე და მომდევნო; ფედერალური შრომის სასამართლოს 2014 წლის 19 მარტის გადაწყვეტილება - 7 AZR 527/12 - NZA 2014, 840, juris პუნქტი მე-18 და მომდევნო.

³⁴ ფედერალური შრომის სასამართლოს 2023 წლის 20 ივლისის გადაწყვეტილება - 6 AZR 228/22 - NJW 2024, 234, juris პუნქტი 37-ე და მომდევნო; ფედერალური

შრომის სასამართლოს 2003 წლის 13 თებერვლის გადაწყვეტილება - 8 AZR 654/01 - BAGE 104, 358, juris პუნქტი 34-ე და მომდევნო.

³⁵ ადგილობრივი სასამართლოს 2023 წლის 20 ივლისის გადაწყვეტილება - 6 AZR 228/22 - NJW 2024, 234, juris პუნქტი 40-ე.

³⁶ ადგილობრივი სასამართლოს 2003 წლის 13 თებერვლის გადაწყვეტილება - 8 AZR 654/01 - BAGE 104, 358, juris პუნქტი 40-ე და მომდევნო.

ლით რეგულირებული შინაარსისგან. აღნიშნული სამართლებრივი ნორმა ეხება საკითხს, ექნება თუ არა დირექტორს (რაც უარყოფითად უნდა შეფასდეს) უფლება საქმიანობის გაგრძელებაზე, მომსახურების ხელშეკრულების შეწყვეტის შემდეგ, თუ მისი ხელშეკრულების ვადა 30 თვეზე მეტი გაგრძელდა. თუმცა აქ საუბარია სხვა საკითხზე, კერძოდ, შპს-ის დირექტორი „უნდა“ დარჩეს თუ არა სახლში იმ პერიოდში, რომელიც მმართველი ორგანოდან მის გათავისუფლებასა და მომსახურების ხელშეკრულების დასრულებას შორის ინტერვალს მოიცავს, თუ მას „შეუძლია“ იმუშაოს ხელმძღვანელ პოზიციაზე, რომელიც შეესაბამება მის უწინდელ ფუნქციებს (თუმცა, უკვე კორპორაციული უფლებამოსილებების გარეშე).

გერმანიის ფედერალური უმაღლესი სასამართლო ამ საკითხზე აღნიშნავს შემდეგს:³⁷

„შპს-ის დირექტორად საქმიანობის გაგრძელების ვალდებულებითი მოთხოვნა სამსახურებრივი ხელშეკრულებიდან ვერ გამომდინარეობს (ფედერალური უმაღლესი სასამართლოს 2022 წლის 28 ოქტომბრის გადაწყვეტილება - II ZR 146/02, ZIP 2003, 28, 29...). გამიჯვნის პრინციპის შესაბამისად, მმართველი ორგანოს თანამდებობის დაკავება და სასამსახურო ხელშეკრულება, თავიანთი სამართლებრივი ბუნებით, ერთმანეთისგან დამოუკიდებლად არსებობს (ფედერალური უმაღლესი სასამართლოს, 2010 წლის 10 მაისის გადაწყვეტილება - II ZR 70/09, ZIP 2010, 1288 ველის ნომერი - 9; 1995 წლის 26 ივნისის გადაწყვეტილება - II ZR 109/94, ZIP 1995, 1334, 1335; Urteil vom 9. Februar 1978 - II ZR 189/76, WM 1978, 319 f.). ამგვარი სამართლებრივი გამიჯვნის შედეგად, როგორც წესი, ორივე სამართლებრივი ურთიერთობა (მმართველი

ორგანოს თანამდებობაზე დანიშვნა და სამსახურებრივი ხელშეკრულება) უნდა შეწყდეს მათი მარეგულირებელი ნორმების საფუძველზე. დირექტორის დანიშვნის აქტის ნებისმიერ დროს გაუქმების შესაძლებლობა (შპს-ის შესახებ კანონის 38 I პარაგრაფი) კომპანიისთვის განაპირობებს ფართო ორგანიზაციულ თავისუფლებას მმართველობის სფეროში. ეს უფლება გამორიცხავს მოსარჩელის მიერ თავდაპირველად მოთხოვნილ „სამსახურებრივი ხელშეკრულებიდან გამომდინარე შემდგომი საქმიანობის უფლებას“ დირექტორის პოზიციაზე. როგორც შპს-ის შესახებ კანონის 38 I პარაგრაფი განსაზღვრავს, იმ შემთხვევაში, როცა წესდებით სხვა რამ არ არის დადგენილი, როგორც აქ (შდრ. შპს-ის 38 II პარაგრაფი) - არსებობს უფლება დანიშვნის აქტის ნებისმიერ დროს გაუქმებაზე, რაც არ გამორიცხავს უკვე არსებული ხელშეკრულებიდან გამომდინარე ანაზღაურების მოთხოვნის უფლებას (ფედერალური უმაღლესი სასამართლოს 2002 წლის 28 ოქტომბრის გადაწყვეტილება - II ZR 146/02, ZIP 2003, 28, 29).“

4. შეცდომით დადებული სამსახურებრივი ხელშეკრულება

თუ სამსახურებრივ ხელშეკრულებას აქვს სამართლებრივი ხარვეზი, მაშინ შრომითი ხელშეკრულების ნაკლოვანების შემთხვევისთვის შემუშავებული სამართლებრივი პრინციპები ანალოგიურად ვრცელდება მმართველ ორგანოსთან დადებულ სამსახურებრივ ხელშეკრულებაზე.³⁸

მომსახურების ხელშეკრულების შესრულების დაწყებამდე, კონტრაჰენტებს ნების-

³⁷ ფედერალური უმაღლესი სასამართლოს 2010 წლის 11 ოქტომბრის გადაწყვეტილება - II ZR 266/08 - NJW 2011, 920, juris პუნქტი მე-7.

³⁸ ფედერალური სასამართლოს 2019 წლის 20 აგვისტოს

გადაწყვეტილება - II ZR 121/16 - NJW 2019, 3718, juris პუნქტი 26-ე; Kleindiek in: Lutter/Hommelhoff, GmbH-Gesetz Kommentar, 21. Auflage 2023, Anhang zu § 6, Rn. 73 f.

მიერ დროს შეუძლიათ მიუთითონ ხელშეკრულების ნაკლზე.³⁹ თუმცა, თუ მმართველი ორგანოს წევრმა საქმიანობა დაიწყო სამართლებრივად ბათილი სამსახურებრივი ხელშეკრულების საფუძველზე და ეს მოხდა კომპანიის იმ ორგანოს მიერ ცოდნის პირობებში, რომელიც ხელშეკრულების დადებაზე იყო უფლებამოსილი (საკმარისია, რომ ამის შესახებ ორგანოს ერთმა წევრმაც კი იცოდეს), მაშინ სამართლებრივი ურთიერთობა იმ დროის განმავლობაში, როცა დირექტორი რეალურად ასრულებდა მოვალეობებს, უნდა შეფასდეს ისე, თითქოს ხელშეკრულება სამართლებრივი ძალის მქონე იყო, რაც თავისთავად ყველა შესაბამის უფლებასა და ვალდებულებას წარმოშობს.⁴⁰ რადგან უკუქცევა უსაფუძვლო გამდიდრების საფუძველზე არა მხოლოდ ფაქტობრივად რთულია, არამედ სერიოზულად დააზარალებდა იმ დირექტორის სამართლიან ინტერესებს, რომელმაც თავისი მოვალეობა კეთილსინდისიერად შეასრულა. შესაბამისად, ასეთ პიროვნებას, ამ დროის განმავლობაში გაწეული მომსახურების გამო (მიუხედავად იმისა, რომ ხელშეკრულება ფორმალურად სამართლებრივი ძალის არ მქონე იყო, მაგრამ დე ფაქტოდ შესრულებულია) ერგება ანაზღაურება იმ ოდენობით, რაც

თავდაპირველად (არამართლზომიერად) იყო დაპირებული.⁴¹

5. ყოფილი თანამშრომლის მმართველ დირექტორად დანიშვნა

მსჯელობის დასაწყისში უნდა ითქვას, რომ გერმანული სამართალი უშვებს და აღიარებს სამსახურებრივი ხელშეკრულებისა და პასიური შრომითი ხელშეკრულების ერთმანეთის პარალელურად არსებობას: გერმანიის სასამართლო პრაქტიკაში მრავალგზის გვხვდება იმ საკითხის განხილვა და შეფასება, თუ რა ბედი ეწევა შრომით ხელშეკრულებას იმ შემთხვევაში, როცა დასაქმებული ხდება კაპიტალური ტიპის საზოგადოების დირექტორი. დამკვიდრებული პრაქტიკის მიხედვით, ასეთ შემთხვევებში (თუ არ არსებობს სპეციალური შეთანხმება მხარეებს შორის) როგორც წესი, მანამდე არსებული შრომითი ურთიერთობა კონკლუდენტურად უქმდება და იდება მომსახურების, იგივე სასამსახურო ხელშეკრულება.⁴² ის, თუ რამდენად დაცულია სავალდებულო წერილობითი ფორმა (გსკ-ის 623-ე პარაგრაფი)⁴³ ახალი მომსახურების ხელშეკრულების წერილობით გაფორმებისას,⁴⁴ წინამდებარე შემთხვევაში აღარ იქნება განხილვის საგანი.

³⁹ ფედერალური სასამართლოს 1995 წლის 16 იანვრის გადაწყვეტილება - II ZR 290/93 - NJW 1995, 1158, juris პუნქტი მე-10.

⁴⁰ ფედერალური სასამართლოს 2019 წლის 20 აგვისტოს გადაწყვეტილება - II ZR 121/16 - NJW 2019, 3718, juris პუნქტი 26-ე; ფედერალური სასამართლოს 1995 წლის 16 იანვრის გადაწყვეტილება - II ZR 290/93 - NJW 1995, 1158, juris პუნქტი მე-10.

⁴¹ ფედერალური სასამართლოს 1995 წლის 16 იანვრის გადაწყვეტილება - II ZR 290/93 - NJW 1995, 1158, juris პუნქტი მე-10.

⁴² გერმანიის შრომის ფედერალური სასამართლოს 2013 წლის 15 ნოემბრის განჩინება - 10 AZB 28/13 - GmbHR 2014, 137, juris, აბზაცის ნომერი - 18; გერმანიის შრომის ფედერალური სასამართლოს 2008 წლის 5 ივნისის განჩინება - 2 AZR 754/06 NJW 2008, 3514, juris Rn 23; გერმანიის ფედერალური შრომის სასამართლოს 2024

წლის 9 იანვრის გადაწყვეტილება - 3 Ca 869/23 - juris, აბზაცის ნომერი - 18

⁴³ გსკ-ის 623-ე პარაგრაფი: ხელშეკრულების შეწყვეტის წერილობითი ფორმა

შრომითი ურთიერთობის დასრულება ხელშეკრულების შეწყვეტის ან გაუქმების გზით, ნამდვილობისთვის საჭიროებს წერილობითი ფორმის დაცვას; ელექტრონული ფორმა დაუშვებელია.

⁴⁴ იხ.: გერმანიის შრომის ფედერალური სასამართლოს 2011 წლის 15 მარტის განჩინება - 10 AZB 32/10 - NJW 2011, 2684, juris, აბზაცის ნომერი - 12; შდრ. ასევე: ბერლინ-ბრანდენბურგის შრომის სამხარეო სასამართლოს 2009 წლის 26 იანვრის განჩინება - 6 Ta 174/09 - juris, აბზაცის ნომერი - 3; გავრცელებულ მოსაზრებებთან დაკავშირებით იხ.: Staudinger/Oetker (2022) გსკ-ის კომენტარი 623-ე პარაგრაფი.

მოცემული შემთხვევისთვის უფრო რელევანტურია ის გარემოება, რომ მოხსენიებული პრაქტიკის ორიენტირია განმარტების გამარტივება „სათუო“, არა მკაფიო შემთხვევებისას. ამრიგად, სამართლებრივი თვალსაზრისით, ხელშეკრულების მხარეებისთვის ასევე შესაძლებელია შრომითი ხელშეკრულების პასიურ რეჟიმში გადაყვანა დასაქმებული პირის მიერ დირექტორის მოვალეობების შესრულების ხანგრძლივობით; ასეთ შემთხვევაში შრომითი ხელშეკრულება „ავტომატურად“ აქტიურდება დირექტორის გათავისუფლებისთანავე. გერმანიის ფედერალური უმაღლესი სასამართლო აღიარებს სახელშეკრულებო ურთიერთობების ამგვარ მოწესრიგებას, თუკი მკაფიოდ იკვეთება მხარეთა შესაბამისი ნება.⁴⁵

უნდა აღინიშნოს, რომ სამართლებრივი ურთიერთობების მსგავსი გამიჯვნა/დაყოფა (აქტიური მომსახურების ხელშეკრულება და პასიური შრომითი ხელშეკრულება) ეფუძნება მნიშვნელოვან და ყურადსაღებ საფუძველს, კერძოდ, დირექტორის სოციალური უზრუნველყოფის საკითხს მისი მმართველობითი უფლებამოსილების დასრულების შემდეგ. ურთიერთობის ამგვარი მოწესრიგების სწორედ ამ მიზანზე მიუთითებს თიურინგენის შრომის სამხარეო სასამართლოც⁴⁶, რომლის გადაწყვეტილებას საფუძვლად დაედო შემთხვევა, სადაც ხელშეკრულების მხარეებმა აშკარად გამოხატეს ნება და შეთანხმდნენ შრომითი ხელშეკრულების დროებით შეჩერებაზე და მხოლოდ იმ შემთხვევაში შეწყვეტაზე, თუ იმავდროულად დადებული (შეთანხმების დროს ჯერ კიდევ ვადიანი) მომსახურების ხელშეკრულება გაგრძელდებოდა ორ წელზე მეტი ვადით; ანუ, მარტივად რომ ვთქვათ, თუკი

დასაქმებული ორ წელზე მეტი ვადით იქნებოდა სანარმოს დირექტორი, შრომითი ხელშეკრულება შეწყდებოდა. ამასთან, თიურინგენის სამხარეო სასამართლომ არა მხოლოდ სანინააღმდეგო არაფერი თქვა სახელშეკრულებო ურთიერთობის ამგვარი ფორმით მოწესრიგების დასაშვებობის მიმართ, არამედ მართებულად განმარტა, რომ მსგავსი დათქმა ემსახურება დირექტორის/დასაქმებულის სოციალური უზრუნველყოფის მიზანს. სწორედ ასეთი შეთანხმებით დირექტორს ექნებოდა შესაძლებლობა, მისი, როგორც დირექტორის საქმიანობის დასრულების შემდეგ დაბრუნებოდა თავდაპირველ შრომით ურთიერთობას. ასეთ შემთხვევაში, სოციალური დაცვის ჭრილში უმნიშვნელოა ის გარემოება, ვადიანია სამსახურებრივი ხელშეკრულება, თუ უბრალოდ შესაძლებელია მისი მოშლა შესაბამისი პირობებითა და წესებით.

ამგვარი შრომითი ურთიერთობის შეჩერების პერიოდში მხარეებს შორის ძირითადი ვალდებულებების შესრულების მოთხოვნის უფლება არ არსებობს. თუმცა, დასაქმებულის მეორეული ვალდებულება დამსაქმებლისთვის ზიანის მიყენებისაგან თავის შეკავების ან შესაძლებლობის ფარგლებში ზიანის თავიდან აცილების სახით შეჩერებული შრომითი ურთიერთობის შემთხვევაშიც ძალაში რჩება.⁴⁷ თუ ადგილი აქვს სერიოზულ, განსაკუთრებით, ვალდებულების განზრახ დარღვევას, ამან შეიძლება გამოიწვიოს მმართველ ორგანოსთან (მაგ. დირექტორის) მომსახურების ხელშეკრულების შეწყვეტა და ამავდროულად მოახდინოს გავ-

⁴⁵ ასეთი განმარტების მაგალითად იხ.: გერმანიის შრომის ფედერალური სასამართლოს 2005 წლის 14 ივლისის გადაწყვეტილებაში - 8 AZR 392/04 - NZA 2005, 1411, juris, აბზაცის ნომერი - 21.

⁴⁶ თიურინგენის შრომის სამხარეო სასამართლოს 2024

წლის 28 აგვისტოს გადაწყვეტილება - 4 Sa 183/23 - juris.

⁴⁷ ფედერალური შრომის სასამართლოს 2008 წლის 27 ნოემბრის გადაწყვეტილება - 2 AZR 193/07 - NZA 2009, 671, juris პუნქტი 35-ე.

ლენა შეჩერებულ შრომით ურთიერთობა-ზეც.⁴⁸ ამისათვის აუცილებელია, რომ მმართველი ორგანოს ფუნქციის შესრულებისას ჩადენილი ვალდებულების დარღვევის ხასიათი იმდენად სერიოზული იყოს, რომ შრომითი ურთიერთობის (რომელიც კვლავ ძალაში შედის მომსახურების ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში) გაგრძელება იქცეს დამსაქმებლისთვის არათანაზომიერ ტვირთად.

6. კომპანიის რეორგანიზაცია და სხვა საკითხები

თუ კომპანია გარდაიქმნება (მაგალითად, სააქციო საზოგადოებიდან შპს-ად) ან მიმდინარეობს შერწყმის პროცესი და მმართველი ორგანოს წევრი კვლავ ინიშნება ახალი მმართველი ორგანოს წევრად, მაშინ (თუ სხვა რამ არ არის შეთანხმებული), ითვლება, რომ არსებული სამსახურებრივი ურთიერთობა გრძელდება.⁴⁹ ხოლო, თუ იგი ახალ კომპანიაში მმართველი ორგანოს წევრად აღარ ინიშნება, მაშინ სამსახურებრივი ხელშეკრულება გადადის და მისი კონტრაქტის ხდება ახალი იურიდიული პირი, ხოლო მმართველი ორგანოს წევრის სტატუსი ამ პირს უნდა ექნება.⁵⁰

C. სამსახურებრივი ხელშეკრულების სამართლებრივი ფორმირების შესაძლებლობები გერმანიაში

1. სახელშეკრულებო თავისუფლება და მისი საზღვრები

მომსახურების ხელშეკრულების შინაარსობრივი ფორმირება, განსხვავებით მისი სამართლებრივი კატეგორიზაციისგან, ხელშეკრულების თავისუფლების პრინციპს განეკუთვნება. თუმცა, გარკვეული შეზღუდვები გამომდინარეობს, ერთი მხრივ მმართველი ორგანოს მიერ კანონით განსაზღვრული ორგანული სტატუსიდან, ხოლო მეორე მხრივ - პარტნიორთა/წევრთა კრების და, საჭიროების შემთხვევაში, ზედამხედველობის საბჭოს, ასევე კომპანიის წესდების დებულებებიდან. იმის გათვალისწინებით, რომ სააქციო საზოგადოების (AG) ორგანული სტრუქტურები, როგორც უკვე აღინიშნა, მკაცრია შპს-სთან (GmbH/LLC) შედარებით, ხელშეკრულების ფორმირების თავისუფლება შპს-ში უფრო ფართოა, ვიდრე სააქციო საზოგადოებაში.

კაპიტალური ტიპის კომპანიასა და მის მმართველ ორგანოს შორის არსებული სახელშეკრულებო (ვალდებულებითი) ურთიერთობის ფარგლებში სამართლებრივად დასაშვები სახელშეკრულებო შეთანხმებების შესახებ, გერმანიის ფედერალურმა უმაღლესმა სასამართლომ 2010 წლის 10 მაისის გადაწყვეტილებაში, სხვა საკითხებთან ერთად, აღნიშნა:⁵¹

⁴⁸ იხ. შრომითი ურთიერთობის ერთდროულად მოქმედი და გაჩერებული მდგომარეობა, როდესაც თანამშრომელი იბრუნებს საკუთარ სამუშაო ადგილს კონცერნში გადაყვანის შემდეგ: ფედერალური შრომის სასამართლოს 2008 წლის 27 ნოემბრის გადაწყვეტილება - 2 AZR 193/07 - NZA 2009, 671, juris პუნქტი 35-ე.

⁴⁹ ფედერალური უმაღლესი სასამართლოს 1997 წლის 12 მაისის გადაწყვეტილება - II ZR 50/96 - NJW 1997, 2319, juris პუნქტი მე-12.

⁵⁰ ფედერალური შრომის სასამართლოს 2003 წლის 13 თებერვლის გადაწყვეტილება - 8 AZR 654/01 - BAGE 104, 358, juris პუნქტი 32-ე.

⁵¹ ფედერალური სასამართლოს 2010 წლის 10 მაისის გადაწყვეტილება - II ZR 70/09 - NJW 2010, 2343, juris პუნქტი მე-8.

„ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ დირექტორის დანიშვნის ხელშეკრულების სამართლებრივი ბუნება, როგორც თავისუფალი მომსახურების ხელშეკრულება, არ გამოირიცხავს მხარეებისთვის შესაძლებლობას, ნების ავტონომიის პირობებში თავისუფლად შეათანხმონ და ხელშეკრულების საგნად განსაზღვრონ შრომით-სამართლებრივი ნორმების მოქმედება (შდრ. *Fleck* (ფლეკი), *ZHR* (ეკონომიკისა და ვაჭრობის ჟურნალი) გვ. 149, 387, 401-დან.). თუმცა, დირექტორის, როგორც სანარმოს მმართველი ორგანოს მიმართ დანიშვნის სამართლებრივი ბუნებიდან გამომდინარე, მსგავსი შეთანხმება ვერ გავრცელდება და ვერ შეცვლის მმართველი ორგანოსა და დირექტორის სტატუსთან დაკავშირებით არსებულ საკანონმდებლო რეგულაციებს. შესაბამისად, მხარეთა ხელშეკრულების თავისუფლებიდან გამომდინარე მოქმედებები შეზღუდულია იმ მოთხოვნებითა და პირობებით, რომლებიც, თავის მხრივ, გამომდინარეობს და დაკავშირებულია სანარმოს გამართულ ფუნქციონირებასთან და მისგან გამომდინარე – დირექტორის, როგორც მმართველი ორგანოს სტატუსთან. სააპელაციო სასამართლოს მოსაზრების საწინააღმდეგოდ, ნების ავტონომიის ზემოთ აღნიშნული ზღვარი ვერ იქნება გადალახული მხარეთა შეთანხმებით ხელშეკრულების მოშლასთან დაკავშირებული მატერიალურ-სამართლებრივი ნესების თაობაზე.“

შპს-ის (GmbH/LLC) შემთხვევაში, ორგანიზაციულ-სტრუქტურულ დარღვევად არ განიხილება ის ფაქტი, რომ კომპანია, რომელიც დირექტორს თანამდებობაზე დანიშნავს და კომპანია, რომელიც მას ასაქმებს

სხვადასხვა იურიდიული პირები არიან; მართივად რომ ვთქვათ, როცა დირექტორი დასაქმებულია ისეთ იურიდიულ პირთან (მაგალითად, სხვა კომპანიაში ერთსა და იმავე კორპორაციულ ჯგუფში), სადაც ის მმართველი ორგანოს წევრად არ არის დანიშნული.⁵² შეიძლება თუ არა, და განსაკუთრებით რა პირობებით არის შესაძლებელი ანალოგიური მოდელის გავრცელება სააქციო საზოგადოებაზე (AG), სამართლებრივად საკმაოდ საკამათოა.⁵³ ყოველ შემთხვევაში, სულ მცირე, იმისათვის რომ მესამე იურიდიულ პირთან (დამსაქმებელთან) დადებული სასამსახურო ხელშეკრულებას სამართლებრივი ძალა ჰქონდეს, აუცილებელია, რომ დამსაქმებელმა (მაგ. ე. წ. *Relationship Agreement*-ით) აღიაროს, რომ დირექტორი, პირველ რიგში, იმ კომპანიის ინტერესებს ემსახურება, რომელმაც ის მმართველ ორგანოდ დანიშნა.⁵⁴

2. გადანაცვლების მიღების თავისუფლების შეზღუდვა

მმართველობის უფლებამოსილების შეზღუდვებთან და პარტნიორთა კრებაზე (შპს-ის შემთხვევაში) ან აქციონერთა საერთო კრებასა და საზედამხედველო საბჭოზე (სააქციო საზოგადოების შემთხვევაში) დამოკიდებულებასთან მიმართებით, აუცილებელია განსხვავება შპს-ს (LLC/GmbH) და სააქციო საზოგადოებას (AG) შორის.

შპს-ის (LLC/GmbH) დირექტორი, პრინციპულად, შეიძლება დაექვემდებაროს პარტნიორთა კრების მკაცრ მითითებებს. პარტნიორთა ნებასთან ასეთი მჭიდრო მიბმის

⁵² *Kleindiek* in: Lutter/Hommelhoff, GmbH-Gesetz Kommentar, 21. Auflage 2023, Anhang zu § 6 Rn. 9, იქვე: დამატებითი დეტალების შესახებ.

⁵³ ამ თემასთან დაკავშირებით ამომწურავად: *Kort* in: Aktiengesetz Großkommentar, 5. Aufl. 2015, § 84, Rn. 319 ff.; *Seibt* in: K. Schmidt/Lutter AktG, Kommentar, 5.

Auflage 2024, § 84 AktG Rn. 29; *Bürgers* in: Bürgers/Lieder, Aktiengesetz, 6. Auflage 2024, § 84 AktG, Rn. 21.

⁵⁴ *Seibt* in: K. Schmidt/Lutter AktG, Kommentar, 5. Auflage 2024, § 84 AktG Rn. 29.

შედეგია მხოლოდ ის, რომ, შესაძლოა, სამსახურებრივი ხელშეკრულება აღარ შეფასდეს როგორც მომსახურების ხელშეკრულება, არამედ შრომით ხელშეკრულებად, ან გავრცელდეს შრომის სამართლის დაცვითი ნორმები (იხ. ზემოთ B. II. 1.). კორპორაციული სამართლის ფარგლებში დასაშვებია გადაწყვეტილების თავისუფლების ზღვარი შპს-ში მხოლოდ მაშინ ირღვევა, როცა დირექტორს აღარ რჩება „ბიზნეს-თავისუფლების სფერო“ და მას ფაქტობრივად ართმევენ საკუთარ ძირითად ფუნქციებს. ანუ, ის გვევლინება მხოლოდ აღმასრულებელი ორგანოს როლში, რომელიც აღარ ფლობს გადაწყვეტილების დამოუკიდებლად მიღების უფლებამოსილებას და უბრალოდ ასრულებს პარტნიორთა კრების მითითებებს.⁵⁵ სააქციო საზოგადოების (AG) შემთხვევაში კი ასეთი შეთანხმებები, როგორც წესი, უკანონოდ ითვლება, რადგან მაღალია რისკი, რომ ამის შედეგად დაირღვეს სააქციო საზოგადოების შესახებ კანონის 76 I პარაგრაფით განსაზღვრული ორგანული სტრუქტურის პრინციპები (იხ. ზემოთ B. II. 1 და 2).

საპირისპიროდ მოქმედებს შემდეგი წესი: სამსახურებრივი ხელშეკრულება არ უნდა ჩაერიოს იმ კომპეტენციებში, რომლებიც კაპიტალური ტიპის კომპანიის სხვა ორგანოებს აქვთ მინიჭებული. შესაბამისად, კაპიტალური ტიპის კომპანია, მაგალითად, ვერ იკისრებს ვალდებულებას სამსახურებრივი ხელშეკრულებით, რომ ის განსაზღვრული სახით ცვლილებას შეიტანს კომპანიის წესდებაში, ან რომ ის დანიშნავს ან არ

დანიშნავს გარკვეულ პირებს სხვა კორპორაციულ ორგანოებში – იმის მიხედვით, მოსაწონი არიან თუ არა ისინი მოქმედი მმართველი ორგანოსთვის.⁵⁶

3. შრომის სამართლის დაცვითი ნორმების გავრცელება

შრომის სამართლის დაცვითი ნორმების სახელშეკრულებო შეთანხმების საფუძველზე გავრცელება, პრინციპში, არ არღვევს კაპიტალური ტიპის კომპანიის ორგანულ სტრუქტურას.⁵⁷ გარდა ამისა, კომპანიის ერთგულებისა და ზრუნვის ვალდებულება შესაძლოა გამოვლინდეს იმგვარად, რომ მმართველი ორგანოს წევრმა საწარმოო პრაქტიკის (*betriebliche Übung*) საფუძველზე მოითხოვოს თანაბარი მოპყრობა სხვა მმართველი ორგანოების წევრებთან მიმართებით (თუმცა არა სხვა თანამშრომლებთან, მათ შორის ხელმძღვანელ პერსონალთან)⁵⁸, მაგალითად, საპენსიო უზრუნველყოფის წესებთან დაკავშირებით.⁵⁹

სააქციო საზოგადოების შემთხვევაში, გერმანიაში სამსახურებრივ ხელშეკრულებაში გათავისუფლებისგან დაცვის ნორმების ხელშეკრულებით გათვალისწინება, როგორც წესი, დაუშვებელია, რადგან სააქციო საზოგადოების შესახებ კანონის 84 I 5 პარაგრაფის მიხედვით (განსხვავებით GmbH-ს შესახებ კანონისგან) დირექტორის სამსახურებრივი ხელშეკრულებისთვის დადგენილია არაუმეტეს ხუთწლიანი ვადა, თუმცა აღნიშნული კანონისმიერი ლიმიტისთვის

⁵⁵ მთლიანობაში: Uwe H. Schneider/Sven H. Schneider in: Scholz, GmbHG, 13. Auflage 2022/2024/2025, § 37 GmbHG, Rn. 85 ff.

⁵⁶ Kort in: Aktiengesetz Großkommentar, 5. Aufl. 2015, § 84, Rn. 283.

⁵⁷ Kort in: Aktiengesetz Großkommentar, 5. Aufl. 2015, § 84, Rn. 280.

⁵⁸ Kort in: Aktiengesetz Großkommentar, 5. Aufl. 2015, § 84, Rn. 280.

⁵⁹ შდრ. ფედერალური სასამართლოს 1994 წლის 19 დეკემბრის გადაწყვეტილება - II ZR 244/93 - NJW-RR 1995, 796, juris პუნქტი მე-7; Kort in: Aktiengesetz Großkommentar, 5. Aufl. 2015, § 84, Rn. 281 f.

თავის არიდება მხარეთა შეთანხმების საფუძველზე შეიძლება.⁶⁰

4. ანაზღაურების სტრუქტურა

გერმანიაში სააქციო საზოგადოებების შემთხვევაში, ანაზღაურების სტრუქტურა ექვემდებარება სააქციო საზოგადოების შესახებ კანონის 87 I პარაგრაფთან ერთად სხვა პირობებსაც, მათ შორის შემდეგ მოთხოვნას:

„საზედამხედველო საბჭომ ჯამური ანაზღაურების განსაზღვრისას (ხელფასი, მოგებაზე დამოკიდებული ბონუსები, ხარჯთაღრიცხვითი კომპენსაციები, სადაზღვევო შენატანები, საკომისიოები, წამახალისებელი ანაზღაურებები, როგორიცაა, მაგალითად, აქციებზე წვდომის უფლებები და ნებისმიერი სახის დამატებითი სარგებელი) უნდა უზრუნველყოს, რომ ეს ანაზღაურება იყოს შესაბამისი მმართველი ორგანოს წევრის ამოცანებისა და მათი შესრულების მიმართ, ასევე შესატყვისი კომპანიის ფინანსურ მდგომარეობასთან, და არ უნდა გადააჭარბოს ჩვეულებრივად მისაღებ ანაზღაურებას შესაბამისი, სპეციალური მიზეზის გარეშე. ბირჟაზე რეგისტრირებული კომპანიების შემთხვევაში, ანაზღაურების სტრუქტურა უნდა იყოს მიმართული კომპანიის მდგრად და გრძელვადიან განვითარებაზე. შესაბამისად, ცვლად ანაზღაურებებს უნდა ჰქონდეს რამდენიმე წლიანი შეფასების ბაზა, ხოლო განსაკუთრებული გარემოებების შემთხვევაში ზედამხედველობის საბჭომ უნდა უზრუნველყოს ანაზღაურების შეზღუდვის შე-

საძლებლობა. პირველი წინადადება ანალოგიურად ვრცელდება საპენსიო უზრუნველყოფაზე, მარჩენალის ოჯახისთვის განკუთვნილ კომპენსაციასა და მსგავსი სახის სარგებელზე”

შპს-ის (GmbH) შემთხვევაში, მხარეებს, პრინციპში, აქვთ თავისუფლება დირექტორის ანაზღაურების განსაზღვრისას. ზემოთ ნახსენები სააქციო სამართლის კანონით კი დირექტორატისთვის ამგვარი, შესაფერისობაზე დამოკიდებული ანაზღაურება შპს-ზე არ ვრცელდება.⁶¹ თუმცა, როდესაც კომპანიას ჰყავს რამდენიმე პარტნიორ-დირექტორი ერთ-ერთი მათგანისთვის გაცემული განუსაზღვრელად მაღალი ანაზღაურება (თუნდაც ფართო დისკრეციის ფარგლებში)⁶² შეიძლება ფარული მოგების განაწილებად შეფასდეს.⁶³ გარდა ამისა, პარტნიორ-დირექტორისთვის გაცემული ანაზღაურება, რომელიც გადააჭარბებს იმას, რაც საბაზრო პირობებში შესაფერისად შეიძლება ჩაითვალოს, საგადასახადო სამართლის თვალსაზრისით, ითვლება ფარული დივიდენდის განაწილებად (*erdeckte Gewinnausschüttung*).⁶⁴

D. სასამართლო პრაქტიკა

1. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2023 წლის 29 მაისის გადაწყვეტილება

(საქმე: **№ას-1282-2022**)

ფაქტობრივი გარემოებები: მოსარჩელე იყო დასაქმებული საწარმოს დირექტორის თა-

⁶⁰ Kort in: Aktiengesetz Großkommentar, 5. Aufl. 2015, § 84, Rn. 469a; ხელმისაწვდომი: ფედერალური სასამართლოს 2010 წლის 10 მაისის გადაწყვეტილება - II ZR 70/09 - NJW 2010, 2343, juris პუნქტი 1-ელი.

⁶¹ Kleindiek in: Lutter/Hommelhoff, GmbH-Gesetz Kommentar, 21. Auflage 2023, Anhang zu § 6, Rn. 31.

⁶² იხ. თანაბარი მოპყრობის პრინციპის დარღვევა სხვადასხვა ანაზღაურების მქონე მმართველი ორგანოების

შემთხვევაში: ჰამმის რეგიონული სასამართლოს 2019 წლის 9 სექტემბრის გადაწყვეტილება - I-8 U 7/17 - NZG 2019, 1261, juris პუნქტი 60-ე და შემდეგი.

⁶³ Kleindiek in: Lutter/Hommelhoff, GmbH-Gesetz Kommentar, 21. Auflage 2023, Anhang zu § 6, Rn. 31a.

⁶⁴ ფედერალური ფინანსთა სასამართლოს 2020 წლის 12 მარტის გადაწყვეტილება - V R 5/17 - BFHE 268, 415, juris პუნქტი 42-ე და შემდეგი, სხვა წყაროები.

ნამდებობაზე. აღნიშნული საწარმოს დამფუძნებელი და 100%-იანი წილის მფლობელი სახელმწიფოა, ხოლო პარტნიორის უფლება-მოვალეობებს მოპასუხე სამინისტრო ასრულებდა. მოსარჩელემ სარჩელით მოითხოვა მინისტრის ბრძანებების ბათილად ცნობა, რომელთა საფუძველზეც იგი გათავისუფლდა და დაინიშნა ახალი დირექტორი, აგრეთვე დირექტორის თანამდებობაზე აღდგენას. დამფუძნებელი საწარმოს ხშირად ამოწმებდა და ხელს უშლიდა საქმიანობაში, მას სურდა კლინიკის შენობის წართმევა, რაზედაც გაიმართა დავა, რომელიც საწარმომ მოიგო. სამინისტრო მუდმივად მოითხოვდა მოსარჩელისგან სარჩელის გამოხმობას, რის გამოც მას ემუქრებოდნენ, რაც საბოლოოდ მოსარჩელის უკანონო გათავისუფლებით დასრულდა. მისი სამსახურიდან გათავისუფლების მუქარით ხდებოდა მასზე მიზანმიმართული ზეწოლა.

პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილებით სარჩელი არ დაკმაყოფილდა, რაც მოსარჩელემ სააპელაციო წესით გაასაჩივრა.

სააპელაციო სასამართლოს მსჯელობა: სასამართლომ აპელანტთან, საწარმოს დირექტორთან სამართლებრივი ურთიერთობის შეწყვეტასთან დაკავშირებით მიუთითა საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ მყარად დადგენილ პრაქტიკაზე, რომლის თანახმად, საწარმოსა და დირექტორს შორის დადებულ ხელშეკრულებაზე შრომითი კანონმდებლობა არ ვრცელდება. შპს-ის დირექტორთან დადებული ხელშეკრულება არ უნდა დაკვალიფიცირდეს შრომით-სამართლებრივ ხელშეკრულებად, არამედ მიიჩნევა სასამსახურო ხელშეკრულებად, რომელიც მომსახურების ხელშეკრულების ნაირსახეობაა და განსხვავდება შრომის სამართლისათვის დამახასიათებელი პრინციპებისაგან. შესაბამისად, საწარმოს დირექტორი,

ნებისმიერ დროს შეიძლება გათავისუფლდეს დაკავებული თანამდებობიდან.

ზემოაღნიშნულ განჩინებასთან დაკავშირებით აპელანტმა შეიტანა საკასაციო საჩივარი, რომელიც სასამართლომ სსკ-ის 391-ე მუხლის შესაბამისად დაუშვებლად ცნო.

უზენაესი სასამართლოს მსჯელობა: წარმოდგენილი საკასაციო საჩივრის ფარგლებში სასამართლოს მსჯელობის საგანი იყო კერძო სამართლის სამეწარმეო იურიდიული პირისა და მისი დირექტორის ურთიერთობის შეწყვეტის (დირექტორის გათავისუფლების) კანონიერება. სასამართლომ მიიჩნია, რომ ზემოაღნიშნულ საკითხზე მსჯელობისას გადამწყვეტი იყო სადავო სამართლებრივი ურთიერთობის კვალიფიკაციის საკითხი, ვინაიდან უშუალოდ შრომის კანონმდებლობის გამოყენების შემთხვევაში დასაქმებული სარგებლობს დაცვის სპეციალური მექანიზმებით, სხვა შემთხვევაში კი - არა.

საკორპორაციო სამართლის მიზნებისათვის საწარმოს ხელმძღვანელობა/წარმომადგენლობა ორმხრივი სახელშეკრულებო ურთიერთობის ფარგლებში მიღწეული შეთანხმებაა, რომლის ერთი მხარე, მომსახურების გამწვავი, ვალდებულია, განიოს შეპირებული მომსახურება, ხოლო მეორე მხარე - გადაიხადოს საზღაური. ამ ტიპის შეთანხმება დამყარებულია განსაკუთრებულ ნდობაზე და უფლებით აღჭურვილ პირს, ფიციური ვალდებულების ფარგლებში, აძლევს სრულ დამოუკიდებლობას, იურიდიული პირის სახელითა და ხარჯზე განახორციელოს ყველა ის მოქმედება, რაც წესდებით გათვალისწინებული მიზნის მიღწევას შეუწყობს ხელს. იმ პირობებში, როდესაც სკ-ის იურიდიული პირის მარეგულირებელი ნორმები და მეწარმეთა შესახებ საქართველოს კანონი არ შეიცავს საწარმოს დირექ-

ტორთან დადებული ხელშეკრულების სამართლებრივი ბუნების თაობაზე პირდაპირ დათქმას, დგება საკითხი იმის შესახებ, თუ ყველაზე უფრო რომელ სამართლებრივ ინსტიტუტთან არის ეს ურთიერთობა ახლოს. სასამართლომ განმარტა, რომ დავალება სამუშაოს შესრულებასთან დაკავშირებულ ხელშეკრულებათა რიცხვს მიეკუთვნება, მისი საგანია რწმუნებული პირის მიერ ერთი ან რამდენიმე იმგვარი მოქმედების შესრულება, რომელიც იწვევს ამა თუ იმ შედეგს და, როგორც წესი, ეფუძნება ურთიერთნდობას, რწმუნებულის ვალდებულებას წარმოადგენს მმართველის მიერ დავალებული მოქმედების გულისხმიერებით შესრულება და მიღწეული შედეგის ადრესატი ხდება წარმოდგენილი პირი. ამდენად, კერძო სამართლის იურიდიული პირის დირექტორსა და ამ იურიდიულ პირს შორის წარმოშობილი სამართლებრივი ურთიერთობა დავალების ხელშეკრულებაა, რომლის საფუძველზეც დირექტორი საწარმოს სახელითა და ხარჯზე, ფიდუციური ვალდებულების ფარგლებში, ახორციელებს მისთვის წესდებით/კანონით მინიჭებულ უფლებამოსილებას.⁶⁵ საწარმოს დირექტორთან იდება სასამსახურო ხელშეკრულება და მენარმეთა შესახებ კანონის ნორმებთან ერთად გამოყენებული უნდა იქნეს არა შრომითი ურთიერთობების, არამედ დავალების ხელშეკრულების მომწესრიგებელი სამართლებრივი ნორმები.

სკ-ის 720 I მუხლით, დავალების ხელშეკრულების შეწყვეტა მხარეებს შეუძლიათ ნებისმიერ დროს. შეთანხმება ამ უფლებაზე უარის შესახებ ბათილია. უზენაესი სასამართლოს დადგენილი პრაქტიკის მიხედვით, დაუშვებელია მენარმე სუბიექტის საქმიანობაში იმგვარი ჩარევა, რომ პარტნიორს

შეეზღუდოს საწარმოს დირექტორთან ხელშეკრულების შეწყვეტის უფლებამოსილება, რაც მას მინიჭებული აქვს მენარმეთა შესახებ საქართველოს კანონით. საწარმოს ინტერესებიდან გამომდინარე, წესდებით გათვალისწინებულ შემთხვევაში, შესაბამის უფლებამოსილ პირსა თუ ორგანოს შეუძლია ყოველგვარი საფუძვლის გარეშე ნებისმიერ დროს შეწყვიტოს ხელშეკრულება ხელმძღვანელთან და გამოვლენილი ნება, მის გათავისუფლებასთან დაკავშირებით, მესამე პირების მიმართ ნამდვილი ხდება მისი მარეგისტრირებელ ორგანოში რეგისტრაციის მომენტიდან.

შესაბამისად, კასატორის გათავისუფლების თაობაზე 100%-იანი წილის მფლობელი პარტნიორის გადაწყვეტილებას საფუძველად დაედებოდა კასატორის როგორც საწარმოს დირექტორის მიერ შეტანილი სარჩელი თუ სხვა ფაქტი, სამართლებრივად არ ყოფილა მნიშვნელოვანი (რელევანტური) და ვერ შეცვლიდა საწარმოსა და დირექტორს შორის ურთიერთობის შეწყვეტის კანონიერების საკითხს. სასამართლომ აგრეთვე აღნიშნა, რომ დავის სამართლებრივ მოწესრიგებას არ ცვლიდა ის გარემოება, რომ მოპასუხე საზოგადოების 100%-იანი წილის მფლობელი პარტნიორი სახელმწიფო იყო. აღნიშნული კი მოიაზრებდა საზოგადოების დირექტორის თანამდებობიდან გათავისუფლების ბრძანების სამართლებრივი ბუნების შეფასებას. საზოგადოების დირექტორის თანამდებობიდან გათავისუფლების ბრძანება გამოიცემა მენარმეთა შესახებ საქართველოს კანონის საფუძველზე და მას შესაბამისი სახელმწიფო ორგანო გამოსცემს არა როგორც ადმინისტრაციული ორგანო მისი საჯარო-სამართლებრივი უფლებამოსილების განხორციელების მიზნით, არამედ, როგორც კერძო სამართლის

⁶⁵ შდრ. სუსგ-ის 2022 წლის 21 ივლისის გადაწყვეტილება - საქმე: №ას-160-2021.

სუბიექტი - სამეწარმეო საზოგადოების პარტნიორი. შესაბამისად, საწარმოს დირექტორის თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ აქტი (ბრძანება), თავისი არსით განეკუთვნება მეწარმეთა შესახებ საქართველოს კანონის თანახმად მიღებულ პარტნიორის გადანაცვეტილებას სასამსახურო ხელშეკრულების შეწყვეტაზე, ანუ გამოიკვეთა კერძო-სამართლებრივი და არა საჯარო-სამართლებრივი ურთიერთობა, რომელიც ექვემდებარება განხილვას სამოქალაქო სამართალწარმოების წესით.

საბოლოოდ, სასამართლომ დაასკვნა, რომ ვინაიდან დირექტორი არ წარმოადგენდა ჩვეულებრივად დასაქმებულ პირს, შრომის კანონმდებლობით დასაქმებულთა დაცვის მიზნით დადგენილი ნორმები დირექტორის მიმართ არ იმოქმედებდა და დავალების ხელშეკრულებიდან გამომდინარე, საწარმოს შეეძლო, ნებისმიერ დროს მასთან ხელშეკრულების შეწყვეტა, არ არსებობდა ბრძანების ბათილად ცნობისა და დირექტორის თანამდებობაზე აღდგენის წინაპირობები.

2. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2023 წლის 18 მაისის გადაწყვეტილება

(საქმე: № ას-399-2023)

ფაქტობრივი გარემოებები: პარტნიორთა 2016 წლის 7 ოქტომბრის გადაწყვეტილებით, მოსარჩელე მოპასუხე საზოგადოების კლინიკურ დირექტორად დაინიშნა. გადაწყვეტილება მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) პირთა იურიდიული პირების რეესტრში დარეგისტრირდა. საზოგადოების პარტნიორთა გადაწყვეტილებით, კლინიკის აღმასრულებელ დირექტორს, გენერალური დირექტორის უფლებამოვალეობების შესრულება დაეკისრა. მო-

სარჩელის ყოველთვიური სახელფასო ანაზღაურება 2018 წლის 1 მარტიდან - 12 500 (დასაბეგრი) ლარით განისაზღვრა, არსებული ფულადი ვალდებულება მოპასუხის მიერ არ შესრულებულა. შესაბამისად, მითითებული დროიდან 2019 წლის 31 ივლისამდე, 17 თვის პერიოდში მისაღები სახელფასო დავალიანება - 182 500 ლარს წარმოადგენდა.

2018 წლის 3 სექტემბერს მოპასუხემ მოსარჩელეს ჩაურიცხა 10 000 ლარი, იმავე წლის 2 ნოემბერს - 8 000 ლარი, ხოლო 30 ნოემბერს - 6 000 ლარი, დანიშნულებით - ხელფასი. საზოგადოების პარტნიორთა კრების 2021 წლის 16 სექტემბრის გადაწყვეტილებით მოსარჩელე დაკავებული თანამდებობიდან გათავისუფლდა.

პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილებით მოპასუხეს მოსარჩელის სასარგებლოდ დაეკისრა სახელფასო დავალიანების - 182 500 (დასაბეგრი) ლარის გადახდა; ანაზღაურების დაყოვნებისათვის კანონით გათვალისწინებული პროცენტის - 18 480 ლარის ანაზღაურების თაობაზე მოსარჩელის მოთხოვნა უარყოფილ იქნა.

ზემოაღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გასაჩივრდა მოპასუხის მიერ. სააპელაციო სასამართლომ გადაწყვეტილება უცვლელად დატოვა.

უზენაესი სასამართლოს მსჯელობა: წარმოდგენილი საჩივრის ფარგლებში სასამართლოს მსჯელობის საგანი იყო კერძო სამართლის სამეწარმეო იურიდიული პირის ყოფილი დირექტორის სასარგებლოდ საწარმოსთვის სახელფასო (საქმიანობის ანაზღაურების) დავალიანების დაკისრების კანონიერება.

სასამართლომ უზენაესი სასამართლოს დამკვიდრებული პრაქტიკის შესაბამისად აღნიშნა, რომ საწარმოს დირექტორთან

იდება სასამსახურო ხელშეკრულება და მენარმეთა შესახებ კანონის ნორმებთან ერთად გამოყენებული უნდა იქნეს არა შრომითი ურთიერთობების, არამედ დავალების ხელშეკრულების მომწესრიგებელი სამართლებრივი ნორმები. მსგავსი კატეგორიის დავების სამართლებრივი მოწესრიგებისათვის შრომის კოდექსის ნორმების გამოყენება დაუსაბუთებელია და არ გამომდინარეობს კანონიდან.

შესაბამისად, საწარმოსა და დირექტორს შორის ურთიერთობა შინაარსობრივად არ წარმოადგენს ჩვეულებრივ შრომით-სამართლებრივ ურთიერთობას. შპს-სა და დირექტორს შორის ურთიერთობა ეფუძნება ორ სამართლებრივ დოკუმენტს: დანიშვნის აქტსა და სასამსახურო ხელშეკრულებას. დანიშვნა დირექტორს აქცევს შპს-ს ორგანოდ და მის კანონიერ წარმომადგენლად. ამ დროს ისეთივე წარმომადგენლობით ურთიერთობას აქვს ადგილი, როგორც ეს რწმუნებულის შემთხვევაში გვხვდება⁶⁶.

სადავო არ არის, რომ მხარეთა შორის არსებული დავალების ხელშეკრულება იყო სასყიდლიანი. თუმცა, სადავო იყო სახელფასო (საქმიანობის ანაზღაურების) დავალიანების ოდენობა, ამასთან, აპელანტს კვალიფიციური და სათანადო ხასიათის მტკიცებულებებზე დაფუძნებული შედავაბა არ წარმოუდგენია, ვინაიდან მან სარჩელში აღნიშნულისგან განსხვავებული მოცულობით ხელფასის განსაზღვრის მტკიცების ტვირთი სათანადოდ ვერ დაძლია.

3. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2023 წლის 17 თებერვლის გადაწყვეტილება (საქმე №ას-1598-2022)

მენარმეთა შესახებ საქართველოს კანონის 1994 წლის რედაქცია

ფაქტობრივი გარემოებები: მოსარჩელე მოპასუხე კომპანიის 20% წილის მესაკუთრე პარტნიორია და ამავდროულად, კომპანიის დაფუძნების დღიდან რეგისტრირებულია საწარმოს დირექტორად. იგი თავდაპირველად ერთპიროვნულად ახორციელებდა მმართველობით საქმიანობას და შესაბამისად იღებდა სათანადო ანაზღაურებას, ხოლო მოგვიანებით, 2016 წლის სექტემბრის თვიდან წილების ხელახალი გადანაწილებისა და წესდებაში განხორციელებული ცვლილებების შემდეგ, საზოგადოების მართვის ორგანოებად – პარტნიორთა საერთო კრება და დირექტორთა საბჭო (3 წევრი შემადგენლობით) განისაზღვრა; აღნიშნული მართვის ორგანოს ერთ-ერთი წევრი იყო მოსარჩელე. პარტნიორთა კომპეტენციას განეკუთვნებოდა დირექტორთა საბჭოს წევრების მოგებისა და საერთო შემოსავალში მონაწილეობის პრინციპების განსაზღვრა, ასევე დირექტორთა საბჭოს წევრებთან ხელშეკრულების დადება და შეწყვეტა, მათი ანგარიშების დამტკიცება; დირექტორთა საბჭოს წევრებს ხელმძღვანელობითი და წარმომადგენლობითი უფლებამოსილება ჰქონდათ. ამასთან, ნებისმიერი ტრანზაქცია სულ მცირე ორი პიროვნების ხელმოწერას/თანხმობას საჭიროებდა. მოსარჩელე 2017 წლის თებერვლის თვის პირველ ნახევრამდე აგრძელებდა დაკისრებული მოვალეობების შესრულებას და იღებდა შესაბა-

⁶⁶ იხ. როინ მიგრიაული, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებასა და დირექტორს შორის სამართლებრივი ურთიერთობის წარმოშობა და დასრულება (შედარებითი ანალიზი გერმანულ სამართალთან).

მის გასამრჯელოს (ბოლო სამი თვის გარდა), რის შემდეგ ფაქტობრივად შეწყვიტა დირექტორის უფლებამოსილება და ჩამოსცილდა მმართველობით საქმიანობას.

მოსარჩელე საქმის მიმდინარეობის პერიოდშიც მოპასუხე კომპანიის დირექტორად იყო რეგისტრირებული, თუმცა ფაქტობრივად დირექტორის უფლებამოსილება შეწყვეტილი ჰქონდა და მმართველობით საქმიანობას ჩამოსცილდა.

მოსარჩელემ სარჩელი შეიტანა თბილისის საქალაქო სასამართლოში. პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილებით მოპასუხე შპს-ს მოსარჩელის სასარგებლოდ, 2016 წლის ნოემბრიდან 2017 წლის 14 თებერვლამდე, ხელფასის სახით მისაღები თანხის - 21 100 (ოცდაერთი ათას ასი) ლარის გადახდა დაეკისრა.

ზემოაღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა მოპასუხემ.

სააპელაციო სასამართლოს მსჯელობა: სასამართლომ აღნიშნა, რომ განსახილველ შემთხვევაში მხარეთა შორის არსებული დავის სამართლებრივი მოწესრიგებისათვის მეწარმეთა შესახებ საქართველოს კანონი (შემდეგში: სპეციალური კანონი) გამოიყენება, ვინაიდან მოცემული სამართალურთიერთობა შრომის კოდექსით მოწესრიგებულ სფეროს არ განეკუთვნება.

სააპელაციო სასამართლომ უზენაესი სასამართლოს პრაქტიკაზე მითითებით განმარტა, რომ სუბიექტის ხელმძღვანელობით/წარმომადგენლობითი უფლებამოსილების სამოქალაქო მხარე ყველაზე ახლოს, სკ-ის 709-ე მუხლის, შესაბამისად დავალების ხელშეკრულებასთან დგას.

სკ-ის 710-ე მუხლით განსაზღვრულია რწმუნებულის მიერ გასამრჯელოს მიღების წესი. კერძოდ, სკ-ის 710 II მუხლის შესაბამისად, გასამრჯელო ჩაითვლება უსიტყვოდ

შეთანხმებულად, თუ გარემოებათა მიხედვით მოქმედების შესრულება მხოლოდ გასამრჯელოთი არის მოსალოდნელი. დავალების ხელშეკრულება დავალების შესრულებისათვის შეიძლება ითვალისწინებდეს ან არ ითვალისწინებდეს გასამრჯელოს. ზეპირი ხელშეკრულების არსებობისას, როდესაც ხელშეკრულების ერთი მხარე უთითებს, რომ დავალების შესრულებისათვის ხელშეკრულებით გათვალისწინებული იყო გასამრჯელო, ხოლო მეორე მხარე უარყოფს აღნიშნულ ფაქტს, სასამართლომ ერთობლივად უნდა შეაფასოს ის მტკიცებულებები, რომლებიც ხელშეკრულებაში გასამრჯელოზე შეთანხმებას ადასტურებს. სკ-ის 710 II მუხლის შესაბამისად, დავალების ხელშეკრულების დადებისას გასამრჯელოს კონკრეტულ ოდენობაზე ან მისი გამოთვლის წესზე შეუთანხმებლობა არ გულისხმობს მხარეთა შორის უსასყიდლო ურთიერთობის. ამ ნორმით გათვალისწინებული გარემოების გაქარწყლება შესაძლებელია თვით დაინტერესებული პირის მიერ, თუ იგი დაადასტურებს, რომ სადავო ურთიერთობა გასამრჯელოს არ ითვალისწინებდა.

მოწინააღმდეგე მხარის მიერ წარდგენილი საბანკო ამონაწერებით დადგინდა, რომ იგი საწარმოს დაარსებიდან ყოველთვიურად გასამრჯელოს სახით (დასახელება „სახელფასო ანაზღაურება“) – 7 000 ლარს იღებდა, რაც აპელანტს სადავოდ არ გაუხდია, ისევე როგორც არსებული დავალიანების ოდენობა. მან სადავოდ მხოლოდ ის გარემოება გახადა, რომ არ შეიძლება მხოლოდ საბანკო გადარიცხვებით დადასტურებულიყო ხელფასის დანიშვნის მართლზომიერება, როდესაც დამნიშნავი და მიმღები ერთი და იგივე პირია.

ვინაიდან, წესდების შესაბამისად, პარტნიორთა კომპეტენციას განეკუთვნებოდა დირექტორთა საბჭოს წევრების ანგარიშების დამტკიცება და დირექტორთა საბჭოს

წევრების მხრიდან გადაწყვეტილების მიღება, სულ მცირე, ორი წევრის ხელმოწერას/თანხმობას საჭიროებდა, შესაბამისად, მოწინააღმდეგე მხარე მოკლებული იყო შესაძლებლობას, ერთპიროვნულად განეხორციელებინა შესაბამისი ტრანზაქციები, მათ შორის, გაეცა სახელფასო ანაზღაურება. თუმცა, 2016 წლის სექტემბრიდან ნოემბრის (ნაწილობრივ) ჩათვლით იგი იღებდა გასამრჯელოს და საწარმოს მხრიდან ეს ფაქტი სადავო არ გამხდარა.

შესაბამისად, თბილისის სააპელაციო სამართლოს განჩინებით გასაჩივრებული გადაწყვეტილება დარჩა უცვლელი, რაც აპელანტმა საკასაციო წესით გაასაჩივრა.

უზენაესი სასამართლოს მსჯელობა: სასამართლომ საჩივარი სსკ-ის 391-ე მუხლის საფუძველზე დაუშვებლად ცნო. სასამართლომ აღნიშნა, რომ მოცემულ შემთხვევაში, მხარეთა შორის „სასამსახურო ხელშეკრულება“ იყო დადებული, ვინაიდან მოწინააღმდეგე მხარეს კომპანიაში დირექტორის პოზიცია ეკავა. ამასთან, მათ შორის გასამრჯელოს თაობაზე შეთანხმება წერილობითი ფორმით არ დადებულა, მხარეთა ურთიერთსაპირისპირო განმარტებების ფონზე კი, სახელფასო ანაზღაურების საკითხი საქმეში წარდგენილი ყველა მტკიცებულების გათვალისწინებით უნდა შეფასებულიყო.

მენარმეთა შესახებ სპეციალური კანონის (სადავო პერიოდში მოქმედი) მე-9 მუხლით რეგულირებულია სამენარმეო საზოგადოების ხელმძღვანელობისა და წარმომადგენლობის საკითხები. მითითებული ნორმის მე-7 პუნქტი ადგენდა ხელმძღვანელობაზე/წარმომადგენლობაზე უფლებამოსილ პირსა და საწარმოს შორის ურთიერთობის მოწესრიგების სამართლებრივ საფუძვლებს, კერძოდ, ხელმძღვანელობაზე/წარმომადგენლობაზე უფლებამოსილ პირთან

(პირებთან), ასევე სამეთვალყურეო საბჭოსა და საწარმოს სხვა ორგანოების წევრებთან ურთიერთობები რეგულირდება ამ კანონით, საზოგადოების წესდებითა და მათთან დადებული ხელშეკრულებებით.

კასატორს საცილოდ არ გაუხდია მოწინააღმდეგე მხარის მიერ მოთხოვნილი სახელფასო ანაზღაურების ოდენობა, მან სათანადო მტკიცებულებებისა და არგუმენტების წარუდგენლობით უსასყიდლო სამართალურთიერთობის არსებობა ვერ დაადასტურა. კასატორმა ვერ დაძლია მტკიცების ტვირთი, რომელიც მოწინააღმდეგე მხარის საპროცესო მოქმედებათა შედეგად მასზე გადავიდა. შესაბამისად, უზენაესმა სასამართლომ, კასატორის მიერ მოწინააღმდეგე მხარისთვის ყოველთვიურად გადარიცხული თანხების გათვალისწინებით, გაიზიარა ქვედა ინსტანციის სასამართლოთა დასკვნა, რომ სადავო ურთიერთობა სასყიდლიან ხასიათს ატარებდა.

4. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2022 წლის 20 ოქტომბრის გადაწყვეტილება (საქმე: №ა-477-2020)

საქართველოს შრომის კოდექსის 2020 წლისა და მენარმეთა შესახებ საქართველოს კანონის 1994 წლის რედაქციები

ფაქტობრივი გარემოებები: მოსარჩელე საწარმოს დირექტორი იყო 09.03.2017 წლიდან - 10.04.2018 წლამდე და მისი ყოველთვიური ანაზღაურება განსაზღვრული იყო 6 000 ევროს ოდენობით, საგადასახადო ვალდებულებების გარეშე.

10.04.2018 წელს ჩატარდა საწარმოს პარტნიორთა კრება, რომელსაც ესწრებოდნენ საზოგადოების დამფუძნებელი პარტნიორები. დღის წესრიგით გათვალისწინებული იყო საწარმოს დირექტორის ცვლილება. პარტნიორებმა ერთხმად გადაწყვიტეს, რომ საწარმოს რეგისტრირებული დირექ-

ტორი - მოსარჩელე უნდა გათავისუფლებულიყო თანამდებობიდან და საწარმოს დირექტორად სხვა პირი დაინიშნა.

10.04.2018 წელს ახალმა დირექტორმა (საწარმოს უფლებამოსილი პირი) საჯარო რეესტრს წარუდგინა განცხადება საზოგადოების რეგისტრირებულ მონაცემებში ცვლილების რეგისტრაციის თაობაზე, რაც განხორციელდა იმავე დღესვე.

საწარმოს **02.04.2018** წლის ბრძანების საფუძველზე, მოსარჩელე **08.04.2018** წლიდან - **12.04.2018** წლის ჩათვლით იმყოფებოდა მივლინებაში, AIM-ის (Annual Investment Meeting) შეხვედრაზე მონაწილეობის მიზნით და მას ურთიერთობის შეწყვეტის შესახებ ეცნობა მივლინებაში ყოფნის დროს, სატელეფონო აპლიკაცია „Viber“-ის მეშვეობით გაგზავნილი მოკლე ტექსტური შეტყობინებით, 11 აპრილს.

19.10.2018 წელს მოსარჩელემ შეიტანა სარჩელი და მოითხოვა მოპასუხე კომპანიის პარტნიორთა კრების ოქმის გაუქმება, საწარმოს დირექტორის თანამდებობაზე აღდგენა და სახელფასო განაცდურის ანაზღაურება, რაც პირველი ინსტანციის სასამართლომ არ დააკმაყოფილა. აღნიშნული მოსარჩელემ სააპელაციო წესით გაასაჩივრა.

სააპელაციო სასამართლოს მსჯელობა: სასამართლომ მიუთითა, რომ უზენაესი სასამართლოს მყარად დადგენილი პრაქტიკის მიხედვით, დაუშვებელია მეწარმე სუბიექტის საქმიანობაში იმგვარი ჩარევა, რომ პარტნიორს შეეზღუდოს საწარმოს დირექტორთან ხელშეკრულების შეწყვეტის უფლებამოსილება, რაც მას მინიჭებული აქვს მეწარმეთა შესახებ საქართველოს კანონით. ამრიგად, საწარმოს ინტერესებიდან გამომდინარე, წესდებით გათვალისწინებულ შემთხვევაში, შესაბამის უფლებამოსილ პირსა თუ ორგანოს შეუძლია ყოველგვარი საფუძვლის გარეშე ნებისმიერ დროს შეწყვიტოს

ხელშეკრულება ხელმძღვანელთან და გამოვლენილი ნება, მის გათავისუფლებასთან დაკავშირებით, მესამე პირების მიმართ ნამდვილი ხდება მისი მარეგისტრირებელ ორგანოში რეგისტრაციის მომენტიდან. შესაბამისად, სასამართლომ მიიჩნია, რომ მოთხოვნა აპელანტის დირექტორის თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ **10.04.2018** წლის პარტნიორთა კრების ოქმის გაუქმებისა და საწარმოს დირექტორის თანამდებობაზე აპელანტის აღდგენის შესახებ იყო დაუსაბუთებელი.

სასამართლომ ასევე გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს დასკვნა იძულებითი განაცდურის ანაზღაურების თაობაზე და განმარტა, რომ იძულებითი განაცდური არის შრომითი ურთიერთობის არამართლზომიერად შეწყვეტის გამო დასაქმებული-სათვის მიყენებული იმ ზიანის სახით ასანაზღაურებელი თანხა, რაც მას მიადგა სამსახურიდან გათავისუფლების შემდეგ. შესაბამისად, იმის გათვალისწინებით, რომ არ უნდა დაკმაყოფილებულიყო აპელანტის მოთხოვნა დირექტორის თანამდებობაზე აღდგენასთან დაკავშირებით, ასევე ვერ დაკმაყოფილება მოთხოვნა საწარმოსთვის აპელანტის გათავისუფლების დღიდან აღდგენის დღემდე სახელფასო განაცდურის, ყოველთვიურად **6 000** ევროს დაკისრების შესახებ.

სასამართლომ იხელმძღვანელა მეწარმეთა შესახებ საქართველოს კანონის **9 VII¹** და **VII²** მუხლით. სწორედ ამავე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევებში მხარეები ვალდებული არიან მარეგისტრირებული ორგანოსათვის რეგისტრირებული პირის უფლებამოსილების შეწყვეტის შესახებ განცხადების წარდგენამდე გააგზავნონ შეტყობინება საქართველოს შრომის კოდექსის **38-**ე მუხლით დადგენილი წესით. ამ წესის დაცვის გარეშე რეგისტრაციის შეწყვეტის შემ-

თხვევაში მიყენებული ზიანისათვის პასუხისმგებლობა განისაზღვრება შრომის კოდექსის 38 II მუხლით (დამსაქმებლის მიერ ამ კანონის 37 I ა) ვ) ი) და ო) მუხლით გათვალისწინებული რომელიმე საფუძველით შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტისას დამსაქმებელი უფლებამოსილია არანაკლებ 3 კალენდარული დღით ადრე გააფრთხილოს დასაქმებული წინასწარი წერილობითი შეტყობინების გაგზავნით). მაშასადამე, ვინაიდან, აპელანტი დაკავებული თანამდებობიდან გათავისუფლდა სანარმოს პარტნიორთა 10.04.2018 წლის კრების ოქმის საფუძველზე, რაც იმავე დღეს დარეგისტრირდა სარეგისტრაციო სამსახურში, ხოლო აღნიშნულის შესახებ აპელანტს ეცნობა მივლინებაში ყოფნის დროს, სატელეფონო აპლიკაცია „Viber“-ის მეშვეობით გაგზავნილი მოკლე ტექსტური შეტყობინებით 11 აპრილს; შესაბამისად, დარღვეულია ზემოაღნიშნული საკანონმდებლო ნორმის მოთხოვნები, რაც მოპასუხისთვის ორი თვის ანაზღაურების დაკისრების წინაპირობაა.

სასამართლომ მიუთითა, რომ პარტნიორთა კრების 10.04.2018 წლის გადაწყვეტილებაში, რომლითაც აპელანტი გათავისუფლდა დირექტორის თანამდებობიდან, არათუ ზემოაღნიშნული საფუძველი, არამედ საერთოდ არანაირი საფუძველი არ ყოფილა მითითებული, თუ რის გამო იქნა მიღებული აღნიშნული გადაწყვეტილება. ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე, სასამართლომ მიიჩნია, რომ რამდენადაც სანარმომ დაარღვია მეწარმეთა შესახებ საქართველოს კანონის 9 VII² მუხლით დადგენილი შეტყობინების ვალდებულება, მას აპელანტის სასარგებლოდ უნდა დაეკისროს ორი თვის შრომის ანაზღაურება 12 000 ევროს (ხელზე მისაღები) ოდენობით.

პირველი ინსტანციის სასამართლოს მსჯელობასთან დაკავშირებით, რომ აპელან-

ტის მოთხოვნას წარმოადგენს კრების ოქმის გაუქმება/ბათილობა, დირექტორის თანამდებობაზე აღდგენა, სახელფასო განაცდურის ანაზღაურება, ხოლო სსკ-ის 248-ე მუხლის გათვალისწინებით, სასამართლო ვერ გასცდება მოთხოვნის ფარგლებს და ვერ იმსჯელებს შრომის კოდექსის 38-ე მუხლიდან გამომდინარე პასუხისმგებლობის საკითხზე, სასამართლომ განმარტა: მოთხოვნის ფარგლების დარღვევა, მოცემულ შემთხვევაში, სახეზე არ ყოფილა, ვინაიდან სწორედ სასარჩელო მოთხოვნიდან გამომდინარეობდა კომპენსაციის დაკისრების საკითხი, რაც დაკავშირებული იყო დასაქმებულის ინფორმირების წესის დარღვევასთან და სამუშაოზე აღდგენის შეუძლებლობასთან. საყურადღებოა, რომ აპელანტი სარჩელშივე უთითებდა დამსაქმებლის მხრიდან შრომის კოდექსის 38-ე მუხლით გათვალისწინებული შრომითი ურთიერთობის შეწყვეტის წესის დარღვევის თაობაზე.

შესაბამისად, თბილისის სააპელაციო სასამართლოს 03.04.2020 წლის გადაწყვეტილებით აპელანტის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; გასაჩივრებული გადაწყვეტილება განაცდური ხელფასის ანაზღაურებაზე უარის თქმის ნაწილში გაუქმდა ნაწილობრივ და ამ ნაწილში მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება; მოპასუხეს აპელანტის სასარგებლოდ დაეკისრა ორი თვის შრომის ანაზღაურების სახით 12 000 ევროს გადახდა (საგადასახადო ვალდებულების გარეშე); გასაჩივრებული გადაწყვეტილება იმ ნაწილში, რომლითაც აპელანტი ითხოვდა - გაუქმებულიყო მოპასუხის 10.04.2018 წლის პარტნიორთა კრების ოქმი აპელანტის დირექტორის თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ და აპელანტი აღდგეს სანარმოს დირექტორის თანამდებობაზე, დარჩა უცვლელად.

5. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2013 წლის 5 ივლისის გადაწყვეტილება

(საქმე: №ა-465-441-2013)

მენარმეთა შესახებ საქართველოს კანონის 1994 წლის რედაქცია

ფაქტობრივი გარემოებები: მოპასუხე კომპანიას დაფუძნების დღიდან (26.10.2010) 2012 წლის 12 მარტამდე ჰყავდა დირექტორთა საბჭო, რომელიც შედგებოდა დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარისა და ორი დირექტორისაგან. მოსარჩელე დაფუძნების დღიდან რეგისტრირებული იყო კომპანიის დირექტორთა საბჭოს წევრად.

2010 წლის 24 დეკემბერს საზოგადოების დირექტორებმა კომპანიის სახელით გააფორმეს მოსარჩელესთან შრომითი ხელშეკრულება №1. შრომითი ხელშეკრულებით (რომელიც თავისი არსით სასამსახურო ხელშეკრულებას წარმოადგენდა) მოსარჩელის თანამდებობრივი განაკვეთი განისაზღვრა თვეში 1200 ლარით, ხოლო ხელზე ასაღები ოდენობა - 960 ლარით. მოსარჩელე სამსახურებრივ მოვალეობას ასრულებდა 2012 წლის 29 თებერვლამდე.

მოპასუხემ არ აუნაზღაურა მოსარჩელეს კუთვნილი ხელფასი და, მიუხედავად არაერთი სიტყვიერი მოთხოვნისა, არც ანაზღაურებაზე უარის თქმის საფუძველი განუმარტავს მისთვის.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე მოსარჩელემ შეიტანა სარჩელი მოპასუხის წინააღმდეგ, მოპასუხემ სარჩელი არ ცნო და ამასთან, შეგებებული სარჩელით მიმართა სასამართლოს მოსარჩელის მიმართ 2010 წლის 24 დეკემბერს გაფორმებული N1 შრომითი ხელშეკრულების ბათილად ცნობის მოთხოვნით, ვინაიდან აღნიშნავდა, რომ გაფორმებული შრომითი ხელშეკრულება ხელმოწერილი იყო არაუფლებამოსილი პირების მიერ, კანონისა და საზოგადოების წესდების უხეში დარღვევით იგი გააფორმეს კომპანიის დირექტორებმა, მაშინ როდესაც საზოგადოების წესდების 18 I თ) მუხლის თანახმად, დირექტორს, საზოგადოების სხვა დირექტორთან, კონტრაქტის გაფორმებისა და სახელფასო ანაზღაურების განსაზღვრის უფლებამოსილება არ გააჩნდა, დირექტორის დანიშვნა და გათავისუფლება, მასთან კონტრაქტის დადება და შეწყვეტა პარტნიორთა კრების განსაკუთრებულ კომპეტენციას განეკუთვნებოდა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სა-მოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2012 წლის 12 ოქტომბრის გადაწყვეტილებით მოსარჩელის სარჩელი დაკმაყოფილდა და მოპასუხეს მოსარჩელის სასარგებლოდ დაეკისრა 12 740 ლარის (ხელზე ასაღები) გადახდა.

აღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით იქნა გასაჩივრებულ მოპასუხის მიერ, რაც სასამართლომ უცვლელად დატოვა.

სააპელაციო სასამართლოს მსჯელობა: სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ კომპანიის (შეგებებული სარჩელის ავტორის) მოთხოვნა 2010 წლის 24 დეკემბრის ხელშეკრულების ბათილად ცნობის შესახებ არ უნდა დაკმაყოფილებულიყო, ვინაიდან მენარმეთა შესახებ საქართველოს კანონის საფუძველზე პირს საწარმოს დირექტორის ფუნქციების განხორციელების უფლება მხოლოდ საწარმოს მესაკუთრეთა (პარტნიორები, აქციონერები) შესაბამისი გადაწყვეტილებით ენიჭება, შესაბამისად, პირი ვერ იქნება საწარმოს ხელმძღვანელი, ვიდრე მას სათანადო წესით არ დანიშნავენ საწარმოს მესაკუთრეები. მენარმეთა შესახებ საქართველოს კანონის 9¹ VI ე) მუხლის მიხედვით, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებაში დირექტორის დანიშვნისა

და გათავისუფლების უფლება სანარმოს პარტნიორებს აქვთ. დირექტორის დანიშვნისა და გათავისუფლების გადაწყვეტილება პარტნიორებმა სანარმოს პარტნიორთა კრებაზე უნდა მიიღონ. აგრეთვე პარტნიორთა კრებას აქვს მინიჭებული დირექტორთან მისი ხელმძღვანელობითი უფლებამოსილების განმსაზღვრელი ხელშეკრულების დადებისა და შეწყვეტის უფლება. დირექტორის დანიშვნასთან ერთად პარტნიორები უფლებამოსილი არიან დირექტორთან გააფორმონ ხელშეკრულება, რომლითაც განისაზღვრება პირის დირექტორის პოზიციაზე მუშაობასთან დაკავშირებული ისეთი საკითხები, როგორიცაა: დირექტორის უფლება-მოვალეობები, დირექტორის მიერ შესრულებული სამუშაოს ანაზღაურება, მისი პასუხისმგებლობა დაკისრებული მოვალეობების შესრულებლობისათვის და ა. შ. კომპანიის წესდების შესაბამისად, სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ სადავო ხელშეკრულება ხელმოწერილი იყო საზოგადოების დირექტორების მიერ. 2010 წლის 26 ოქტომბრიდან 2012 წლის 29 თებერვლამდე მონინალმდეგე მხარე ახორციელებდა საზოგადოების ხელმძღვანელობით და წარმომადგენლობით უფლებამოსილებას. სასამართლოს შეფასებით, დირექტორის მოვალეობაა, იმოქმედოს მიუკერძოებლად, ობიექტურად საზოგადოების საუკეთესო ინტერესებიდან გამომდინარე. დირექტორები საზოგადოებას უნდა გაუძღვნენ ნამდვილი კომერსანტის გულისხმიერებითა და კეთილსინდისიერებით. კომპანიის შეგებებული სარჩელი არ შეიცავდა მითითებას, მონინალმდეგე მხარის, როგორც დირექტორის მიმართ ზემოაღნიშნული მოთხოვნების შეუსრულებლობასთან დაკავშირებით. საზოგადოებას სადავო პერიოდში დირექტორის შრომის ანაზღაურებასთან დაკავშირებით პრეტენზია არ წარუდგენია, აღნიშნულის

სანინალმდეგო გარემოება საქმის მასალებით არ დგინდებოდა.

ანაზღაურების ოდენობასთან მიმართებით სასამართლომ დაადგინა სხვადასხვა თანამდებობაზე მომუშავე პირთა ანაზღაურება და ამ გარემოებათა გათვალისწინებით მონინალმდეგე მხარის - დირექტორის თანამდებობრივი სარგოს ოდენობა - 1 200 ლარის, ხელზე ასალები 960 ლარის ოდენობით, რაც მიიჩნია იმ გონივრულ ოდენობად, რაც შეიძლებოდა დადგენილიყო სხვა თანამშრომელთათვის კომპანიის მიერ გადახდილი სახელფასო სარგოების ოდენობის გათვალისწინებით.

ზემოაღნიშნული გადაწყვეტილება გაასაჩივრა კომპანიამ საკასაციო წესით, თუმცა წარდგენილი საკასაციო საჩივრის სსკ-ის 391-ე მუხლის შესაბამისად, დასაშვებობის შემოწმების ეტაპზე, 2013 წლის 28 ივნისს, დირექტორმა განცხადებით მიმართა საქართველოს უზენაეს სასამართლოს და განმარტა, რომ წარდგენილ სარჩელზე მთლიანად უარს აცხადებდა. 2013 წლის 3 ივლისს მონინალმდეგე კომპანიის სახელით სასამართლოს ასევე მიმართა განცხადებით და უარს აცხადებდა წინამდებარე საქმეზე მის მიერ აღძრულ შეგებებულ სარჩელზე. სასამართლომ მიუთითა სსკ-ის 399-ე და 372-ე მუხლებზე, რომელთა საფუძველზე კასატორი (შესაბამისი წინაპირობების არსებობისას შეგებებული სარჩელის ავტორიც) უფლებამოსილია, კანონით გათვალისწინებული შედეგების გათვალისწინებით, საქმის განხილვის ნებისმიერ ეტაპზე დაუბრკოლებლად უარი განაცხადოს თავის სარჩელზე.

სსკ-ის 272 გ) მუხლის თანახმად, სასამართლო, მხარეთა განცხადებით ან თავისი ინიციატივით, შეწყვეტს საქმის წარმოებას, თუ მოსარჩელემ უარი თქვა სარჩელზე. აქედან გამომდინარე, სასამართლომ აღნიშნულ საქმეზე წარმოება შეწყვიტა.

6. თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2018 წლის 23 მაისის გადაწყვეტილება

(საქმე: №28/1398-18)

მენარმეთა შესახებ საქართველოს კანონის 1994 წლის რედაქცია

ფაქტობრივი გარემოებები: მოსარჩელე 2014 წლიდან იყო მოპასუხე კომპანიის გენერალური დირექტორი. 2016 წლის 14 მაისს მოპასუხე კომპანიასა და მოსარჩელეს შორის გაფორმდა ახალი ხელშეკრულება, რომლის საფუძველზეც იგი დაინიშნა კომპანიის გენერალურ დირექტორად ორი წლის ვადით (2018 წლის 14 მაისამდე).

დაკისრებული მოვალეობის შესრულების სანაცვლოდ მოსარჩელის, როგორც კომპანიის გენერალური დირექტორის ყოველთვიური ანაზღაურება განისაზღვრა 6 250 ლარის ოდენობით. 14.05.2016 წლის ხელშეკრულებით მოსარჩელეს მიენიჭა უფლება ესარგებლა შრომის კოდექსით გათვალისწინებული ყოველწლიური ანაზღაურებადი შვებულებით 24 სამუშაო დღე.

ხელშეკრულების მხარეებს მიენიჭათ უფლება ცალმხრივი ნების გამოვლენის საფუძველზე ვადაზე ადრე შეენწყვიტათ ხელშეკრულება, ერთი თვით ადრე კონტრაქტის წინასწარი გაფრთხილების პირობით. ამ პირობის დარღვევისათვის განისაზღვრა – კომპენსაციის სახით ორი თვის ხელფასის ოდენობის თანხის გადაცემა.

2016 წლის 27 დეკემბრის მოპასუხე კომპანიის სამეთვალყურეო საბჭოს კრების გადაწყვეტილებით, იმავე დღიდან მოსარჩელე გათავისუფლებული იქნა გენერალური დირექტორის თანამდებობიდან. მოსარჩელეს გენერალური დირექტორის უფლებამოსილების განხორციელებისას არ უსარგებლია კუთვნილი ანაზღაურებადი შვებულებით.

მოსარჩელემ შეიტანა სარჩელი და ითხოვდა 2016 წლის დეკემბრის ხელფასის 6 250 ლარის გადახდის დაკისრებას, აგრეთვე კომპენსაციის სახით 12 500 ლარის დაკისრებასა და შვებულების 6 250 ლარის ანაზღაურებას.

პირველი ინსტანციის სასამართლოს მსჯელობა: სასამართლომ აღნიშნა, რომ ფაქტობრივი გარემოებების შესაბამისად, არსებობდა კონკრეტული სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილების საფუძველი და სასამართლომ არ გაიზიარა მოპასუხის მტკიცება დირექტორის მხრიდან დაკისრებული ვალდებულებების არაჯეროვანი განხორციელების გამო გასამრჯელოს ოდენობის შემცირებასთან მიმართებით. ამდენად, სასამართლომ მიიჩნია, რომ მოთხოვნა განეული მომსახურების შესაბამისი გასამრჯელოს მიღების თაობაზე საფუძვლიანია და მოპასუხეს უნდა დაეკისროს მოსარჩელის სასარგებლოდ 2016 წლის დეკემბრის თვის ქირის ანაზღაურება 6 250 ლარის ოდენობით.

ვინაიდან, მოსარჩელე ვადაზე ადრე გათავისუფლდა დაკავებული თანამდებობიდან (27.12.2016წ.) კომპანიის მხრიდან ცალმხრივი ნების გამოვლენის საფუძველზე, რის შესახებაც მისი ინფორმირება ხელშეკრულებითა და კანონით დადგენილი წესით არ განხორციელებულა, შესაბამისად, მოსარჩელის გათავისუფლებისას მოპასუხე მხარემ დაარღვია მენარმეთა შესახებ საქართველოს კანონის 9 VII² მუხლით გათვალისწინებული ვალდებულება, მოპასუხეს უნდა დაკისრებოდა კანონით გათვალისწინებული ზიანის სახით შრომის კოდექსის 38 II მუხლით გათვალისწინებული ორი თვის ხელფასის ანაზღაურება – 12 500 ლარის ოდენობით, რაც გამომდინარეობდა მხარეთა შორის გაფორმებული ხელშეკრულებიდან, მენარმეთა შესახებ საქართველოს კანონიდან და საქართველოს შრომის კოდექსიდან.

ასევე, 14.05.2016 წლის ხელშეკრულებით მოსარჩელეს მიენიჭა უფლება ესარგებლა შრომის კოდექსით გათვალისწინებული ყოველწლიური ანაზღაურებადი შვებულებით 24 სამუშაო დღე. მოცემულ შემთხვევაში, სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ გათავისუფლებამდე მოსარჩელეს შვებულებით არ უსარგებლია, იგი შრომის კოდექსის 37 I ო) მუხლის საფუძველზე გათავისუფლდა თანამდებობიდან, ამდენად, სასამართლომ მიიჩნია, რომ გამოუყენებელი შვებულების სახით მოპასუხეს უნდა დაეკისროს მოსარჩელის სასარგებლოდ ერთი თვის ხელფასის ანაზღაურება 6 250 ლარის ოდენობით.

პირველი ინსტანციის გადაწყვეტილება გასაჩივრებულ იქნა მოპასუხის მიერ სააპელაციო წესით. სააპელაციო სასამართლომ გაიზიარა პირველი ინსტანციის გადაწყვეტილება და უცვლელად დატოვა.

7. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2019 წლის 25 აპრილის გადაწყვეტილება

(საქმე №აბ-1203-2018)

მენარმეთა შესახებ საქართველოს კანონის 1994 წლის რედაქცია

ფაქტობრივი გარემოებები: მოპასუხე მოსარჩელე კომპანიის დირექტორი და 50%-იანი წილის მესაკუთრე იყო. 2012 წლის 6 აგვისტოს პარტნიორთა აგვისტოს კრების ოქმის საფუძველზე, მოპასუხე გათავისუფლდა კომპანიის დირექტორის თანამდებობიდან და ახალ დირექტორად სხვა პარტნიორი დაინიშნა, რის შემდეგაც შესაბამისი ცვლილება განხორციელდა სამენარმეო რეესტრში.

მოსარჩელე კომპანიას, სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ, 282 957 ლარის გადახდა ჰქონდა დაკისრებული. აღნიშნული ეყრდნობოდა ფინანსური პოლიტიკის ქ. თბი-

ლისის მთავარი სამმართველოს მიერ წარდგენილ საბუღალტრო დოკუმენტაციებსა და საგადასახადო დეკლარაციებს.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2006 წლის 10 მაისის განაჩენით, მოპასუხე ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 210 II ა) და ბ) მუხლის საფუძველზე (ყალბი საგადასახადო დოკუმენტების ჯგუფურად, არაერთგზის დამზადება და გასაღება) გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის, რაც გამოიხატა მის მიერ დაფუძნებული კომპანიების, მათ შორის - მოსარჩელე კომპანიის სახელით ყალბი საგადასახადო დოკუმენტების დამზადება-გასაღებით, უსაქონლო ოპერაციების წარმოებაში.

2010 წლის 12 ნოემბერს სსიპ შემოსავლების სამსახურსა და საწარმოს შორის გაფორმდა საგადასახადო შეთანხმება, რომლის მიხედვითაც, კომპანიას საგადასახადო ვალდებულების ჯამურ ოდენობად - 222 000 ლარი, ხოლო თანხის გადახდის ვადად - 30 დღე განესაზღვრა. აღნიშნულის გამო 2010 წლის 2 დეკემბერს ორივე პარტნიორმა აიღო საბანკო კრედიტი. ასევე მოპასუხე კომპანიასა და ბანკს შორის გაფორმდა საბანკო შეთანხმება, რომლის საფუძველზეც, საზოგადოებას გამოეყო კრედიტი - 125 000 აშშ დოლარი.

აღებული კრედიტით კომპანიამ სახელმწიფო ბიუჯეტის მიმართ 2010 წლის 12 ნოემბრის შეთანხმებით განსაზღვრული დავალიანება დაფარა.

2012 წლის 6 აგვისტოს კომპანიის პარტნიორთა კრებამ, რომელსაც არ დაესწრო მოპასუხე, ეს უკანასკნელი გაათავისუფლა დირექტორის თანამდებობიდან. ის ასევე გაირიცხა კომპანიის პარტნიორობიდან. ამ გადაწყვეტილებას საფუძველად დაედო მოპასუხის მხრიდან დანაშაულებრივი ქმედების ჩადენა - მოსარჩელე კომპანიის სახელით ყალბი საგადასახადო დოკუმენტაციის

გამოწერა, ასევე, ერთგულების მოვალეობის დარღვევა – კომპანიის კომერციული შანსის მითვისება.

მოსარჩელე კომპანიამ მოპასუხის წინააღმდეგ სარჩელი შეიტანა და მოითხოვა მისთვის მოსარჩელის სასარგებლოდ ზიანის ანაზღაურების სახით – 188 584 აშშ დოლარის დაკისრება. აგრეთვე მოითხოვა, მისი მოსარჩელე კომპანიის დირექტორის თანამდებობიდან გათავისუფლება და პარტნიორობიდან გარიცხვა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს 2014 წლის 16 მაისის გადაწყვეტილებით, სარჩელი დაკმაყოფილდა სრულად, რაც მოპასუხის მიერ სააპელაციო წესით იქნა გასაჩივრებული.

სააპელაციო სასამართლოს მსჯელობა: სააპელაციო სასამართლომ გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს მსჯელობა, როგორც ზიანის ანაზღაურების, აგრეთვე კომპანიის პარტნიორობიდან აპელანტის გარიცხვის თაობაზე და მიუთითა, რომ აღნიშნული საკითხის განხილვისას უნდა დაცულიყო ბალანსი საზოგადოების ინტერესსა და თავად პარტნიორის ლეგიტიმურ ინტერესს შორის. საკითხის განხილვისას თანაბარი წილის მქონე ორი პარტნიორის არსებობის პირობებში, გასათვალისწინებელი იყო, სამოქალაქო სამართალურ თვითმართებაში მოქმედი კეთილსინდისიერების პრინციპი და საკითხი უნდა გადაწყვეტილიყო სანარმო-სა და კეთილსინდისიერი პარტნიორის სასარგებლოდ. ფაქტობრივი გარემოება, რომლითაც პირველი ინსტანციის სასამართლომ იხელმძღვანელა პარტნიორის კეთილსინდისიერების დასადგენად, მოპასუხის მიერ დანაშაულებრივი ქმედებით სანარმოსათვის ზიანის მიყენება იყო.

სააპელაციო სასამართლომ სსკ-ის 180-ე მუხლზე მითითებით განმარტა, რომ მოწი-

ნააღმდეგე მხარის - დირექტორის თანამდებობიდან გათავისუფლებასთან დაკავშირებით სადავო გარემოებას წარმოადგენდა აღიარებითი სარჩელის მიმართ იურიდიული ინტერესის დადგენა. განსახილველ შემთხვევაში, რადგანაც პარტნიორის გადაწყვეტილება დირექტორის გადაყენების თაობაზე მენარმეთა რეესტრში უკვე რეგისტრირებული იყო და სამენარმეო რეესტრში შესაბამისი ცვლილებაც იყო განხორციელებული, აღნიშნულ ნაწილში სასარჩელო მოთხოვნა მოწინააღმდეგე მხარის იურიდიული ინტერესის არქონის გამო, უსაფუძვლო იყო და არასწორად დაკმაყოფილდა, აქედან გამომდინარე სააპელაციო სასამართლომ სააპელაციო საჩივარი ნაწილობრივ დააკმაყოფილა.

აღნიშნული გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრეს მხარეებმა.

უზენაესი სასამართლოს მსჯელობა: სასამართლომ კასატორი კომპანიის ყურადღება გაამახვილა იმაზე, რომ კომპანიის დირექტორის თანამდებობიდან გათავისუფლების მოთხოვნა, თავისი არსით, მიზნად სასამართლოს მიერ სამართლებრივი ურთიერთობის არარსებობის აღიარებას (დადასტურებას) ისახავს. ამასთან, ამ სახის სარჩელის აღძვრა იურიდიული ინტერესის გარეშე დაუშვებელია. სსკ-ის 180-ე მუხლის შინაარსიდან გამომდინარეობს აღიარებითი სარჩელის იურიდიული ინტერესის განმსაზღვრელი კრიტერიუმები, რომელთა მიხედვითაც გადაწყვეტილების შედეგად სრულად გარკვეული შედეგი უნდა დგებოდეს მხარისათვის, აღიარებითი სარჩელის დაკმაყოფილება უნდა ქმნიდეს იმ უფლებისა თუ ურთიერთობის განსაზღვრულობას, რაც მოსარჩელესა და მოპასუხეს შორის წარმოშობილი

დავის გამო ირღვევა.⁶⁷

სასამართლომ განმარტა, რომ კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში, სამართლის ნორმა პირს დამოუკიდებლად, ყოველგვარი წინაპირობების დაცვის გარეშე, ანიჭებს უფლებამოსილებას შეცვალოს მეორე პირის უფლებრივი მდგომარეობა, რაც დამატებით სასამართლოს გადაწყვეტილებით დადასტურებას აღარ საჭიროებს. შესაბამისად, მოცემულ შემთხვევაში, კომპანიის იურიდიული ინტერესის განმსაზღვრელი არცერთი ზემოაღნიშნული კრიტერიუმი არ იკვეთებოდა.

ვინაიდან, უდავოა, რომ 2012 წლის 6 აგვისტოს კომპანიის პარტნიორმა დირექტორი გაათავისუფლა თანამდებობიდან, რაც, როგორც იურიდიული ფაქტი დარეგისტრირდა სამეწარმეო რეესტრში. უზენაესი სასამართლოს მყარად დადგენილი პრაქტიკის მიხედვით, დაუშვებელია მეწარმე სუბიექტის საქმიანობაში იმგვარი ჩარევა, რომ პარტნიორს შეეზღუდოს საწარმოს დირექტორთან ხელშეკრულების შეწყვეტის უფლებამოსილება, რაც მას მინიჭებული აქვს, მეწარმეთა შესახებ საქართველოს კანონის 91 VI ე) მუხლი. სწორედ სკ-ის 720 I მუხლი ანიჭებდა უფლებას მოწინააღმდეგე მხარეს ცალმხრივად შეეწყვიტა მოპასუხესთან დადებული ხელშეკრულება. ამრიგად, საწარმოს ინტერესებიდან გამომდინარე, წესდებით გათვალისწინებულ შემთხვევაში, შესაბამის უფლებამოსილ პირსა თუ ორგანოს შეუძლია ყოველგვარი საფუძვლის გარეშე ნებისმიერ დროს შეწყვიტოს ხელშეკრულება ხელმძღვანელთან და გამოვლენილი ნება, მის გათავისუფლებასთან დაკავშირებით, მესამე პირების მიმართ ნამდვილი ხდება მისი

მარეგისტრირებელ ორგანოში რეგისტრაციის მომენტიდან.⁶⁸

სასამართლომ აღნიშნა, რომ გადაწყვეტილება დირექტორისთვის, როგორც ზიანის ანაზღაურების დაკისრების, ისე მისი კომპანიის პარტნიორობიდან გარიცხვის ნაწილში სამართლებრივად და ფაქტობრივად დაუსაბუთებელი იყო. ზიანის დაკისრების მოთხოვნა იმგვარად იქნა დაკმაყოფილებული, რომ გასაჩივრებული გადაწყვეტილებით სწორად არ განსაზღვრულა მოთხოვნის დამფუძნებელი ნორმა/ნორმები და, შესაბამისად, გასაჩივრებული გადაწყვეტილება არც შესაბამის დასაბუთებას არ შეიცავს მოთხოვნის დამფუძნებელი ნორმით/ნორმებით გათვალისწინებული შედეგის განმაპირობებელი წინაპირობების არარსებობის თაობაზე.

ზიანის ანაზღაურების შესახებ კომპანიის მოთხოვნა მეწარმეთა შესახებ საქართველოს კანონის 9 VI; სკ-ის 709-ე, 394 I და 408 I მუხლებიდან გამომდინარეობს, შესაბამისად, სააპელაციო სასამართლოს მითითებული სამართლებრივი ნორმებით გათვალისწინებული სამართლებრივი შედეგის განმაპირობებელი ფაქტობრივი გარემოებები არ დაუდგენია და არც გამოუკვლეოდა.

ვინაიდან, კერძო სამართლის იურიდიული პირის დირექტორსა და ამ იურიდიულ პირს შორის წარმოშობილი სამართლებრივი ურთიერთობა დავალების ხელშეკრულებით, რომლის საფუძველზეც, დირექტორი საწარმოს სახელითა და ხარჯზე ახორციელებს მისთვის წესდებით/კანონით მინიჭებულ უფლებამოსილებებს, შესაბამისად, ზიანის თაობაზე საწარმოს მიერ აღძრული სარჩელებიც სახელშეკრულებო მოთხოვნა-

⁶⁷ შდრ. სუსგ-ის 2015 წლის 19 მარტის გადაწყვეტილება - საქმე: # ას-838-802-2014, 2017 წლის 17 ოქტომბრის გადაწყვეტილება - საქმე: #ას-932-872-2017.

⁶⁸ შდრ. მსგავს საქმეებზე სუსგ-ები: საქმე №ას-302-287-2016, 15 ივლისი, 2016 წელი; საქმე №ას-101-97-2016,

15 ივლისი, 2016 წელი; საქმე №ას-23-23-2016, 9 მარტი, 2016 წელი; საქმე №ას-302-287-2016, 15 ივლისი, 2016 წელი; საქმე №ას-131-127-2016; 23 სექტემბერი, 2016 წელი.

თა ფარგლებში უნდა შემოწმდეს და არა დელიქტური ვალდებულების, რა დროსაც უნდა დადგინდეს ზიანის ანაზღაურების განმაპირობებელი ყველა წინაპირობა (მართლსაწინააღმდეგო ქმედება - სახელშეკრულებო ვალდებულების დარღვევა, ზიანი, მიზეზობრივი კავშირი და ბრალი).

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სასამართლომ მიიჩნია, რომ ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოებმა დირექტორის მიერ კომპანიისთვის მიყენებული ზიანის ანაზღაურების სამართლებრივ საფუძვლად არასწორად განსაზღვრეს სკ-ის 992-ე მუხლი და სადავო ურთიერთობის მოსაწესრიგებლად არ გამოიყენეს, როგორც სპეციალური სამართლებრივი ნორმა მეწარმეთა შესახებ საქართველოს კანონის 9 VI მუხლი, ისე სკ-ის ზემოაღნიშნული ნორმები.

გამომდინარე იქიდან, რომ განსახილველი სარჩელი არ მიეკუთვნება სსკ-ით გათვალისწინებულ, ცალკეული დელიქტით მიყენებული ზიანის ანაზღაურების შესახებ დავათა კატეგორიას, სასამართლომ მიიჩნია, რომ სისხლის სამართლის საქმეზე მიღებული განაჩენი ვერ შეფასდება იმ მტკიცებულებად, რომელიც საკმარისი იქნება მოცემულ დავაზე ზიანის მიყენების ფაქტის დასადგენად.

ამასთან, სასამართლომ ყურადღება გაამახვილა იმ გარემოებაზეც, რომ ხსენებული განაჩენით დასტურდებოდა მოპასუხის მხრიდან სახელმწიფოსთვის და არა კასატორისთვის ზიანის მიყენების ფაქტი, რაც ერთმნიშვნელოვნად გამორიცხავს მხოლოდ განაჩენზე დაყრდნობით დირექტორის მხრიდან კომპანიისთვის ზიანის მიყენების ფაქტობრივი გარემოების დამტკიცების შესაძლებლობას.

სასამართლომ ყურადღება გაამახვილა იმ გარემოებაზეც, რომ სააპელაციო სასამართლომ არ შეასრულა უზენაესი სასამარ-

თლოს 2015 წლის 30 ოქტომბრის მითითებები და არ დაადგინა თუ რა სახისა და მოცულობის ზიანი მიაღდა საწარმოს, იყო თუ არა ეს ზიანი უშუალოდ მოპასუხის მოქმედების შედეგი. სააპელაციო და პირველი ინსტანციის სასამართლოებმა, ზიანის მიყენების ფაქტის დადგენისას, მიღებული გადაწყვეტილება დააფუძნეს როგორც განაჩენს, ისე საგადასახადო შემოწმების აქტს. სასამართლომ მიიჩნია, რომ სააპელაციო სასამართლოს მიერ საგადასახადო შემოწმების აქტი სრულყოფილად არ გამოკვლეულა და არ შეფასებულა თუ რამ გამოიწვია საგადასახადო დავალიანების წარმოშობა და რა ბრალი მიუძღვოდა ამაში კომპანიის დირექტორს. შესაბამისად, არ იქნა გამოკვლეული განაჩენსა და საგადასახადო შემოწმების აქტს შორის მიზეზშედეგობრივი კავშირი, სახელდობრ, დარიცხული საგადასახადო ვალდებულება წარმოადგენდა თუ არა დირექტორის მიერ ჩადენილი დანაშაულებრივი ქმედების უშუალო შედეგს და რა მოცულობით (ფარგლებში).

იმ შემთხვევაში, თუ საქმის ხელახალი განხილვის დროს დადგინდებოდა, რომ დირექტორი საზოგადოების საქმეებს არ უძღვებოდა კეთილსინდისიერად, კერძოდ, არ ზრუნავდა ისე, როგორც ზრუნავს ანალოგიურ თანამდებობაზე და ანალოგიურ პირობებში მყოფი ჩვეულებრივი, საღად მოაზროვნე პირი, და არ მოქმედებდა იმ რწმენით, რომ მისი ეს მოქმედება ყველაზე ხელსაყრელი იყო საზოგადოებისათვის, რასაც შედეგად საზოგადოებისათვის ზიანის მიყენება მოჰყვა, სააპელაციო სასამართლომ ზიანის ოდენობის განსაზღვრისას სათანადოდ უნდა გამოეყვლია ფაქტობრივი გარემოებები.

სასამართლომ მიიჩნია, რომ სააპელაციო სასამართლომ უკრიტიკოდ, სარჩელის დასაბუთებულობის შემოწმების გარეშე, გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს

მსჯელობა პარტნიორის საზოგადოებიდან გარიცხვის მართებულობასთან დაკავშირებით ისე, რომ არ გამოუკვლევია არსებობდა თუ არა პარტნიორის საზოგადოებიდან გარიცხვის წინაპირობები და არ დაუდგენია პარტნიორის წილის კომპენსირებასთან დაკავშირებული გარემოებები.

პარტნიორის საზოგადოებიდან გარიცხვა უკიდურესი ზომაა. შესაბამისად, ასეთი ზომა შეიძლება გამოყენებულ იქნეს მხოლოდ მნიშვნელოვანი საფუძვლების არსებობისას. პარტნიორის გარიცხვის მნიშვნელოვანი საფუძველი სახეზეა მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც საზოგადოებამ აღარ უნდა ითმინოს გასარიცხი პარტნიორის კორპორაციულ-სამართლებრივი მონაწილეობა; სახელდობრ, როდესაც, მისი ქცევა შეუძლებელს ხდის ან მნიშვნელოვნად ართულებს საზოგადოების მიზნის მიღწევას, რაც აუტანელს გახდის მისი საზოგადოების რიგებში დარჩენას. საუბარია პიროვნულ თვისებებსა და ურთიერთობებზე, როგორიცაა, მაგალითად, ნდობის დეფიციტი, ვალდებულებების მძიმე დარღვევა, დანაშაულებრივი საქმიანობა, ნდობის ბოროტად გამოყენება და სხვა პარტნიორებთან დაძაბული ურთიერთობები. საზოგადოებიდან პარტნიორის გარიცხვის საფუძველი შეიძლება გახდეს არა ყველა სახის, არამედ იმგვარი ზიანი, რომელიც სანარმოს საქმიანობას ხელს უშლის გრძელვადიან პერსპექტივაში და მაშასადამე, საფრთხის ქვეშ აყენებს მის არსებობას⁶⁹.

აქვე უზენაესმა სასამართლომ განმარტა, რომ პარტნიორის გარიცხვის შესახებ გადაწყვეტილების მიღება წარმოადგენს კომპანიის პარტნიორთა კრების დისკრეციაში შემავალ საკითხს, რომლის მიზანშეწონილობაზეც სასამართლო კონტროლი არ ვრცელ-

დება. სასამართლო შემოწმების უფლებამოსილება ვრცელდება მხოლოდ პარტნიორის გარიცხვასთან დაკავშირებით მიღებული გადაწყვეტილების ნამდვილობაზე, სახელდობრ, რამდენადაა დაცული კანონითა და კომპანიის წესდებით განსაზღვრული პროცედურები სადავო გადაწყვეტილების მიღებისას.

საზოგადოებიდან პარტნიორის გარიცხვის სამართლებრივ შედეგს წილზე საკუთრების უფლების ჩამორთმევა წარმოადგენს, შესაბამისად, სასამართლოს მოსაზრებით, შესაბამისი ფაქტობრივი წინაპირობების შესრულების შემთხვევაში, საზოგადოებიდან პარტნიორის გარიცხვა არ უნდა განხორციელდეს მისი წილის კომპენსაციის საკითხის გადაუწყვეტლად, რათა არ მოხდეს მისი კონსტიტუციით დაცული საკუთრების უფლების შელახვა. აღნიშნული კი, თავის მხრივ დამოკიდებულია კომპანიაში თავისუფალი სახსრების არსებობაზე, რაც ასევე ქვემოთ ინსტანციის სასამართლოს კვლევის საგანი უნდა გახდეს.

სასამართლომ განმარტა, რომ სასამართლოს უნდა დაედგინათ პარტნიორის გარიცხვის უფლების წარმოშობის წინაპირობები და სკ-ის 399-ე მუხლის საფუძველზე, რომელიც ითვალისწინებს, მნიშვნელოვანი საფუძვლის არსებობისას, ხანგრძლივი სახელშეკრულებო სამართლებრივი ურთიერთობის მოშლის შესაძლებლობას, გამოეკვლიათ საზოგადოების მიერ ამ უფლების გამოყენების მართლზომიერება. სასამართლოს უნდა დაედგინა პარტნიორის მიერ საზოგადოების წინაშე ნაკისრი ვალდებულების დარღვევა – საზოგადოების მიზნის შელახვა, რის შედეგადაც შეუძლებელი ხდება პარტნიორული ურთიერთობის შენარჩუნება, საზოგადოებისთვის ზიანის მიყენება,

⁶⁹ შდრ. სუსგ-ის 2009 წლის 9 ნოემბრის გადაწყვეტილება - საქმე: # ას-812-1099-2009.

პირველ და მეორე წინაპირობას შორის მიზეზობრივი კავშირის არსებობა. გარიცხვის შესახებ სასარჩელო წარმოებისას, სასამართლო ამონმებს, რამდენად კეთილსინდისიერად გამოიყენეს პარტნიორებმა (პარტნიორმა) გარიცხვის უფლება, ხომ არ იყო მათი გადაწყვეტილება მოტივირებული პირადი ინტერესებით, პირადი სარგებლის ან ქონებრივი უპირატესობის მოსაპოვებლად⁷⁰.

სასამართლოს მოსაზრებით, ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოს მხრიდან პარტნიორის გარიცხვის წინაპირობების კვლევისას, მნიშვნელოვანია, რომ ერთმანეთისგან გამიჯნულ იქნას დირექტორის, როგორც პარტნიორისა და, როგორც დირექტორის

მოვალეობები და პასუხისმგებლობა კომპანიის წინაშე.

ამდენად, სასამართლომ მიიჩნია, რომ დირექტორის კომპანიის პარტნიორობიდან გარიცხვის ნაწილშიც გასაჩივრებული გადაწყვეტილება მოკლებული იყო ფაქტობრივ დასაბუთებას, რაც გაუქმების საფუძველია. განსახილველ შემთხვევაში, უზენაესმა სასამართლომ მიიჩნია, რომ დირექტორის მიმართ კომპანიის სასარგებლოდ ზიანის დაკისრებისა და პარტნიორის გარიცხვის სასარჩელო მოთხოვნებთან მიმართებით, სააპელაციო სასამართლომ სამართლებრივად არასწორად შეაფასა მხარეთა შორის არსებული ურთიერთობები.

⁷⁰ შდრ. სუსგ-ის 2018 წლის 8 ოქტომბრის გადაწყვეტილება - საქმე: №ას-201-201-2018.

შესყიდვის ოფციით დადაბული ლიზინგის შეწყვეტა და მისი საგადასახადოსამართლებრივი კვალიფიკაცია

ასოც. პროფ. დოქ. გიორგი რუსიაშვილი
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ლიზინგის ხელშეკრულების კრებსითი ცნება საკუთარ თავში აერთიანებს რამდენიმე სამართლებრივ კონსტრუქციას, რომელიც ერთმანეთისაგან განსხვავდება, როგორც სამოქალაქო-სამართლებრივი უფლება-მოვალეობების, ისე საგადასახადოსამართლებრივი კვალიფიკაციის კუთხით. ლიზინგის შინაარსობრივი ვარიაციებიდან ერთ-ერთი ფართოდ გავრცელებულია „ლიზინგი შესყიდვის ოფციით“, როდესაც, ვალდებულების სრულად შესრულებით ხელშეკრულების შეწყვეტის შემდეგ, ლიზინგის მიმღები დაინტერესებულია საკუთრებაში მიიღოს ლიზინგის საგანი.

ლიზინგი შესყიდვის ოფციით შეიძლება სხვადასხვა სამართლებრივ ფორმაში იყოს წარმოდგენილი და დამოკიდებულია მხარეთა შორის გაფორმებულ ხელშეკრულებაზე. ძირითადად, ორი შესაძლო გადანყვეტაა გავრცელებული: 1. ოფციის საფუძველზე ცალკე ნასყიდობის ხელშეკრულების დადება – ეს ხელშეკრულება უკვე დამოუკიდებელია ლიზინგის ხელშეკრულებისგან და საკუთრების გადასვლის დეტალებს თავად განსაზღვრავს, მათ შორის, შესყიდვის ფასს, გადახდის პირობებსა და შესაძლო გარანტიების კისრებას. 2. სრულად ამორტიზებადი ლიზინგის ხელშეკრულების შემთხვევაში (იხ. ლიზინგის ამ ფორმასთან დაკავშირებით ქვემოთ), ალტერნატიულად, შესყიდვის ოფცია შეიძლება

თავიდანვე შედიოდეს ლიზინგის ხელშეკრულების პირობებში. ასეთ შემთხვევაში, ლიზინგის ხელშეკრულებაშივე განისაზღვრება შესყიდვის ფასი და საკუთრების გადასვლის პირობები. ოფციის გამოყენება მხოლოდ ფორმალური განაცხადია ლიზინგის მიმღების მხრიდან, რომელიც შეძენის პროცესს იწყებს. საჭიროა თუ არა ცალკე ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმება, მთლიანად ლიზინგის ხელშეკრულების ფორმულირებაზეა დამოკიდებული.

მეორე შემთხვევაში, როდესაც შესყიდვის ოფცია უკვე გათვალისწინებულია ლიზინგის ხელშეკრულებაში, ცალკე ნასყიდობის ხელშეკრულება არ დგება, არამედ შეძენა წარმოადგენს ლიზინგის ხელშეკრულების შესრულების ნაწილს. საკუთრების უფლება ოფციის გამოყენებით და წინასწარ შეთანხმებული პირობების შესრულებით გადადის. აქ საქმე არ ეხება კლასიკური გაგებით დამოუკიდებელი ნასყიდობის ხელშეკრულებას, არამედ, საკუთრების გადასვლა ლიზინგის ხელშეკრულებაშივეა წინასწარ განვლილი. ლიზინგის მიმღები უბრალოდ აცხადებს, რომ იყენებს ხელშეკრულებაში გათვალისწინებულ ოფციას. შესყიდვა, შესაბამისად, თავდაპირველი ხელშეკრულების განგრძობითი შესრულების სახეს იღებს. ამისათვის აუცილებელია, რომ უკვე ლიზინგის ხელშეკრულებაში იყოს დაფიქსირებული ნასყიდობის ყველა არსებითი

ელემენტი (მაგალითად, შესყიდვის ფასი, საკუთრების გადასვლის პროცედურა) და შეძენის ოფცია სამართლებრივად მბოჭავად და მკაფიოდ იყოს ფორმულირებული. **სრული ამორტიზაციის ხელშეკრულებებში**, რომლებშიც შესყიდვის ოფციაა გათვალისწინებული, ჩვეულებრივ, მსგავსი შინაარსის დებულებაა *დაფიქსირებული*: „ლიზინგის მიმღებს უფლება აქვს, ძირითადი ლიზინგის თავდაპირველი პერიოდის დასრულების შემდეგ, რომელიც, როგორც წესი, ლიზინგის საგნის სრული ეკონომიკური ამორტიზების ვადაზე მოკლეა, შეიძინოს ლიზინგის საგანი.“¹

თუ არასრულად ამორტიზებადი ლიზინგი დადებულია შესყიდვის ოფციით, მაშინ ძირითადი პერიოდის გასვლისთანავე ლიზინგის მიმღებს უფლება აქვს, ლიზინგის ობიექტი იმ ფასად შეიძინოს (დადოს ნასყიდობის ხელშეკრულება), რომელიც ხელშეკრულების დადებისას იქნა განსაზღვრული. გერმანიაში, ამ შემთხვევაში, დამატებით, მოქმედებს რეგულაცია, რომ ფასი არ უნდა იყოს ლინეარული ცვეთის (გერმანიის საშემოსავლო გადასახადის კანონის მე-7 | პარაგრაფის მიხედვით მიღებულ ბალანსურ) ღირებულებაზე ანდა გაყიდვის დროს არსებულ, უფრო დაბალ საბაზრო ღირებულებაზე ნაკლები. მხოლოდ ამ შემთხვევაში ხდება ლიზინგის გამცემის მხრიდან დამატებითი მოგების რეალიზება გაყიდვის გზით, რაც ამართლებს, დაბეგვრის კუთხით, ლიზინგის საგნის მესაკუთრედ ლიზინგის გამცემის მიჩნევას.²

I. სრული ამორტიზაციის ხელშეკრულებები ოფციის გარეშე

ოფციის გარეშე სრული ამორტიზაციის ტიპის ხელშეკრულების შემთხვევაში – ლიზინგის თავდაპირველი დათქმული ვადის (*Grundmietzeit*) ხანგრძლივობის მიხედვით – ორი განსხვავებული ვითარებაა გასათვალისწინებელი: 1. ლიზინგის თავდაპირველი პერიოდი ემთხვევა ლიზინგის საგნის ჩვეულებრივი ეკონომიკურ გამოყენების ვადას; 2. ნაკლებია, ვიდრე ლიზინგის საგნის ჩვეულებრივი გამოყენების ვადა. ამასთან, ლიზინგის მიმღებს არ აქვს ერთპიროვნული უფლება, თავდაპირველი ვადის ამოწურვის შემდეგ შეიძინოს ლიზინგის საგანი ან გააგრძელოს ხელშეკრულება.³ პირიქით, თუ ხელშეკრულების დადებისას ლიზინგის მიმღების სასარგებლოდ ოფცია არ არის გათვალისწინებული, თავდაპირველი ვადის ამოწურვისას, ლიზინგის საგანი უკან უნდა დაუბრუნდეს ლიზინგის გამცემს.⁶⁰

ლიზინგის გამცემს შეუძლია, მაგრამ არაა ვალდებული, ლიზინგის საგანი მიჰყიდოს ლიზინგის მიმღებს. რაც შეეხება საგადასახადო რეჟიმს, ხელშეკრულებებს შორის - იქნება ეს ოფციით თუ ოფციის გარეშე – არსებითი განსხვავება არ არსებობს.^{4,5}

¹ Skusa, Handbuch Leasing, Göttingen 2012, 17; Mobilienverlass/Vollamortisation, BMF-Schreiben vom 19.04.1971 – IV B/2 – S 2170 – 31/1 (BStBl. 1971 I 264).

² Skusa, Handbuch Leasing, Göttingen 2012, 17.

³ Skusa, Handbuch Leasing, Göttingen 2012, 18; Mobilienverlass/Vollamortisation, BMF-Schreiben vom 19.04.1971 – IV B/2 – S 2170 – 31/1 (BStBl. 1971 I 264).

⁴ Skusa, Handbuch Leasing, Göttingen 2012, 18; შდრ. Mobilienverlass/Vollamortisation, BMF-Schreiben vom 19.04.1971 – IV B/2 – S 2170 – 31/1 (BStBl. 1971 I 264).

⁵ შესაბამისი სტანდარტული პირობის ყველაზე გავრცელებული ფორმულირებაა: „ლიზინგის გამცემს უფლება აქვს, მაგრამ არა ვალდებულია, ლიზინგის მიმღებისგან, ხელშეკრულების ... პუნქტის შესაბამისად, ლიზინგის საგნის დაბრუნების და ზიანის ანაზღაურების/კომპენსაციის ნაცვლად მოითხოვოს ლიზინგის საგნის შეძენა იმ მდგომარეობაში, რომელიც ის იმ მომენტში იმყოფება, ხელშეკრულებით განსაზღვრული მო-

ნარჩენი ღირებულების შესაბამის ფასად, მისთვის მონიჭებული მბოჭავი შეთავაზების გაკეთების გზით *[Andienungsrecht]*. იმ შემთხვევაში, თუ მყიდველი მენარჩევს, ნასყიდობა იდება უფლებრივი და ნივთობრივი ნაკლიდან წარმომდგარი მოთხოვნების გამორიცხვის პირობით. აღნიშნული გამორიცხვა არ მოქმედებს ნებისმიერი სახის ზიანის ანაზღაურების მოთხოვნებზე, თუ გამყიდველმა, მისმა კანონიერმა წარმომადგენელმა ან შესრულების დამხმარემ უხეში გაუფრთხილებლობით დაარღვიეს თავიანთი ვალდებულებები, აგრეთვე სხეულის, სიცოცხლის ან ჯანმრთელობის დაზიანებისას ან ხელშეკრულების არსებითი ვალდებულებების (კარდინალური ვალდებულებები) დარღვევისას, მაშინაც კი, როდესაც ვალდებულების დარღვევა მოხდა გაუფრთხილებლობით. როგორც მენარჩე, ასევე მომხმარებელი ლიზინგის მიმღების მოთხოვნები და უფლებები, რომლებიც ნასყიდობის საგნის ნაკლს უკავშირდება, ხანდაზმული ხდება ერთ წელიწადში საქონლის ჩაბარების მომენტიდან“.

1. სრულად ამორტიზებადი ლიზინგი – ლიზინგის გამცემის ხარჯების სრული ამორტიზაციის დადგომამდე ხელშეკრულების შეწყვეტა

ჩვეულებრივ, სახელშეკრულებო დათქმის საფუძველზე, იმ შემთხვევაში, როდესაც – ლიზინგის მიმღების ქმედებიდან გამომდინარე – ლიზინგის გამცემი იძულებულია დაუყოვნებელ შეწყვეტოს ხელშეკრულება, აგრეთვე ხელშეკრულების ვადამდე, ურთიერთშეთანხმებით შეწყვეტისას (თუ არ არსებობს შესაბამისი დათქმა) ან ლიზინგის მიმღების გარდაცვალების მიზეზით ხელშეკრულების შეწყვეტისას, ლიზინგის მიმღები ან მისი მემკვიდრეები ვალდებული არიან აუნაზღაურონ ლიზინგის გამცემს ზიანი, რომელიც მას ამ ვადამდელი შეწყვეტის შედეგად მიაღება.⁶ ამასთან, ლიზინგის გამცემს ნებისმიერ შემთხვევაში აქვს სრული ამორტიზაციის მოთხოვნის უფლება.⁷

თუ ლიზინგის მიმღები ხელშეკრულებას ვადამდე წყვეტს იმ მომენტში, როდესაც ლიზინგის გამცემის დანახარჯების სრული ამორტიზაცია ჯერ არ დამდგარა, მხარეებს შორის წარმოიშობა სანაცვალგებო ხასიათის ვალდებულებითი ურთიერთობა, რომელიც, კლასიკურ „რესტიტუციულ ურთიერთობასთან“ შედარებით, ლიზინგის მიმღების სრული ამორტიზაციის უზრუნველყოფის ვალდებულებით არის მოდიფიცირებული. სრული ამორტიზაციის მოთხოვნის შესრულება, სანაცვალგებო ურთიერთობის ფარგლებში, მიიღწევა იმით, რომ ლიზინგის მიმღებს, ლიზინგგადახდების გარდა, ასევე საბოლოო კომპენსაციის გადახდა (*Abschlusszahlung*, იხ. ქვემოთ) ეკისრება. სრული ამორტიზაციის მისაღწევად, ლიზინგის გამცემს რჩება ლიზინგის მიმღების მიერ უკვე გადახდილი ლიზინგგადახდები, აგრეთვე, ასეთის არსებობის შემთხვევაში, ხელშეკრულების დასაწყისში განხორციელებული ერთჯერადი შენატანი.

2. საბოლოო კომპენსაციის გადახდა

ლიზინგის გამცემს აქვს საბოლოო (დასკენითი) კომპენსაციის მოთხოვნის უფლება, როგორც კომპენსაცია იმისათვის, რომ სრული ამორტიზაცია ჯერ არ დამდგარა. ეს არის ლიზინგის სამართლებრივი ბუნებიდან და ხელშეკრულების მიზნის განმარტებიდან გამომდინარე უფლება. გერმანიის ფედერალური უმაღლესი სასამართლო მიიჩნევს, რომ ლიზინგის მიმღების ძირითადი ვალდებულება, საბოლოო კომპენსაციის მეშვეობით უზრუნველყოს სრული ამორტიზება, წარმოადგენს ხელშეკრულების არსებით, ლიზინგისთვის ტიპიურად დამახასიათებელ წესს. რადგან სრული ამორტიზება, ხელშეკრულებით გათვალისწინებული ფორმით, ჯერ არ დამდგარა, ანაზღაურების მოთხოვნა იკავებს ძირითადი შესრულების მოთხოვნის ადგილს, ვადამოსული ხდება ლიზინგის საგნის რეალიზაციისთანავე და, შესაბამისად, კომპენსაციის ხასიათს ატარებს.

BGH 11.01.1995 – VIII ZR 61/94 = NJW 1995, 954: „...სააპელაციო სასამართლომ სწორად გაუთანაბრა ერთმანეთს მოპასუხის მიერ შესრულებული ერთჯერადი გადახდისა [საბოლოო კომპენსაცია] და მანამდე განხორციელებული ლიზინგგადახდების სამართლებრივი ბუნება. ლიზინგის გამცემს შეუძლია, ლიზინგის მიმღების მიერ გამოწვეული, ხელშეკრულების ვადამდელი შეწყვეტის საფუძველზე, მას მოსთხოვოს კომპენსაცია:

მეორე მხარემ ის უნდა ჩააყენოს ისეთ მდგომარეობაში, როგორშიც იქნებოდა ხელშეკრულების ჯეროვანი შესრულების შემთხვევაში. ასეთ ვითარებაში, მოსარჩელე ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ლიზინგგადახდებთან ერთად, საბოლოოდ კომპენსირებულიც იქნებოდა. ხელშეკრულებით გათვალისწინებული შესრულებებს უნდა გამოაკლდეს მხოლოდ ის უპირატესობა, რომელიც ენიჭება მოსარჩელეს, ლიზინგის მიმღებისაგან იმ თანხების წინმსწრებად მიღებით, რომლებიც, ხელშეკრულების შეწყვეტის გარეშე, მხოლოდ მოგვიანებით გახდებოდა

⁶ Skusa, Handbuch Leasing, Göttingen 2012, 5; BGH NJW 1982, 105

⁷ Skusa, Handbuch Leasing, Göttingen 2012, 5; BGH NJW 1982, 105

გადასახდელი. აქ საუბარია დარჩენილ ლიზინგ-გადახდებზე, რომლებიც მან წინასწარ მიიღო.“

ვადამდე შეწყვეტილი ლიზინგის საბოლოო კომპენსაცია, ჩვეულებრივ, შემდეგი კომპონენტებისაგან შედგება: ხელშეკრულების რეგულარული ვადის დასრულებამდე მორჩენილი ლიზინგგადახდები; ლიზინგის საგნის (ხელშეკრულებით გათვალისწინებულ დაბრუნების მომენტში ცვეთის მიხედვით) გამოთვლილი მონარჩენი ღირებულება, იმ შემთხვევაში, თუ ლიზინგის საგანი უკან არ დაბრუნდება (როგორც ეს ხელშეკრულებით იყო გათვალისწინებული); შესაბამის შემთხვევაში, შესაძლო ხარჯები ლიზინგის საგნის რეალიზაციის/ხელახლა გაყიდვისთვის და სხვა დამატებითი ხარჯები, რაც გამოიწვია ლიზინგის ურთიერთობის ნაადრევმა შეწყვეტამ. ამ დასკვნითი გადახდის მიზანი, როგორც წესი, ლიზინგის ხელშეკრულების საბოლოოდ დასრულებაა, რის ფარგლებშიც ლიზინგის მიმღები სრულად ფარავს საკუთარ ვალდებულებებს. ეს გადახდა ავტომატურად არ ითვლება შესყიდვის ოფციის გამოყენებად, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ლიზინგის მიმღებს ხელშეკრულებით, ნებისმიერ მომენტში, შეუძლია შესყიდვის ოფციის გამოყენება და საბოლოო კომპენსაციაში კალკულირებულია თანხა, რომელიც მკაფიოდ არის განსაზღვრული, როგორც ლიზინგის საგნის მონარჩენი ღირებულების ანაზღაურება, მასზე საკუთრების მოსაპოვებლად.

გამონაკლის შემთხვევებში, საბოლოო კომპენსაციის გადახდის შემდეგაც, შესყიდვის ოფცია შეიძლება ძალაში დარჩეს. ეს შეიძლება მოხდეს მაშინ, თუ ხელშეკრულებაში არსებობს პუნქტი, რომელიც პირდაპირ ითვალისწინებს ამ შედეგს – რომ ხელშეკრულების შეწყვეტის და დასკვნითი გადახდის განხორციელების შემდეგაც ძალაში რჩება ოფცია. თუმცა ამ შედეგზე ლიზინგის გამცემი და ლიზინგის მიმღები შეიძლება შეთანხმდნენ პოსტფაქტუმაც – მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების შეწყვეტის შემდეგ, რომ ლიზინგის მიმღებს კვლავ შე-

უძლია შესყიდვის ოფციის გამოყენება, მაგალითად, დამატებითი გადახდის (ხშირად, როგორც ნარჩენი ღირებულების გადახდის) გზით.

II. ლიზინგი საგადასახადო კუთხით

ლიზინგის ხელშეკრულების საგადასახადო კუთხით შეფასებისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება ეკონომიკურ პერსპექტივას. როგორც ამასთან დაკავშირებით გერმანიის უმაღლესი ფედერალური ფინანსური სასამართლო⁸ ამბობს (გადაწყვეტილების სახელმძღვანელო წინადადებაში):

1. მიენერება თუ არა, საგადასახადო კუთხით, ლიზინგის ხელშეკრულების საგანი, როგორც ეკონომიკური სიკეთე, ლიზინგის გამცემისა თუ ლიზინგის მიმღების ქონებას, დამოკიდებულია კონკრეტული შემთხვევის გარემოებებზე.

2. ფინანსური ლიზინგის (*financial lease*) შემთხვევებში, ლიზინგის ობიექტები, როგორც წესი, საგადასახადო კუთხით, ლიზინგის მიმღებს მიეკუთვნება, თუ მათი ეკონომიკური გამოყენების პერიოდი/ვარგისიანობა არსებითად აღემატება სარგებლობის ამოსავალ (პირველად დათქმულ) პერიოდს და ლიზინგის მიმღებს გააჩნია ვადის გაგრძელების ან ნასყიდობის ოფცია, რომლის გამოყენებისასაც ის იხდის მხოლოდ სიმბოლურ, გაცილებით ნაკლებ თანხას, ვიდრე ამ დროს მიღებული ქირავნობის ან შესყიდვის ფასი იქნებოდა.

3. იგივე წესები ვრცელდება, ოფციის უფლების არსებობისაგან დამოუკიდებლად, თუ ეკონომიკური გამოყენების პერიოდი/ვარგისიანობა და სარგებლობის ამოსავალი პერიოდი თანაბარია.

4. ვარგისიანობისა და სარგებლობის ამოსავალი პერიოდისაგან დამოუკიდებლად, ეს წესი მოქმედებს ასევე მაშინაც, როდესაც ლიზინგის საგანი სპეციალურად არის მორგებული ლიზინგის მიმღების საჭიროებებზე და პირვანდელი სარგებლობის ვადის გასვლის შემდეგ მხოლოდ მას შეუძლია მისი ეკონომიკურად მიზანშეწონილად გამოყენება.

⁸ BFH, Urteil vom 26. 1. 1970 - IV R 144/66.

5. ლიზინგის მიმღებისათვის [საგადასახადო კუთხით] მიკუთვნება ნიშნავს, რომ არა ლიზინგის გამცემი, არამედ მხოლოდ ლიზინგის მიმღები შეიძლება განიხილებოდეს როგორც ეკონომიკური მესაკუთრე (ინვესტორი) და, შესაბამისად, მხოლოდ მას აქვს საინვესტიციო შეღავათის/დახმარების მოთხოვნის უფლება.

გერმანული სასამართლოს მიერ ეს, ჯერ კიდევ, 1970-იან წლებში ჩამოყალიბებული სახელმძღვანელო პრინციპები დღემდე წარმოადგენს ორიენტირს, ლიზინგის ურთიერთობის საგადასახადო ჭრილში, შეფასებისა და დაკვალიფიციებისათვის. თუმცა ამ პერიოდის განმავლობაში მათ, რა თქმა უნდა, მოდიფიკაცია განიცადეს, დაკონკრეტება-შევსების კუთხით. ამ პრაქტიკის შემდეგ პირველ რიგში უფრო ნათლად გამოიკვეთა ფინანსური ლიზინგის ფორმები: „სრულად ამორტიზებადი“ და „არასრულად ამორტიზებადი“ ლიზინგი.

„ლიზინგის ხელშეკრულება სრული ამორტიზირებით“ (Full-Pay-Out-Leasing) გულისხმობს, რომ ლიზინგის გამცემის მთლიანი ხარჯების ამორტიზება („ამოღება“) ხორციელდება თავდაპირველად დათქმული სარგებლობის ვადის განმავლობაში გადასახდელი ლიზინგის ქირით.⁹ ამ დროს ლიზინგის მოშლა მიმღების მხრიდან, ჩვეულებრივ, სახელშეკრულებო დათქმით გამოორიცხულია. ამის საპირისპიროდ, „ლიზინგი ნაწილობრივი ამორტიზაციით“ გულისხმობს, რომ ლიზინგის გამცემის ხარჯების „ამოღება“ ხდება არა თავდაპირველი პერიოდისათვის დათქმული ქირით, არამედ, ან ამ პერიოდის დასრულების შემდეგ, ლიზინგის მიმღების მიერ ნივთის შესყიდვით, ლიზინგის გაგრძელებით ან გამცემის მიერ ლიზინგის საგნის რეალიზაციით (მაგ., მესამე პირზე გასხვისების გზით).¹⁰ შესყიდვის ან გაგრძელების ოფციის არსებობა აუცილებლობის ძალით არ მიუთითებს „არაამორტიზირებად“ ლიზინგზე, რადგან ეს ოფცია შეიძლება „სრულად ამორტიზირებად“ ლიზინგის ხელ-

შეკრულებასაც ახასიათებდეს, თუმცა ამ შემთხვევაში, ფასი, ჩვეულებრივ, სიმბოლურია – არ შეესაბამება ლიზინგის საგნის მონარჩენ ღირებულებას.

ლიზინგის ხელშეკრულების საგადასახადოდა ასევე საბუღალტროსამართლებრივი შეფასების ძირითადი კრიტერიუმი არის ლიზინგის ობიექტის მიკუთვნება ერთი ან მეორე მხარის ქონებისათვის. იმ საგადასახადო უპირატესობებზე მითითება, რომელიც ახასიათებს ლიზინგის ურთიერთობას ნასყიდობის ხელშეკრულებასთან მიმართებით, მხოლოდ იმ შემთხვევაშია შესაძლებელი, თუ ლიზინგის ხელშეკრულება, არა მხოლოდ სამოქალაქოსამართლებრივი პერსპექტივიდან, არამედ საგადასახადო თვალსაზრისითაც, სწორედ, როგორც ლიზინგი ისე აღიქმება და არა – როგორც ნასყიდობა. ავსტრიის უმაღლესი ადმინისტრაციული სასამართლოს თანახმად, გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება იმას, „შეიძლება თუ არა ლიზინგის საგნის ქირის სანაცვლოდ გადაცემა ლიზინგის მიმღებისთვის ნამდვილ ქირავნობად („echte Vermietung“) ანუ მხოლოდ სარგებლობაში გადაცემად ჩაითვალოს, თუ ეს გადაცემა ეკონომიკურად უკვე ნასყიდობის (განვადებით ნასყიდობის) სახეს იღებს“. ამგვარად, თუ ლიზინგის მიმღებს ხელშეკრულებით მიენიჭება ისეთი შორსმომავალი სამართლებრივი პოზიცია, რომ ლიზინგის ხელშეკრულება ეკონომიკურ პერსპექტივაში, ქონების გაყიდვის ხელშეკრულებად უნდა ჩაითვალოს, მაშინ ლიზინგის ობიექტი შესაბამისად მიეკუთვნება ლიზინგის მიმღებს (ლიზინგის მიმღები არის „ეკონომიკური მესაკუთრე“).

ავსტრიასა და გერმანიაში ეს წესები (არაამომწურავი სახით) გამყარებულია შესაბამის კანონებში (კანონში დაფიქსირებულ ცხრილებში) და ფინანსური ლიზინგის შემთხვევაში სპეციალურად რეგულირდება.¹¹ შესაძლებელია შემდეგი ვარიანტების გამოკვეთა¹², თუ, როდის მი-

⁹ Erman/Dickersbach, BGB, 15. Aufl., § Anh § 535 Rn. 15, 16.

¹⁰ BGH NJW 1985, 2253; BGH NJW 1995, 1019, 1021.

¹¹ EStH 2019 C. An- hän- ge Anhang 21 Leasing.III, <https://esth.bundesfinanzministerium.de/esth/2019/C-Anhaenge/Anhang-21//inhalt.html>; EStR 2000 Rz 136 ff.,

[https://findok.bmf.gv.at/findok/volltext\(suche:Standardsuche\)?segmentId=c137d5a1-a53a-421d-adb2-a6799318d92c#RZ_136](https://findok.bmf.gv.at/findok/volltext(suche:Standardsuche)?segmentId=c137d5a1-a53a-421d-adb2-a6799318d92c#RZ_136).

¹² Skusa, Handbuch Leasing, Berlin 2012, 45 ff.; Graf v. Westphalen, Der Leasingvertrag, Köln 2014, 17 ff.; Gabele/Kroll, Leasing als Finanzierungsinstrument,

ენერგია, ლიზინგის საგანი, საგადასახადო კუთხით, ლიზინგის გამცემისა თუ ლიზინგის მიმღების ქონებას. სრულად ამორტიზებადი ლიზინგის შემთხვევაში (რაც საქართველოში ლიზინგის ერთადერთ გავრცელებულ შემთხვევას წარმოადგენს):

1. ლიზინგის ხელშეკრულების თავდაპირველად დათქმული სარგებლობის ვადა აღემატება ეკონომიკური გამოყენების/ვარგისიანობის ვადის 90%-ს – ამ შემთხვევაში ლიზინგის საგნის ეკონომიკური მიკუთვნება ლიზინგის მიმღების ქონებისათვის გამართლებულია იმით, რომ მოშლა შეუძლებელია და ლიზინგის ვადა ფარავს საგნის ეკონომიკური გამოყენებადობის/ვარგისიანობის (თითქმის) მთლიან პერიოდს; ნივთის მთლიან ეკონომიკურ პოტენციალს ლიზინგის მიმღები ითვისებს და ამის შემდეგ ნივთი ეკონომიკური ღირებულების მატარებელი აღარაა.

2. თავდაპირველად დათქმული სარგებლობის ვადა ნაკლებია ეკონომიკური გამოყენების/ვარგისიანობის ვადის 40%-ზე – ამ შემთხვევაში ფინანსური ორგანოები მიიჩნევენ, რომ სახეზეა დაფარული განვადებით ნასყიდობა, გამომდინარე იქიდან, რომ ეკონომიკური სიკეთე, ამ მოკლე პირველადი ვადის ფარგლებში, ამორტიზირდება; დამოუკიდებლად ოფციის უფლების არსებობისა.

3. ლიზინგის მიმღებს აქვს შესყიდვის ოფცია ან ლიზინგის ვადის გაგრძელების უფლება ეკონომიკურად შეუსაბამო [შეუსაბამოდ დაბალ] თანხაზე – ნასყიდობის ფასი არის უფრო დაბალი ვიდრე მონარჩენი ღირებულება ან ლიზინგის გაგრძელების ქირა არ არის საკმარისი კონპენსაცია ამ პერიოდში დამდგარი ნივთის (დროში) გაუფასურებისათვის, რომელიც გამოითვლება ნომინალური ან უფრო დაბალი საბაზრო ღირებულებით.¹³

4. საქმე ეხება სპეციალურ ლიზინგს – ლიზინგის საგანი სპეციალურად მიმღების საჭიროებებს არის მორგებული და მხოლოდ მას შეუძლია ამ საგნის ეკონომიკური გამოყენება.

ამის საპირისპიროდ, საგადასახადო კუთხით, ლიზინგის საგანი მიენერება ლიზინგის გამცემის ქონებას, თუ: თავდაპირველად დათქმული სარგებლობის ვადა ეკონომიკური გამოყენების/ვარგისიანობის ვადის 40%-90%-მდე შუალედში მერყეობს და შესყიდვის ფასი უფრო მეტია ან ტოლია (შესყიდვის მომენტში) მონარჩენი ღირებულების, ან, ლიზინგის გაგრძელებისას, გადასახდელი გაგრძელებული ქირა ფარავს ნივთის დროში გაუფასურებას, რომელიც გამოითვლება ნომინალური ან უფრო დაბალი საბაზრო ღირებულებით.¹⁴

Grundlagen Vertragsgestaltung Fallbeispiele, Wiesbaden 1992, 33 ff.; Schopper/Skarics, in: Apathy/Iro/Kozioł (Hrsg), Österreichisches Bankvertragsrecht, Band VII. Leasing, Factoring und Forfaitierung, 2. Aufl., Wien 2015, 81 ff.

¹³ Gabele/Kroll, Leasing als Finanzierungsinstrument, Grundlagen Vertragsgestaltung Fallbeispiele, Wiesbaden 1992, 36.

¹⁴ Gabele/Kroll, Leasing als Finanzierungsinstrument, Grundlagen Vertragsgestaltung Fallbeispiele, Wiesbaden 1992, 36.

ცხრილი:¹⁵

ხელშეკრულების ტიპი	საგადასახადო კუთხით მიკუთვნების/მინერის კრიტერიუმები	მიკუთვნება/მინერა	
		ლიზინგის გამცემი	ლიზინგის მიმღები
ოფციის გარეშე	ა) თავდაპირველად დათქმული სარგებლობის ვადა ეკონომიკური გამოყენების/ვარგისიანობის ვადის 40%- 90%-მდე შუალედში მერყეობს.	X	
	ბ) თავდაპირველად დათქმული სარგებლობის ვადა ეკონომიკური გამოყენების/ვარგისიანობის ვადის 40%- ზე ნაკლებია ან 90%-ზე მეტია.		X
შესყიდვის ოფცია	ა) თავდაპირველად დათქმული სარგებლობის ვადა ეკონომიკური გამოყენების/ვარგისიანობის ვადის 40%- 90%-მდე შუალედში მერყეობს და შესყიდვის საფასური, სულ მცირე, ორიენტირებულია ნივთის მონარჩენ ღირებულებაზე, რომელიც გამოითვლება ნომინალური ან უფრო დაბალი საბაზრო ფასის მიხედვით.	X	
	ბ) თავდაპირველად დათქმული სარგებლობის ვადა ნაკლებია ეკონომიკური გამოყენების/ვარგისიანობის ვადის 40%- ზე ან მეტია 90%-ზე.		X
	გ) თავდაპირველად დათქმული სარგებლობის ვადა ეკონომიკური გამოყენების/ვარგისიანობის ვადის 40%- 90%-მდე შუალედში მერყეობს, მაგრამ შესყიდვის ფასი უფრო მცირეა, ვიდრე ნივთის მონარჩენი ღირებულება,		X

¹⁵ გადმოღებულია: Gabel/Kroll, Leasing als Finanzierungsinstrument, Grundlagen Vertragsgestaltung Fallbeispiele, Wiesbaden 1992, 36.

	რომელიც გამოითვლება ნომინალური ან უფრო დაბალი საბაზრო ფასის მიხედვით.		
ლიზინგის ვადის გაგრძელების ოფცია	ა) თავდაპირველად დათქმული სარგებლობის ვადა ეკონომიკური გამოყენების/ვარგისიანობის ვადის 40%-90%-მდე შუალედში მერყეობს და ლიზინგის გაგრძელებისას გადასახდელი ქირა ფარავს, გაგრძელების შემთხვევაში, ნივთის დროში გაუფასურებას, რომელიც გამოითვლება ნომინალური ან უფრო დაბალი საბაზრო ღირებულებით.	X	
	ბ) თავდაპირველად დათქმული სარგებლობის ვადა ჩამოუვარდება ეკონომიკური გამოყენების/ვარგისიანობის ვადის 40%-ს ან აღემატება 90%-ს.		X
	გ) თავდაპირველად დათქმული სარგებლობის ვადა ეკონომიკური გამოყენების/ვარგისიანობის ვადის 40%-90%-მდე შუალედში მერყეობს და ლიზინგის გაგრძელებისას გადასახდელი ქირა არ ფარავს, გაგრძელების შემთხვევაში, ნივთის დროში გაუფასურებას, რომელიც გამოითვლება ნომინალური ან უფრო დაბალი საბაზრო ღირებულებით.		X
სპეციალური ლიზინგი	საქმე ეხება სპეციალურ ლიზინგს; ლიზინგის საგანი სპეციალურად მიმღების საჭიროებებს არის მორგებული.		X

შპს-ის წილის კლასების შედარებითი სამართლებრივი ანალიზი

ეკატერინე ფიფია

ადვოკატი, კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის დოქტორანტი

აბსტრაქტი

2021 წლის რეფორმის შედეგად, საქართველოში პირველად დადგინდა შეზღუდული პასუხისმგებლობის კომპანიებში (შპს) წილთა სხვადასხვა კლასის დაშვების სამართლებრივი საფუძველი, რაც მნიშვნელოვანი წინგადადგმული ნაბიჯია ქვეყნის საკორპორაციო სამართლის ევროპულ და ანგლო-ამერიკულ სტანდარტებთან დაახლოების გზაზე. აღნიშნული ცვლილება მიზნად ისახავდა კაპიტალის სტრუქტურირების მოქნილობის გაზრდას, ინვესტორთათვის სპეციფიკური უფლებების უზრუნველყოფას და ინდივიდუალურად მორგებული მმართველობითი მოდელების დანერგვას. მიუხედავად ფორმალური პროგრესისა, კანონის პრაქტიკულმა იმპლემენტაციამ ნათლად წარმოაჩინა რეგისტრაციის პროცედურების გაურკვევლობა, სტანდარტული წესდების არასაკმარისი დეტალიზაცია და სამართლებრივი ინტერპრეტაციის ერთგვაროვნების დეფიციტი. ნაშრომში განხილულია ქართული რეგულირების დოქტრინალური და შედარებით-სამართლებრივი ანალიზი გერმანიის, გაერთიანებული სამეფოსა და აშშ-ის სამართლებრივ სისტემებთან მიმართებით. სტატია ასახავს არსებულ ხარვეზებს, გთავაზობთ პრაქტიკულ რეკომენდაციებს წესდების მოდელის დახვეწისა და ახსნა-განმარტებითი ინსტრუქციების შემუშავების მიმართულებით, და ამით ცდილობს ხელი შეუწყოს წილთა კლასების სამართლებრივად გამჭვირვალე, დაცულ და ეფექტურ გამოყენებას საქართველოში.

საკვანძო სიტყვები:

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება; შპს-ის წილთა კლასები; წილთა კლასის უფლებები; პარტნიორთა უფლებები; კაპიტალის სტრუქტურირება; ინვესტორთა დაცვა; 2021 წლის რეფორმა.

I. შესავალი

„მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის 2021 წელს განხორციელებული რეფორმის მნიშვნელოვანი სიახლეა ქვეყნის საკორპორაციო სამართლებრივ ჩარჩოში შეზღუდული პასუხისმგებლობის კომპანიების (შპს) სხვადასხვა კლასის წილების გამოშვების შესაძლებლობის შემოღება. რეფორმამდე ქართული შპს-ები მოქმედებდნენ ერთიანი სტრუქტურით, რომელიც არ

ითვალისწინებდა პარტნიორთა უფლებების შიდა დიფერენციაციას წილების კლასების განსაზღვრის გზით.

1991 წელს მიღებული კანონი „სამენარმეო საქმიანობის საფუძვლების შესახებ“ საქართველოსთვის გარდამტეხი ეტაპი იყო — მან დაასრულა სახელმწიფო საწარმოთა დომინირება და გზა გაუხსნა კერძო სამართლის ფორმით მენარმეობის განვითარებას. ამ კანონმა პირველად აღიარა შპს ერთ-ერთ სამართლებრივ ფორმად.

1994 წლის 28 ოქტომბრის რედაქციით მიღებული „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონმა, რომელიც გერმანელი ექსპერტების აქტიური მონაწილეობით შემუშავდა, საფუძველი დაუდო თანამედროვე საკორპორაციო სამართლის განვითარებას. მიუხედავად იმისა, რომ 1994 წლის კანონი ეფუძნებოდა ევროპული სამართლის ტრადიციებს და აღიარებდა სანესდებო ავტონომიის პრინციპს, მას არ ახლდა დეტალური რეგულაცია წილთა განსხვავებული უფლებების სამართლებრივი განსაზღვრის თვალსაზრისით. 2008 და 2010 წლებში განხორციელებულმა საკანონმდებლო ცვლილებებმა კიდევ უფრო გააძლიერა დისპოზიციური მიდგომა, თუმცა იმპერატიული ნორმების ამოღებამ სამართლებრივი გაურკვევლობა და არასტაბილურობა გამოიწვია პარტნიორებს შორის, უფლებებისა და მოვალეობების განაწილების კუთხით. ამ გამოწვევების საპასუხოდ, 2021 წლის 2 აგვისტოს საქართველოს პარლამენტმა მიიღო „მენარმეთა შესახებ“ კანონის ახალი რედაქცია, რომელიც 2022 წლის 1-ლი იანვრიდან ამოქმედდა. ახალი რედაქციით პირველად იქნა დაშვებული შპს-ში წილთა სხვადასხვა კლასის შექმნა, რაც მნიშვნელოვანი ნაბიჯია საქართველოს საკორპორაციო სამართლის ევროკავშირის დირექტივებთან დაახლოების გზაზე.

ახალი კანონმდებლობა საქართველოს აახლოებს საზღვარგარეთის ისეთი ქვეყნების სამართალთან, როგორიცაა გაერთიანებული სამეფო, გერმანია და ამერიკის შეერთებული შტატები, სადაც კაპიტალის მოქნილი სტრუქტურირება და ინვესტორებისთვის სპეციფიკური უფლებები საკორპორაციო სამართლის კარგად დამკვიდრებული კომპონენტებია. წილების კლასებით უზრუნველყოფილი მოქნილობა განსაკუთრებით აქტუალურია ინვესტიციების მოზიდვის, ინდივიდუალურად მორგებული მმართველობის მოდელების და კომპლექსური კაპიტალის სტრუქტურების მოწყობის კონტექსტში, განსაკუთრებით მცირე და საშუალო ზომის მენარმეებსა და ადრეულ ეტაპზე მყოფ კომპანიებში. თუმცა კანონის ამ ცვლილების მიღებამ სა-

ქართველოში გამოავლინა რამდენიმე პრაქტიკული და ინტერპრეტაციული გამოწვევა, რამაც შეიძლება შეზღუდოს მისი ეფექტური გამოყენება შემდგომი დამატებითი რეგულირების არარსებობის პირობებში.

წინამდებარე სტატია იყენებს დოქტრინალურ და შედარებით სამართლებრივ მეთოდებს, სამართლებრივი ტექსტების, იურისტების მოსაზრებების და საკორპორაციო სამართლის მიმდინარე პრაქტიკის ანალიზით. იმის შესაფასებლად, აღწევს თუ არა ქართული კანონმდებლობა დასახულ მიზნებს, სტატიაში შედარებითი სამართლებრივი ანალიზი გაკეთებულია გერმანიაში, გაერთიანებულ სამეფოსა და ამერიკის შეერთებულ შტატებში წილების კლასების რეგულირებასთან. ბოლოს, სტატიაში ჩამოყალიბებულია რეკომენდაციები, რომელთა მიზანია საქართველოს კანონმდებლობაში გამოვლენილი ხარვეზების აღმოფხვრა და წილების კლასების სტრუქტურის გამოყენების პრაქტიკის გაუმჯობესება.

მიუხედავად იმისა, რომ ნაშრომი ძირითადად ეხება წილთა კლასებს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებაში (შპს), მასში ასევე განხილულია ბიზნეს-კორპორაციების მოდელური აქტი (MBCA)¹, დელავერის ზოგადი კორპორაციული კანონი (DGCL)² და საკორპორაციო სამართალი. ამის მიზეზია ის, რომ ამერიკის შპს-ების კანონმდებლობა ხშირად არ აწესებს დეტალურ რეგულაციებს წილების კლასიფიკაციაზე, რის გამოც რეგულირების საგანი ხშირად ხდება შიდა შეთანხმებები პარტნიორებს შორის. ამგვარ ვითარებაში საკორპორაციო სამართლის პრინციპები, განსაკუთრებით კლასის უფლებების, მათი შეცვლის და აქციონერთა დაცვის კუთხით, მნიშვნელოვან გავლენას ახდენს შპს-ის მართვის სტრუქტურების ჩამოყალიბებაზე. შესაბამისად, აღნიშნული წყაროები წარმოადგენს სასარგებლო ანალოგიებს, დოქტრინულ საფუძვლებსა და ინტერპრეტაციის პრაქტიკულ ინსტრუმენტებს, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია იმ იურისდიქციების-

¹ Model Business Corporation Act.

² Delaware General Corporation Law.

თვის, სადაც შპს-ის სამართალი ჯერ კიდევ ჩამოყალიბების პროცესშია ან ნაკლებადაა დეტალიზებული.

II. შპს-ის წილის კლასების ცნება

შპს-ის წილი, ზოგადად, წარმოადგენს შპს-ში მონაწილეობის სუბიექტურ უფლებას, რომელიც განსაზღვრულია პარტნიორის სტატუსით და აერთიანებს პარტნიორის უფლებასა და მოვალეობებს.³

ქვემოთ მოყვანილ ქვეყნებშიც შპს-ის წილი განიხილება როგორც შპს-ში მონაწილეობის შედეგად წარმოშობილ უფლებათა და მოვალეობათა ერთობლიობა, რაც პარტნიორის (წევრის) სტატუსთანაა დაკავშირებული.⁴

გერმანიაში, ქართულ შპს-ს ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმით შეესაბამება **Gesellschaft mit beschränkter Haftung (GmbH)** — შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება. მას არეგულირებს **GmbHG** — გერმანიის შპს-ის შესახებ კანონი, რომლის თანახმადაც, წილი მოიცავს ყველა იმ უფლებასა და ვალდებულებას, რომელიც დაკავშირებულია პარტნიორის სტატუსთან. ხშირად წილის სინონიმად გამოიყენება ტერმინი „წევრობა“, რაც ადასტურებს, რომ წილი განიხილება როგორც წევრობის უფლება.⁵

გაერთიანებულ სამეფოში **Private Limited Company (Ltd)** — კერძო შეზღუდული კომპანია წარმოადგენს ქართული შპს-ის მგავს სამეწარმეო სუბიექტს, რომელსაც არეგულირებს კომპანიების შესახებ 2006 წლის აქტი. გაერთიანებული სამეფოს სამართალში ერთმანეთისგან არ განასხვავებენ წილსა და აქციას — ორივე აღნიშნულია ტერმინით **share**, ხოლო წილით შეზღუდული კომპანიის ნებისმიერი ფორმა ითვლება ბიზნეს კორპორაციად. მიუხედავად იმისა, რომ

კანონმდებლობა წილს პირდაპირ არ განმარტავს, სასამართლო პრაქტიკაში ხშირად ციტირდება ინგლისისა და უელსის ზემდგომი სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეში **Borland's Trustee v. Steel**, რომლის მიხედვითაც წილი წარმოადგენს კომპანიის წევრის წილს, რომელიც ღირებულების თვალსაზრისით გამოითვლება პასუხისმგებლობისა და მოგების განაწილების მიზნებისთვის, თუმცა ის ასევე მოიცავს ორმხრივი ხელშეკრულებების ერთობლიობას, რომლებიც ყველა მენილეს შორისაა დადებული.⁶

აშშ-ის **Limited Liability Company (LLC)** — შეზღუდული პასუხისმგებლობის კომპანია შეგვიძლია შევადაროთ ქართულ შპს-ს. თუმცა, მნიშვნელოვანი განსხვავება ისაა, რომ მიუხედავად მისი ცალსახად დადგენილი სამართლებრივი სუბიექტებისა, **LLC** სამართლებრივად ხშირად განიხილება ამხანაგობის ერთ-ერთ სახედ. ამერიკულ პრაქტიკაში წილის აღსანიშნავად გამოიყენება ტერმინი „**interest**“, რაც ხშირად გულისხმობს პარტნიორის ინტერესს როგორც საკუთრების, ასევე კომპანიასთან სამართლებრივი კავშირის თვალსაზრისით.⁷ აღსანიშნავია აშშ-ს შპს-ის წილის ერთი თავისებურება - იგი წარმოადგენს ფასიან ქალაქებს (**Securities**).⁸ შესაბამისად, წილი ექვემდებარება ფედერალურ ან შტატის ფასიანი ქალაქების სააგენტოში რეგისტრაციას და ფასიანი ქალაქებისა და ბირჟების კომისიის⁹ ზედამხედველობის ქვეშ ექცევა. ფასიანი ქალაქების მომწესრიგებელი აქტები მოითხოვს¹⁰ ყველა ფასიანი ქალაქის რეგისტრაციას, თუმცა ეს არ ეხება კომპანიის დამფუძნებლების/პარტნიორების წილებს, არამედ ეხება მხოლოდ გარე ინვესტორების მიერ შეძენილ წილებს.¹¹

შპს-ის წილი მოიცავს სხვადასხვა ძირითად უფლებებს, მათ შორის, ქონებრივი ხასიათის უფლებებს, როგორებიცაა დივიდენდის მოთხო-

³ ფიფია, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების წილის ცნების შედარებითი სამართლებრივი ანალიზი, ჟურნალი სამართლის მაცნე 07/2021 #3, 65.

⁴ იქვე.

⁵ იქვე.

⁶ იქვე.

⁷ იქვე.

⁸ Spadaccini, The Ultimate LLC Compliance Guide, United States 2011, 105.

⁹ U.S. Securities and Exchange Commission (SEC).

¹⁰ The Securities Act of 1933, 15 USC §§ 77a–77aa (1933); The Securities Exchange Act of 1934, 15 USC §§ 78a–78qq (1934).

¹¹ Spadaccini, The Ultimate LLC Compliance Guide, United States 2011, 105.

ვნის და მიღების უფლება, წილის პროპორციულად, კრედიტორების დაკმაყოფილების შემდეგ, სალიკვიდაციო ამონაგების მიღების უფლება, პარტნიორის საზოგადოებიდან გასვლის ან გარიცხვის შემთხვევაში, შესაბამისი კომპენსაციის მიღების უფლება, პარტნიორთა გადაწყვეტილებით კაპიტალის შემცირების შემთხვევაში, წილის პროპორციულად შემცირებული კაპიტალის კუთვნილი ნაწილის მიღების უფლება, საზოგადოების სხვა წევრებზე ან ნებისმიერ სხვა პირზე ნაწილობრივ ან მთლიანად წილის გასხვისების უფლება; ასევე, შპს-ის წილი აერთიანებს არაქონებრივი ხასიათის, კონტროლისა და მართვის უფლებებს, სახელდობრ, შპს-ის პარტნიორთა კრებაში მონაწილეობის მიღების უფლებას, გადაწყვეტილების მიღების პროცესში ხმის უფლებას და ინფორმაციის მიღების უფლებას.¹²

შპს-ის პარტნიორის მითითებული უფლებები შეიძლება სხვადასხვა კლასის წილს მიენიჭოს სხვადასხვა ხარისხით, რათა შეიქმნას უფლებების იმგვარი კომბინაცია, რომელიც შპს-ის დამფუძნებლებისა და თითოეული ტიპის ინვესტორის ინტერესებს მოერგება.

საქართველოში, 2021 წლის კანონის 135-ე მუხლის 1-ლი პუნქტის მე-2 წინადადება განმარტავს შპს-ის წილის კლასს: „წილები, რომლებიც იდენტურ უფლებებსა და ვალდებულებებს წარმოშობს, წილების ერთ კლასს ქმნის.“¹³ გერმანიაში, წილები, რომლებიც თითოეულ პარტნიორს ანიჭებს ერთსა და იმავე უფლებებსა და ვალდებულებებს, ქმნის ერთ კლასს (*Gattung*).¹⁴ გაერთიანებულ სამეფოში, კომპანიების შესახებ 2006 წლის აქტის თანახმად, წილები ქმნიან

ერთ კლასს, თუ მათზე მიმაგრებული უფლებები ყველა თვალსაზრისით ერთგვაროვანია.¹⁵ აშშ-ში კი შპს-ის წილთა კლასი წარმოადგენს ისეთი პარტნიორული ან გადაცემადი ინტერესის (*membership or transferable interest*) კატეგორიას, რომელსაც ოპერაციული შეთანხმება ანიჭებს ერთსა და იმავე ტიპის ეკონომიკურ ან მმართველობით უფლებებს.¹⁶ განსხვავებით კორპორაციების შესახებ კანონმდებლობისგან, შპს-ის კანონმდებლობა არ აწესებს სავალდებულო კლასიფიკაციას ან ავტომატურ უფლებებს (*default rights*).¹⁷ მათ შეიძლება მიეკუთვნოს ხმის მიცემის უფლება, მოგების წილში მონაწილეობა, უპირატესი დისტრიბუციები ან პირობითი უფლებები, რაც კლასებს შორის მნიშვნელოვნად შეიძლება განსხვავდებოდეს.¹⁸ ამდენად, აშშ-ში შპს-ის წილთა კლასების შექმნა და შინაარსი ეფუძნება სახელშეკრულებო თავისუფლების პრინციპს.¹⁹

ამდენად, ტერმინი „წილის კლასი“, ძირითადად, გულისხმობს წილების ერთობლიობას, რომლებსაც კლასის ფარგლებში ერთგვაროვანი უფლებები აქვთ.²⁰

აშშ-ის კანონმდებლობით ასევე აღიარებულია ქვეკლასები (ე.წ. „სერიები“). თუ წილების უფლებები და პრივილეგიები თანაბარია, მაშინ განსხვავებული ნომინალური ღირებულება ქმნის სხვადასხვა სერიას წილების ერთ კლასში. წილები, რომლებიც განსხვავებულ ფასადაა გამოშვებული ან რომელთა სანაცვლოდ განსხვავებული შენატანების განხორციელებაა საჭირო, არ შექმნის წილების ცალკე კლასს. გერმანიის და გაერთიანებული სამეფოს კანონმდებლობისგან მნიშვნელოვანი განსხვავებაა ის,

¹² ფიფია, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების წილის ცნების შედარებითი სამართლებრივი ანალიზი, ჟურნალი სამართლის მაცნე 07/2021 #3, 50; Cox/Hazen, Business Organizations Law, United States 2020, 362.

¹³ საქართველოს 2021 წლის 02 აგვისტოს „მენარმეთა შესახებ“ კანონის 135-ე მუხლის 1-ლი პუნქტი.

¹⁴ Ziemons/Hildegard/Jaeger/Pöscke, BeckOK GmbHG, München 2021, 34.

¹⁵ Companies Act 2006, Section 629 (1).

¹⁶ Delaware LLC Act § 18-302(f); RULLCA § 110 (e).

¹⁷ Manesh, Contractual Freedom Under Delaware Alternative Entity Law: Evidence from Publicly Traded

LPs and LLCs, Journal of Corporation Law Vol. 37 No. 3, 555, 564–565.

¹⁸ R&R Capital, LLC v. Buck & Doe Run Valley Farms, LLC, Delaware Court of Chancery, WL 3846318 (2008).

¹⁹ Manesh, Contractual Freedom Under Delaware Alternative Entity Law: Evidence from Publicly Traded LPs and LLCs, Journal of Corporation Law Vol. 37 No. 3, 555, 564–565.

²⁰ გიგუაშვილი, კორპორაციის კაპიტალიზაციის მექანიზმების მონესრიგება კაპიტალის ბაზრის სამართლის მიხედვით, დისერტაცია, თბილისი 2017, 80-81.

რომ აშშ-ში სადამფუძნებლო შეთანხმება (წესდება) შეიძლება დირექტორებს აძლევდეს უფლებას, შექმნან წილების სერია ან კლასები და დააკონკრეტოს მათი უფლებები პარტნიორების ჩარევის გარეშე.²¹ განსაკუთრებით იმის გამო, რომ ამერიკული კომპანიების წილები, როგორც წესი, არ მოიცავენ უპირატესი შესყიდვის უფლებებს, ეს დირექტორებს კომპანიის კაპიტალის სტრუქტურაზე მნიშვნელოვან ძალაუფლებას ანიჭებს.²² შესაბამისად, თითოეულ კლასთან დაკავშირებული უფლებები და ვალდებულებები უნდა განისაზღვროს მხოლოდ ოპერაციული შეთანხმებით.

წილის კლასის უფლება განსხვავდება და სხვა წილიდან გამომდინარე უფლებებისაგან. წილიდან გამომდინარე უფლებები წარმოადგენს კონკრეტულ წილთან დაკავშირებულ უფლებათა ერთობლიობას, რომელიც ენიჭება პარტნიორს წილის ფლობის საფუძველზე — მაგალითად, ხმის მიცემის უფლება, დივიდენდზე წვდომა ან ლიკვიდაციის ამონაგების მიღება.²³ ასეთი უფლებები შეიძლება არსებობდეს როგორც კლასობრივი რეგულაციის გარეშე, ასევე კონკრეტული კლასის ფარგლებში განერილი პირობების შესაბამისად.²⁴

წილთა კლასის უფლება, თავის მხრივ, გულისხმობს უფლებებს, რომლებიც განსაზღვრულია წილების კონკრეტულ კატეგორიაში/კლასში და ვრცელდება ამ კლასის ყველა მფლობელზე. მაგალითად, დელავერის შპს-ის სამართალში, მხარეებს საშუალება აქვთ განსაზღვრონ სხვადასხვა კლასის წევრთა განსხვავებული უფლებები და მოვალეობები, რაც ხშირად მოიცავს მმართველობით პრივილეგიებს ან სპეციფიკურ

ეკონომიკურ უპირატესობებს (მაგ., დივიდენდის პრიორიტეტს ან გამოსყიდვის პირობებს).²⁵ მაგალითად, საქმეში *R & R Capital LLC v. Buck & Doe Run Valley Farms LLC*, დელავერის სასამართლომ დაადასტურა, რომ კლასობრივად შეიძლება აისახოს, მაგალითად, კონტროლის უფლება, რაც მხოლოდ ერთი წილის კლასის პარტნიორებს მიენიჭებათ.²⁶

საქართველოს კანონმდებლობაშიც, 2021 წლის კანონის 135-ე მუხლის მე-3 პუნქტში მითითებულია, რომ წილების სხვადასხვა კლასის უფლებები განისაზღვრება წესდებით, რაც ადასტურებს, რომ კლასობრივი რეგულაცია დამოუკიდებელი სამართლებრივი კონსტრუქციაა, რომელიც განსხვავდება ინდივიდუალური წილის მფლობელის კონკრეტული უფლებებისგან.

შესაბამისად, წილიდან გამომდინარე უფლება შეიძლება არსებობდეს კლასობრივი სტრუქტურის გარეშეც (მაგ., თანაბარი ხმის უფლება ყველა წილზე), ხოლო კლასის უფლება გულისხმობს დიფერენცირებულ, კოლექტიურ სამართლებრივ რეჟიმს, რომელიც კონკრეტული წილის კატეგორიას ეკუთვნის.²⁷

საინტერესოა, პარტნიორის ისეთ უფლებებს, რომელთა არსებობაც და განხორციელებაც დამოკიდებულია წილის ნომინალურ ღირებულებაზე (მაგალითად, კანონის 128-ე მუხლის 1-ლი პუნქტით განსაზღვრული შპს-ის წილების 5%-ის მიერ საერთო კრების მოწვევის უფლება), შეუძლიათ თუ არა შექმნან წილის ცალკეული კლასი. გერმანელი იურისტების აზრით, ასეთი უფლებები არ განიხილება წილთა კლასის უფლებად, რომელიც შეიძლება იყოს კონკრეტული კლასის შემადგენელი უფლება.²⁸ იგივე ეხება ისეთ მახასიათებლებს, რომლებსაც წილებში

²¹ *Cahn/Donald, Comparative Company Law Text and Cases on the Laws Governing Corporations in Germany, the UK and the USA*, New York 2010, 273; *ჯუდელო, კაპიტალის დაცვა სააქციო საზოგადოებაში, თბილისი 2010, 195.*

²² *Cahn/Donald, Comparative Company Law Text and Cases on the Laws Governing Corporations in Germany, the UK and the USA*, New York 2010, 273; *ჯუდელო, კაპიტალის დაცვა სააქციო საზოგადოებაში, თბილისი 2010, 152.*

²³ საქართველოს 2021 წლის 02 აგვისტოს „მენარმეთა შესახებ“ კანონის 135-ე მუხლის მე-3 პუნქტი.

²⁴ Delaware LLC Act § 18-302(f).

²⁵ იქვე.

²⁶ *R & R Capital LLC v. Buck & Doe Run Valley Farms LLC*, 2008 WL 3846318, at *9 (Del. Ch. Aug. 19, 2008).

²⁷ MBCA §6.01(d) - (ანალოგიურად განსაზღვრავს, რომ აქციების კლასები უნდა იყოს განერილი წესდებაში, ხოლო მათი უფლებები — იდენტური კლასის ფარგლებში).

²⁸ *Cahn/Donald, Comparative Company Law Text and Cases on the Laws Governing Corporations in Germany, the UK and the USA*, New York 2010, 267.

შემავალ უფლებებთან არსებითი კავშირი არ აქვთ, მაგალითად: რა ფასად გაიყიდა წილი გამომცემისას, წილის სანაცვლოდ გადახდილია თუ არა შენატანი, არსებობს ნომინალური ღირებულების მქონე თუ არმქონე წილები.²⁹ ამდენად, თუ კანონი ადგენს წილის მფლობელობაში მინიმალურ ზღვარს გარკვეული სამართლებრივი უფლებების გამოსაყენებლად. მაგალითად, 5% წილის მფლობელებს საერთო კრების მოწვევის უფლებას, ეს 5% არ ქმნის ცალკე წილის კლასს, რადგან უფლება თავად წილებზე არ არის მიბმული, არამედ წარმოიშვა მხოლოდ კონკრეტულ შემთხვევასთან მიმართებით.

აღნიშნულის საპირისპიროდ, ინგლისის ზემდგომმა სასამართლომ ერთ-ერთ საქმეში *Cumbrian Newspapers Group Ltd v Cumberland and Westmorland Herald Newspaper and Printing Co Ltd*, განიხილა აღნიშნული საკითხი. კერძოდ, კომპანიის წესდება შეიცვალა ინვესტორის სასარგებლოდ, რომელმაც კომპანიის კაპიტალში მნიშვნელოვანი, მსხვილი შენატანი განახორციელა. წესდების ცვლილებით ინვესტორს მიენიჭა უპირატესი შესყიდვის უფლება როგორც კომპანიის კაპიტალის გაზრდის დროს, ასევე არსებული წილის მფლობელის მიერ წილის გაყიდვის შემთხვევაში. ასევე, წესდებით განისაზღვრა, რომ სანამ ინვესტორი ფლობდა ჩვეულებრივი წილების არანაკლებ 10 პროცენტს, მას ჰქონდა დირექტორის დანიშვნის უფლება. ეს უფლებები სპეციალურად მიენიჭა მას, რათა კომპანიას თავიდან აეცილებინა ე.წ. მტრული შთანთქმა (Hostile takeover). მოპასუხე კომპანიის დირექტორთა საბჭომ დააყენა აღნიშნული უფლებების გაუქმების საკითხი, რის გამოც ინვესტორმა სასამართლოს მიმართა და განაცხადა, რომ ეს უფლებები წარმოადგენდა წილის კლასიდან გამომდინარე უფლებებს, და, შესაბამისად, მათი შეცვლა შესაძლებელი იყო მხოლოდ მისი თანხმობით (კომპანიების შესახებ 1985 წლის აქტის 125-ე მუხლის შესაბამისად). აღნიშნულ საქმეში, ინგლისის სასამართლომ

პარტნიორთა უფლებები დაყო სამ კატეგორიად: (1) უფლებები, რომლებიც უშუალოდ დაკავშირებულია კონკრეტულ წილებთან, (2) პირადი უფლებები, რომლებიც არ უკავშირდება პარტნიორის სტატუსს, და (3) უფლებები, რომლებიც მიენიჭება პარტნიორებს უშუალოდ მათი პარტნიორის სტატუსის გამო, თუმცა კონკრეტულ წილებთან დაკავშირებული არ არის.

მიუხედავად იმისა, რომ მოპასუხე მხარე ამტკიცებდა, რომ მოსარჩელის უფლებები წარმოადგენდა პირად უფლებას (მეორე კატეგორია), სასამართლომ დაადგინა, რომ ეს უფლებები მიეკუთვნებოდა მესამე კატეგორიას, რადგან ისინი პირდაპირ იყო მიბმული მოსარჩელის პარტნიორის სტატუსზე. შესაბამისად, სასამართლომ მიიჩნია, რომ აღნიშნული უფლებების შეცვლა შეუძლებელია ინვესტორი მხარის თანხმობის გარეშე. ამ გადაწყვეტილებით სასამართლომ დაამკვიდრა პრინციპი, რომ პარტნიორთა გარკვეული უფლებები, მაშინაც კი, თუ უშუალოდ კონკრეტულ წილებთან არ არის დაკავშირებული, შეიძლება ითვლებოდეს კლასის უფლებებად და ექვემდებარებოდეს შესაბამის საკანონმდებლო დაცვას.³⁰ აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ 2006 წლის ცვლილებით, კომპანიათა აქტი აღარ შეიცავს დანაწესს, რომელსაც დაეყრდნო ინგლისის სასამართლო აღნიშნულ საქმეზე მსჯელობის დროს, რაც შესაძლოა ნიშნავდეს იმას, რომ სასამართლოს ეს პრეცედენტი დღესდღეობით ნაკლებად რელევანტურია.³¹ შედეგად, გაერთიანებული სამეფოს კლასის უფლებების დეფინიცია უფრო დაუახლოვდა გერმანიისა და აშშ-ს სამართალს.

აქვე, საინტერესოა, წილის ორ განსხვავებულ კლასად შეიძლება თუ არა მივიჩნიოთ ისეთი კლასები, რომელთაგან ერთის ნომინალური ღირებულება მეორესგან განსხვავდება, თუმცა ორივე კლასის წილებში შემავალი უფლებები იდენტურია. სწორედ ამ საკითხზე იმსჯელა ინგლისისა და უელსის სააპელაციო სასამართლო საქმეში *Greenhalgh v. Arderne Cinemas*

²⁹ იქვე.

³⁰ *Talbot*, Critical Company Law, New York 2008, 83-84.

³¹ *Cahn/Donald*, Comparative Company Law Text and Cases on the Laws Governing Corporations in Germany, the UK and the USA, New York 2010, 271.

Lrd. კერძოდ, განხილული იყო საკითხი, წარმოადგენდა თუ არა კლასის უფლების ცვლილებას წილების ნომინალური ღირებულების დანაწევრება ისე, რომ ორივე კლასის წილებს შენარჩუნებული ჰქონდეთ იდენტური ხმის უფლება და სხვა მონაწილეობის უფლებები. სასამართლომ დაადგინა, რომ წილის ნომინალური ღირებულების სხვაობა თავისთავად არ არის წილის სხვადასხვა კლასად მიჩნევის საფუძველი, თუ მათ თანაბარი უფლებები აქვთ მინიჭებული. სასამართლომ დამატებით განმარტა, რომ კომპანიაში ცვლილებები კანონიერია, თუკი ისინი კეთილსინდისიერად და კომპანიის საერთო ინტერესების გათვალისწინებით ხორციელდება.³² შესაბამისად, მხოლოდ ნომინალური ღირებულების განსხვავება არ არის საკმარისი წილების სხვადასხვა კლასად მიჩნევისათვის, თუკი მათ ერთნაირი სამართლებრივი შინაარსი და თანმდევი უფლებები აქვთ.

შპს-ში წილების განსხვავებული კლასების არსებობისთვის ოთხივე განხილულ ქვეყანაში აუცილებელია ეს საკითხი დარეგულირებული იყოს შპს-ის კონსტიტუციური დოკუმენტებით (ძირითადად წესდებით).

2021 წლის კანონით, შპს-ის პარტნიორებს მიენიჭათ უფლება, შპს-ის წესდებაში განსაზღვრონ წილების განსხვავებული კლასები, რომელთა საშუალებითაც შესაძლებელია პარტნიორთა შორის ეკონომიკური და მმართველობითი უფლებების დიფერენცირება.³³ აღნიშნული ნორმა ასახავს კანონმდებლის მცდელობას უზრუნველყოს უფრო მოქნილი კაპიტალის სტრუქტურები და ნაწილობრივ ჩაანაცვლოს მანამდე არსებული სტანდარტული მიდგომა, რომელიც ერთგვაროვნებაზე იყო ორიენტირებული.

ევროკავშირის 2017/1132 დირექტივა ნებას რთავს წევრ სახელმწიფოებს, დაუშვან კომპანიაში წილების სხვადასხვა კლასის შემოღება წეს-

დებით, დაფუძნების დოკუმენტით ან სხვა საჯაროდ ხელმისაწვდომი დოკუმენტით, რაც უზრუნველყოფს წილის მფლობელთა განსხვავებული უფლებების და ვალდებულებების განსაზღვრის შესაძლებლობას შიდა კორპორაციული წესრიგის ფარგლებში.³⁴

გერმანული სამართლით წილის კლასის განსაზღვრელი ნიშნები მხოლოდ იმ შემთხვევაში არსებობს, თუკი შესაბამისი რეგულაცია შეტანილია შპს-ის წესდებაში და წარმოადგენს საკორპორაციო-სამართლებრივ ნორმას (განსხვავებით ვალდებულებით-სამართლებრივი ნორმისგან), და არ წარმოადგენს მხოლოდ კონკრეტული პარტნიორისთვის (ან პარტნიორთა ჯგუფისთვის) მინიჭებულ განსაკუთრებულ სარგებელს ან დაკისრებულ ვალდებულებას, არამედ ვრცელდება კონკრეტული წილის მფლობელ პარტნიორზე.³⁵ ასეთი განსაკუთრებული მახასიათებლებით აღჭურვილი წილების შემდგომი შექმნა საჭიროებს წესდების ცვლილების შესახებ გადაწყვეტილებას და ყველა პარტნიორის თანხმობას. ეს თანხმობა მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლება გახდეს ზედმეტი, თუკი ყველა მონაწილეს აქვს შესაძლებლობა, შეიძინოს ასეთი განსაკუთრებული მახასიათებლებით წილები, მაგალითად, კუთვნილი უფლების გამოყენებით ან რეზერვში შენატანით.³⁶

გაერთიანებულ სამეფოში, კერძო შეზღუდულ პასუხისმგებლობის კომპანიას (შპს) შეუძლია გამოუშვას სხვადასხვა კლასის წილები, თუ ეს გათვალისწინებულია კომპანიის დაფუძნების დოკუმენტაციით — მათ შორის, მემორანდუმით (memorandum of association), წესდებით (articles of association) ან წილების გამოშვების პირობებით (terms of issue).³⁷ იმ შემთხვევაში, თუ შესაბამის დოკუმენტებში წილების კლასებად დაყოფა არ არის განსაზღვრული, ყველა წილი სამართლებრივად მიიჩნევა ერთ კლასად და ფლობს ერთნაირ უფლებებს.³⁸ მიუხედავად

³² Greenhalgh v Arderne Cinemas Ltd, Court of Appeal, Ch 286 (1951).

³³ საქართველოს 2021 წლის 02 აგვისტოს „მენარმეთა შესახებ“ კანონის 135-ე მუხლის 1-ლი პუნქტი.

³⁴ Article 4 (e) of Directive (EU) 2017/1132 of the European Parliament and of the Council of 14 June 2017 relating to certain aspects of company law.

³⁵ Ziemons/Hildegard/Jaeger/Pöscke, BeckOK GmbHG, München 2021, 35.

³⁶ იქვე, გვ. 36.

³⁷ Andrews v. Gas Meter Company, Court of Appeal, 1 Ch. 361(1897).; Harman v BML Group Ltd, Court of Appeal, 1 WLR 893 (1994).

³⁸ Birch v Copper, House of Lords, 14 AC 525 (1889).

იმისა, რომ კომპანიების შესახებ 2006 წლის აქტი პირდაპირ არ მოითხოვს წილთა კლასების განერას წესდებაში, კლასის უფლებების რეგულირების პრინციპი კანონმდებლობაში მკაფიოდ არის წარმოჩენილი. კერძოდ, კომპანიების შესახებ 2006 წლის აქტის 629-ე მუხლი განსაზღვრავს, რომ წილები მიეკუთვნება ერთ კლასს, თუ მათ თანაბარი უფლებები აქვთ ყველა ასპექტით, მაშინ როცა კომპანიების შესახებ 2006 წლის აქტის 630-ე მუხლი ითვალისწინებს, რომ კლასის უფლების ცვლილება მხოლოდ წესდებით განსაზღვრული პროცედურით ან ამ კლასის წილების მფლობელი პარტნიორების უმრავლესობის თანხმობით არის დასაშვები. შესაბამისად, წილების კლასების შექმნის და რეგულირების სამართლებრივი საფუძველი ბრიტანულ სამართალში უკავშირდება კომპანიის შიდა დოკუმენტებში დადგენილ წესებს, რაც კომპანიას აძლევს საშუალებას, საჭიროებისამებრ ჩამოაყალიბოს დიფერენცირებული კაპიტალის სტრუქტურა.

აშშ-ის შპს-ებში წილთა კლასები, როგორც წესი, უნდა განისაზღვროს კომპანიის სადამფუძნებლო დოკუმენტში — ე.წ. ოპერაციულ შეთანხმებაში (*operating agreement*), სადაც დეტალურად უნდა იყოს განერილი წილთან დაკავშირებული სპეციალური უფლებები, პრივილეგიები ან შეზღუდვები.³⁹ ალტერნატიულად, დელავერში, შესაძლებელია ამ უფლებების დადგენა დირექტორის (ან პარტნიორების) მიერ, თუკი ოპერაციული შეთანხმება მათ ამის უფლებამოსილებას ანიჭებს.⁴⁰

შპს-ის წილის კლასები შეიძლება შემოღებული იყოს როგორც თავდაპირველად, დაფუძნების დროს, ისე დაფუძნების შემდეგ.

ოთხივე განხილულ იურისდიქციაში, წილთა კლასები შეიძლება შეიქმნას წესდებით, შპს-ის

დაფუძნებისას, რაც უზრუნველყოფს პარტნიორთა შორის განსხვავებული ეკონომიკური და მმართველობითი უფლებების დაწესებას კომპანიის ფუნქციონირების საწყის ეტაპიდანვე.

საქართველოში, თუ წილთა კლასები არ არის გათვალისწინებული შპს-ის წესდებაში დაფუძნების დროს, მათი შემდგომი შექმნა, როგორც წესი, მოითხოვს წესდების ცვლილებას, რომელიც მიიღება საერთო კრების მიერ კანონით ან წესდებით დადგენილი წესის შესაბამისად.⁴¹

გერმანიაში, ასეთი ცვლილება ვერ განიხილება მხოლოდ წესდების ტექნიკურ ცვლილებად, რადგან წილთა კლასების შემოღება პარტნიორთა შორის უფლებების დიფერენცირებას იწვევს. შესაბამისად, სავალდებულოა არა მხოლოდ წესდების ცვლილებისთვის საჭირო კვალიფიციური ხმების რაოდენობა, არამედ იმ პარტნიორთა ცალკეული თანხმობაც, რომელთა უფლებებზე შესაძლოა უარყოფითად აისახოს ეს ცვლილება.⁴² ეს მოთხოვნა გამომდინარეობს პარტნიორთა თანასწორუფლებიანობის პრინციპიდან (*Treu und Glauben*) და მიზნად ისახავს იმის უზრუნველყოფას, რომ ახალ კლასებზე მინიჭებული უპირატესობები არ არღვევდეს არსებული პარტნიორების ლეგიტიმურ მოლოდინებს.⁴³

საქართველოში, მოქმედი კანონი არ აწესებს სპეციალურ მოთხოვნებს წილთა კლასების შემდგომი შემოღებისას. წილთა კლასების შექმნა შესაძლებელია მხოლოდ წესდების ცვლილებით და ამ ცვლილების მისაღებად საკმარისია საერთო წესების დაცვა, თუკი კანონით ან წესდებით სხვა რამ არ არის განსაზღვრული.⁴⁴

თუმცა, წესდებაში შესაძლოა თავიდანვე ჩაიდოს მექანიზმი, რომელიც საშუალებას მისცემს კომპანიას მომავალში დაამატოს წილების კლასები, მათ შორის დაადგინოს, საჭიროებს

³⁹ RULLCA § 110(e); California Revised Uniform Limited Liability Company Act (Cal. Corp Code § 17704.01(e)); Delaware LLC Act § 18-302(f). შინაარსობრივად შეესაბამება კორპორაციებისთვის დადგენილ ნორმებს, როგორცაა DGCL § 151(a) და MBCA § 6.01(a).

⁴⁰ Delaware LLC Act § 18-301(b).

⁴¹ საქართველოს 2021 წლის 02 აგვისტოს „მენარმეთა შესახებ“ კანონის მე-7, მე-13 და 135-ე მუხლები.

⁴² GmbHG § 53.

⁴³ Ulmer/Habersack/Löbbecke, GmbHG Kommentar, 3. Aufl., §53 Rn. 51-54; BGH, Urteil vom 25. Januar 1982 – II ZR 204/80.

⁴⁴ საქართველოს 2021 წლის 02 აგვისტოს „მენარმეთა შესახებ“ კანონის 135-ე მუხლი.

თუ არა ეს პროცესი ცალკეული პარტნიორების თანხმობას.

მიუხედავად არსებული დუმილისა, მიზანშეწონილად მიგვაჩნია გერმანიის პრაქტიკის გაზიარება და ვფიქრობთ, რომ წილთა კლასების შემდგომი შექმნა საქართველოში უნდა განხორციელდეს იმ პარტნიორთა ცალკეული თანხმობით, რომლებზეც აღნიშნული ცვლილება არსებითად უარყოფითად იმოქმედებს, მათ შორის მათ უფლებრივ მდგომარეობასა და წილის ღირებულებაზე.⁴⁵

გაერთიანებულ სამეფოში, წილთა კლასების შემდგომი შექმნის სამართლებრივი საფუძველი არის კომპანიის წესდების ცვლილება ან ახალი წილების გამოშვება განსხვავებული პირობებით (*terms of issue*), რაც უნდა იყოს გამყარებული დირექტორთა გადაწყვეტილებით ან პარტნიორთა თანხმობით.⁴⁶ მიუხედავად იმისა, რომ კომპანიების შესახებ 2006 წლის აქტი პირდაპირ არ კრძალავს წილთა კლასების შემდგომ შემოღებას, ეს შეიძლება ჩაითვალოს კლასის უფლებების ცვლილებად, რაც არსებული კლასის მფლობელთა თანხმობას მოითხოვს.⁴⁷ შესაბამისად, მსგავსი ცვლილება ყოველთვის საჭიროებს ყურადღებით შეფასებას — წარმოადგენს თუ არა ის არსებით გადახრას არსებული კლასის უფლებებიდან და აუცილებელია თუ არა კლასის მფლობელთა თანხმობა.⁴⁸

აშშ-ში, კერძოდ დელავერის შპს-ს სამართალში, წილთა კლასების შემდგომი შემოღება შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ეს ნებადართულია ოპერაციული შეთანხმებით.⁴⁹ დელავერის შპს-ის აქტი ნათლად აყალიბებს, რომ კლასებისა და მათთან დაკავშირებული

უფლებების შემოღება შესაძლებელია ან ოპერაციულ შეთანხმებაში პირდაპირი ჩანაწერით, ან მენეჯერის (ან სხვა უფლებამოსილი პირის) გადაწყვეტილებით მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ასეთი დელეგირება თვით შეთანხმებით არის დაშვებული.⁵⁰ თუ ოპერაციული შეთანხმება არ ითვალისწინებს კლასების შემდგომი შექმნის მექანიზმს ან უფლებამოსილების გადაცემას, საჭირო გახდება პარტნიორთა ცალკეული თანხმობა, განსაკუთრებით მაშინ, თუ შემოთავაზებული კლასები არსებითად ცვლის მათ შორის უფლებრივ ბალანსს ან ამცირებს არსებული პარტნიორის გავლენას.⁵¹

წილების კლასების შემოღება ბუნებრივად აჩენს კითხვებს სამართლიანობისა და პარტნიორთა თანასწორობის დაცვის თაობაზე. მიუხედავად იმისა, რომ ოთხივე ქვეყნის კანონმდებლობით ნებადართულია შპს-ს წესდებაში უფლებათა დისბალანსის არსებობა, წილის კლასის სტრუქტურირების ზედმეტი თავისუფლება შეიძლება გახდეს მანიპულაციური ქმედებების საფუძველი. მაგალითად, ხმის არმქონე ან დაბალდივიდენდიანი წილების შექმნამ შეიძლება პრაქტიკულად გამორიცხოს მცირე პარტნიორები შპს-ის მართვაში მონაწილეობიდან.⁵² საზღვარგარეთის ქვეყნებში გავრცელებულია კენჭისყრის მაღალი ბარიერები ან სასამართლო ზედამხედველობა მაშინ, როცა წილის კლასის პირობების ცვლილება გავლენას ახდენს კონკრეტულ პარტნიორებზე.

2021 წლის კანონი პირდაპირ ადგენს თანასწორუფლებიანობას თანაბარ პირობებში მყოფ პარტნიორებს შორის.⁵³ ამ პრინციპიდან გადახ-

⁴⁵ მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს კანონმდებლობა არ ითვალისწინებს ცალკე თანხმობის აუცილებლობას, პარტნიორთა უფლებრივი მდგომარეობის არსებითი ცვლილება შეიძლება შეფასდეს კეთილსინდისიერების პრინციპის დარღვევად (საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-8 და 361-ე მუხლები); ასევე იხ. GmbHG § 53; BGH, Urteil vom 25. Januar 1982 – II ZR 204/80; Ulmer/Habersack, GmbHG, § 53 Rn. 51–54; შედარებისთვის ასევე იხ. Companies Act 2006, Section 630; R&R Capital, LLC v. Buck & Doe Run Valley Farms, LLC, Delaware Court of Chancery, WL 3846318 (2008).

⁴⁶ Companies Act 2006, Sections 617, 636.

⁴⁷ იქვე, მუხლი 630.

⁴⁸ იქვე.

⁴⁹ Delaware LLC Act § 18-301(b), § 18-302(f).

⁵⁰ იქვე; Manesh, Contractual Freedom Under Delaware Alternative Entity Law: Evidence from Publicly Traded LPs and LLCs, Journal of Corporation Law Vol. 37 No. 3, 555, 564–565.

⁵¹ R&R Capital, LLC v. Buck & Doe Run Valley Farms, LLC, Delaware Court of Chancery, WL 3846318 (2008).

⁵² Report of European Commission on the Functioning of Corporate Governance Frameworks, SWD (2021) 243.

⁵³ საქართველოს 2021 წლის 02 აგვისტოს „მენარმეთა შესახებ“ კანონის 34-ე მუხლის მე-2 პუნქტის 1-ლი წინადადება.

ვევა მხოლოდ მაშინაა კანონიერი, როცა ეს პირდაპირ დაშვებულია კანონით ან წესდებით და, ამავდროულად, სამეწარმეო საზოგადოების ინტერესებიდან გამომდინარე - აუცილებელია.⁵⁴ იგივეს განამტკიცებდა 1994 წლის კანონიც.⁵⁵

თანაბარ პირობებში მყოფ პარტნიორთა თანასწორობის პრინციპს განამტკიცებს ასევე ევროკავშირის სამართალიც. ევროკავშირის 2017/1132 დირექტივის თანახმად, წევრი სახელმწიფოების კანონმდებლობა უნდა უზრუნველყოფდეს ვინც თანაბარ მდგომარეობაში მყოფ ყველა პარტნიორის თანასწორ მოპყრობას.⁵⁶

გერმანულ შპს-ის სამართალში პარტნიორთა თანასწორობის პრინციპი პირდაპირ არ არის დარეგულირებული, თუმცა იგი გამოხატულია როგორც დოქტრინაში, ისე სასამართლო პრაქტიკაში და გამომდინარეობს სამართლიანი მოპყრობის და ერთგულების ზოგადი პრინციპებიდან (*Treuepflicht*).⁵⁷ ამ პრინციპის თანახმად, ერთსა და იმავე კლასის პარტნიორები თანასწორ პირობებში უნდა იყვნენ, თუ განსხვავება არ არის ობიექტურად დასაბუთებული.⁵⁸ GmbHG პირდაპირ არ კრძალავს წესდებით განსხვავებული პირობების დაწესებას პარტნიორთათვის, თუმცა მოითხოვს ნებისმიერი გადახვევა თანასწორობისგან გამჭვირვალე სამართლებრივ საფუძველს და არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს კეთილსინდისიერებისა და ერთგულების (*Treuepflicht*) მოთხოვნებს.⁵⁹ დოქტრინასა და პრაქტიკაში აღიარებულია, რომ იმ შემთხვევაშიც კი, როცა წესდებით დაშვებულია პარტნიორთა განსხვავებული პირობებით უზრუნველყოფა, ეს არ უნდა მოიცავდეს უმცირესობაში მყოფი პარტნიორების გარიყვას ან მათი კანონიერი მოლოდინების უგულებელყოფას.⁶⁰ გერმანული

სასამართლო პარტნიორთა შორის უთანასწორო მოპყრობას განიხილავს როგორც ერთგულების ვალდებულების შესაძლო დარღვევას, თუ იგი არ არის სათანადოდ დასაბუთებული და კეთილსინდისიერად განხორციელებული.⁶¹ შესაბამისად, თანასწორობის პრინციპი შპს-ში ფუნქციონირებს როგორც სამართლებრივი საზომი პარტნიორთა ინტერესების დაცვისათვის, განსაკუთრებით მაშინ, როცა კომპანიის შიდა სტრუქტურა კლასობრივად დიფერენცირებულია.

გაერთიანებული სამეფოს სამართალში პარტნიორთა თანაბარი მოპყრობის პრინციპი მიუხედავად იმისა, რომ არ არის ფორმალურად დაცემული, პრაქტიკაში გამოხატულია იმით, რომ ერთი და იმავე კლასის წილებს უნდა ჰქონდეთ იდენტური უფლებები. როგორც უკვე აღვნიშნეთ, კომპანიების შესახებ 2006 წლის აქტის მიხედვით, წილები მიიჩნევა ერთ კლასად მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მათ თანაბარი უფლებები გააჩნიათ ყველა ასპექტით,⁶² ხოლო ამ უფლებების შეცვლა დასაშვებია მხოლოდ იმ წილის კლასის მფლობელთა თანხმობით, რომელზეც ცვლილება ვრცელდება.⁶³ მართალია, კომპანიის დირექტორთა გადაწყვეტილებებს შესაძლოა განსხვავებული გავლენა ჰქონდეს ცალკეულ პარტნიორებზე, თუმცა დაუშვებელია ერთსა და იმავე კლასის წილების მფლობელთა განსხვავებული მოპყრობა, თუ იგი არ არის გამართლებული კომპანიის საუკეთესო ინტერესებით, ან დადასტურებული წესდებით ან აქციონერთა შეთანხმებით.

აღნიშნული მიდგომა გამყარებულია სასამართლო პრაქტიკითაც. საქმეში *Allen v. Gold Reefs of West Africa Ltd*, სასამართლომ დაადგინა, რომ აქციონერთა უფლებების ცვლილება

⁵⁴ საქართველოს 2021 წლის 02 აგვისტოს „მეწარმეთა შესახებ“ კანონის 34-ე მუხლის მე-2 პუნქტის მე-2 წინადადება.

⁵⁵ საქართველოს 1994 წლის 28 ოქტომბრის „მეწარმეთა შესახებ“ კანონის მე-3 მუხლის მე-9 პუნქტი.

⁵⁶ Article 85 of Directive (EU) 2017/1132 of the European Parliament and of the Council of 14 June 2017 relating to certain aspects of company law.

⁵⁷ შედ. GmbHG § 13, § 45(1).

⁵⁸ Baumbach/Hueck, GmbHG, Einleitung Rn. 48–49; § 45 Rn. 15.

⁵⁹ Roth/Altmeppen, GmbHG, 10th ed., 2022, § 13 და § 45-ის კომენტარები.

⁶⁰ Schäfer, C., Grundsätze des Gesellschaftsrechts, § 36, მარგ. 23–24 (ქართ. მიგრიაული, ორგანიზაციული სამართლის პრინციპები, თბილისი 2019).

⁶¹ OLG Düsseldorf, Urteil vom 24.03.2009 – I-6 U 180/07 (GmbHR 2009, 780).

⁶² Companies Act 2006, Section 629.

⁶³ იქვე, მუხლი 630.

მხოლოდ მაშინ არის დასაშვები, თუ იგი კეთილსინდისიერად და კომპანიის საერთო ინტერესების გათვალისწინებით განხორციელდება.⁶⁴

ასევე, საქმეში *Mutual Life Insurance Co. of New York v. Rank Organisation Ltd*, ხაზგასმით აღინიშნა, რომ აქციონერთა განსხვავებული მოპყრობა დასაშვებია მხოლოდ მაშინ, როცა არსებობს ობიექტური და გამართლებული საფუძველი.⁶⁵

აშშ-ს საკორპორაციო სამართალი პარტნიორთა თანასწორუფლებიანობას არ განიხილავს როგორც მკაცრად დაკანონებულ, უნივერსალურ პრინციპს, თუმცა პრაქტიკაში უზრუნველყოფს მას რიგი სამართლებრივი მექანიზმებით. ერთ-ერთ მთავარ გარანტიას წარმოადგენს დირექტორთა და მაკონტროლებელი წილის მქონე პარტნიორის ფიდუციური მოვალეობები, რაც მოიცავს კეთილსინდისიერების და თანაბარი მოპყრობის ვალდებულებას.⁶⁶ დირექტორთა საბჭოს აქვს დისკრეცია აქციების გამოშვებისა და მათი სტრუქტურირების საკითხში, რაც ითვლება სამენარმეო გადაწყვეტილებად (*business judgment*).⁶⁷ მაგალითად, მასაჩუსეტის უმაღლესმა სასამართლომ საქმეში *Donahue v. Rodd Electrotpe Co.* დაადგინა, რომ მხოლოდ ერთ, დომინანტ პარტნიორთან აქციების გამოსყიდვა, სხვა აქციონერებისათვის შეთავაზების გარეშე, არღვევდა ფიდუციარულ მოვალეობას.⁶⁸ თუმცა დელავერის პრაქტიკაში არსებულმა მიდგომამ უფრო მოქნილი სტანდარტი დაამკვიდრა – კეთილსინდისიერების ვალდებულება ყოველთვის არ მოითხოვს აქციონერთა იდენტურ მოპყრობას.⁶⁹ კერძოდ, აშშ-ს (დელავერის) სასამართლოს გადაწყვეტილება,

Nixon v. Blackwell, ეხება პარტნიორების თანაბარი შესაძლებლობების პრინციპს წილთა კლასებთან დაკავშირებით. სასამართლომ უარყო მოსაზრება, რომ ეს პრინციპი ზღუდავს სხვადასხვა კლასის წილების გამოშვებას. მან ხაზგასმით აღნიშნა, რომ სამართლიანობა სულაც არ გულისხმობს აბსოლუტურ თანასწორობას და რომ კომპანიის ხელმძღვანელობის განსხვავებული მოპყრობა სხვადასხვა კლასის პარტნიორების მიმართ შეესაბამება სამართლიანობის სტანდარტებს და კომპანიის პოლიტიკას.⁷⁰

MBCA ხელს უწყობს სტრუქტურულ თანასწორობას იმით, რომ ერთი და იმავე კლასის აქციებისთვის ითხოვს იდენტური უფლებების, პრივილეგიებისა და შეზღუდვების წინასწარ განსაზღვრას წესდებით.⁷¹ შესაბამისად, მიუხედავად იმისა, რომ ამერიკული სამართალი ზოგჯერ ცნობს პარტნიორთა განსხვავებულ მოპყრობას, ნებისმიერი გადახვევა თანასწორუფლებიანობიდან უნდა იყოს გამართლებული და ემსახურებოდეს ლეგიტიმურ სამენარმეო მიზნებს.⁷²

მიუხედავად იმისა, რომ აშშ-ის შპს-ების კანონმდებლობა არ ითხოვს იდენტური უფლებების არსებობას ერთი და იმავე კლასის წილებისთვის, როგორც ეს გათვალისწინებულია MBCA-ში, იგი მაინც ხელს უწყობს სტრუქტურულ სიკვანძესა და სამართლიან მოპყრობას. დელავერის შპს-ების შესახებ აქტისა და RULLCA-ს თანახმად, პარტნიორებს შორის განსხვავებული უფლებები შეიძლება დაწესდეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ისინი დეტალურადაა განსაზღვრული ოპერაციულ შეთანხმებაში.⁷³ იმ შემთხვევაში, როდესაც ასეთი გადახვევა არღვევს წევრთა ლეგიტიმურ მოლოდინებს

⁶⁴ *Allen v. Gold Reefs of West Africa Ltd*, Court of Appeal, 1 Ch 656 (1900).

⁶⁵ *Mutual Life Insurance Co. of New York v. Rank Organisation Ltd*, BCLC 11 (1985).

⁶⁶ *ჯუდელი*, კაპიტალის დაცვა სააქციო საზოგადოებაში, თბილისი 2010, 237-238. ასევე იხ. *Jedwab v. MGM Grand Hotels, Inc.*, Court of Chancery of Delaware, 509 A.2d 584 (1986).

⁶⁷ *ჯუდელი*, კაპიტალის დაცვა სააქციო საზოგადოებაში, თბილისი 2010, 237-238.

⁶⁸ *Donahue v. Rodd Electrotpe Co.*, Massachusetts Supreme Judicial Court, 1975, 328 N.E.2d 505.

⁶⁹ *Nixon v. Blackwell**, Delaware Supreme Court, 626 A.2d 1366 (1993).

⁷⁰ *ბაქაქური/გელტერი/ცერცვაძე/ჯუდელი*, საკორპორაციო სამართალი, სახელმძღვანელო იურისტებისთვის, თბილისი 2019, 119. ; *Cox/Hazen*, *Business Organizations Law*, United States 2020, 298.

⁷¹ MBCA § 6.01(a), § 10.04.

⁷² *ჯუდელი*, კაპიტალის დაცვა სააქციო საზოგადოებაში, თბილისი 2010, 237-238 ; *Jones v. H.F. Ahmanson & Co.**, California Supreme Court, 460 P.2d 464 (1969).

⁷³ Delaware LLC Act § 18-302(f); RULLCA § 110(e).

ან არ ემსახურება სამართლიან მიზნებს, შესაძლოა ის სასამართლოში იყოს გაბათილებული, მათ შორის კეთილსინდისიერებისა და სამართლიანი მოპყრობის პრინციპების ან, საჭიროების შემთხვევაში, ხელმძღვანელის ფიდუციური ვალდებულებების საფუძველზე.⁷⁴

სადამფუძნებლო შეთანხმებით ან წესდებით შესაძლებელია განისაზღვროს თითოეული წილის კლასისთვის მინიმალური შენატანი, ნომინალური ღირებულება, გადახდის პირობები ან დამატებითი ფინანსური ვალდებულებები.⁷⁵ ასეთი დიფერენცირება შპს-ს აძლევს საშუალებას, მორგებულად მართოს კაპიტალის სტრუქტურა და უზრუნველყოს პარტნიორთა შორის ეკონომიკური ფუნქციების დიფერენცირება.⁷⁶ სხვადასხვა სამართლებრივი სისტემები, მათ შორის ევროკავშირი, გერმანია, გაერთიანებული სამეფო და აშშ, ამ საკითხებს განსხვავებულად უდგებიან.

ევროკავშირის 2017/1132 დირექტივის თანახმად, წევრ სახელმწიფოებს შეუძლიათ დაუშვან წილთა კლასების შექმნა განსხვავებული ფინანსური პირობებით, მათ შორის განსხვავებული ნომინალური ღირებულებითა და შენატანის წესებით.⁷⁷ დირექტივა არ აწესებს ერთიან სტანდარტს, არამედ ავალდებულებს გამჭვირვალობის მინიმალური მოთხოვნების დაცვას.⁷⁸ კერძოდ, წესდებაში ან სხვა საჯარო დოკუმენტში უნდა იყოს მითითებული: (1) თითოეული კლასის წილის ნომინალური ღირებულება (თუკი ასეთი არსებობს); (2) ნომინალური ღირებულებ

ბის არმქონე წილების რაოდენობა; და (3) ის შეზღუდვები, რომლებიც ვრცელდება წილთა გადაცემაზე.⁷⁹

GmbHG § 5-ის თანახმად, თითოეულ წილს უნდა ჰქონდეს მინიმუმ 1 ევროს ნომინალური ღირებულება და ყველა წილის ნომინალური ღირებულება უნდა შეადგენდეს შპს-ის საწესდებო კაპიტალს.⁸⁰ ერთ კლასში შემავალ ყველა წილს უნდა ჰქონდეს თანაბარი ნომინალური ღირებულება, ხოლო განსხვავებული ღირებულების წილები, როგორც წესი, მიიჩნევა განსხვავებულ კლასებად.⁸¹ გარდა ამისა, GmbHG § 26 პარტნიორებს აძლევს შესაძლებლობას წესდებაში განსაზღვრონ დამატებითი შენატანის ვალდებულება (Nachschusspflicht), რომელიც შესაძლოა გავრცელდეს მხოლოდ კონკრეტულ წილთა კლასზე.⁸²

კომპანიების შესახებ 2006 წლის აქტი არ ადგენს სავალდებულო მოთხოვნას ნომინალურ ღირებულებაზე ყველა კლასისთვის, თუმცა პრაქტიკაში წილები ხშირად ითვალისწინებენ განსხვავებულ ნომინალურ ღირებულებას ან გადახდის პირობებს.⁸³ აქტის §§ 542–547 ავალდებულებს კომპანიებს გამოავლინონ თითოეული წილზე გადახდილი და გადასახდელი თანხები და წილზე პასუხისმგებლობის მოცულობა, რაც ფაქტობრივად ასახავს ნომინალურ ღირებულებას.⁸⁴ წილთა გამოშვების პირობებში (terms of issue) შეიძლება განერილი იყოს გადახდის ეტაპები და ვადები, ხოლო წესდება და აქციონერთა შეთანხმება ხშირად განსაზღვრავს

⁷⁴ იხ. Dieckman v. Regency GP LP, Delaware Supreme Court, 155 A.3d 358, 367–68 (2017). (სასამართლო განმარტავს, რომ შპს-ის დოკუმენტის ფორმალური მოთხოვნების შესრულების მიუხედავად, შეიძლება დარღვეული იყოს კეთილსინდისიერებისა და სამართლიანი მოპყრობის ცნებები).

ასევე იხ. Gatz Properties, LLC v. Auriga Capital Corp., Delaware Supreme Court, 59 A.3d 1206, 1218–19 (2012) (დელავერის უზენაესი სასამართლო აღიარებს ფიდუციური მოვალეობების არსებობას მენეჯერის მხრიდან პარტნიორების მიმართ);

ასევე იხ. Nemec v. Shrader, Delaware Supreme Court, 991 A.2d 1120, 1125–26 (2010). კეთილსინდისიერებისა და სამართლიანი მოპყრობის დარღვევა შეიძლება წარ-

მოიშვას მაშინაც კი, როდესაც მოქმედება ფორმალურად შეესაბამება ხელშეკრულებას, მაგრამ არღვევს მხარის ლეგიტიმურ მოლოდინებს).

⁷⁵ Schneeman, The Law of Corporations and Other Business Organizations, New York 2010, 133–136.

⁷⁶ იქვე.

⁷⁷ Article 45 of Directive (EU) 2017/1132 of the European Parliament and of the Council of 14 June 2017 relating to certain aspects of company law.

⁷⁸ იქვე, გარდამავალი დებულებები 4-6.

⁷⁹ იქვე, მუხლი 45(2)(b).

⁸⁰ GmbHG § 5(1)-(3).

⁸¹ Ulmer/Habersack, GmbHG-Kommentar, § 5 Rn. 34–36.

⁸² GmbHG § 26.

⁸³ Companies Act 2006, Sections 542–543.

⁸⁴ იქვე, მუხლები 544–547.

წილთა გადაცემასთან დაკავშირებულ შეზღუდვებს.⁸⁵

აშშ-ის სამართალში, როგორც კორპორაციაში, ისე შპს-ებში, ნომინალური ღირებულება სავალდებულო არ არის, თუმცა იგი ხშირად გამოიყენება როგორც კაპიტალის სტრუქტურისა და პასუხისმგებლობის დარეგულირების მექანიზმი.⁸⁶ DGCL-ის § 151(a)-ს მიხედვით, წილებს შეიძლება ჰქონდეთ როგორც ნომინალური, ისე ნომინალური ღირებულების არმქონე ფორმა, რაც განისაზღვრება წესდებით ან დირექტორთა საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებით.⁸⁷ რაც შეეხება შპს-ებს, დელავერის შპს-ების შესახებ აქტი არ ითხოვს ნომინალურ ღირებულებას, თუმცა ოპერაციული შეთანხმებით შეიძლება განსაზღვრული იყოს შენატანის ფორმა (ფულადი, არაფულადი, ან მომსახურება), დამატებითი ვალდებულებები და წილის გადაცემის შეზღუდვები, რაც ნომინალური ღირებულების ფუნქციას ფაქტობრივად ანაცვლებს.⁸⁸

ამდენად, ირკვევა, რომ ნომინალური ღირებულებისა და წილებთან დაკავშირებული ფინანსური ვალდებულებების რეგულირების მხრივ იურისდიქციებს შორის მნიშვნელოვანი განსხვავებაა. ევროკავშირის დირექტივა უზრუნველყოფს გამჭვირვალობის მინიმალურ ჩარჩოს, რომელიც ნევრ ქვეყნებს სთავაზობს მოქნილობის ფარგლებს. გერმანიის მოდელი მკაცრად უკავშირებს ნომინალურ ღირებულებასა და შენატანებს სანესდებო კაპიტალს და იცავს თანაბარი მოპყრობის პრინციპს. გაერთიანებული სამეფო ხელს უწყობს წილთა კლასების დიფერენცირებას პრაქტიკული მოქნილობის ფარგლებში, ხოლო აშშ-ში დელავერის პრაქტიკა ეფუძნება სახელშეკრულებო თავისუფლებას და ოპერაციული შეთანხმების შინაარსზე დამოკიდებულებას. საქართველოსთვის მიზანშეწონილია ამ განსხვავებული მიდგომების დაბალანსება — გამჭვირვალობის სტანდარტების გაზიარება ევროპული მოდელის მსგავსად და კა-

პიტალის სტრუქტურის სახელშეკრულებო დარეგულირების შესაძლებლობა, აშშ-ის გამოცდილებაზე დაფუძნებით.

III. წილთა კლასის უფლებები

კანონით განსაზღვრული პარტნიორთა უფლებები, როგორცაა დივიდენდისა და სალიკვიდაციო ამონაგების მიღების უფლება, ასევე, საერთო კრებაზე ხმის მიცემის უფლება, ენიჭება ყველა წილს თანაბრად, სხვადასხვა წილების ოდენობის პროპორციულად. თუმცა, შპს-ის წესდებამ შეიძლება გადაუხვიოს უფლებების კანონისმიერ განაწილებას და გარკვეულ პარტნიორებს მიანიჭოს წილების ოდენობასთან შედარებით არაპროპორციულად მეტი უფლება. წესდებით ასევე შეიძლება შექმნას ისეთი ტიპის უფლებები, რომელიც არ არის გათვალისწინებული კანონმდებლობით. ეს ძირითადად წილების კლასებად დაყოფით მიიღწევა.

პარტნიორის ქონებრივ უფლებებთან დაკავშირებით, წესდებამ შეიძლება, მაგალითად, უზრუნველყოს: გაზრდილი უფლებები შპს-ის მოგებაზე, როგორცაა მოგების პროცენტი, რომელიც აღემატება წილის პროპორციულს; მოგების ნაწილის მიღების უფლება, მანამ სანამ სხვა მოგება სხვა პარტნიორებზე განაწილდება; მინიმალური დივიდენდის უფლება, რომელიც გამოხატულია წილის ოდენობის გარკვეული პროცენტით; გაზრდილი უფლებები სალიკვიდაციო ამონაგებზე; უპირატესი შესყიდვის უფლებები სხვა პარტნიორების წილებთან მიმართებაში ან პირდაპირი უფლება („call option“) იყიდოს ასეთი წილები განსაზღვრული პირობებითა და კონკრეტულ გარემოებებში.⁸⁹

მართვის უფლებებთან დაკავშირებით, წესდებამ შეიძლება, უზრუნველყოს: ვეტოს უფლებები, როგორცაა ვეტოს უფლება პარტნიორთა გადაწყვეტილებების განსაზღვრულ კატეგორიასთან მიმართებაში; საერთო კრებაზე გაზრდი-

⁸⁵ *Davies/Worthington*, Gower's Principles of Modern Company Law, London 2016, 254-257.

⁸⁶ ALI Principles of Corporate Governance § 4.01(a).

⁸⁷ DGCL, § 151(a).

⁸⁸ Delaware LLC Act § 18-301(b), § 18-302(f); იხ. ასევე *R&R Capital, LLC v. Buck & Doe Run Valley Farms, LLC*, Delaware Court of Chancery, WL 3846318 (2008).

⁸⁹ *Rosengarten/Burmeister/Klein*, The German Limited Liability Company, Munchen 2020, 30.

ლი ხმის უფლება; ხელმძღვანელი ორგანოს (დირექტორის) დანიშვნის ან გათავისუფლების უფლება; უფლება დაინიშნოს დირექტორად; ხელმძღვანელი ორგანოსთვის (დირექტორისთვის) კონკრეტულ ან ყველა საკითხზე მითითებების მიცემის უფლება; ან ასეთის არსებობის შემთხვევაში, სამეთვალყურეო საბჭოს ერთი, რამდენიმე, ან ყველა წევრის დანიშვნის უფლება.⁹⁰

მიუხედავად იმისა, რომ შესაძლო უფლებების კომბინაციები თითქმის უსასრულოა, პრაქტიკაში ყველაზე გავრცელებულია წილების ორი კლასი: ჩვეულებრივი და პრივილეგირებული.

თუ საზოგადოების წესდება არ აწესრიგებს წილების კლასებთან დაკავშირებულ საკითხებს, იგულისხმება, რომ საზოგადოებამ უნდა გამოუშვას ჩვეულებრივი წილები.⁹¹ პრივილეგირებულ წილებს, როგორც წესი, დივიდენდის მიღებისა და საზოგადოების ლიკვიდაციის დროს ქონების განაწილების დროს აქვთ უფრო მაღალი პრიორიტეტი, ჩვეულებრივ წილებთან შედარებით.⁹² თუმცა, ამის საპირისპიროდ - აღნიშნულ წილებს, როგორც წესი, არ ენიჭებათ ხმის უფლება. პრივილეგირებული წილების შემთხვევაში გადასახდელი დივიდენდის ოდენობა (მოგების პროცენტი), ლიკვიდაციის დროს პრივილეგიის სახე და სხვა უფლებები უნდა განისაზღვროს წესდებით.⁹³ ამასთან, საერთო მოგების განაწილებაში თანაბრად „მონაწილეობის“ უფლება (ე.წ. მონაწილე პრივილეგირებული წილი).

იმის გამო, რომ პრივილეგირებულ წილებს, როგორც წესი, ხმის უფლება არ აქვთ, ჩვეულებრივი წილის მქონე პარტნიორებს შეეძლება თბრალად გამოიყენონ თავიანთი უფლებამოსილება - კანონის ფარგლებში - დივიდენდების განაწილების შესაფერხებლად. აღნიშნული პრობლემის გადაჭრა შესაძლებელია ორი გზით. პირველი მექანიზმია დივიდენდის განაწილების

აკუმულირება, რაც იმას ნიშნავს, რომ გადაუხდეელი დივიდენდები გროვდება. მეორე დაცვის მექანიზმია კონტროლის უფლებების გამოყენება ქონებრივი უფლებების დასაცავად, კერძოდ, წესდებაში შეიძლება განისაზღვროს დებულება, რომლითაც იმ შემთხვევაში, თუ მოგება დათქმულ დროში არ განაწილდა, პრივილეგირებული წილების მქონე პარტნიორებს წარმოევათ საერთო კრებაზე ხმის მიცემის უფლება დივიდენდის განაწილების საკითხის გადაწყვეტისას. კანონმდებლობით მინიჭებული მოქნილობის ხიბლი სწორედ მსგავსი დამცავი მექანიზმების შექმნის შესაძლებლობაშია.

2021 წლის კანონი დიდ თავისუფლებას უტოვებს პარტნიორებს, წესდებით შექმნან განსხვავებული კლასის წილები, რომლებიც უზრუნველყოფენ განსაკუთრებულ უფლებებსა და შეღავათებს. თუმცა, ვინაიდან საქართველოში ამ მიმართულებით არც პრაქტიკაა განვითარებული, და არც კანონმდებელი გვთავაზობს შპს-ში წილის კლასების ნიმუშებს, საინტერესოა საზღვარგარეთის ქვეყნების მაგალითების განხილვა.

1. წილთა კლასის უფლებები გერმანიაში

გერმანიის შპს-ის შესახებ კანონი პირდაპირ არ ითვალისწინებს შპს-ის მიერ განსხვავებული კლასის წილების გამოშვების შესაძლებლობას. თუმცა, როგორც მე-2 თავში აღვნიშნეთ, პრივილეგირებული უფლებები ან წილები და განსაკუთრებული პრივილეგიები შეიძლება წარმოიშვას წესდებით⁹⁴ შპს-ის დაფუძნების პროცესში ან დაფუძნების შემდეგ, შპს-ის წესდებაში შესაბამისი ცვლილების დადგენილი წესით განხორციელებით.⁹⁵

პრივილეგირებულ წილებად (*Vorzugsgeschäftsanteile*) იწოდება, როგორც წესი, ის წილები, რომლებიც ჩვეულებრივ წილებთან შედა-

⁹⁰ იქვე.

⁹¹ *Avilov/Black/Carreau/Kozyr/Nestor/Reynolds*, General Principles of Company Law for Transition Economies (English Version), Stanford Law School, Olin Law and Economics Working Paper No. 165; and Columbia Law School, Law and Economic Studies Working Paper No. 138, 190-293, 242. <https://doi.org/10.2139/ssrn.126539>.

⁹² იქვე.

⁹³ იქვე.

⁹⁴ Stenzel: Grundlagen von Managementbeteiligungen an AG und GmbH (Teil I)(DStR 2018, 82), 82.

⁹⁵ Noack/Servatius/Haas/Fastrich, 23. Aufl. 2022, GmbHG § 14 Rn. 18; Rosengarten/Burmeister/Klein, The German Limited Liability Company, München 2020, 117.

რებით მფლობელებს მეტი უფლებით უზრუნველყოფს — იქნება ეს ქონებრივი პრივილეგია თუ განსაკუთრებული თანმართვის უფლებები.⁹⁶ ქონებრივ პრივილეგიად განიხილება შემდეგი ტიპის უფლებები: პრივილეგია დივიდენდზე (წინასწარ განანილებული და/ან მომატებული დივიდენდი), პრივილეგია სალიკვიდაციო ამონაგების განანილებისას, რეზერვიდან თანხის ამოღების უფლება, წილების გაყიდვის ან კაპიტალის გაზრდისას უპირატესი შესყიდვის უფლება.⁹⁷ მართვაში მონაწილეობასთან დაკავშირებულ პრივილეგიად შეიძლება ჩაითვალოს: მრავალხმიანობის უფლება, ვეტოს უფლება პარტნიორთა გადაწყვეტილებებზე, განსაკუთრებული გადაწყვეტილებების მიღება კონკრეტულ საკითხებთან დაკავშირებით, კონკრეტული გადაწყვეტილებების მისაღებად წილის მფლობელთა თანხმობის საჭიროება და სხვ. აგრეთვე: უფლება — განამწესოს ერთ-ერთი ან რამდენიმე მმართველობის წევრი ან ზედამხედველობის/მრჩეველთა საბჭოს წევრი, რომელსაც ირჩევს პარტნიორთა კრება; ასევე უფლებები მმართველობაში ან ზედამხედველობაში წევრების დანიშვნასთან დაკავშირებით.⁹⁸ შესაბამის უფლებებს პრივილეგირებული უფლებები (*Vorzugsrechte*) ეწოდება.⁹⁹

შპს-ის წესდებით შესაძლებელია, რომ კონკრეტული წილები იყოს ხმის უფლების გარეშე. ხმის უფლების გარეშე წილთან შედარებით ნაკლები ხმის უფლებით წილის შექმნაც დასაშვებია (მაგალითად, ჩვეულებრივ წილებთან მიმართებით თითო 10.00 ევროს ნომინალურ ღირებულებაზე ენიჭება 10 ხმა, მაშინ როდესაც ასეთ

წილებზე იმავე ნომინალზე მხოლოდ 5 ხმა ენიჭება).¹⁰⁰

განსხვავებით სააქციო სამართლისგან, არ არის აუცილებელი, რომ ხმის უფლების არმქონე წილების მფლობელ პარტნიორებს მოგების განანილებაში უპირატესობა მიენიჭოთ.¹⁰¹

შესაძლებელია, რომ ცალკეულ წილებთან დაკავშირებული მოგების ან/და ლიკვიდაციის ამონაგების მიღების უფლება იყოს გამორიცხული. თუმცა დაუშვებელია წილებს არ ჰქონდეთ არცერთი აღნიშნული ქონებრივი უფლება და, ამავდროულად, არ მოიცავდნენ ხმის უფლებას, რადგან ეს ე.წ. *societas leonina*-ს¹⁰² გამოიწვევდა, რომელიც ეწინააღმდეგება თანასწორუფლებიანობის პრინციპის.¹⁰³

აშშ-ს ე.წ. სეგმენტური აქციების (*tracking stock*) მსგავს წილებს გერმანიაში სექტორული წილებს (*Spartengeschäftsanteile*) უწოდებენ.¹⁰⁴ მათი მფლობელი ჩართულია მხოლოდ კონკრეტული ბიზნეს-სეგმენტის ფარგლებში და მისი მოგების მიღების უფლება ვრცელდება მხოლოდ ამ სექციით მიღებულ შემოსავალზე.¹⁰⁵ ასეთი წილები განსაკუთრებით მიზანშეწონილია ერთობლივი საწარმოების (*joint ventures*) შემთხვევაში.¹⁰⁶ აქვე, გასათვალისწინებელია, რომ დივიდენდის განანილების მაქსიმალური ზღვარი ყოველთვის შპს-ის წმინდა მოგებაა და შესაბამისად, სეგმენტური წილისთვის განკუთვნილი მოგება შეიძლება იყოს ნაკლები, ვიდრე კონკრეტული სეგმენტის რეალური შემოსავალი, თუკი სხვა ბიზნეს-სეგმენტებმა ზარალი განიცადეს.¹⁰⁷

⁹⁶ *Ziemons/Hildegard/Jaeger/Pöschke*, BeckOK GmbHG, München 2021, 37; *Rosengarten/Burmeister/Klein*, The German Limited Liability Company, München 2020, 29-30.

⁹⁷ *Ziemons/Hildegard/Jaeger/Pöschke*, BeckOK GmbHG, München 2021, 38.

⁹⁸ *Ziemons/Hildegard/Jaeger/Pöschke*, BeckOK GmbHG, München 2021, 39.

⁹⁹ *Rosengarten/Burmeister/Klein*, The German Limited Liability Company, München 2020, 29-30.

¹⁰⁰ *Ziemons/Hildegard/Jaeger/Pöschke*, BeckOK GmbHG, München 2021, 42.

¹⁰¹ *Ziemons/Hildegard/Jaeger/Pöschke*, BeckOK GmbHG, München 2021, 43.

¹⁰² *societas leonina* - უსამართლო პარტნიორობა, რომლის ფარგლებში ერთ პარტნიორს მიენიჭება ყველა უფლება ან სარგებელი, ხოლო დანარჩენები გამორიცხულნი არიან მოგებასა და მართვაში მონაწილეობიდან; ასეთი სტრუქტურა ეწინააღმდეგება თანასწორუფლებიანობის პრინციპისა და სამართლებრივად დაუშვებლად ითვლება.

¹⁰³ *Ziemons/Hildegard/Jaeger/Pöschke*, BeckOK GmbHG, München 2021, 44.

¹⁰⁴ *Ziemons/Hildegard/Jaeger/Pöschke*, BeckOK GmbHG, München 2021, 45.

¹⁰⁵ *Ziemons/Hildegard/Jaeger/Pöschke*, BeckOK GmbHG, München 2021, 45.

¹⁰⁶ იქვე.

¹⁰⁷ იქვე, გვ. 46.

გერმანიაში წილის კლასებთან ერთად არსებობს ასევე განსაკუთრებული უფლების (*Sonderrecht*) ინსტიტუტი, თუმცა მისი ცალსახა განმარტება არ არსებობს. ცხადია მხოლოდ ის, რომ იგი წარმოადგენს წევრობის ფარგლებში განსაზღვრული უფლებების განსაკუთრებულ კატეგორიას.¹⁰⁸

განსხვავებით განსაკუთრებული უფლებები-სგან, ე.წ. განსაკუთრებული პრივილეგიები (*Sondervorteile*) იმ უფლებებს აღნიშნავს, რომლებიც კონკრეტულ პარტნიორს ენიჭება წესდებით, მაგრამ არ არის მიბმული კონკრეტულ წილთან¹⁰⁹ და შესაბამისად, არ გადადის სამართალმემკვიდრეზე და ავტომატურად ქრება, როცა წილის მფლობელი წყვეტს პარტნიორად ყოფნას. ამის მაგალითებად, გარდა ე.წ. დამფუძნებელთა განსაკუთრებული სარგებლისა, შეიძლება მოვიყვანოთ, მაგალითად, მმართველობის უფლება ან კონკრეტული საქმიანობიდან მოგების მიღების უფლება, გათვალისწინებული წესდებით, §30-ის მოთხოვნების დაცვით.¹¹⁰

განსაკუთრებულ პრივილეგიათა ფართო გაგებაში შედის, ასევე, დამფუძნებლისთვის დაწესებული კომპენსაციის ან ანაზღაურების მოთხოვნის უფლება, მაგალითად, დამფუძნებლის შრომის ან ხარჯების ანაზღაურება. ანალოგიურად §26-ის შესაბამისად, წესდებაში უნდა იყოს მითითებული, თუ ვინ და როგორ მიიღებს ასეთ ანაზღაურებას. ასევე, აუცილებელია, წესდებით მკაფიოდ განისაზღვროს ანაზღაურების მოცულობა და პირობები, წინააღმდეგ შემთხვევაში შეიძლება დადგეს პასუხისმგებლობა წესების დარღვევით დამტკიცებული ხარჯების გა-მო.¹¹¹

განსაკუთრებული პრივილეგიები არ ითვლება წილის ერთგვაროვნების განმსაზღვრელ ნიშნად და შესაბამისად არ წარმოადგენს წევრობის შემადგენელ ნაწილს.¹¹²

2. წილთა კლასის უფლებები გაერთიანებულ სამეფოში

გაერთიანებულ სამეფოში ხშირად კომპანიებს მხოლოდ ერთი კლასის წილები აქვთ, რომელთაც ჩვეულებრივ (*ordinary, equity*) წილებს უწოდებენ. თუმცა ასევე არის შემთხვევები, როცა შპს-ში ერთზე მეტი კლასის წილებია. კლასები ძირითადად განსხვავდებიან დივიდენდის მიღების, სალიკვიდაციო ამონაგების მიღების და ხმის უფლების მოცულობით.¹¹³

გაერთიანებულ სამეფოში ყველაზე გავრცელებულია წილების ჩვეულებრივი და პრივილეგირებული კლასები.¹¹⁴

ტერმინი "ჩვეულებრივი" გამოიყენება ისეთი წილების აღსანიშნავად, რომლებსაც განსაკუთრებული უფლებები მინიჭებული არ აქვთ. თუ კომპანია გამოუშვებს წილებს, რომლებსაც ერთგვაროვანი უფლებები აქვთ, ისინი ჩვეულებრივ წილად ითვლებიან. მაგრამ, თუ კომპანიის მიერ გაცემულ რომელიმე წილს მინიჭებული აქვს განსაკუთრებული უფლებები, მაშინ დანარჩენი წილები, რომლებსაც ეს განსაკუთრებული უფლებები არ აქვთ, ჩვეულებრივ წილებად დაკლასიფიცირდება.¹¹⁵ სხვა სიტყვებით, ჩვეულებრივი წილი არის წილის ნარჩენი კლასი (*residuary class*).¹¹⁶

ჩვეულებრივ წილს, როგორც წესი, აქვს ხმის მიცემის უფლება პარტნიორთა საერთო კრებაზე, იგი თანამონაწილეობს კომპანიის ლიკვიდაციისას დარჩენილი ქონების განაწილებაში და არ აქვს ფიქსირებული დივიდენდის განაკვეთი. ჩვეულებრივი წილების შემთხვევაში, თუ წესდებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული, ნებისმიერი გასანაწილებელი ნამატი (*surplus*) კომპანიის არსებობის ან ლიკვიდაციის დროს ითვლება თანაბრად გასანაწილებლად პარტნიო-

¹⁰⁸ იქვე, გვ. 47.

¹⁰⁹ Noack/Servatius/Haas/Fastrich, 23. Aufl. 2022, GmbHG § 14 Rn. 18.

¹¹⁰ Ziemons/Hildegard/Jaeger/Pöscke, BeckOK GmbHG, München 2021, 48.

¹¹¹ იქვე, გვ. 49.

¹¹² იქვე, გვ. 40; Noack/Servatius/Haas/Fastrich, 23. Aufl. 2022, GmbHG § 14 Rn. 18.

¹¹³ Goulding, Company Law, London 1999, 213.

¹¹⁴ იქვე.

¹¹⁵ იქვე.

¹¹⁶ Davies/Worthington, Gower's Principles of Modern Company Law, London 2016, para. 23-9.

რებს შორის მათი წილების ნომინალური ღირებულების პროპორციულად,¹¹⁷ და თითოეულ წევრს აქვს თანაბარი ხმის უფლება წილების პროპორციულად.¹¹⁸ ასეთ წილზე მფლობელობა საშუალებას აძლევს პარტნიორს, გავლენა მოახდინოს კომპანიის პოლიტიკაზე, თუმცა მისი ინვესტიცია უფრო სარისკოა, ვიდრე პრივილეგირებული წილის მფლობელისა.

პრივილეგირებული წილები ყველაზე ხშირად უზრუნველყოფენ დივიდენდის მოთხოვნის პრივილეგირებულ უფლებას. მაგალითად, ასეთი წილის მქონე პარტნიორს უფლება აქვს მიიღოს წილის პროპორციულ დივიდენდზე გარკვეული პროცენტით მეტი ოდენობის დივიდენდი.¹¹⁹ უნდა აღვნიშნოთ, რომ ამ შემთხვევაში, პარტნიორს აქვს უკვე განაწილებული დივიდენდის მოთხოვნის უფლება და არა დივიდენდის მიღების უფლება. პრივილეგირებული წილის მქონე პარტნიორს არ წარმოეშობა უფლება აიძულოს კომპანიის დირექტორი გაანაწილოს მოგება.¹²⁰ იმ შემთხვევაში, თუ მოგება არ გაანაწილდა მიმდინარე წელს, პრივილეგირებული წილის მქონე პარტნიორის დივიდენდის მოთხოვნის უფლება გადადის მომდევნო წელს და აკუმულირდება მანამ, სანამ კომპანია არ გაანაწილებს მოგებას.¹²¹ თუმცა კომპანიის წესდება შეიძლება შეიცავდეს განსხვავებულ რეგულაციას და კრძალავდეს დივიდენდის აკუმულირებას.¹²²

ასევე, ხშირია, როცა პრივილეგირებული წილი პარტნიორს ანიჭებს დამატებით ხმის უფლებას, ან კომპანიის ლიკვიდაციის დროს, სალიკვიდაციო ამონაგების მიღების პრივილეგირებულ უფლებას.¹²³

პრივილეგირებულ წილებთან დაკავშირებით, პრივილეგიები — იქნება ეს დივიდენდის, ლიკვიდაციის ან ხმის მიცემის უფლება — უნდა

იყოს პირდაპირ და ცალსახად მითითებული წესდებაში.¹²⁴ თუ უფლებები პირდაპირ არ არის განსაზღვრული, ისინი არ მიიჩნევა წარმოშობილად.¹²⁵ ამ წესიდან გამონაკლისია ის შემთხვევა, როდესაც სალიკვიდაციო ამონაგებზე პრივილეგია პირდაპირ არის განსაზღვრული წესდებით. ასეთ შემთხვევაში ივარაუდება, რომ იგივე პრივილეგია ვრცელდება ანალოგიურ ვითარებაზე, მაგალითად, კაპიტალის შემცირებაზე.¹²⁶ ასევე, თუ წესდებაში არსებობს პრივილეგირებული დივიდენდის შესახებ ჩანაწერი, სასამართლო სავარაუდოდ დაასკვნის, რომ ეს დივიდენდი კუმულაციურია იმ წლებში, როდესაც დივიდენდი არ გადახდილა.¹²⁷ იმ შემთხვევაში, თუ წესდებით დათქმულია, რომ პრივილეგირებული წილის მფლობელებს ხმის მიცემის უფლება მხოლოდ დივიდენდის დაგვიანებისას აქვთ, სავარაუდოდ ეს უფლება მაინც ამოქმედდება, თუნდაც იმ წლებში კომპანიის მიერ დივიდენდის გადაუხდელობა მოგების არქონით იყოს გამოწვეული.^{128, 129}

მიუხედავად იმისა, რომ უმეტეს შემთხვევაში კომპანიის წილები დაყოფილია პრივილეგირებულ ან ჩვეულებრივ კლასის წილებად, კომპანიას შეუძლია შექმნას სპეციალური მიზნებისთვის გათვლილი წილები. ამიტომაც გაერთიანებული სამეფოს პრაქტიკაში უამრავი ტიპის კლასებს ვხვდებით. ქვემოთ ჩამოვთვლით რამდენიმე მათგანს.

განსხვავებით პრივილეგირებული წილის კლასიკური მოდელისა, რომელიც ითვალისწინებს პარტნიორის უფლებას მიიღოს ფიქსირებული პრივილეგირებული დივიდენდი და სალიკვიდაციო ამონაგების ნაწილი, შპს-მ შეიძლება შემოიღოს ჰიბრიდული პრივილეგირებული წილი, რომელიც პარტნიორებს, ფიქსირებული

¹¹⁷ *Birch v Copper*, House of Lords, 14 AC 525 (1889).

¹¹⁸ *Cahn/Donald*, Comparative Company Law Text and Cases on the Laws Governing Corporations in Germany, the UK and the USA, New York 2010, 271.

¹¹⁹ *Bourne*, Bourne on Company Law, New York 2013, 52.

¹²⁰ იქვე; *Goulding*, Company Law, London 1999, 214.

¹²¹ იქვე.

¹²² *Bourne*, Bourne on Company Law, New York 2013, 52.

¹²³ იქვე.

¹²⁴ *Re London India Rubber Co.*, Lr 5 eq 519 (1869).

¹²⁵ *Scottish Insurance Corporation v. Wilson & Clyde Coal Co. Ltd*, House of Lords, aC 462 (HL) (1949).

¹²⁶ *Re Saltdean Estate Co. Ltd* [1968] 1 WLR 1844.

¹²⁷ *Bond v. Barrow Haematite Steel Co.*, 1 Ch 353, 362 (1902).

¹²⁸ *Re Bradford Investments plc*, BCC 740, 746 (1990).

¹²⁹ *Cahn/Donald*, Comparative Company Law Text and Cases on the Laws Governing Corporations in Germany, the UK and the USA, New York 2010, 271.

პრივილეგირებული დივიდენდის მიღების უფლებასთან ერთად, აძლევს დამატებით უფლებას, ჩვეულებრივი წილის მფლობელ პარტნიორებთან ერთად მონაწილეობა მიიღონ მოგების განაწილებაში, ხოლო შპს-ის ლიკვიდაციისას - მონაწილეობა მიიღონ დარჩენილი აქტივების განაწილებაში.¹³⁰ ასეთ წილებს, როგორც წესი, უწოდებენ მონაწილეობის უფლების მქონე პრივილეგირებულ წილებს (**participating preference shares**).¹³¹ ამგვარი მონაწილეობის უფლების მქონე პრივილეგირებული წილის კლასები აუცილებელია მკაფიოდ და ცალსახად იქნას განსაზღვრული შპს-ის წესდებაში ან პარტნიორთა შეთანხმებაში. წინააღმდეგ შემთხვევაში, პარტნიორი ვერ მოითხოვს ამ წილის კლასთან დაკავშირებული უფლებების განხორციელებას.¹³²

არსებობს ასევე გამოსყიდვადი პრივილეგირებული წილის (**redeemable preference share**) კლასი, რომელიც პრივილეგირებული წილების კლასისგან იმით განსხვავდება, რომ მათი გამოსყიდვა შესაძლებელია ან კონკრეტულ თარიღში ან კომპანიის გადაწყვეტილებით.¹³³ ასეთი წილები ვერ იქნება გამოსყიდული, თუ ისინი სრულად არ არის გადახდილი და გამოსყიდვის პირობებმა უნდა განსაზღვროს გადახდა გამოსყიდვის მომენტში.¹³⁴ კერძო კომპანიებს შეუძლიათ წილების გამოსყიდვა კაპიტალიდან,¹³⁵ მაშინ როდესაც საჯარო კომპანიებს წილის გამოსყიდვა შეუძლიათ მხოლოდ განაწილებადი მოგებიდან ან იმ ახალი წილების გამოშვებით მიღებული შემოსავლებიდან, რომელიც სპეციალურად განაღდების მიზნით მოხდა.¹³⁶ აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ მსგავს წილის კლასს ითვალისწინებს ევროკავშირის კანონმდებლობაც.¹³⁷

ასევე, გაერთიანებულ სამეფოში ხშირად გვხვდება კონვერტირებადი პრივილეგირებული

წილის კლასი (**convertible preference share**), რომელიც პარტნიორს ანიჭებს უფლებას, გარკვეული პირობების არსებობისას, პრივილეგირებული წილები გარდაქმნას ჩვეულებრივ წილებად.¹³⁸

გაერთიანებულ სამეფოს შპს-მ შეიძლება გამოუშვას გადავადებული ან დამფუძნებლის წილები (**Deferred or Founder's shares**). ისინი დივიდენდის (და ხანდახან სალიკვიდაციო ამონაგების) განაწილების რიგში ჩვეულებრივი წილების შემდგომ მეორე ადგილზე დგანან. თუმცა, წესისამებრ, ისინი დამატებით ითვალისწინებენ ხმის უფლებას.¹³⁹ დამფუძნებლის წილები მომდინარეობს წარსული პრაქტიკიდან, რომლის მიხედვითაც საზოგადოების დამფუძნებლები ინარჩუნებდნენ წილების გარკვეულ კლასს, რათა საზოგადოების მიერ დივიდენდების გადახდის უნარიანობა ინვესტორებისთვის სარწმუნო ყოფილიყო. შემდგომ პერიოდში, დამფუძნებელთა წილების მიმართ ჩამოყალიბდა ნეგატიური დამოკიდებულება, რადგან ისინი დამფუძნებლებს ხშირად მოგების მნიშვნელოვნად მაღალ წილს ანიჭებდნენ და, როგორც წესი, ასევე უზრუნველყოფდნენ პარტნიორებისთვის დამატებითი ხმის უფლებებს, რაც საშუალებას აძლევდა მათ შეენარჩუნებინათ კონტროლი საზოგადოებაზე. დღეისათვის გაერთიანებულ სამეფოში დამფუძნებლის წილები უკვე იშვიათ მოვლენას წარმოადგენს.¹⁴⁰

მმართველობითი წილები (**Management shares**) ძირითადად გაიცემა კომპანიის ხელმძღვანელებზე. მათ აქვთ პრივილეგირებული ხმის უფლება, რითაც, როგორც წესი, ხელმძღვანელ ორგანოს აქვს შესაძლებლობა დაძლიოს ჩვეულებრივი წილების მქონე პარტნიორთა ხმები.

¹³⁰ *Goulding, Company Law*, London 1999, 215.

¹³¹ *Davies/Worthington, Gower's Principles of Modern Company Law*, London 2016, para. 23-7.

¹³² *Lowry/Reisberg, Pettet's Company Law Company Law and Corporate Finance*, Essex 2012, 324.

¹³³ *Bourne, Bourne on Company Law*, New York 2013, 52.; *Dignam/Lowry/Riley, Company Law*, London 2016, 102.; *Companies Act 2006*, Section 684.

¹³⁴ *Companies Act 2006*, Section 689(1).

¹³⁵ იქვე, მუხლი 687(1).

¹³⁶ იქვე, მუხლი 687(2).

¹³⁷ *ჯუღელი, კაპიტალის დაცვა სააქციო საზოგადოებაში*, თბილისი 2010, 61; *Article 82 of Directive (EU) 2017/1132 of the European Parliament and of the Council of 14 June 2017 relating to certain aspects of company law*.

¹³⁸ *Lowry/Reisberg, Pettet's Company Law Company Law and Corporate Finance*, Essex 2012, 324.

¹³⁹ *Bourne, Bourne on Company Law*, New York 2013, 52.

¹⁴⁰ *Lowry/Reisberg, Pettet's Company Law Company Law and Corporate Finance*, Essex 2012, 324-325.

თანამშრომლებისთვის კომპანიისადმი მეტი ჩართულობის უზრუნველყოფის მიზნით, კომპანიებს შეუძლიათ გასცენ წილები მათ სახელზე (**Employee shares**). ასეთ წილებს ხშირად აქვთ გარკვეული საგადასახადო შეღავათები.¹⁴¹ ჩვეულებრივ, ისინი გაიცემა დასაქმებულთა წილობრივი სქემის (**employee share scheme**) ფარგლებში, რომელიც განსაზღვრულია როგორც სქემა, რომელიც ხელს უწყობს წილების ან ობლიგაციების ფლობას კომპანიის სახელით ან თანამშრომლების სარგებლობისთვის.¹⁴² ასეთი სქემის ბენეფიციარებად ითვლებიან: (ა) კომპანიის, მისი შვილობილი ან დამფუძნებელი კომპანიის კეთილსინდისიერი ამჟამინდელი ან ყოფილი თანამშრომლები, და (ბ) მათი მეუღლეები, რეგისტრირებული პარტნიორები, გარდაცვლილი მეუღლეების ან პარტნიორების მემკვიდრეები, ასევე მათი 18 წლამდე ასაკის შვილები ან გერები.¹⁴³

თავდაპირველად, ასეთი სქემები ხშირად გულისხმობდა სპეციალური კლასის წილების შექმნას, რომლებსაც ჰქონდათ ხმის მიცემისა და გასხვისების შეზღუდული უფლებები, გარდა უფროსი მენეჯმენტისთვის განკუთვნილი წილებისა, სადაც გამოიყენებოდა ჩვეულებრივი კლასის წილები. დღესდღეობით, გავრცელებული პრაქტიკაა ყველა დასაქმებულთა წილობრივი სქემისთვის ჩვეულებრივი წილების გამოყენება, რათა სქემამ დააკმაყოფილოს საგადასახადო შეღავათების მოთხოვნები.¹⁴⁴ შედეგად, თანამშრომელთა წილის სქემებისთვის ახალი წილობრივი კლასების შექმნა იშვიათად ხდება. დღესდღეობით სპეციალური დათქმები ძირითადად ეხება წილების გამოყოფას (**allotment**), დაფინანსებას და უკან გამოსყიდვას (**buy-back**), და არა ხმის უფლებებს — და ასეთ დათქმებს აქტი ხელს უწყობს საკუთარი წილების შესყიდვისა და კომპანიის მიერ თავისი წილის შესაძენად დაფინანსების უზრუნველყოფაზე შეზღუდვების შემსუბუქებას.¹⁴⁵

ამგვარი წილები, როგორც წესი, გაიცემა ჩვეულებრივი ან პრივილეგირებული წილების სახით და მათზე ხშირად ვრცელდება გადაცემასთან დაკავშირებული შეზღუდვები.¹⁴⁶

3. წილთა კლასის უფლებები აშშ-ში

აშშ-ის შპს-ის სამართალში წილებს (**membership or transferable interests**) შეიძლება მიენიჭოს პრაქტიკულად ნებისმიერი ტიპის უფლება — არ არსებობს იმპერატიული მოთხოვნები კონკრეტულ ხმის ან ლიკვიდაციის უფლებებზე, რაც სრულ სახელშეკრულებო მოქნილობას განაპირობებს. დელავერის შპს-ის შესახებ აქტისა და RULLCA-ს თანახმად, წევრებს შეიძლება განესაზღვროს განსხვავებული ეკონომიკური და მმართველობითი უფლებები, მათ შორის ხმის მიცემის, მოგებაზე წილის მიღების, ლიკვიდაციისას დარჩენილი ქონების მიღების ან სხვა სპეციფიური მექანიზმების გამოყენებით. ერთადერთი წინაპირობაა, ეს უფლებები მკაფიოდ იყოს განსაზღვრული ოპერაციულ შეთანხმებაში.¹⁴⁷ შესაბამისად, აშშ-ის შპს-ის სამართალი განსხვავდება კორპორაციული მოდელისგან იმით, რომ არ მოითხოვს მინიმუმ ერთი წილის არსებობას შეუზღუდავი ხმის ან ლიკვიდაციის უფლებით.

უფლებების ტიპი რომელიც შეიძლება მიენიჭოს აშშ-ში კორპორაციის აქციებს, ასევე, უსასრულოა. **MBCA** პირდაპირ მიუთითებს, რომ ამ აქტში აქციათა დასახელებების, პრივილეგიების, შეზღუდვებისა და შედარებითი უფლებების აღწერა ამომწურავი არ არის.¹⁴⁸ ერთადერთი იმპერატიული მოთხოვნა არის ის, რომ ყოველთვის უნდა არსებობდეს მინიმუმ ერთი წილი, რომელსაც ექნება შეუზღუდავი ხმის უფლება

¹⁴¹ *Dignam/Lowry/Riley*, Company Law, London 2016, 102.

¹⁴² იქვე.

¹⁴³ Companies Act 2006, Section 1166.

¹⁴⁴ *Davies/Worthington*, Gower's Principles of Modern Company Law, London 2016, para. 23-10.

¹⁴⁵ *Davies/Worthington*, Gower's Principles of Modern Company Law, London 2016, para. 23-10.

¹⁴⁶ *Dignam/Lowry/Riley*, Company Law, London 2016, 103.

¹⁴⁷ Delaware LLC Act § 18-302(f), § 18-215(b); იხ. ასევე RULLCA § 110(e)

¹⁴⁸ MBCA § 6.01(d).

და ლიკვიდაციის ამონაგების მიღების შეუზღუდავი უფლება.¹⁴⁹

აშშ-ის საკორპორაციო კანონმდებლობა გერმანიისა და გაერთიანებული სამეფოს კანონებთან შედარებით უფრო მოქნილია და კომპანიებს წილის კლასების შექმნისას უფრო დიდი თავისუფლება აქვთ.¹⁵⁰ აშშ-ის შპს-ებში უპირატესი შესყიდვის უფლება (pre-emptive right) მოქმედებს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ის პირდაპირაა გათვალისწინებული ოპერაციულ შეთანხმებაში. ვინაიდან ეს უფლება პარტნიორებს ავტომატურად არ ენიჭებათ, მის არსებობასა და მოცულობას განსაზღვრავს მხოლოდ შეთანხმება. ამასთან, კაპიტალის შენარჩუნებასთან დაკავშირებული რეგულაციები შპს-ის შემთხვევაში გაცილებით მოქნილია კორპორაციებთან შედარებით. კომპანიებს ეძლევათ თავისუფლება განსაზღვრონ, რა ფორმით შეიძლება განხორციელდეს შენატანი — იქნება ეს ფულადი, არაფულადი, მომსახურება თუ სხვა სახის წვლილი — წილების გაცემის, გაყიდვის ან გამოსყიდვისას.¹⁵¹ შესაბამისად, შპს-ის სტრუქტურა სრულად ეყრდნობა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებს და აძლევს მხარეებს ფართო დისკრეციას შიდა რეგულაციების განსაზღვრისას.¹⁵²

წილის კონკრეტულ კლასში უფლებების განსაზღვრის, შეცვლის ან გაერთიანების ფორმები კანონით შეზღუდილი არ არის — ეს საკითხები სრულად განისაზღვრება ოპერაციული შეთანხმებით. მაგალითად, შეიძლება არსებობდეს წილები, რომლებსაც დირექტორთა საბჭოს წევრების გარკვეული რაოდენობის არჩევის უფლება აქვთ.¹⁵³ ასევე, შესაძლებელია წილიდან გამომდინარე უფლებები დამოკიდებული იყოს გა-

რკვეულ პირობაზე, მაგალითად, თავად დირექტორთა საბჭოს გადანყვეტილებაზე.¹⁵⁴ წილები შეიძლება იყოს გამოსყიდვადი როგორც წილის მფლობელი პარტნიორის, ისე თავად კომპანიის მიერ ფულის, ქონების ან სხვა კომპანიის ფასიანი ქაღალდების სანაცვლოდ.¹⁵⁵ დელავერის შტატში კი ზოგიერთ წილს შეიძლება მიენიჭოს განსაკუთრებული უფლებები, როგორიცაა ხელმძღვანელი ორგანოს სტრუქტურის შეცვლა ან გადანყვეტილების მიღების ორგანოს შეცვლა, თუ ეს გათვალისწინებულია ოპერაციულ შეთანხმებაში.¹⁵⁶

ყველა განსაკუთრებული უფლება აუცილებლად უნდა იყოს მკაფიოდ განერილი კომპანიის დაფუძნების სერტიფიკატში ან დირექტორთა საბჭოს მიერ მიღებულ გადანყვეტილებაში. აშშ-ში არ მოქმედებს პრივილეგიებთან დაკავშირებული არცერთი უფლების (მაგალითად, დივიდენდის აკუმულირება ან მოგებაში მონაწილეობა) არსებობის პრეზუმფცია.¹⁵⁷ ერთადერთი გამონაკლისია ის შემთხვევა, როდესაც განერილი არ არის რომელ წილს აქვს ხმის უფლება. ასეთ შემთხვევაში, ყველა წილს ექნება თანაბარი ხმის უფლება, როგორც ეს კანონით არის გათვალისწინებული.¹⁵⁸ ამდენად, აშშ-ში წილის კლასების სამართლებრივი რეგულირება, როგორც წესი, უფრო სტრატეგიულ ხასიათს ატარებს და ფორმალურ-სავალდებულო შესაბამისობაზე ნაკლებად არის ორიენტირებული. მაგალითად, თუ პარტნიორს გააჩნია მაღალი დივიდენდის მიღების უფლება კუმულაციური პრივილეგირებული წილიდან, კომპანიამ შეიძლება სცადოს ამ წილების ღირებულების შემცირება გამოსყიდვის უფლების შენარჩუნებით — განსაკუთრებით მაშინ, როცა ბაზარზე იაფი დაფინანსება გაჩნდება.¹⁵⁹ ასევე, ნებაყოფლობითი

¹⁴⁹ Cahn/Donald, Comparative Company Law Text and Cases on the Laws Governing Corporations in Germany, the UK and the USA, New York 2010, 274.

¹⁵⁰ DGCL 102(b)(3); MBCA § 6.30.

¹⁵¹ Delaware LLC Act § 18-301(b); RULLCA § 401.

¹⁵² შედ. იხ. Cahn/Donald, Comparative Company Law Text and Cases on the Laws Governing Corporations in Germany, the UK and the USA, New York 2010, 274.

¹⁵³ Delaware LLC Act §18-302(f); RULLCA § 407, § 110(e).

¹⁵⁴ Delaware LLC Act §18-301(b), §18-215(b).

¹⁵⁵ იქვე.

¹⁵⁶ იქვე, §18-402, §§18-301(b) და 18-302(a)-თან კავშირში.

¹⁵⁷ Cahn/Donald, Comparative Company Law Text and Cases on the Laws Governing Corporations in Germany, the UK and the USA, New York 2010, 274.; Elliott Assoc. v. Avatex Corp., Supreme Court of Delaware, 1998, 715 A.2d 843.

¹⁵⁸ Cahn/Donald, Comparative Company Law Text and Cases on the Laws Governing Corporations in Germany, the UK and the USA, New York 2010, 274.

¹⁵⁹ იქვე, გვ. 275.

ლიკვიდაციის შემთხვევაში, კომპანიამ შეიძლება გამოიცილოს პრივილეგირებული წილების უფლება პრიორიტეტულ სალიკვიდაციო ამონაგებზე, რათა მოახდინოს რეორგანიზაცია და გააუქმოს პრივილეგირებული წილები.¹⁶⁰

ძირითადად, აშშ-ის შპს-ის სადამფუძნელო შეთანხმება ითვალისწინებს მხოლოდ ერთი კლასის წევრობას, ჩვეულებრივი წევრობა (common membership) ხმის უფლებით.¹⁶¹ მართალია აშშ-ის კორპორაციებში უფრო ხშირად გვხვდება განსხვავებული კლასის წევრობა (და შესაბამისად წილები), თუმცა აშშ-ს შპს-შიც შესაძლოა შემოღებულ იქნას წევრობის განსხვავებული კლასები.¹⁶²

აშშ-ის საკორპორაციო სამართალში ჩვეულებრივი წილი (common interest) წარმოადგენს კომპანიის კაპიტალში მონაწილეობის საბაზისო ფორმას. თუ წესდებაში სხვა რამ არ არის მითითებული, ჩვეულებრივი წილის მფლობელს აქვს ხმის მიცემის უფლება (როგორც წესი, ერთი ხმა ერთ წილზე), დივიდენდების პროპორციულად მიღების უფლება და ლიკვიდაციისას დარჩენილი აქტივების განაწილებაში მონაწილეობის უფლება. წესდებით შეიძლება ნებადართული იყოს ჩვეულებრივი წილის რამდენიმე სერია, სხვადასხვა ხმის უფლებებით — მაგალითად, ხმის მქონე და ხმის არმქონე წილები — რაც ხშირად გამოიყენება მართვის კონტროლის შესანარჩუნებლად ან ფინანსური დაინტერესების გამიჯვნის მიზნით. თუმცა, კლასის ერთი და იგივე სერიის ყველა წილს უნდა ჰქონდეს იდენტური უფლებები. ლიკვიდაციის შემთხვევაში, ჩვეულებრივი წილის მფლობელები აქტივებზე უფლებას მხოლოდ მას შემდეგ იღებენ, რაც დაკმაყოფილდება ვალები და პრივილეგირებული წილები.¹⁶³

აშშ-ის შპს-შიც შესაძლებელია შემოღებულ იქნას პრივილეგირებული კლასის წევრობა, რო-

მელიც გულისხმობს ხმის უფლებისგან განსხვავებულ უფლებებსა და პრივილეგიებს.¹⁶⁴ MBCA აღარ იყენებს ტერმინს „პრივილეგირებული აქცია“, თუმცა ის პირდაპირ მიუთითებს ისეთ მახასიათებლებზე, რომლებიც ძირითადად პრივილეგირებულ წილებს აქვთ.¹⁶⁵

პრივილეგირებული წილი (preferred membership interest) არის წევრობის კლასი, რომელიც ჩვეულებრივი კლასის წევრობის შემდეგ, მეორე ადგილზეა. მათ ხშირად მოიხსენიებენ როგორც „შეთანხმებით ფასიანი ქაღალდებს“ (compromise securities), რადგან ისინი იკავებენ შუალედურ პოზიციას ჩვეულებრივ წილებსა და საკრედიტო ვალდებულებებს (ობლიგაციებს) შორის.¹⁶⁶ სწორედ ამ შუალედურმა ხასიათმა განაპირობა ის, რომ ბევრი პრაქტიკოსი მათ უფრო მაღალი რისკის მატარებლად მიიჩნევს, ვიდრე ჩვეულებრივ წილს ან ობლიგაციას.

ხშირ შემთხვევაში, პრივილეგირებული წილი პარტნიორს არ ანიჭებს საერთო კრებაზე ხმის უფლებას და გულისხმობს ფულად უპირატესობას. აღნიშნული კლასის წილების პრაქტიკული მნიშვნელობა ნათელია - ჩვეულებრივი წილები ძირითადად განაწილებულია დამფუძნებელ პარტნიორებს შორის, ხოლო პრივილეგირებული წილები - ინვესტორებს ერგებათ შპს-ში ჩადებული ინვესტიციის სანაცვლოდ. პრივილეგირებული წილები შესაძლოა ასევე ითვალისწინებდეს დივიდენდისა და სალიკვიდაციო ამონაგების განაწილებაში პრიორიტეტულ მდგომარეობას.¹⁶⁷

პრივილეგირებული წილები შესაძლოა პარტნიორს ანიჭებდეს გაზრდილ ხმის უფლებას (supervoting preferred membership interest). აღნიშნული კლასის წილი პარტნიორს სხვა პარტ-

¹⁶⁰ იქვე.

¹⁶¹ Schneeman, The Law of Corporations and Other Business Organizations, New York 2010, 399.

¹⁶² Spadaccini, The Ultimate LLC Compliance Guide, United States 2011, 110.

¹⁶³ Schneeman, The Law of Corporations and Other Business Organizations, New York 2010, 399-400.

¹⁶⁴ Spadaccini, The Ultimate LLC Compliance Guide, United States 2011, 110.

¹⁶⁵ Schneeman, The Law of Corporations and Other Business Organizations, New York 2010, 399.

¹⁶⁶ Cox/Hazen, Business Organizations Law, United States 2020, 558.

¹⁶⁷ Spadaccini, The Ultimate LLC Compliance Guide, United States 2011, 110.

ნიორებთან შედარებით კენჭისყრაში უფრო მეტი ხმის უფლებას ანიჭებს.¹⁶⁸ მაგალითად, შპს-ის წესდება შესაძლოა აწესებდეს სრული ხმების 80%-ს პრივილეგირებული წილების მფლობელი პარტნიორებისთვის, ხოლო დარჩენილი 20%-ის ჩვეულებრივი წილების მფლობელი პარტნიორებისთვის განაწილებას. ამ გზით, დამფუძნებელს ეძლევა შესაძლებლობა შეინარჩუნოს შპს-ის მართვის უფლებები ინვესტიციების მოზიდვის პარალელურად.

აღნიშნულთან დაკავშირებით, ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრეცედენტი, რომელიც ადასტურებს, რომ ერთსა და იმავე წილობრივ კლასში შესაძლებელია ხმის უფლების განსხვავებული განაწილება, არის საქმე **Providence & Worcester Co. v. Baker**. აღნიშნულ საქმეში კომპანიის წესდებით გათვალისწინებული იყო, რომ ჩვეულებრივი წილის მფლობელს ჰქონდა თითო წილზე ერთი ხმის უფლება მხოლოდ პირველი 50 წილის ფარგლებში, ხოლო 50 წილის ზემოთ — ყოველ 20 წილზე ერთი ხმა. ასეთი სისტემა პრაქტიკულად ამცირებდა ხმის ძალას წილის რაოდენობის ზრდასთან ერთად და მიზნად ისახავდა მართვის კონცენტრაციის პრევენციას.¹⁶⁹ დელავერის სასამართლომ დაადგინა, რომ აღნიშნული სისტემა შეესაბამებოდა დელავერის კორპორაციების შესახებ აქტის §212(a)-ს, რომელიც ითვალისწინებს, რომ გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც კომპანიის წესდებით სხვა რამ არის განსაზღვრული, თითოეული წილი ითვლება ერთი ხმის მატარებლად. სასამართლოს განმარტებით, ეს ნორმა არა მხოლოდ აწესებს სტანდარტს, არამედ წესდებით მისგან გადახვევის საშუალებასაც იძლევა. სასამართლომ ხაზი გაუსვა, რომ კანონში არ არსებობს აკრძალვა მსგავსი შიდა შეზღუდვების მიმართ, და რომ მსგავსი აკრძალვა უნდა ყოფილიყო პირდაპირი ფორმულირებით ჩამოყალიბებული §212-ში, თუკი იგი მართლაც არსებობდა. ეს საქმე წარმოადგენს მტკიცებულებას იმისა, რომ აშშ-ში (განსაკუთრებით დელავერში) კომპანიებს შეუძლიათ

გამოიყენონ არათანაბარი ან ე.წ. “supervoting” ხმის სისტემები, რაც დაშვებულია იმ შემთხვევაში, თუ ეს დებულება პირდაპირ არის განსაზღვრული კომპანიის წესდებაში. მსგავსი სისტემები დღეს ფართოდ გამოიყენება, მათ შორის იმისთვის, რომ დარეგულირდეს ინვესტორთა გავლენა, დაცული იყოს დამფუძნებლების პოზიცია ან შეზღუდულ იქნეს მსხვილი ინსტიტუციური მფლობელების კონტროლი — ყოველივე ეს განსხვავებული წილობრივი კლასის შექმნის გარეშე.

ინვესტორს შეიძლება, ასევე, სურდეს ინვესტიციის განხორციელება შპს-ის კონკრეტულ სეგმენტში. ამ მიზნით, ზოგიერთი ქვეყანაში იქმნება განსაკუთრებული კლასის წილი - ე.წ. სეგმენტური წილი (Tracking stock). წილების “მეთვალყურეობა” (tracking) უზრუნველყოფს მის მფლობელებს კომპანიის კონკრეტულ ბიზნეს განყოფილებაში ჩადონ ინვესტიცია.¹⁷⁰ თუ ინვესტორი ასევე ინვესტიციას ახორციელებს კონკურენტ კომპანიებში, საზოგადოება შეიძლება ყოყმანობდეს მისთვის თანაბარი კონტროლის უფლებების მინიჭებას, რადგან ინვესტორმა შეიძლება ერთი კომპანიის ინტერესები შესწიროს მეორე კომპანიას. თუ შპს-ის თავდაპირველი დამფუძნებლები მიიღებენ ისეთი კლასის წილებს, რომლებიც საკმარისი ხარისხით უზრუნველყოფენ არაქონებრივ უფლებებს იმისათვის, რომ ინვესტორთან შედარებით შეინარჩუნონ კონტროლი შპს-ის მართვაზე ან მნიშვნელოვან ტრანზაქციებში, თავდაპირველი დამფუძნებლების ინტერესები დაცული იქნება. საკონტროლო უფლებების ანალოგიური გამოყენება იგულისხმება ე.წ. ოქროს წილებში (Golden Shares). ასეთი წილები ხშირად გამოიყენებოდა სახელმწიფო საკუთრებაში არსებული კომპანიების პრივატიზების დროს და ანიჭებენ განსაკუთრებულ საკონტროლო უფლებებს მთავრობას, როგორც პრივატიზაციის სტაბილიზაციის ფაქტორი.¹⁷¹ ამგვარად, კანონის ფარგლებში, წილებს მიმაგრებული სხვადასხვა უფლებები შეიძლება

¹⁶⁸ იქვე, გვ. 111.

¹⁶⁹ *Cox/Hazen, Business Organizations Law, United States* 2020, 387; *Providence & Worcester Co. v. Baker*, Supreme Court of Delaware, 378 A.2d 121 (1977).

¹⁷⁰ *Cahn/Donald, Comparative Company Law Text and Cases on the Laws Governing Corporations in Germany, the UK and the USA*, New York 2010, 266.

¹⁷¹ იქვე.

დაჯგუფდეს სხვადასხვა გზით კონკრეტული ინვესტორების საჭიროებების დასაკმაყოფილებლად.

ხშირად, როდესაც კომპანია პრივილეგიურ ბულ წილებს გამოუშვებს, ამ წილებს თან ახლავს პირობები, რომლებიც კომპანიას ან პრივილეგიურ ბულ წილის მფლობელს აძლევს გამოსყიდვის უფლებას მომავალი თარიღისთვის, იმ პირობებითა და ვადებით, რომლებიც განსაზღვრულია წილის სერტიფიკატში ან კომპანიასა და პრივილეგიურ ბულ წილის მფლობელს შორის დადებულ შეთანხმებაში. ქვემოთ მოყვანილია წესდების მაგალითური დებულება პრივილეგიურ ბულ წილების გამოსყიდვის შესახებ.¹⁷²

დირექტორთა საბჭომ ან დამფუძნებლებმა უნდა გაითვალისწინონ რამდენიმე ფაქტორი, როცა წყვეტენ, უნდა იქნას თუ არა პრივილეგიურ ბულ წილები ნებადართული კომპანიის წესდებაში. პრივილეგიურ ბულ წილები შეიძლება გამოყენებულ იქნას ისეთი ინვესტორების მოსაზიდად, რომლებიც დაინტერესებულნი არიან უფრო კონსერვატიული ტიპის ინვესტიციით, რომელიც უზრუნველყოფს სტაბილურ შემოსავალს ზრდის პოტენციალის ნაცვლად. სხვა მნიშვნელოვანი ფაქტორები, რომლებიც უნდა განიხილოს დირექტორთა საბჭომ ან დამფუძნებლებმა, მოიცავს პრივილეგიურ ბულ წილების გამოშვების ხარჯს, კაპიტალის რისკს და გადახდის ვალდებულებების მოქნილობას.¹⁷³

IV. წილთა კლასის უფლებების ცვლილება

ზემოთ როგორც აღინიშნა, წილთა კლასის უფლება წარმოადგენს უფლებათა ერთობლიობას, რომელიც წილთა კონკრეტულ კატეგორიას ეკუთვნის და ვრცელდება ამ კლასის ყველა მფლობელზე.¹⁷⁴ ეს უფლებები შეიძლება შეეხებოდეს როგორც ეკონომიკურ სარგებელს (მაგ. დივიდენდის უპირატესობას, სალიკვიდაციო ამონაგების პრიორიტეტს), ისე მმართველობით

პრივილეგიებს (ხმის უფლება, დირექტორის დანიშვნის უფლება) ან დამცავ უფლებებს.¹⁷⁵

კლასის უფლების ცვლილება გულისხმობს ცვლილებას იმ უფლებებში, რომლებიც წარსულში კონკრეტულ წილთა კლასს განესაზღვრა — იქნება ეს მათი შემცირება, გაუქმება, ან ახალი კონკურენტული უფლებების მინიჭება სხვა კლასისთვის.¹⁷⁶

2021 წლის კანონში კლასის უფლების ცვლილება პირდაპირ არ არის განსაზღვრული, თუმცა 135-ე მუხლის მე-4 პუნქტიდან ჩანს, რომ ცვლილებად ითვლება ნებისმიერი გადანყვეტილება, რომელიც “ეხება” კლასის უფლებებს, რაც ფართო ინტერპრეტაციის საშუალებას იძლევა.¹⁷⁷

მსგავსად საქართველოს კანონმდებლობისა, გაერთიანებულ სამეფოშიც კლასის უფლების ცვლილების (variation) მკაფიო განსაზღვრება არ არსებობს, რაც სასამართლო პრაქტიკის მნიშვნელობას ზრდის. სასამართლო პრაქტიკაში გამოიკვეთა მიდგომა, რომ უფლების არსის ცვლილება ითვლება კლასის უფლების ცვლილებად, უფლების გამოყენების შესაძლებლობის შელახვა კი არ ითვლება კლასის უფლების ცვლილებად. მაგალითად, ახალი წილების გამოშვება, რომელიც ასუსტებს ხმის ძალას, არ წარმოადგენს უფლებების ცვლილებას, თუ თვით უფლება უცვლელია.¹⁷⁸ ანალოგიურად, შემთხვევა, როდესაც კომპანია ამცირებს კაპიტალს და ამ პროცესის ფარგლებში აუქმებს კონკრეტულ წილებს (ან აქციებს), არ განიხილება როგორც კლასის უფლების ცვლილება, იმ შემთხვევაში, თუ ასეთი გაუქმება ხდება წილის (ან აქციის) პირობების შესაბამისად — მაგალითად, როცა წილი თავდაპირველად გაიცა გამოსყიდვის შესაძლებლობით ან ფიქსირებული ვადით. ასეთ შემთხვევაში, გაუქმება წარმოადგენს არა უფლების ცვლილებას, არამედ მათ მიერ წინასწარ განსაზღვრული პირობების შესრულებას.

¹⁷² Schneeman, The Law of Corporations and Other Business Organizations, New York 2010, 401.

¹⁷³ იქვე, გვ. 403.

¹⁷⁴ იხ. ქვეთავი 3.

¹⁷⁵ იხ. MBCA § 6.01; Companies Act 2006, Section 629.

¹⁷⁶ იხ. MBCA § 10.04; GmbHG § 53.

¹⁷⁷ საქართველოს 2021 წლის 02 აგვისტოს „მენარმეთა შესახებ“ კანონის 135-ე მუხლის მე-4 პუნქტი.

¹⁷⁸ Dignam/Lowry/Riley, Company Law, London 2016, 104; White v Bristol Aeroplane Co., Court of Appeal, Ch 65 (1953).

შესაბამისად, ცვლილებისადმი დაქვემდებარებული კლასის წილის მფლობელების თანხმობა არ არის საჭირო, რადგან წილის გაუქმება არ არღვევს მათ უფლებრივ პოზიციას, არამედ ასრულებს წილის პირობებში უკვე ჩადებულ ვალდებულებას.¹⁷⁹

თუმცა, პრაქტიკაში იქმნება შემთხვევები, როდესაც ცვლილება ფორმალურად არ ეხება კონკრეტულ უფლებას, მაგრამ მისი გავლენა იმდენად არსებითია, რომ პარტნიორისთვის მინიჭებულ შეთანხმებულ შესაძლებლობას ფაქტობრივად აუქმებს ან ამცირებს მნიშვნელოვნად. კერძოდ, თუ პარტნიორებს წინასწარ ჰქონდათ მიცემული დაპირება (წესდებით ან სხვა სამართლებრივი დოკუმენტით), რომ ისინი შეძლებდნენ მონაწილეობას გარკვეულ კაპიტალის რესტრუქტურისა და ბიზნეს სქემაში, მაგრამ შემდგომში შემოთავაზებული ცვლილება ამ შესაძლებლობას აუქმებს ან აჩერებს, დიდი ბრიტანეთის სასამართლო ამგვარ ქმედებას განიხილავს როგორც არასამართლიან ცვლილებას, თუნდაც ფორმალურად არ იყოს კლასობრივი უფლების პირდაპირი ცვლილება.¹⁸⁰ ასეთ შემთხვევაში, დიდი ბრიტანეთის სასამართლოები ემყარებიან სამართლიანობის პრინციპებს და პარტნიორთა ობიექტურად მოსალოდნელ მოლოდინებს, რაც იმას ნიშნავს, რომ თუ ცვლილება არღვევს იმ ლეგიტიმურ მოლოდინს, რომელიც პარტნიორს ჰქონდა მისი წილის ან პარტნიორთა შეთანხმების საფუძველზე, იგი შესაძლოა გაუქმდეს სასამართლოს მიერ.¹⁸¹

აღნიშნულ საკითხზე საინტერესო პარალელები გვხვდება აშშ-ის საკორპორაციო სამართალში, სადაც კლასის უფლების ცვლილების დეფინიცია და შეფასების სტანდარტები ასევე ეფუძნება პარტნიორთა დაცვის პრინციპებს.

აშშ-ში კორპორაციის აქციების კლასის უფლების ცვლილება (*variation*) ხორციელდება მაშინ, როდესაც ცვლილება უარყოფითად მოქმედებს კონკრეტული კლასისთვის მინიჭებულ

უფლებებზე. მაგალითად, საქმეში *Mallette v. Clearwater Real Estate* (1955), სასამართლომ დაადგინა, რომ უპირატესი დივიდენდის გაუქმება წარმოადგენს კლასის უფლების ცვლილებას და საჭიროებს შესაბამისი კლასის თანხმობას.¹⁸² შპს-ის შემთხვევაში, წილთა კლასის უფლების ცვლილების საკითხი განისაზღვრება ოპერაციული შეთანხმებით. თუმცა, თუ ოპერაციული შეთანხმება კლასის უფლების ცვლილების პროცედურაზე არაფერს განსაზღვრავს, სასამართლოები ასეთ ცვლილებას განიხილავენ როგორც შეთანხმებული პირობების არსებით გადახედვას, რომელიც ცვლილებისადმი დაქვემდებარებული კლასის წევრის თანხმობის გარეშე დაუშვებლად მიიჩნევა.¹⁸³

განსხვავებული, თუმცა თანაბრად დაცვისკენ მიმართული მიდგომა იკვეთება გერმანიის სამართალშიც, სადაც პარტნიორის უფლებრივი სტატუსის ცვლილება მკაცრ თანხმობაზე დამოკიდებულია.

გერმანიის სამართალში მოქმედებს პრინციპი, რომლის მიხედვითაც პარტნიორის უფლებრივი სტატუსის ცვლილება დაუშვებელია მისი თანხმობის გარეშე, გარდა იმ შემთხვევისა, როცა მსგავსი შესაძლებლობა პირდაპირ გათვალისწინებულია წესდებაში. სწორედ ამ პრინციპს ეყრდნობა კლასის უფლების ცვლილება. კერძოდ, GmbHG-ის 53-ე და 56-ე პარაგრაფები ითვალისწინებს, რომ შპს-ის წესდების ნებისმიერი ცვლილება, რომელიც ზეგავლენას ახდენს პარტნიორის სამართლებრივ მდგომარეობაზე ან განსაკუთრებულ (*Sonderrecht*) უფლებებზე, საჭიროებს უშუალოდ იმ პარტნიორის თანხმობას, ვისზეც გავლენას ახდენს ცვლილება.¹⁸⁴ ეს მიდგომა მიზნად ისახავს პარტნიორთა დაცვის მექანიზმის გაძლიერებას და უზრუნველყოფს, რომ მმართველობით ორგანოს ან პარტნიორთა

¹⁷⁹ იქვე, გვ. 105; ასევე იხ. *Re Saltdean Estate Co. Ltd*, 1 WLR 1844 (1968).

¹⁸⁰ იქვე, გვ. 104; ასევე იხ. *Re Old Silkstone Collieries Ltd*, Ch 169 (1954).

¹⁸¹ იქვე; ასევე იხ. *Re Old Silkstone Collieries Ltd*, Ch 169 (1954).

¹⁸² *Mallette v. Clearwater Real Estate*, 85 S.E.2d 892 (1955).

¹⁸³ *Fisk Ventures v. Segal*, Delaware Court of Chancery, WL 1961156 (2008).

¹⁸⁴ GmbHG §53, §56.

უმრავლესობას არ მიეცეს შესაძლებლობა, ცალმხრივად შეამციროს ან შელახოს სხვა პარტნიორის უფლებები.¹⁸⁵

გერმანიაში, თავის ერთ-ერთ საქმეში გერმანიის ფედერალურმა სასამართლომ დაადგინა, რომ წევრის ეკონომიკური ან მმართველობითი უფლების შემცირება კლასის უფლების ცვლილებად ითვლება და საჭიროებს უშუალო თანხმობას.¹⁸⁶

წილების კლასებიდან გამომდინარე უფლებების ცვლილების პროცედურას საქართველოში არეგულირებს 2021 წლის კანონის 126-ე და 135-ე მუხლი. მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული ნორმები პრაქტიკულად იდენტურია, 135-ე მუხლი დამატებით ეხება „ვალდებულების შესრულების პროცედურის ცვლილებას“, რაც კანონმდებლის ნებას ბუნდოვანს ხდის და ინტერპრეტაციის სირთულეს იწვევს. თუმცა ცალსახაა, რომ წილების კლასებიდან გამომდინარე უფლებების ცვლილება შპს-ის პარტნიორთა გადაწყვეტილებას მოითხოვს,¹⁸⁷ რომელიც ცვლილებისადმი დაქვემდებარებული კლასის განთავსებულ წილებთან დაკავშირებული ხმების საერთო რაოდენობის სულ მცირე 3/4-ის მფლობელთა თანხმობით მიიღება, თუ ერთხმად მიღებული სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.¹⁸⁸ ამდენად, შესაძლებელია, რომ შპს-ის წესდებით დადგინდეს წილთა კლასის უფლების ცვლილების განსხვავებული პროცედურა, თუმცა ასეთი წესი უნდა იქნეს მიღებული ყველა პარტნიორის თანხმობით, რაც უზრუნველყოფს ცვლილების ლეგიტიმურობის მაღალი სტანდარტის დაცვას. მოქმედი წესდების საფუძველზე განსხვავებული წესის გამოყენება დასაშვებია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ თავად ეს წესდება მიღებულია ერთხმად.

ევროკავშირის 2017/1132 დირექტივა არ ანებს წილთა კლასის უფლებების ცვლილების

ერთიან პროცედურულ სტანდარტს, თუმცა კაპიტალის არსებით ცვლილებებთან დაკავშირებით ის აყენებს გამჭვირვალობისა და გადაწყვეტილების მიღებაში წილის მფლობელთა მონაწილეობის მკაფიო მოთხოვნებს. ეს უზრუნველყოფს, ცვლილებების განხორციელება წინასწარი ინფორმირებულობისა და თანხმობის საფუძველზე, რაც მნიშვნელოვანია კლასის უფლებების დაცულობის კონტექსტში.¹⁸⁹

გერმანიაში, შპს-ის პარტნიორის უფლებების ცვლილება ან გაუქმება, განსაკუთრებით თუ ის ეხება მის ეკონომიკურ მონაწილეობას ან მმართველობით ფუნქციას, დაუშვებელია მისი თანხმობის გარეშე.¹⁹⁰ სამეწარმეო საზოგადოებათა სამართალში დამკვიდრებული პრინციპების მიხედვით, ასეთი ცვლილება არ შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ ხმების უმრავლესობის საფუძველზე, რაც მტკიცედ იცავს მცირე პარტნიორთა ინტერესებს ერთპიროვნული გადაწყვეტილებებისგან.¹⁹¹ პრივილეგირებული უფლების (Vorzugsrecht) გაუქმება მოითხოვს როგორც წესდების ცვლილებას, რომელიც მიიღება ხმების სამი მეოთხედით, ასევე, თავად პრივილეგირებული წილის მფლობელის თანხმობას. განსხვავებით ამისა, განსაკუთრებული პრივილეგიის (Sondervorteile) გაუქმება წესდების ცვლილებას არ საჭიროებს, რადგან ასეთი პრივილეგია წარმოადგენს პარტნიორის ინდივიდუალურ უფლებას კომპანიასთან მიმართებით და არ არის უშუალოდ წილთან დაკავშირებული. შესაბამისად, მისი გაუქმება შესაძლებელია მხოლოდ პარტნიორსა და საზოგადოებას შორის შეთანხმების საფუძველზე. ამავდროულად, წესდებით შეიძლება თავიდანვე იქნეს გათვალისწინებული, რომ პრივილეგირებული უფლება ან განსაკუთრებული პრივილეგია გაუქმდება პარტნიორთა გადაწყვეტილებით ან რომ საზოგადოება ან სხვა პარტნიორები შეძლებენ მის გამოსყიდვას. ასეთი პირობები ქმნის

¹⁸⁵ Ulmer/Habersack/Löbbe, GmbHG Kommentar, 3. Aufl., §53 Rn. 1–3; §56 Rn. 4–8; Lutter/Hommelhoff, GmbH-Handbuch, 19. Aufl., §10 Rn. 25.

¹⁸⁶ BGH II ZR 210/92.

¹⁸⁷ საქართველოს 2021 წლის 02 აგვისტოს „მეწარმეთა შესახებ“ კანონის 126-ე მუხლის 1-ლი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტი.

¹⁸⁸ იქვე, 126-ე მუხლის 1-ლი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტი.

¹⁸⁹ Articles 40-42 of Directive (EU) 2017/1132 of the European Parliament and of the Council of 14 June 2017 relating to certain aspects of company law.

¹⁹⁰ Ziemons/Hildegard/Jaeger/Pöschke, BeckOK GmbHG, München 2021, 41; Noack/Servatius/Haas/Fastrich, 23. Aufl. 2022, GmbHG § 14 Rn. 19.

¹⁹¹ GmbHG § 53.

მოქნილ მექანიზმს, რაც საზოგადოების შიდა მოწყობის დინამიკურ მართვას უწყობს ხელს.¹⁹²

ამასთან, გერმანიაში, უფლების სრულ ჩამორთმევას უკიდურეს ზომად მიიჩნევენ, მაშინ როცა მისი დროებითი შეჩერება რბილ ზომად ითვლება.¹⁹³

აქვე, საკამათოა, წარმოადგენს თუ არა განსაკუთრებული პრივილეგიის ჩამორთმევა წილის ჩამორთმევაზე (გარიცხვაზე) ნაკლებად მკაცრ ზომას. გამომდინარე იქიდან, რომ ასეთ უფლებას შეიძლება დიდი მნიშვნელობა ჰქონდეს პარტნიორისთვის, ეს საკითხი მხოლოდ კონკრეტული გარემოებების მიხედვით უნდა განიხილებოდეს. როგორც წესი, პარტნიორს უნდა მიეცეს უფლება თავად მიიღოს გადაწყვეტილება, დატოვოს თუ არა შპს მნიშვნელოვანი მიზეზით უფლებების ჩამორთმევის გამო.¹⁹⁴

გაერთიანებული სამეფოს სამართლებრივი ჩარჩოს თანახმად, წილის კლასის უფლების ცვლილება შესაძლებელია: (ა) წესდებაში განსაზღვრული წესით, ან (ბ) თუ წესდებაში დებულება არ არსებობს – მაშინ კლასის წილების ნომინალური ღირებულების მინიმუმ 75%-ის თანხმობით (წერილობით ან კლასის კრებაზე მიღებული სპეციალური რეზოლუციით).¹⁹⁵ თუ წესდება ითვალისწინებს უფრო მკაცრ წესს, მაშინ სწორედ ის მოქმედებს.¹⁹⁶ ასევე, წესდების ის ცვლილება, რომელიც შეეხება თვით ცვლილების პროცედურას, თავადვე ითვლება ცვლილებად.¹⁹⁷

აშშ-ის შპს-ებში პროცედურა განისაზღვრება ოპერაციული შეთანხმებით, ასეთის არ არსებობის შემთხვევაში კი აუცილებელია ცვლილებისადმი დაქვემდებარებული კლასის ერთსულოვანი თანხმობა, რაც დადგენილია **Fisk Ventures v. Segal** სასამართლო საქმით.¹⁹⁸ შედარებისთვის, **MBCA** ითვალისწინებს ცალკე კლასის მიერ

ცალკე კენჭისყრას ასეთ ცვლილებებზე.¹⁹⁹ ამა-სთან, **Rauch v. RCA Corp** საქმეში სასამართლომ კლასის უფლების ცვლილება არაკანონიერად მიიჩნია, რადგან კლასი არ იყო სათანადოდ ჩართული გადაწყვეტილების მიღების პროცესში.²⁰⁰

კლასის უფლებების ცვლილება თავისთავად ქმნის ძალაუფლების გადანაწილების რისკს პარტნიორებს შორის. სწორედ ამიტომ, საერთაშორისო პრაქტიკა აერთიანებს სხვადასხვა სამართლებრივ მექანიზმს, რომელიც მიზნად ისახავს ცვლილებისადმი დაქვემდებარებული კლასის ან მცირე პარტნიორთა დაცვის უზრუნველყოფას იმ შემთხვევებში, როცა ცვლილება ხდება თანხმობის გარეშე ან არათანხმობის პირობებში.

საქართველოში, იმ პარტნიორს, რომლის თანხმობის გარეშე განხორციელდა წილის კლასის უფლების ცვლილება, აქვს უფლება გადაწყვეტილება გაასაჩივროს სასამართლოში, როგორც პროცედურის დარღვევა. მიუხედავად ამისა, სასამართლო პრაქტიკა ამ მიმართულებით საკმაოდ მწირია, რაც ზღუდავს სამართლებრივი დაცვის ეფექტურობას პრაქტიკულ დონეზე.

ევროკავშირში, მცირე პარტნიორთა დაცვის რეგულირება მთლიანად დამოკიდებულია წევრი სახელმწიფოების შიდა კანონმდებლობაზე. თუმცა, **2017/1132** დირექტივა ავალდებულებს წევრ ქვეყნებს, უზრუნველყონ გამჭვირვალობა, წინასწარი ინფორმირება და თანხმობის პრინციპი სტრუქტურული ცვლილებების დროს, რაც არაპირდაპირ აყალიბებს მინიმალურ სტანდარტებს წილის კლასის უფლების ცვლილების პროცესში პარტნიორთა დასაცავად.²⁰¹

გერმანიაში, მცირე პარტნიორთა დაცვის სისტემა ეფუძნება უშუალო თანხმობის მოთხოვნას — ცვლილებისადმი დაქვემდებარებული კლასის წევრის თანხმობის გარეშე უფლებების

¹⁹² *Rosengarten/Burmeister/Klein*, The German Limited Liability Company, Munchen 2020, 118.

¹⁹³ *Noack/Servatius/Haas/Fastrich*, 23. Aufl. 2022, GmbHG § 14 Rn. 19.

¹⁹⁴ იქვე.

¹⁹⁵ *Dignam/Lowry/Riley*, Company Law, London 2016, 105-106; Companies Act 2006, Section 630.

¹⁹⁶ იქვე, გვ. 106; იქვე, მუხლი 630 (3).

¹⁹⁷ *Goulding*, Company Law, London 1999, 215.

¹⁹⁸ *Fisk Ventures v. Segal*, Delaware Court of Chancery, WL 1961156 (2008).

¹⁹⁹ *MBCA* §10.04.

²⁰⁰ *Rauch v. RCA Corp.*, US Court of Appeals for the Second Circuit, 861 F.2d 29 (1988).

²⁰¹ ევროპარლამენტისა და საბჭოს (EU) 2017/1132 დირექტივა, განსაკუთრებით ის მუხლები, რომლებიც ეხება კაპიტალის რესტრუქტურისა.

შეცვლა დაუშვებელია. გარდა ამისა, პარტნიორს შეუძლია სასამართლოს მიმართოს კლასის უფლების ცვლილების გაუქმების მოთხოვნით. დაცვის დამატებითი მექანიზმს წარმოადგენს დაცული ქონების უფლება. გერმანიის კონსტიტუციის (*Grundgesetz*) თანახმად, იკრძალება წევრის სამართლებრივი პოზიციის არსებითი დაზიანება მისი თანხმობის გარეშე.²⁰²

გაერთიანებული სამეფოს სამართალში, პარტნიორთა დაცვის მექანიზმი მკაფიოდ არის ჩამოყალიბებული. ცვლილებისადმი დაქვემდებარებული კლასის წევრებს, რომლებიც ფლობენ ამ კლასის წილების არანაკლებ 15%-ს, აქვთ უფლება კლასის უფლების ცვლილება გაასაჩივრონ სასამართლოში. კომპანიების 2006 წლის აქტის შესაბამისად, სასამართლო უფლებამოსილია გააუქმოს კლასის უფლების ცვლილება, თუ ის მიიჩნევა, რომ ცვლილება იყო უსამართლო ან არათანაბარ პირობებში განხორციელებული.²⁰³ ეს მექანიზმი წარმატებით გამოყენებული იყო *Cumbrian Newspapers* საქმეში, სადაც სასამართლომ მიიჩნია, რომ კონკრეტული უფლების გაუქმება საჭიროებდა ცვლილებისადმი დაქვემდებარებული კლასის თანხმობას.²⁰⁴

აშშ-ის შპს-ის შემთხვევაში, პარტნიორთა დაცვის მექანიზმები ძირითადად ეფუძნება ოპერაციულ შეთანხმებას. თუმცა, სამართლებრივ პრაქტიკაში არსებობს დადგენილება, რომ შეთანხმების არარსებობის ან ხარვეზის პირობებში, სასამართლოები ითვალისწინებენ სამართლებრივი სამართლიანობის პრინციპს. მაგალითად, *Elf Atochem v. Jaffari* საქმეში, მიუხედავად სასამართლოს მხრიდან კონტრაქტული თავისუფლების დაცვისადმი ლოიალობისა, დადგინდა, რომ კლასის უფლების ცვლილება არ შეიძლება განხორციელდეს უსამართლოდ ან მტკიცე სამართლებრივი საფუძვლის გარეშე.²⁰⁵

აშშ-ის კორპორაციის შემთხვევაში, ცვლილებისადმი დაქვემდებარებული კლასის პარტნიორებს აქვთ საშუალება კლასის უფლების ცვლილება გაასაჩივრონ ფიდუციური ვალდებულებების დარღვევ, ან სხვა სპეციალური სამართლებრივი მექანიზმების გამოყენებით. მაგალითად, *Rauch v. RCA Corp.* საქმეში სასამართლომ კლასის უფლების ცვლილება მიიჩნია უკანონოდ, რადგან გადანყვეტილება მიღებულ იქნა ცვლილებისადმი დაქვემდებარებული კლასის წინასწარი თანხმობის გარეშე.²⁰⁶

დასკვნის სახით, წილთა კლასის უფლებების ცვლილების რეგულირებისას განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს არა მხოლოდ ფორმალურ თანხმობას, არამედ პარტნიორთა მოლოდინების, შეთანხმების პირობებისა და სამართლიანობის პრინციპების დაცვას. განსხვავებული სამართლებრივი ჩარჩოების ანალიზი აჩვენებს, რომ ყველა იურისდიქცია ცდილობს, ერთის მხრივ, უზრუნველყოს კორპორატიული მოქნილობა, ხოლო მეორეს მხრივ, დაიცვას იმ პარტნიორთა უფლებრივი მდგომარეობა, რომელთა წილებს შეეხება ცვლილება.

V. საკანონმდებლო ხარვეზების ანალიზი და რეკომენდაციები

2021 წლის კანონში შპს-ის წილის კლასის შესახებ დისპოზიციური ნორმის შემოღების შემდეგ, პრაქტიკამ გამოავლინა რეგულირების ხარვეზები და იმპლემენტაციაში არსებული შეუსაბამობები. ეს, უპირველეს ყოვლისა, ეხება შპს-ის რეგისტრაციის პროცესს, სტანდარტული წესდების გამოყენებას, საკანონმდებლო დებულებების ინტერპრეტაციას და ოფიციალური მითითებების ნაკლებობას. ამ ყველაფერმა კი შესაძლოა ხელი შეუშალოს რეფორმის მიზნების პრაქტიკულ განხორციელებას.

2021 წლის კანონის იმპლემენტაციის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი პრობლემა აღმოჩნდა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს (სამეწარმეო რეესტრი) სისტემებისა და პროცე-

²⁰² BGH II ZR 210/92; Grundgesetz, Art. 14.

²⁰³ Companies Act 2006, Section 633; ასევე იხ. *Cumbrian Newspapers Group Ltd v Cumberland & Westmorland Herald Newspaper & Printing Co Ltd*, High Court, BCLC 286 (1986); *Dignam/Lowry/Riley*, Company Law, London 2016, 106.

²⁰⁴ იქვე.

²⁰⁵ *Elf Atochem North America, Inc. v. Jaffari*, Supreme Court of Delaware, 727 A.2d 286 (1999).

²⁰⁶ *Rauch v. RCA Corp.*, US Court of Appeals for the Second Circuit, 861 F.2d 29 (1988).

დურების ადაპტაცია ახალ საკანონმდებლო ბაზასთან. წინა რეჟიმის პირობებში, შპს-ის საკუთრების სტრუქტურა სამეწარმეო რეესტრის ამონაწერში აისახა მარტივი ტერმინებით - პარტნიორების ჩამონათვალი და მათი შესაბამისი პროცენტული წილები სანესდებო კაპიტალში.

2021 წლის კანონი ახლა იძლევა შპს-ის წილის საკუთრების უფრო კომპლექსური სტრუქტურით ჩამოყალიბების შესაძლებლობას, მათ შორის, შპს-ის წილების სხვადასხვა კლასად დაყოფას, ნებადართული წილების ოდენობის განსაზღვრას, ასევე, წილების შექმნას ნომინალური ღირებულებით ან მის გარეშე. თუმცა, სამეწარმეო რეესტრის ფორმები და ციფრული ხელსაწყოები სათანადოდ არ განახლებულა, რაც პრაქტიკაში ზღუდავს დამფუძნებელთა უფლებას თავიანთი შეხედულებისამებრ ჩამოაყალიბონ შპს-ის წილების სტრუქტურა. პრაქტიკოსებმა დააფიქსირეს შემთხვევები, როდესაც სამეწარმეო რეესტრის თანამშრომლები შეცდომით ეპყრობოდნენ ნებადართულ წილებს ისე, თითქოს ისინი უკვე გამოშვებული იყო, ან სარეგისტრაციოდ არ მიიღეს წესდება, რომელშიც მითითებულია განთავსებული კაპიტალი, იმის საფუძველზე, რომ სამეწარმეო რეესტრს არ შეეძლო ასეთი ცნებების დამუშავება ძველი სისტემის მიხედვით. ამან გამოიწვია დაგვიანებული ან არათანმიმდევრული რეგისტრაცია, განსაკუთრებით ისეთ შემთხვევებში, როდესაც შპს-ის წესდება კანონისგან განსხვავებულ კაპიტალის სტრუქტურებს ან წილში შემავალ უფლებებს აწესებდა.

2021 წლის კანონის იმპლემენტაციისას გამოიკვეთა იუსტიციის სამინისტროს მიერ დამტკიცებული სტანდარტული წესდების შაბლონურად გამოყენების პრობლემა. სტანდარტული წესდება ხშირად გამოიყენება მცირე და საშუალო ზომის მეწარმეების მიერ მისი სიმარტივის გამო, მაგრამ ის არ შეიცავს დებულებებს შპს-ის წილების განსხვავებულ კლასებთან მიმართებაში. გარდა აღნიშნულისა, გამოიკვეთა გარკვეული ბუნდოვანება თავად კანონის ფორმულირებაში. ერთ-ერთი თვალსაჩინო მაგალითია მუხლი 135.4, რომელიც, როგორც ჩანს, საშუალებას აძლევს პარტნიორთა უმრავლესობას

დაანესოს დამატებითი ვალდებულებები წილების კლასზე. ეს დებულება პოტენციურად ეწინააღმდეგება უფრო ფართო პრინციპს, რომელიც შეესაბამება საერთაშორისო პრაქტიკას, რომ კლასობრივი უფლებების ნებისმიერი ცვლილება მოითხოვს იმ კლასის წილების მქონე პარტნიორების თანხმობას, რომლებზეც ნებატიურ გავლენას ახდენს აღნიშნული ცვლილება. ნორმის დაზუსტებისა და შესწორებების გარეშე, სუსტდება უმცირესობის უფლებების დაცვა და ინვესტს დავას წილის კლასში შემავალი უფლებების აღსრულების თაობაზე.

კიდევ ერთი უზუსტობა ეხება ახალ მოთხოვნას, რომ სამეწარმეო რეესტრში გამოქვეყნდეს შპს-ის გარკვეული გადანყვეტილებები და ინფორმაცია. მიუხედავად იმისა, რომ ეს დებულება მიზნად ისახავს გამჭვირვალობის გაზრდას, გაურკვეველია, უნდა იყოს თუ არა საჯაროდ გამჟღავნებული წილების ახალი კლასის შექმნა და თუ ასეა, რამდენად საჭიროა დეტალური ინფორმაციის გასაჯაროება. ამასთან დაკავშირებით სიცხადის ნაკლებობა ინვესტს ამ მოთხოვნის აღსრულებასთან დაკავშირებულ კითხვებსა და, ასევე, კონფიდენციალურობასთან დაკავშირებულ სირთულეებს. ძირითადად, ინვესტორები ამჯობინებენ კონკრეტულ ინვესტიციებთან დაკავშირებული საკითხები კონფიდენციალური დარჩეს. ამის გამო შესაძლოა შეფერხდეს ინვესტიციების მოზიდვის პროცესი და ხელი შეეშალოს კანონის მთავარი მიზნის განხორციელებას.

ოფიციალური ახსნა-განმარტებითი ინსტრუქციების და სტანდარტულ წესდებაში შპს-ის წილის კლასების შესახებ დებულებების ნიმუშების არარსებობის გამო, პრაქტიკოსები და შპს-ები მიმართავენ საზღვარგარეთის ქვეყნებში შემუშავებულ ნიმუშებს. მაგალითად, გაერთიანებულ სამეფოში, სადამფუძნებლო შეთანხმების ნიმუში (*model articles of association*) ხშირად შეიცავს დეტალურ დებულებებს ჩვეულებრივი და პრივილეგირებული წილების, დივიდენდების პრიორიტეტების, ხმის მიცემის უფლებისა და კლასის უფლებების ცვლილების შესახებ. აშშ-ს შპს-ის ოპერაციული შეთანხმებები ხშირად იყენებენ მრავალკლასიან სტრუქტურებს ეკონომი-

კური და ხმის მიცემის ინტერესების დიფერენცირების მიზნით. გერმანული GmbH-ები, თუმცა ოფიციალურად არ იყენებენ წილების კლასებს, ხშირად მოიცავენ დივიდენდის პრეფერენციებს ან მოგების განაწილების მექანიზმებს, რაც ყველა წევრის მიერ არის წესდებაში შეთანხმებული. ქართველმა იურისტებმა დაიწყეს ასეთი ნიმუშების ადაპტაცია და გამოიყენეს ისინი როგორც სახელმძღვანელო შპს-ის წესდების შემუშავებისთვის, რომელიც შეესაბამება ახალ საკანონმდებლო ბაზას. ეს წესდება, როგორც წესი, მოიცავს თითოეული წილის კლასის მკაფიო განმარტებებს, წილების რაოდენობას თითო კლასში და თითოეულზე დაკავშირებულ კონკრეტულ უფლებებსა და მოვალეობებს, როგორიცაა ხმის უფლება, დივიდენდის მიღების უპირატესობა, და ა.შ.

მიუხედავად ამ უცხოური მოდელების სარგებლიანობისა, ოფიციალური ქართული ნიმუშების არარსებობა ზრდის შპს-ის იურიდიული მომსახურების ხარჯს, განსაკუთრებით სტარტაპებისთვის ან მცირე და საშუალო ბიზნესისთვის, რომლებიც არ იცნობენ მოწინავე კაპიტალის სტრუქტურირებას. ამ ხარვეზის აღმოსაფხვრელად მიზანშეწონილი იქნება იუსტიციის სამინისტრომ ან შესაბამისმა მარეგულირებელმა ორგანომ გამოსცეს სამოდელო დებულებები ან ანოტირებული წესდება, რომელიც ასახავს მრავალკლასიანი სტრუქტურების შესაბამის მაგალითებს. ეს რესურსები გააუმჯობესებს იურიდიულ უსაფრთხოებას, შეამცირებს რეგისტრაციის შეცდომებს და ხელს შეუწყობს წილების კლასის მოქნილობის გამოყენებას პრაქტიკაში. ამასთან, სამოდელო წესდებები უნდა შედგეს განსაკუთრებული სიფრთხილით, ვინაიდან აუცილებელია არა მხოლოდ კანონთან შესაბამისობის უზრუნველყოფა, არამედ პარტნიორებს შორის დავების თავიდან აცილება და იმისთვის, რომ კაპიტალის სტრუქტურა აღიარებული და აღსრულებადი იყოს. იმავდროულად, ნიმუშების არარსებობის პირობებში მენარმეებისათვის რეკომენდირებულია ინდივიდუალური წესდების შედგენა, რომელიც მკაფიოდ განსაზღვრავს წილების თითოეული კლასის სტრუქტურას, მასში შემავალ უფლებებსა და ვალდებულებებს.

დასასრულს, მაშინ, როცა საკანონმდებლო ბაზა, რომელიც საშუალებას იძლევა შპს-ებში დაინერგოს წილების კლასები, წარმოადგენს მნიშვნელოვან ნაბიჯს მოდერნიზაციისა და საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობისთვის, მისი წარმატებული განხორციელება მოითხოვს ტექნიკურ გაუმჯობესებას, შემდგომ საკანონმდებლო დახვეწას და მომხმარებლისთვის მოსახერხებელი ინსტრუმენტებისა და სახელმძღვანელოების შემუშავებას. ამ საკითხების მოგვარება ადმინისტრაციული რეფორმისა და სამართლებრივი დაზუსტების გზით არსებითი იქნება საქართველოს ბიზნეს გარემოში წილების კლასის მოქნილობის უპირატესობების სრულად რეალიზების საქმეში.

VI. დასკვნა

საქართველომ 2021 წლის რეფორმის შედეგად შპს-ის წილების კლასების სამართლებრივი რეგულირებით მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადადგა ქართული საკორპორაციო სამართლის განვითარებაში. შპს-ში წილთა განსხვავებული კლასების კანონით დაშვებამ გააუმჯობესა შიდა კორპორაციული სტრუქტურების მოქნილობის შესაძლებლობები და დაახლოვა ქართული სამართალი იმ ქვეყნებთან, სადაც ინვესტორებისთვის ინდივიდუალურად მორგებული კაპიტალის სტრუქტურები უკვე მრავალი წელია დამკვიდრებული.

ფორმალურად მიღწეული პროგრესის მიუხედავად, არსებული მარეგულირებელი ჩარჩო კვლავ მოითხოვს შევსებას. ნორმატიული დებულებები, რომელთა თანახმად დაშვებულია წილების კლასის დიფერენციაცია არის ლაკონური და დიდწილად დამოკიდებულია შპს-ის მიერ წესდებით მოწესრიგებაზე. წილების კლასების ეს დამოკიდებულება წესდებაში ინდივიდუალურ რეგულირებაზე მოითხოვს არა მხოლოდ სამართლებრივ სიზუსტეს შპს-ის წესდების შედგენისას, არამედ ადმინისტრაციული ორგანოების მიერ თანმიმდევრულ ინტერპრეტაციასა და ერთგვაროვანი მიდგომის ჩამოყალიბებას. ახალი კანონის თავდაპირველმა იმპლემენტაციამ გამოაშკარავა მრავალი სირთულე, მათ შორის

რეგისტრაციის პროცედურების გაურკვევლობა, სამენარმო რეესტრის მიერ არასწორი ინტერპრეტაცია და სტანდარტულ წესდებაში არასაკმარისი რეგულირება. უფრო მეტიც, სტანდარტულ წესდებაში შესაბამისი დანაწესების ან ახსნა-განმარტებითი სახელმძღვანელოების ნაკლებობა პრაქტიკოსებს აიძულებს დაეყრდნონ უცხოურ პრეცედენტებს, რითაც იზრდება ტექნიკური შეცდომებისა და არათანმიმდევრული შედეგების რისკი.

შედარებითა ანალიზმა, გერმანიის, გაერთიანებული სამეფოსა და აშშ-ის პრაქტიკის გათვალისწინებით, ცხადყო, რომ წარმატებული რეგულირებისათვის აუცილებელია: წესდებით წილთა კლასების და მასთან დაკავშირებული საკითხების მკაფიო განსაზღვრა; პარტნიორთა თანასწორობის დაცვის მექანიზმები; და სახელშეკრულებო თავისუფლებასა და სამართლიანობას შორის დაბალანსებული მიდგომა. თითოეული გამოკვლეული იურისდიქცია გვთავაზობს განსხვავებულ, მაგრამ კომპლემენტარულ მიდგომებს, რომელთა ინტეგრირება ქართულ სამა-

რთლებრივ ჩარჩოში შესაძლებელია როგორც პრევენციული, ისე ინოვაციური გზით.

ამ ფონზე, მიზანშეწონილია საქართველოში მომდევნო ნაბიჯად განიხილებოდეს: (1) წილთა კლასებისა და მათთან დაკავშირებული უფლებების რეგულირების განმარტებითი სახელმძღვანელოს შემუშავება; (2) სტანდარტული წესდების შინაარსის დახვეწა; და (3) პარტნიორთა თანასწორობის დაცვის სამართლებრივი გარანტიების გაძლიერება. ამ მექანიზმების დანერგვით შესაძლებელი იქნება როგორც ინვესტორების ნდობის განმტკიცება, ისე შპს-ის სამართლებრივი ინსტიტუტის პრაქტიკული მდგრადობის გაზრდა.

საბოლოოდ, წილთა კლასების გონივრული გამოყენება საქართველოში არ უნდა იყოს მხოლოდ ნებადართული, როგორც დღესაა, არამედ უნდა იქცეს სამართლებრივად გამჭვირვალე, დაცულ და პრაქტიკულად გამოსაყენებელ ინსტრუმენტად, რაც შპს-ის მეშვეობით თანამედროვე ბიზნესგარემოს საჭიროებებს ეფექტურად უპასუხებს.

დამატარიალიზებული ფორმის ფასიანი ქაღალდი და მის ფლობასა და მიმოქცევასთან დაკავშირებული ძირითადი სამართლებრივი ასპექტები

ანი გოგიშვილი

საქართველოს ეროვნულ ბანკთან არსებული დავების განმხილველი კომისიის მხარდაჭერის აპარატის უფროსი იურისტი

შესავალი

ფასიანი ქაღალდების ბაზრის განვითარება და მასთან დაკავშირებული ჩარჩოს სამართლებრივი უზრუნველყოფა ინვესტორების მეტი სანდოობისა და ქვეყნის ეკონომიკური წინსვლის სანდოობის, რადგანაც ფასიანი ქაღალდები, თანამედროვე ფინანსურ ლანდშაფტში ფუნდამენტურ როლს თამაშობენ ინვესტიციების მოზიდვის, კაპიტალის ფორმირებისა და ბაზრის ფუნქციონირების ხელშეწყობაში.

ფასიან ქაღალდებსა და საფონდო ბირჟებზე, ტექნოლოგიური ინოვაციები მნიშვნელოვან გავლენას ახდენენ, ამდენად, ამ კანონზომიერებისთვის გვერდის ავლა პრაქტიკულად შეუძლებელი არის. ნაწილობრივ, ამ მომენტს, „ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ“ საქართველოს კანონი თავდაპირველად ითვალისწინებდა. კერძოდ, კანონი ადგენდა არამატერიალური

ფორმის ფასიანი ქაღალდის მოპყრობის საკითხს, რომელსაც კავშირი აქვს ტექნოლოგიურ გარემოსთან, რადგანაც ამ ფორმის ფასიანი ქაღალდი არ არსებობს მატერიალური ფორმით და მისი არსებობა დაკავშირებული არის რეესტრის ჩანაწერთან.

თუმცა, ბუნდოვანი და კანონისთვის „უცხო“ იყო დემატერიალიზებული ფორმის ფასიანი ქაღალდების საკითხი. გამომდინარე იქიდან, რომ არამატერიალური და დემატერიალიზებული ფორმის ფასიან ქაღალდებს ერთმანეთთან კავშირი არ აქვს, გარდა იმისა, რომ არცერთი არსებობს მატერიალური ფორმით. შესაბამისად, სწორედ აღნიშნულს უკავშირდება დემატერიალიზებული ფორმის ფასიანი ქაღალდის საკანონმდებლო მოწესრიგების მნიშვნელობაც¹.

საქართველოს კანონმდებლობაში, „დემატერიალიზებული“ ფორმის ფასიანი ქაღალდი, 2024 წელს, საქართველოს კანონის - „დემატერიალიზებული ფასიანი ქაღალდების ფლობის

¹ დეტალურად იხილეთ, საერთაშორისო სავალუტო ფონდის პუბლიკაცია დემატერიალიზებული ფასიანი ქაღალდების ფლობის მარეგულირებელი კანონმდებლობის მნიშვნელობის შესახებ,

<https://www.imf.org/en/Publications/WP/Issues/2020/11/20/Local-Currency-Bond-Markets-Law-Reform-A-Methodology-for-Emerging-Markets-and-Developing-49905> (გვ.28-30), ხელმისაწვდომია 2025 წლის 2 თებერვლის მდგომარეობით.

შესახებ² ამოქმედებით დამკვიდრდა. ხსენებული ფორმის ფასიანი ქაღალდის „გამოჩენა“ მნიშვნელოვნად უკავშირდება თანამედროვე ტექნოლოგიების განვითარებას, რომლის ფარგლებშიც აღარ არის საჭირო ფასიანი ქაღალდების მატერიალური ფორმით ფლობა ან მათი რეგისტრაცია, რაც საჭირო გახლავთ არამატერიალური ფასიანი ქაღალდების ფლობის დროს³. მეორეს მხრივ, პრაქტიკული თვალსაზრისით, დემატერიალიზაცია საშუალებას იძლევა ყოველდღიურად მარტივად განხორციელდეს ფასიან ქაღალდებზე სხვადასხვა სახის ტრანზაქცია, რაც კაპიტალის ბაზრის სწრაფი განვითარებისა და საბოლოოდ, ეკონომიკური წინსვლის წინაპირობაა⁴.

კანონმდებლობისათვის, ამ დრომდე, ცნობილი „არამატერიალური“ ფასიანი ქაღალდის ცნება იყო, რომელსაც კავშირი არ ჰქონდა და არ აქვს „დემატერიალიზებული“ ფორმის ფასიან ქაღალდთან. კერძოდ, განსხვავებულია ამ ორი ფორმის ფასიანი ქაღალდიდან წარმოშობილი უფლება მოვალეობები და ასევე, განსხვავებულია ამ ფორმის ფასიან ქაღალდებთან დაკავშირებით საკუთრების უფლების წარმოშობის მომენტი. იურიდიულ ლიტერატურაში არსებული

განმარტების თანახმად, არამატერიალური ფორმის ფასიანი ქაღალდი არის ფასიანი ქაღალდი, რომელიც ქაღალდის ფორმით არ არსებობს, მაგრამ არსებობს ფასიანი ქაღალდების რეესტრში ან ნომინალური მფლობელის ჩანაწერებში რეგისტრირებული მესაკუთრის ან ნომინალური მფლობელის სახელზე⁵. ხსენებული დეფინიცია რეგისტრირებული ფასიანი ქაღალდის მახასიათებელია, რადგანაც ამგვარად ჩანაწერის არსებობა უკავშირდება რეესტრს. გამომდინარე აქედან, სხვაგვარად დარეგულირდა და მოწესრიგდა დემატერიალიზებული ფორმის ფასიან ქაღალდებთან დაკავშირებული სამართლებრივი ურთიერთობები. ამ ტიპის ფასიანი ქაღალდების გამოშვება იწარმოებს ცენტრალურ დეპოზიტარში და მათთან დაკავშირებული ტრანზაქციებიც იწარმოებს ციფრულად, ანგარიშზე დადებებზე დაკრედიტების გზით. საგულისხმოა, რომ მისი საბოლოოობა არ იქნება დამოკიდებული ჩანაწერების გაკეთებასთან, რომელსაც არამატერიალური ფასიანი ქაღალდის მსგავსად აწარმოებს რეგისტრატორი⁶.

დემატერიალიზებული ფორმის ფასიან ქაღალდი მნიშვნელოვან გადახვევას წარმოადგენს ტრადიციული მოდელისაგან. ეს არის ფასიანი

² საქართველოს კანონი „დემატერიალიზებული ფასიანი ქაღალდების ფლობის შესახებ“ (მიღებული 2023 წლის 16 ნოემბერს, კანონი N3713-XIIIმს-Xმპ) <https://matsne.gov.ge/ka/document/view/5961597?publication=0> ხელმისაწვდომი 2025 წლის 2 თებერვლის მდგომარეობით.

³ არამატერიალური ფასიანი ქაღალდისათვის დამახასიათებელია მისი რეგისტრაციის მომენტი. კერძოდ, „ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ“ საქართველოს კანონის (მიღებული 1998 წლის 24 დეკემბერს, <https://matsne.gov.ge/document/view/18196?publication=48>, კონსოლიდირებული ვერსია) მე-2 მუხლის 33¹ თანახმად: „რეგისტრირებული ფასიანი ქაღალდი არის ფასიანი ქაღალდი, რომელიც ქაღალდის ფორმით არ არსებობს, მაგრამ არსებობს ჩანაწერის სახით ფასიანი ქაღალდების რეესტრში, ხოლო თუ ფასიანი ქაღალდი ფასიანი ქაღალდების რეესტრში არსებული ჩანაწერის შესაბამისად ნომინალურ მფლობელობაშია გადაცემული – ნომინალური მფლობელის ჩანაწერებში“. ამდენად, კანონის ჩანაწერის თანახმად, არამატერიალური ფასიანი ქაღალდისათვის დამახასიათებელია მისი რეგისტრაციის მომენტი.

⁴ დეტალურად, დემატერიალიზებული ფასიანი ქაღალდების ფლობის მარეგულირებელი კანონმდებლობის

მნიშვნელობაზე, იხილეთ საერთაშორისო სავალუტო ფონდის პუბლიკაცია:

<https://www.imf.org/en/Publications/WP/Issues/2020/11/20/Local-Currency-Bond-Markets-Law-Reform-AMethodology-for-Emerging-Markets-and-Developing-49905> (გვ. 28-30), ხელმისაწვდომია 2025 წლის 2 თებერვლის მდგომარეობით.

⁵ საქართველოს კანონი „ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ“ (მიღებული 1998 წლის 24 დეკემბერს, კანონი 1745)

<https://matsne.gov.ge/document/view/18196?publication=46>, მუხლი 2 (33), კონსოლიდირებული ვერსია 2023 წლის 29 ნოემბრის მდგომარეობით.

⁶ „ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად (მიღებული 1998 წლის 24 დეკემბერს, დოკუმენტი 1745) ფასიანი ქაღალდების რეგისტრატორი არის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ ლიცენზირებული იურიდიული პირი, რომელიც აწარმოებს რეგისტრირებული ფასიანი ქაღალდების რეესტრს და ასრულებს ემიტენტსა და ფასიანი ქაღალდების რეგისტრატორს შორის დადებული ხელშეკრულებით განსაზღვრულ სხვა ფუნქციებს.

ქაღალდის ფორმა, რომელიც არსებობს წმინდა ციფრული ან ელექტრონული ფორმით, ყოველგვარი ფიზიკური ანალოგის გარეშე. დემატერიალიზაციის პროცესი, თავის თავში, გულისხმობს ფიზიკური ფორმის ფასიანი ქაღალდის ამოღებასა და ჩანაცვლებას ელექტრონული ფორმით. როგორც აღინიშნა, სრულად ელექტრონულ ფორმაზე გადასვლა ტექნოლოგიური მიღწევებით არის განპირობებული და არამართო, ეს პროცესი საშუალებას იძლევა ვაჭრობა, ანგარიშსწორება და ფასიანი ქაღალდების მიმოქცევა გახდეს უფრო მარტივი. თუმცა, მიუხედავად იმისა, რომ დემატერიალიზაციის ტექნოლოგიური ინოვაცია სხვადასხვა სარგებელს გვთავაზობს, ის ასევე გვაყენებს ახალი გამოწვევების წინაშე მისი მართვის კონტროლისა და საკუთრების იურიდიული აღიარების თვალსაზრისით.

დემატერიალიზებული ფასიანი ქაღალდების სამართლებრივი რეგულირება უფრო რთულია, რადგან ის უნდა მოერგოს ფინანსური ბაზრების ციფრულ ინფრასტრუქტურას. არამატერიალური ფასიანი ქაღალდებისგან განსხვავებით, დემატერიალიზებულ ფასიან ქაღალდებზე საკუთრების უფლება დასტურდება და მოწმდება ელექტრონული ჩანაწერების მეშვეობით, რაც გაცემის და საკუთრების შემოწმების პროცესს აიძულებს, უმეტესწილად, დამოკიდებული იყოს ტექნოლოგიურ სისტემებზე. აღნიშნული კი ქმნის უნიკალურ სამართლებრივ საკითხებს, განსაკუთრებით უფლებების აღსრულების, შუამავლების როლის და ინვესტორების დაცვის კუთხით ფიზიკური დოკუმენტის არ არსებობის შემთხვევაში.

I. ფასიანი ქაღალდების ფორმის მიხედვით კლასიფიკაცია

ფასიანი ქაღალდი დადგენილი ფორმის მქონდე დოკუმენტი/საბუთია, რომლის წარმოადგენაც აუცილებელია მასშივე გამოხატული ქონებრივი უფლებით შესრულების მისაღებად⁷. ფორმის მიხედვით, ფასიანი ქაღალდები, კლასიკური გაგებით, შეიძლება არსებობდეს მატერიალური ან არამატერიალური ფორმით. მატერიალური ფორმით ფასიანი ქაღალდი არსებობს უშუალოდ ქაღალდის ფორმით, მატერიალურად, ხოლო არამატერიალური ფასიანი ქაღალდის შემთხვევაში, ასეთი ფორმის ფასიან ქაღალდზე, საკუთრების უფლება დამოკიდებულია რეესტრის ჩანაწერზე⁸. თუმცა, როგორც უკვე აღინიშნა, 2024 წლის ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ კანონმა გამოყო ფასიანი ქაღალდების კიდევ ერთი ფორმა, რომელიც „დემატერიალიზებული“ ფასიანი ქაღალდის ფორმით არის ცნობილი. ეს არის ფასიანი ქაღალდი, რომელიც არამატერიალური (რეგისტრირებული) ფასიანი ქაღალდის ფორმის მსგავსად, არ არსებობს მატერიალური ფორმით, თუმცა მათ შორის განსხვავება არა ერთია. მაგალითად, თუ არამატერიალურ ფასიან ქაღალდზე საკუთრების უფლების წარმოშობა რეესტრის ჩანაწერს უკავშირდება, დემატერიალიზებული ფასიანი ქაღალდის შემთხვევაში, ეს უკანასკნელი სისტემის ამონაწერზე არის დამოკიდებული და ა.შ.

ჯერ კიდევ 1998 წლის „ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ“ საქართველოს კანონმა მოახდინა ფასიანი ქაღალდების მატერიალურ და არამატერიალურ ფორმებად დაყოფა. არამატერიალური ფასიანი ქაღალდის არსებობა, სიახლეს ნამდვილად არ წარმოადგენს და მისი წარმოშობა აშშ-ს უკავშირდება. კერძოდ, მისი წარ-

⁷ „ფასიანი ქაღალდები და საფონდო ბირჟა“ ფასიანი ქაღალდები და საფონდო ბირჟა.pdf (finedu.gov.ge) ხელმისაწვდომია 2025 წლის 13 თებერვლის მდგომარეობით.

⁸ საქართველოს კანონი, „ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ“ (მიღებული 1998 წლის 28 დეკემბერს, კანონი 1745) მუხლი 2 ნაწილი 33¹, <https://matsne.gov.ge/ka/document/view/18196?publication=48> კონსოლიდირებული ვერსია.

მოშობა ამერიკის ბირჟაზე შექმნილ „ქალაქდების ბუმს“⁹ უკავშირდება რომელიც 70-იან წლებიდან იღებს სათავეს. ფასიანი ქალაქდების კლასიკური თეორიის თანახმად, ეს იყო უფლებისა და ქალაქდის მჭიდრო კავშირი. ფასიანი ქალაქდების კლასიკური თეორია, სახელობით აქციას მიიჩნევდა ერთადერთ ფასიან ქალაქდად, რომლის წარმოდენაც ყოველთვის აუცილებელი არ იყოს მასში გამოხატული შესრულების მისაღებად. ამიტომ, ამ საკითხზე საუბრისას, სწორედ სახელობით აქციას განიხილავენ როგორც არამატერიალური ფასიანი ქალაქდების თეორიის საწყისად.

კანონმდებლობაში, მიმდინარედ, არამატერიალური ფასიანი ქალაქდის ფორმით არსებობის შესაძლებლობასთან დაკავშირებული არის რეგისტრირებული ფასიანი ქალაქდი.

მეტი სიცხადისთვის, მაგალითისათვის, მატერიალური ფორმის ფასიან ქალაქდებს მიეკუთვნებიან ის ფასიანი ქალაქდები, რომელიც არსებობს მატერიალურად, ქალაქდის ფორმით, კერძოდ, საწარმდგენლო და საორდერო ფასიანი ქალაქდები. ეს კი გამომდინარეობს მათი ბუნებიდან, რაც გულისხმობს, რომ დოკუმენტის ფლობით დასტურდება საწარმდგენლო ფასიან ქალაქდზე საკუთრების უფლება¹⁰, ხოლო უშუალოდ დოკუმენტზეა დატანილი მესაკუთრის ვინაობა საორდერო ფასიანი ქალაქდის შემთხვევაში¹¹, შესაბამისად ამიტომაცაა, რომ ორივე მიეკუთვნება მატერიალური ფორმის ფასიან ქალაქდებს.

არამატერიალური ფორმის ფასიან ქალაქდებს მიეკუთვნებიან ის ფასიანი ქალაქდები,

რომელიც არ არსებობს მატერიალურად, ქალაქდის ფორმით და მათზე საკუთრების უფლების დადასტურებისათვის აუცილებელია არსებობდეს შესაბამისი ჩანაწერი რეგისტრატორთან. გამოდის, რომ ამ ტიპის ფასიანი ქალაქდის შემთხვევაში საკუთრების უფლება დაკავშირებულია რეესტრის ჩანაწერთან. ამ უკანასკნელს კი შესაძლოა მიეკუთვნებოდეს რეგისტრირებული ტიპის ფასიანი ქალაქდი.

ბოლოს კი დემატერიალიზებული ფასიანი ქალაქდი, რომელიც ასევე არ არსებობს მატერიალური, ქალაქდის ფორმით, თუმცა ამ შემთხვევაში არამატერიალური ფორმის ფასიან ქალაქდისაგან განსხვავებით, საკუთრების უფლების წარმოშობა დაკავშირებულია ანგარიშზე ჩანაწერის არსებობასთან. აღნიშნულს მიეკუთვნებიან საჯარო ფასიანი ქალაქდები, რომელიც აუცილებელი წესით, გამოშვებული უნდა იყოს, დემატერიალური ფორმით, ცენტრალურ დეპოზიტარში.¹² აღსანიშნია, რომ რეგისტრირებული ფასიანი ქალაქდი ექვემდებარება დემატერიალიზაციას, ცენტრალურ დეპოზიტარში ანგარიშის გახსნის გზით.¹³

II. დემატერიალიზებული ფორმის ფასიანი ქალაქდის სამართლებრივი რეგულირების მნიშვნელობა

როგორც უკვე აღვნიშნეთ, კანონმდებლობისათვის ფასიანი ქალაქდის უშუალოდ მატერიალური ფორმით ფლობის გარეშე არსებობა სიახლეს არ წარმოადგენს და მისთვის ნაცნობია ფასიანი ქალაქდის არამატერიალური ფორმით

⁹ Implications of Germany's Draft Electronic Securities Regulation for RegTech and SupTechZWIRN Working Paper-ZWP/2020/3 (გვ.7), https://papers.ssrn.com/sol3/papers.cfm?abstract_id=3692401 ხელმისაწვდომია 2025 წლის 10 თებერვლის მდგომარეობით.

¹⁰ საქართველოს კანონი „საქართველოს სამოქალაქო კოდექსი“ (მიღებული 1997 წლის 26 ივნისს, დოკუმენტის ნომერი 786), მუხლი 911, <https://matsne.gov.ge/ka/document/view/31702?publication=133>, კონსოლიდირებული ვერსია.

¹¹ საქართველოს კანონი „საქართველოს სამოქალაქო კოდექსი“ (მიღებული 1997 წლის 26 ივნისს, დოკუმენტის ნომერი 786), მუხლი 922,

<https://matsne.gov.ge/ka/document/view/31702?publication=133>, კონსოლიდირებული ვერსია.

¹² აღნიშნულს განამტკიცებს, საქართველოს კანონში „ფასიანი ქალაქდების ბაზრის შესახებ“ (მიღებული 1998 წლის 12 დეკემბერს, რომელშიც ბოლო ცვლილება 2023 წლის 15 დეკემბერს განხორციელდა), შესული ცვლილება, მუხლი 10 (1), <https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/18196?publication=47>, კონსოლიდირებული ვერსია.

¹³ იქვე., მუხლი 10¹ „ერთი და იმავე კლასის რეგისტრირებული ფასიანი ქალაქდები შესაძლებელია დემატერიალიზებული გახდეს ცენტრალური დეპოზიტარის სისტემაში აღრიცხვით“.

არსებობის ინსტიტუტი. ამასთანავე, ფასიანი ქაღალდების სხვადასხვა ფორმებს შორის, არამატერიალური და დემატერიალიზებული ფასიანი ქაღალდები არის ის ორი ძირითადი ფორმა, რომლებიც გამოირჩევიან არა მხოლოდ მათი ფორმით, არამედ იურიდიული მახასიათებლებითა და მარეგულირებელი ჩარჩოებით. ხსენებული ფორმის ფასიანი ქაღალდები, მიუხედავად იმისა, რომ ემსახურება მსგავს მიზანს რა-საც მატერიალური ფორმის ფასიანი ქაღალდები, კერძოდ ინვესტორის საკუთრების უფლების წარმოდგენის საშუალებას, მნიშვნელოვნად განსხვავდება სხვა ფორმის ფასიანი ქაღალდებისგან მათი გამოშვების წესის, გადაცემის წესისა და საკანონმდებლო რეგულირების თვალსაზრისით.

საკანონმდებლო ცვლილებამდე, „ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ“ საქართველოს კანონი განსაზღვრავდა „არამატერიალური“ ფასიანი ქაღალდის ცნებას, რომლის ფარგლებშიც, კანონი ჩანაწერის არსებობას უკავშირებდა რეესტრს, რაც რეალურად „რეგისტრირებული“ ფასიანი ქაღალდის მახასიათებელია. შესაბამისად, ამგვარი დეფინიცია პრაქტიკულად გამოორიცხავდა „დემატერიალიზებული“ ფორმის ფასიანი ქაღალდის არსებობასა და მათ თავისუფალ მიმოქცევას. გარდა ხსენებული კანონისა, ასევე საქართველოს სამოქალაქო კოდექსიც არ იცნობდა „დემატერიალიზებული“ ფორმის ფასიანი ქაღალდის ცნებას. ამდენად, გაურკვეველი და ბუნდოვანი იყო აღნიშნული ფორმის ფასიანი ქაღალდის ბრუნვიდან წარმოშობილი ურ-

თიერთობების მომწესრიგებელი ნორმების საკითხი, მათ შორის, ისიც, თუ რა ნორმები უნდა ყოფილიყო გამოყენებული დემატერიალიზებული ფორმის ფასიანი ქაღალდზე საკუთრების უფლების დასადაგენად, ან მათი განკარგვისას. ცვლილებამდე, მოქმედი კანონმდებლობა, არ ადგენდა ანგარიშზე ჩანაწერის სახით არსებული ფასიანი ქაღალდებიდან გამომდინარე მოთხოვნები, ვის მიმართ შეიძლებოდა აღსრულებულიყო, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანი საკითხი იყო ანგარიშის მწარმოებლის¹⁴ ლიკვიდაციისას¹⁵. ასევე ბუნდოვანი იყო ფასიანი ქაღალდების გირავნობისა და მათზე, როგორც გირავნობის საგანზე, აღსრულების საკითხი. ცვლილებამდე, ქართული კანონმდებლობა სამოქალაქო კოდექსისა და სააღსრულებო წარმოებათა შესახებ საქართველოს კანონის ნორმებზე ახდენდა აპელირებას. იგივე შეიძლება ითქვას ფასიანი ქაღალდების კეთილსინდისიერი შემძენის ინტერესების დაცვასა და ვინდიკაციის შეზღუდვის პრინციპზე. ყოველივე აღნიშნული წარმოადგენდა ჟენევის კონვენციის¹⁶ ძირითად დებულებებს.

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი საკითხი, რამაც მოითხოვა საკანონმდებლო რეგულირების მეტი სიცხადე იყო საჯარო ფასიანი ქაღალდებთან დაკავშირებული მიდგომები. ცვლილებამდე არსებული პრაქტიკით, საფონდო ბირჟებზე საჯარო ფასიანი ქაღალდებით დადებული გარიგებების ანგარიშსწორებას ახორციელებდა ცენტრალური დეპოზიტარი ე.წ. DvP (delivery versus payment)¹⁷ მექანიზმით. საფონდო ბირჟის გარეთ დადებული გარიგებების შემთხვევაში კი

¹⁴ დემატერიალიზებული და ასევე, არამატერიალური, ფასიანი ქაღალდების ფლობის რეჟიმში, ანგარიშის მწარმოებლის სტატუსით სარგებლობს ფინანსური ინსტიტუტი (მათ შორის, ცენტრალური დეპოზიტარი), რომელიც საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე უფლებამოსილია კლიენტს გაუხსნას და აწარმოოს ფასიანი ქაღალდების ანგარიში.

¹⁵ ანგარიშის მწარმოებლის ლიკვიდაციის პროცესში, დემატერიალიზებული ფასიანი ქაღალდების ფლობიდან გამომდინარე, ინვესტორის დაკმაყოფილების სამართლებრივ გარანტიებზე უფრო ვრცლად, იხ. ა.გოგოშვილი, შედარებითი სამართლის ქართულ-გერმანული ჟურნალი, 10/2024,

<https://lawjournal.ge/wp-content/uploads/DGZR-10-2024.pdf> გვ.105. ხელმისაწვდომია 2025 წლის 16 თებერვლის მდგომარეობით.

¹⁶ 2009 წლის 09 ოქტომბრის კონვენცია „შუამავლის მფლობელობაში არსებული ფასიანი ქაღალდების მატერიალური სამართლის ნორმების შესახებ“ (unidroit convention on substantive rules for intermediated securities – the geneve securities convention), რომელიც ფასიანი ქაღალდებს შესახებ ჟენევის კონვენციის სახელწოდებით მოიხსენიება. კონვენციის ტექსტი ხელმისაწვდომია: <https://www.unidroit.org/instruments/capital-markets/geneva-convention>

¹⁷ <https://www.investopedia.com/terms/d/dvp.asp> DVP (Delivery Versus Payment) ტრანზაქცია ფასიანი ქაღალ-

რეგისტრატორთან მხოლოდ ფასიანი ქალაქების გადაცემის რეგისტრაცია ხორციელდებოდა და იგი არ იყო პასუხისმგებელი ფულადი სახსრების ანგარიშსწორებაზე.¹⁸ შესაბამისად, პრაქტიკული თვალსაზრისით მნიშვნელოვანი იყო საჯარო ფასიანი ქალაქებით დადებული ყველა გარიგების ცენტრალური ანგარიშსწორება ერთიან სისტემაში მომხდარიყო რათა თავიდან ყოფილიყო აცილებული ფუნქციონირება დაზარალებულობა სხვადასხვა სუბიექტებს შორის. გარდა ამისა, აღსანიშნია, რომ რეგისტრატორები საკმაოდ შეზღუდული ფუნქციებით სარგებლობენ და არ არიან პასუხისმგებელნი ისეთ მნიშვნელოვან კორპორაციულ ქმედებებზე, როგორიცაა დივიდენდის ან პროცენტის დარიცხვა, რისთვისაც ბაზარზე დამატებითი რგოლი გაჩნდა ე.წ. „გადახდის აგენტის“ სახით. ყოველივე ზემოაღნიშნული საუკეთესო პრაქტიკისა და საერთაშორისო გამოცდილების შესაბამისად, როლი, რომელსაც ცვლილებამდე ასრულებდნენ საჯარო ფასიანი ქალაქებთან მიმართებით რეგისტრატორები, დაეკისრა ცენტრალურ დეპოზიტარს და ამდენად, მიმდინარედ, დემატერიალიზებული ფასიანი ქალაქების გამოშვება და მიმოქცევა ინარმოებს ერთიან, ცენტრალური დეპოზიტარის, სისტემაში¹⁹.

III. დემატერიალიზებული ფორმის ფასიანი ქალაქებზე საკუთრების უფლების წარმოშობის მომენტი

ცხადია, რომ ფასიანი ქალაქების სამართლებრივი ჩარჩოს სრულყოფისათვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტი ფასიანი ქალაქების ფლობასა და მიმოქცევასთან დაკავშირებული საკითხების რეგულირებაა. ამდენად, საკანონმდებლო ცვლილების შესაბამისად (2024

წლის 1 მარტი) ერთმანეთისგან გაიმიჯნა „რეგისტრირებული“ და „დემატერიალიზებული“ ფორმის ფასიანი ქალაქებზე საკუთრების უფლების წარმოშობის წინაპირობები. ამასთანავე, დემატერიალიზებული ფორმის ფასიანი ქალაქებზე საკუთრების უფლების წარმოშობის პირობები დგინდება „დემატერიალიზებული ფასიანი ქალაქების ფლობის შესახებ“ საქართველოს კანონით, ხოლო „რეგისტრირებული“ ფორმის ფასიანი ქალაქებზე საკუთრების უფლების წარმოშობა, შეცვლა ან შეწყვეტა განისაზღვრება „ფასიანი ქალაქების ბაზრის შესახებ“ საქართველოს კანონით. არამატერიალური ფორმის ფასიანი ქალაქებთან მიმართებით, „ფასიანი ქალაქების ბაზრის შესახებ“ კანონმა იდენტური მოწესრიგება დატოვა და აღნიშნული ფორმის ფასიანი ქალაქებზე საკუთრების წარმოშობის მომენტი კვლავ დაუკავშირა რეგისტრაციის მომენტს ან ნომინალური მფლობელის ჩანაწერებში აღრიცხვის მომენტს (თუ რეგისტრირებული ფასიანი ქალაქები, ფასიანი ქალაქის რეგისტრში არსებული ჩანაწერის შესაბამისად, ნომინალურ მფლობელობაშია გადაცემული).

რაც შეეხება „დემატერიალიზებული“ ფორმის ფასიანი ქალაქებთან მიმართებით, საკუთრების უფლების წარმოშობის მომენტს:

„დემატერიალიზებული“ ფასიანი ქალაქის ფლობის რეჟიმში, საკუთრების უფლების დასადასტურებლად, განსხვავებით არამატერიალური ფასიანი ქალაქისაგან, გამოიყენება ანგარიშის ამონაწერი. თუ არამატერიალური ფასიანი ქალაქის ფლობის რეჟიმში, საკუთრების უფლება დამოკიდებულია რეგისტრის ჩანაწერზე, დემატერიალიზებული ფორმის ფასიანი ქალაქის შემთხვევაში საკუთრების უფლება წარმოიშობა, ინვესტორისთვის გახსნილ ფასიანი ქალაქების ანგარიშზე, დემატერიალიზებული ფასიანი ქალაქის დაკრედიტებით²⁰.

ლდების ბაზარზე ნიშნავს, რომ აქტივის გადაცემა (ფასიანი ქალაქის ჩაბარება) ხდება მხოლოდ მაშინ, როდესაც გადახდა (ფულის ტრანზაქცია) განხორციელდება. ეს სისტემა უზრუნველყოფს, რომ ერთი მხარის გადაცემა (მაგალითად, ფასიანი ქალაქის) მეორე მხარესთან დაკავშირებული იქნას მხოლოდ იმ პირობით, რომ გადახდა განხორციელდება.

¹⁸ განმარტებითი ბარათი საქართველოს კანონის პროექტზე „ფასიანი ქალაქების ბაზრის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“.

¹⁹ განმარტებითი ბარათი საქართველოს კანონის პროექტზე „ფასიანი ქალაქების ბაზრის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე, გვ. 1-2.

²⁰ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის ბრძანება №48/04 2024 წლის 29 თებერვალი „დემატერია-

„დემატერიალიზებული ფასიანი ქაღალდების ფლობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის თანახმად, დემატერიალიზებული ფასიანი ქაღალდების ფლობა დასტურდება ფასიანი ქაღალდების ანგარიშზე არსებული საკრედიტო ნაშთით, რომლის დადასტურება ხდება ცენტრალური დეპოზიტარის ან ანგარიშის მწარმოებლის მიერ გაცემული ანგარიშის ამონაწერით. ცენტრალური დეპოზიტარი და ანგარიშის მწარმოებელი, მოთხოვნის შემთხვევაში, შესაბამის ანგარიშის მფლობელზე გასცემენ დემატერიალიზებული ფასიანი ქაღალდების ამ პირის მიერ ფლობის დამადასტურებელ დოკუმენტს.

უნდა აღინიშნოს, რომ UNIDROIT-ს საკანონმდებლო სახელმძღვანელო, რომელთან შესაბამისობაში უზრუნველსაყოფადაც შემუშავდა „ახალი კანონი“ განასხვავებს ფლობის ხუთ მოდელს²¹. საქართველოს შემთხვევაში არჩეული მოდელია, ე.წ. თანასაკუთრების მოდელის იდენტიფიკაცია, რომელითაც ასევე სარგებლობენ ბელგია და ლუქსემბურგში სადაც ოპერირებენ ისეთი მსხვილი საერთაშორისო ცენტრალური დეპოზიტარები როგორებიც არის Euroclear და clearstream. ხსენებული მოდელის ფარგლებში ინვესტორებს იდენტურ დემატერიალიზებულ ფასიან ქაღალდებზე გააჩნიათ თანასაკუთრების უფლება. მეტი სიცხადისათვის, მაგალითად, იმ შემთხვევაში „თუ ემიტენტი გამოუშვებს 100 აქციას და მათგან 50-ს შეიძენს ინვესტორი A, ხოლო 50-ს ინვესტორი B, მაშინ მათი საკუთრება შეძენილ აქციებზე გამოიხატება, როგორც მთლიანად გამოშვებული დემატერია-

ლიზებული ფასიანი ქაღალდების ერთობლიობაში შესაბამისი წილი და ამდენად, თითოეული იქნება 50%-ის მესაკუთრე“²².

აქვე საგულისხმოა, რომ დემატერიალიზებული ფასიანი ქაღალდები არ არის ინდივიდუალურად იდენტიფიცირებადი, რაც ნიშნავს იმას, რომ ინვესტორების უფლება არსებობს არა სპეციფიკურ ფასიან ქაღალდებზე, არამედ მათ აქვთ თანასაკუთრების უფლება იდენტური ფასიანი ქაღალდების ერთობლიობაზე.²³

IV. დემატერიალიზებული ფორმის ფასიანი ქაღალდის მიღება და გაცემა

შემდეგი მნიშვნელოვანი საკითხი, ახალი ფორმის ფასიანი ქაღალდის მიმოქცევის საკითხების რეგულირებაა. არამატერიალური ფასიანი ქაღალდის შემთხვევაში „საკუთრების უფლება წარმოშობილად, შეცვლილად ან შეწყვეტილად ითვლება ამ ფაქტის ფასიანი ქაღალდების რეესტრში რეგისტრაციის მომენტიდან, ხოლო თუ ეს ფასიანი ქაღალდები ნომინალურ მფლობელთანაა – მათი ნომინალური მფლობელის ჩანაწერებში აღრიცხვის მომენტიდან“²⁴. „დემატერიალიზებული“ ფორმის ფასიანი ქაღალდის შემთხვევაში, „დემატერიალიზებული ფასიანი ქაღალდების ფლობის შესახებ“ საქართველოს კანონმა განმარტა, რომ „დემატერიალიზებული ფასიანი ქაღალდების მიღება და გადაცემა ხდება ანგარიშის მფლობელის ფასიანი ქაღალდების ანგარიშზე არსებული დემატერიალიზებული ფასი-

ლიზებული ფასიანი ქაღალდების აღრიცხვისა და ანგარიშის წარმოების წესის დამტკიცების თაობაზე“ (მიღებული 2024 წლის 29 იანვარს, ბრძანება 48/04), მუხლი 6, ნაწილი 1,

<https://matsne.gov.ge/ka/document/view/6121016?publication=0>, ხელმისაწვდომია 2025 წლის 28 აპრილის მდგომარეობით.

²¹ დეტალებისათვის იხილეთ: Guide on Intermediated Securities; ხელმისაწვდომია: <https://www.unidroit.org/instruments/capital-markets/legislative-guide>

²² განმარტებითი ბარათი საქართველოს კანონის პროექტზე, „დემატერიალიზებული ფასიანი ქაღალდების ფლობის შესახებ“, გვ. 4.

<https://info.parliament.ge/file/1/BillReviewContent/282812>, ხელმისაწვდომია 2025 წლის 12 თებერვლის მდგომარეობით.

²³ საქართველოს კანონი „დემატერიალიზებული ფასიანი ქაღალდების ფლობის შესახებ“ (მიღებული 2023 წლის 16 ნოემბერი) მუხლი 6, <https://matsne.gov.ge/ka/document/view/5961597?publication=0>, ხელმისაწვდომია 2025 წლის 27 აპრილის მდგომარეობით.

²⁴ საქართველოს კანონი „ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ“ (მიღებული 1998 წლის 24 დეკემბერს, კანონი N1745) მუხლი 19, <https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/18196?publication=47> კონსოლიდირებული ვერსია.

ნი ქალაქების დაკრედიტებით ან დადებეტებით²⁵. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 186-ე მუხლის პირველი ნაწილი მოძრავ ნივთზე საკუთრების უფლების გადაცემას განსაზღვრავს და განმარტებულია, რომ მოძრავ ნივთზე საკუთრების გადასაცემად აუცილებელია, რომ ნივთი მესაკუთრემ ნამდვილი უფლების საფუძველზე გადასცეს შემძენს. დემატერიალიზებული ფასიანი ქაღალდების ჭრილში კი, აღნიშნული ფასიანი ქაღალდების დაკრედიტება და დადებეტებაა.

„დემატერიალიზებული“ ფორმის ფასიანი ქაღალდების ფლობის რეჟიმში ფასიანი ქაღალდების ანგარიშების დაკრედიტებასა და დადებეტებას განსაკუთრებით მნიშვნელოვანი როლი აქვს გამომდინარე იქიდან, რომ აღნიშნული ფორმის ფასიანი ქაღალდები არსებობს მხოლოდ ანგარიშზე ჩანაწერის სახით და მათთან დაკავშირებული ტრანზაქციების სხვა ფორმით განხორციელება, მაგალითად რეგისტრაცია ან მატერიალური ფორმით გადაცემა, პრაქტიკულად შეუძლებელია. შესაბამისად, დემატერიალიზებული ფორმის ფასიან ქაღალდებზე მიმოქცევა ანგარიშების დაკრედიტებასა და დადებეტებას უკავშირდება და აღნიშნული ამ ფორმის ფასიანი ქაღალდების გადაცემის პროცესისათვის უნივერსალურია.

იდენტური მოწესრიგებით სარგებლობენ ბელგიაში. დემატერიალიზაციის რეჟიმში ბელგიის კანონმდებლობა, ისევე როგორც საქართველოს კანონმდებლობა, პირდაპირ მოიცავს ჩანაწერს, რომლის თანახმადაც, დემატერიალიზებული

ბული ფასიანი ქაღალდების გადაცემა ხორციელდება ბენეფიციარის ანგარიშზე დემატერიალიზებული ფასიანი ქაღალდის ჩარიცხვით.²⁶

არამატერიალური ფასიანი ქაღალდისაგან განსხვავებით დემატერიალიზებული ფასიანი ქაღალდების დადებეტებისა და დაკრედიტების გარდა, სხვა დამატებითი ფორმალუბების განხორციელება მხარეთა მიერ საჭირო არ არის²⁷. აღნიშნულს კი განამტკიცებს კანონის მე-4 მუხლის მე-2 პუნქტი, რომელიც ადგენს, რომ „დემატერიალიზებული ფასიანი ქაღალდების მიღება, გადაცემა და ფლობა მესამე პირებისათვის ჩაითვლება ნამდვილად სხვა დამატებითი ქმედების ან პირობის გარეშე“²⁸.

რაც შეეხება პროცესს, რათქმაუნდა, დემატერიალიზებული ფასიანი ქაღალდების ანგარიშების დადებეტება და დაკრედიტება სრულდება ფასიანი ქაღალდის მფლობელის მიერ გაცემული შესაბამისი დავალების საფუძველზე და შესაბამისად, „დემატერიალიზებული ფასიანი ქაღალდების ფლობის შესახებ კანონის მე-4 მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, „ანგარიშის მწარმოებელი ვალდებულია შეასრულოს ანგარიშის მფლობელის ან მისი რწმუნებულის დავალება ანგარიშის მწარმოებელსა და ანგარიშის მფლობელს შორის დადებული ხელშეკრულების შესაბამისად“.

დასკვნა

დემატერიალიზებული ფასიანი ქაღალდები, თანამედროვე ტექნოლოგიების განვითარების შედეგია, რომლის დროსაც აღარ არის საჭირო ფასიანი ქაღალდების მატერიალური ფორმით

²⁵ საქართველოს კანონი „დემატერიალიზებული ფასიანი ქაღალდების ფლობის შესახებ“ (მიღებული 2023 წლის 16 ნოემბერს, დოკუმენტის ნომერი 3713-XIIIმს-XXმ) მუხლი 4, პუნქტი 1, <https://matsne.gov.ge/ka/document/view/5961597?publication=0>, ხელმისაწვდომი 2025 წლის 28 აპრილის მდგომარეობით.

²⁶ Financial law institute, working paper series, WP 2005-06, Michel Tison, Competing for legal certainty: The Regime Of Dematerialised Securities in Belgium Law, გვ. 7-8, <https://financiallawinstitute.ugent.be/wp-content/uploads/2020/wps/WP2005-06.pdf> ხელმისაწვდომია 2025 წლის 12 თებერვლის მდგომარეობით.

²⁷ კერძოდ, არამატერიალური ფასიანი ქაღალდის შემთხვევაში, გადაცემა არ ჩაითვლება ნამდვილად, სანამ მი-

სი რეგისტრატორთან ასახვა არ მოხდება. ხშირ შემთხვევაში, აღნიშნული დამოკიდებულია გარკვეულ დროსთან თუ ინვესტორი მაგალითად არ იმყოფება საქართველოში და საჭიროა მინდობილობის არსებობა პროცესის შესასრულებლად.

²⁸ უშუალოდ, დემატერიალიზებული ფასიანი ქაღალდების ანგარიშის წარმოების წესს კი არეგულირებს - საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის ბრძანება №48/04 2024 წლის 29 თებერვალი „დემატერიალიზებული ფასიანი ქაღალდების აღრიცხვისა და ანგარიშის წარმოების წესის დამტკიცების თაობაზე“. ბრძანების მე-6 მუხლი კი არეგულირებს დემატერიალიზებულ ფასიან ქაღალდებზე ოპერაციებს.

არსებობა ან მათი რეგისტრაცია. ცალსახაა, რომ საკანონმდებლო ცვლილებები, ფასიანი ქაღალდების მიმოქცევასთან დაკავშირებული პროცესების გამარტივებისკენ არის მიმართული რაც საერთაშორისო, საუკეთესო პრაქტიკის იდენტიფიკაცია. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ფასიანი ქაღალდების მსგავსი ფორმით ფლობის რეჟიმში, გამომდინარე იქიდან, რომ საკუთრების უფლება და ფასიანი ქაღალდებთან დაკავშირებული ყველა პროცესი ინახება და იმართება ციფრულად, დაკავშირებულია სხვა მრავალ რისკთან რომელის მაქსიმალურად მიტიგაციაც არის საჭირო.

როგორც აღინიშნა, დემატერიალიზებული ფასიანი ქაღალდები, განსხვავებით არამატერიალური ფასიანი ქაღალდებისაგან, სრულად დამოკიდებულია ციფრულ ფორმატში არსებობასთან, რომელიც შესაძლოა დაკავშირებული იყოს ტექნოლოგიურ რისკებთან ან პროგრამულ შეცდომებთან რომლებიც გავლენას იქონიებენ ტრანზაქციების სრულყოფაზე. გარდა აღნიშნულისა, სრულად ციფრულ ფორმატზე გადასვლა ასევე შეიძლება დაკავშირებული იყოს რო-

გორც ჰაკერულ თავდასხმებთან დაკავშირებულ რისკებთან, ისე პლატფორმების გადატვირთვასა და სისტემურ შეცდომასა და გაუმართაობებთან. ამდენად, მნიშვნელოვანია, რომ კანონმდებლობა სრულად და ამომწურავად ითვალისწინებდეს აღნიშნულ რისკებთან დაკავშირებულ რეგულირებებს²⁹.

ასევე ცალსახაა, რომ ფასიანი ქაღალდების დემატერიალიზებული ფორმით ფლობის პრაქტიკა მსოფლიოში საკმაოდ წარმატებულად მოქმედებს, რასაც მოწმობს ბელგიისა და ლუქსემბურგის პრაქტიკა, სადაც ოპერირებენ მსხვილი საერთაშორისო ცენტრალური დეპოზიტარები, თუმცა საქართველოს შემთხვევაში, ფასიანი ქაღალდების ბაზარს ჯერ არ მიუღწევია იმ საფეხურისათვის რაც აუცილებელია ქართული ფასიანი ქაღალდების ფართო ბრუნვისთვის მსოფლიო საფონდო ბირჟაზე, ან უცხოური ფასიანი ქაღალდების ბრუნვისთვის საქართველოს საფონდო ბირჟაზე. ტექნოლოგიურ სამყაროში, დემატერიალიზებული ფასიანი ქაღალდების არსებობის მნიშვნელობა, სიმარტივე და საჭიროება დადასტურებულია და, ალბათ, წარმატებით „მოიკიდებს ფეხს“ საქართველოშიც.

²⁹ კანონში ჩანაწერი ინვესტორის უსაფრთხოების ნაწილში გვხვდება მხოლოდ ანგარიშის მწარმოებლის ლიკვი-

დაციასთან მიმართებით, თუმცა სხვა უსაფრთხოებასთან დაკავშირებული რისკების ნაწილში მსგავსი ჩანაწერი არ არსებობს.

მე არ ვარ რობოტი

მე არ ვარ რობოტი. ამის მტკიცება მიწევს თითქმის ყოველდღე, სხვადასხვა ინტერნეტ საიტზე შუქნიშნების, ხიდებისა და სხვა, უძრავი თუ მოძრავი ობიექტების ფოტოების არჩევით. ამ საკმაოდ მოსაბეზრებელ ტესტს აქვს გრძელი სათაური: CAPTCHA – „სრულად ავტომატიზებული ტურინგის საჯარო ტესტი კომპიუტერისა და ადამიანის გასარჩევად“ (ინგლისურად: „Completely Automated Public Turing test to tell Computers and Humans Apart“). სამწუხაროდ, ამ ტესტში ზოგჯერ ვიჭრები. საშუალოდ, ადამიანების 8%-29% ასევე იჭრება, რაც დამოკიდებულია ტესტის სირთულეზე.

რობოტებს აქვთ განვითარების ხანგრძლივი ისტორია. უძველესი დროიდან ადამიანები ოცნებობდნენ და ქმნიდნენ ისტორიებს მათი მსგავსი ხელოვნური არსებების შესახებ. ასეთი ისტორიები გვხვდება თითქმის ყველა ერის მითოლოგიასა და ფოლკლორში. თუმცა, განსაკუთრებული სიუხვით გამოირჩევა ბერძნული მითოლოგია. მაგალითად, ძველი ბერძნული მითი მოგვითხრობს კვიპროსელ მოქანდაკე პიგმალიონზე, რომელმაც შექმნა ისეთი ლამაზი ქანდაკება (გალათეა), რომ შეუყვარდა იგი. პიგმალიონის თხოვნით სილამაზისა და სიყვარულის ქალღმერთმა აფროდიტემ გააცოცხლა ქანდაკება. ასევე, ბერძნული მითოლოგიის ღმერთი ჰეფესტოსი, რომელიც იყო მჭედლობის, ხელოსნობისა და ცეცხლის ღმერთი, ქმნიდა ავტომატებს და ხელოვნურ არსებებს. მან შექმნა ტალოსი, სპილენძის გიგანტი, რომელიც იცავდა კრეტას კუ-

ნძულს. უძველესი ტალოსის დამარცხება შეძლო მედეამ, რომელმაც მიმართა ჯადოქრობას. ჰეფესტოსმა ასევე შექმნა უზარმაზარი ბრინჯაოს არწივი, რომელსაც ზევსი აგზავნიდა კლდეზე მიჯაჭვული პრომეთეს დასაკორტნად. მითოლოგიის მიხედვით, პრომეთე იყო მიჯაჭვული საქართველოს ტერიტორიაზე მდებარე ხვამლის მთაზე. ზევსმა დასაჯა პრომეთე ღმერთებისთვის ცეცხლის მოპარვისა და ადამიანებისთვის გადაცემის გამო. პრომეთეს საქციელით განრისხებულმა ზევსმა გადანყვიტა ადამიანების დასჯაც და დაავალა ჰეფესტოსს შეექმნა კიდევ ერთი ხელოვნური არსება: თიხისგან გამოქერნა და ნყლით გაეცოცხლებინა პანდორა. მას გადასცეს დიდი ქილა, რომელშიც ჩაკეტილი იყო ყველა ბოროტება და ტანჯვა. ცნობისმოყვარე პანდორამ გახსნა ქილა და გაავრცელა უბედურება დედამიწაზე. ამ ბერძნული მითების უმეტესობას აქვს ცუდი დასასრული. ხელოვნური ქმნილებების მითოლოგიური ურთიერთობა ადამიანებთან სრულდება ქაოსითა და სავალალო შედეგებით, როგორც ხელოვნური არსებებისთვის, ისე ადამიანებისთვის.

ქართულ ზღაპრებში გვხვდება გაცოცხლებული საგნები, თოჯინები ან სხვა ხელოვნურად შექმნილი არსებები, რომლებიც სიცოცხლეს იძენენ მაგიის ან ღვთაებრივი ჩარევის შედეგად. ასევე, ქართულ მითებში ხშირია შემოქმედება და გარდასახვა, სადაც ღვთაებები ან გმირები ქმნიან არსებებს ან გარდაქმნიან მათ. მაგალითად, ზოგიერთ ხალხურ გადმოცემაში დევები მოხსენიებულნი არიან, როგორც მიწიდან

ან ქვიდან გაჩენილები, რაც მათ არაბიოლოგიურ წარმოშობაზე მიანიშნებს. თუმცა, ისინი არ არიან ისეთივე მკაფიო „რობოტები“, როგორც ჰეფესტოსის ზოგიერთი ქმნილება.

ლეონარდო და ვინჩი იყო ერთ-ერთი პირველი, ვინც შექმნა ადამიანის მსგავსი რობოტის ნახაზი 1495 წელს. ეს იყო მექანიკური რაინდი, რომელსაც შეეძლო ჯდომა, ჩაფხუტის აწევა, და ხელებისა და თავის მოძრაობა. რაინდი მუშაობდა მექანიკური გადაცემათა სისტემით, ბლოკებით და კაბელებით. რობოტის ნახაზი აღმოჩენილ იქნა 1950 წელს. უცნობია, ლეონარდო და ვინჩიმ ააწყო თუ არა ნახაზის მიხედვით მოქმედი რობოტი. თუმცა, თანამედროვე ინჟინრებმა არაერთხელ შეძლეს მისი ნახაზებით ამის გაკეთება. მე-18-19 საუკუნეებში ხშირად ვრცელდებოდა ინფორმაცია ავტომატების შესახებ, რომლებსაც თითქოს ჰქონდათ ინტელექტი. თუმცა, შემდეგ ირკვეოდა, რომ ადგილი ჰქონდა თაღლითობას. ასეთი მექანიზმების შიგნით იმალებოდა ადამიანი ან ზოგჯერ განვრთნილი ცხოველი. მსგავსი თაღლითობის ყველაზე ცნობილი შემთხვევაა ე.წ. „მექანიკური თურქი“, უნგრელი გამომგონებლის ვოლფგანგ ფონ კემპელენის მიერ 1770 წელს შექმნილი მოწყობილობა. იგი გამოწყობილი იყო თურქულ ტანსაცმელში და თითქოს დამოუკიდებლად თამაშობდა ჭადრაკს. ათწლეულების განმავლობაში „მექანიკური თურქს“ აჩვენებდნენ ევროპასა და ამერიკაში, სადაც ის ინვევდა უდიდეს გაოცებასა და აღფრთოვანებას. „მექანიკურმა თურქმა“ დაამარცხა მრავალი ცნობილი მოჭადრაკე და ადამიანი, მათ შორის ბენჯამინ ფრანკლინი და ნაპოლეონ ბონაპარტი. მხოლოდ „მექანიკური თურქის“ შემქმნელის გარდაცვალების შემდეგ გამოაშკარავდა, რომ მანქანის შიგნით იმალებოდა გამოცდილი მოჭადრაკე, რომელიც მართავდა მექანიზმს. მიიჩნევა, რომ „მექანიკური თურქი“ იყო იმდენად დახვეწილი თაღლითობა, რომ მან მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა ადამიანების აღქმაზე ხელოვნური ინტელექტისა და ავტომატების მიმართ. ამ თაღლითობამ შთააგონა ბევრი ნამდვილი გამოგონება. მაგალითად, ცნობილია, რომ ჩარლზ ბებიჯი (ინგლისელი მათემატიკოსი და გამომგონებელი, რომელსაც ზოგჯერ უწოდებენ „კომპიუტერის მამას“) ორჯერ

ეთამაშა „მექანიკურ თურქს“ და ორჯერვე დამარცხდა.

სიტყვა „რობოტი“ მომდინარეობს ჩეხური სიტყვიდან „robota“, რაც ნიშნავს „იძულებით შრომას.“ ეს ტერმინი გამოიგონა ჩეხმა მწერალმა კარელ ჩაპეკმა და პირველად გამოიყენა 1920 წლის სამეცნიერო-ფანტასტიკურ პიესაში „როსუმის უნივერსალური რობოტები.“

რობოტების ქცევის მომწესრიგებელ ნორმებზე მსჯელობა დაიწყო დიდი ხნის წინ, სამეცნიერო ფანტასტიკის ჟანრის ლიტერატურაში. აიზეკ აზიმოვმა ჩამოაყალიბა რობოტეჟნიკის სამი კანონი მოთხრობაში "მრგვალი ცეკვა" ("Runaround", 1942). აზიმოვის პირველი კანონით, რობოტმა არ უნდა მიაყენოს ზიანი ადამიანს ან თავისი უმოქმედობით დაუშვას, რომ ადამიანს ზიანი მიაღდეს. მეორე კანონით რობოტი უნდა დაემორჩილოს ყველა ბრძანებას, რომელსაც ადამიანი გასცემს, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ეს ბრძანება ეწინააღმდეგება პირველ კანონს. მესამე კანონით კი რობოტმა უნდა იზრუნოს საკუთარ უსაფრთხოებაზე იმ ფარგლებში, რამდენადაც ეს არ ეწინააღმდეგება პირველ და მეორე კანონს. მოგვიანებით ამ სამ კანონს დაემატა ე.წ. „ნულოვანი კანონი“: რობოტი უნდა მოქმედებდეს მთელი კაცობრიობის ინტერესებიდან გამომდინარე და არა მხოლოდ ცალკეული ადამიანის. ნაკლებად სავარაუდოა, რომ ეს კანონები დამკვიდრდება პრაქტიკაში, რადგანაც რობოტების მნიშვნელოვანი ნაწილი იქმნება სამხედრო მიზნით. თუმცა, ამ კანონების გამოყენება ალბათ მაინც მოხდება მშვიდობიანი დანიშნულების, მათ შორის, საყოფაცხოვრებო რობოტების შემთხვევაში.

აზიმოვის მიერ შექმნილი კანონების ერთ-ერთი პირველი დარღვევა დაფიქსირდა ამერიკის შეერთებულ შტატებში 1979 წლის 25 იანვარს, როდესაც რობოტმა იმსხვერპლა რობერტ უილიამსის, 25 წლის ქარხნის მუშის სიცოცხლე. იგი მუშაობდა Ford Motor Company-ის ერთ-ერთ ქარხანაში, ნაწილების ამღები რობოტული სისტემის მახლობლად, რომელიც იყო დამონტაჟებული ხუთსართულიან საწყობში. რობოტის გაუმართაობის გამო უილიამსს მოუწია საწყობში შესვლა, რათა ხელით გამოეთქანა ნაწილები.

სწორედ ამ დროს, ერთგონიანი რობოტული მანიპულატორის მკლავი მოულოდნელად ამუშავდა და დაეჯახა მას. უილიამსის ოჯახმა უჩივლა რობოტის მწარმოებელ კომპანიას და 1983 წელს სასამართლომ მიაკუთვნა ოჯახს 15 მილიონი დოლარის კომპენსაცია, რაც იმ დროისთვის უპრეცედენტო თანხა იყო (იხ. *Williams v. Litton Systems, Inc.*, 416 N.W.2d 704, Michigan Court of Appeals, 1987). მოგვიანებით მხარეებმა მორიგებით დაასრულეს დავა და, შესაბამისად, კომპენსაციის ზუსტი ოდენობა უცნობია. ეს ტრაგიკული შემთხვევა შევიდა ისტორიაში, როგორც პირველი დადასტურებული სიკვდილი, რომელიც გამომწვეული იყო რობოტული სისტემით.

რობოტების ფართო გავრცელება გარდაუვალია და ის მნიშვნელოვან ცვლილებებს გამოიწვევს საზოგადოებაში, ეკონომიკასა და ყოველდღიურ ცხოვრებაში. ეს ცვლილებები იქნება როგორც დადებითი, ასევე გამომწვევებით სავსე. რობოტები გაზრდიან შრომის ნაყოფიერებას და შეასრულებენ სახიფათო სამუშაოებს. თუმცა, რობოტიზაციამ შეიძლება გამოიწვიოს სამუშაო ადგილების შემცირება, ეკონომიკური უთანასწორობის ზრდა და ეთიკური დილემები რობოტების ავტონომიისა და პასუხისმგებლობის საკითხებთან დაკავშირებით.

არსებობს მოსაზრება, რომ რობოტებს შეიძლება შევხედოთ არა როგორც ადამიანების შემცვლელს (და საფრთხის წყაროს), არამედ იმ ურთიერთობების ანალოგიით, რომელიც ძალიან დიდი ხნის განმავლობაში არსებობს ადამიანებსა და ცხოველებს შორის (იხ. *Kate Darling, "The New Breed: What Our History with Animals Reveals About Our Future with Robots,"* 2021). ამ მიდგომით, ცხოველებთან ანალოგია უფრო შედეგიანი უნდა იყოს, ვიდრე ადამიანებთან. რობოტების ადამიანებთან შედარება წარმოშობს რობოტების მიერ ადამიანების ჩანაცვლების შიშს, მსჯელობას რობოტებისგან მომდინარე საფრთხეებზე და მათთვის უფლებების მინიჭების თაობაზე (რომლებიც შეიძლება იყოს ადამიანის უფლებების მსგავსი). ამის ნაცვლად, ქვეით დარღვივების აზრით, რობოტებს შეიძლება შევხედოთ ისევე, როგორც ცხოველებს. ამ მიდგომით შეიძლება უფრო მარტივი იყოს იმის აღქმა,

თუ როგორ შეიძლება რობოტების ინტეგრირება ადამიანების ცხოვრებაში. ქვეით დარღვივების მიერ შემოთავაზებული მიდგომით, არასწორია მსჯელობა „რობოტების უფლებებზე“. ამის ნაცვლად, ყურადღება უნდა იქნეს გადატანილი იმ პირთა პასუხისმგებლობაზე და ანგარიშვალდებულებაზე, რომლებიც ქმნიან რობოტებს.

ბოლო პერიოდში რობოტებთან დაკავშირებული საკითხები სულ უფრო ხშირად განიხილება ხელოვნურ ინტელექტთან ერთად. ინოვაციების შედეგად ფაქტიურად ნაშლილია ზღვარი ამ ორ ტექნოლოგიას შორის. თანამედროვე რობოტები სულ უფრო მეტად ეყრდნობიან ხელოვნურ ინტელექტს, რათა შეასრულონ ურთულესი ამოცანები. მაგალითად, 2025 წლის ივლისში, ჯონ ჰოპკინსის უნივერსიტეტის კლინიკაში (აშშ) სპეციალურმა რობოტმა დამოუკიდებლად და უშეცდომოდ ჩაატარა ქირურგიული ოპერაცია სპეციალურ მანეკენზე. ოპერაციის ჩატარებამდე რობოტს უჩვენეს ადამიანების მიერ ჩატარებული უამრავი ოპერაციის ვიდეო.

რობოტების უფლებების საკითხი რთული და მრავალმხრივი ფილოსოფიური და ეთიკური დებატების საგანია, რომელიც სულ უფრო აქტუალური ხდება ხელოვნური ინტელექტისა და რობოტების განვითარებასთან ერთად. ამ დებატების ცენტრალური შეკითხვაა, თუ რა კრიტერიუმებით უნდა მოხდეს უფლებების მინიჭება. ტრადიციულად, უფლებები უკავშირდება ცნობიერებას, თვითშეგნებას, ტკივილის შეგრძნების უნარს, ემოციებსა და მორალურ ფასეულობებს. ამ მიდგომით, უფლებები გააჩნიათ ადამიანებს. დღევანდელ რობოტებს, მიუხედავად მათი შთამბეჭდავი შესაძლებლობებისა, არ გააჩნიათ ეს მახასიათებლები ადამიანური გაგებით. თუმცა, ზოგიერთი ფილოსოფოსი და ფუტურიტი ვარაუდობს, რომ თუ რობოტები მიაღწევენ ინტელექტისა და ავტონომიის ისეთ დონეს, რომელიც ადამიანისას მიუახლოვდება ან გადააჭარბებს, შესაძლოა საჭირო გახდეს მათი სტატუსის გადახედვა. ამ შემთხვევაში, უფლებების მინიჭება შეიძლება გამომდინარეობდეს არა მხოლოდ რობოტების შინაგანი თვისებებიდან, არამედ იმ ფაქტიდანაც, რომ მათ მიმართ სასტიკი მოპყრობა უარყოფითად იმოქმედებს ადამიანის მორალზე.

რობოტებთან დაკავშირებული სამართლებრივი ნორმები დღეს ძირითადად ფოკუსირებულია უსაფრთხოებაზე, პასუხისმგებლობაზე და მონაცემთა დაცვაზე, ვიდრე თავად რობოტების უფლებებზე. მაგალითად, ამერიკის შეერთებულ შტატებში არ არსებობს ერთიანი ფედერალური კანონმდებლობა, რომელიც მოიცავდა რობოტებთან დაკავშირებულ ყველა ასპექტს. რეგულაციები ხშირად დარგობრივი ხასიათისაა და ეხება კონკრეტულ სფეროებს, როგორიცაა ავტონომიური მანქანები, დრონები და სამრეწველო რობოტები.

ევროკავშირს აქვს უფრო პროაქტიული მიდგომა რობოტიკისა და ხელოვნური ინტელექტის რეგულირების მიმართ. 2017 წელს ევროპარლამენტმა მიიღო რეზოლუცია (2015/2103(INL), რომელიც მოუწოდებს ევროკავშირს შექმნას ყოვლისმომცველი სამართლებრივი ჩარჩო რობოტებთან დაკავშირებით, მათ შორის განიხილოს რობოტების „ელექტრონული პიროვნების“ კონცეფცია, ყველაზე ავტონომიური რობოტებისთვის.

2023 წელს ევროკავშირმა მიიღო ახალი რეგულაცია მანქანა-დანადგარების შესახებ (EU 2023/1230), რომელიც ბევრ სხვა საკითხთან ერთად აწესრიგებს რობოტებთან დაკავშირებულ

ურთიერთობებს. რეგულაცია ძალაში შევა 2027 წელს. იგი მნიშვნელოვნად განაახლებს რობოტების უსაფრთხოებასთან დაკავშირებულ საკითხებს. რეგულაცია ხაზს უსვამს კიბერუსაფრთხოების მნიშვნელობას, რათა დაიცვას რობოტები მავნე ჩარევისგან. რეგულაციის მიზანია, რომ რობოტები, მიუხედავად მათი მზარდი ინტელექტისა და ავტონომიისა, შეესაბამებოდნენ უსაფრთხოების მაღალ სტანდარტებს.

ტექნოლოგიების განვითარებასთან ერთად ჰუმანოიდური რობოტები ალბათ გახდებიან სულ უფრო და უფრო დახვეწილები ვიზუალურად, მოძრაობებში და ცნობიერების მხრივ. ადამიანებისა და რობოტების ერთმანეთისგან გამიჯვნა ალბათ გართულდება. მსგავსი რეალობა აღწერილია ფილიპ კინდრედ დიკის სამეცნიერო ფანტასტიკის ჟანრის რომანში „ოცნებობენ ანდროიდები ელექტრონულ ცხვრებზე?“ (1968). რობოტებისა და ადამიანების გასამიჯვნად „მე არ ვარ რობოტი“ შეიძლება ჩაინეროს ადამიანების ოფიციალურ საბუთებში. რობოტების ასეთი განვითარება შორეული პერსპექტივაა. თუმცა, ტექნოლოგიური პროგრესის ტემპი მიუთითებს, რომ ეს საკითხი ადრე თუ გვიან აუცილებლად დადგება. მნიშვნელოვანია, რომ საზოგადოებამ დაიწყო ამ საკითხებზე ფიქრი და დისკუსია.

ლევან ნანობაშვილი

► ქონების ერთ ლარად გასხვისება და *falsa demonstratio*

1. ხელშეკრულებისა და მისგან გამომდინარე უფლებრივი მდგომარეობის შეფასებისას სასამართლოსთვის მნიშვნელოვანია არა გარიგების გარეგნული გამოხატულება, არამედ მისი შინაარსი, რამდენად შეესაბამება სამოქალაქო კანონმდებლობით ამა თუ იმ ხელშეკრულების რაობის განსაზღვრისთვის დამახასიათებელ თავისებურებებს.

2. გონივრული განსჯის შედეგად ნების დადგენა მოითხოვს იმის გარკვევას, თუ რა იგულისხმეს გარიგების მონაწილეებმა გამოხატულ ნებაში. საბოლოოდ კი უპირატესობა სწორედ ამ უკანასკნელთა ნებას ენიჭება.

3. ხელშეკრულების ნასყიდობად კვალიფიკაციისთვის ფუნდამენტური საკითხია გამყიდველი მხარის მატერიალური ინტერესის დაკმაყოფილების ნება.

4. შესაძლებელია, რომ ქონების შესაძენად გადასახდელი თანხის ოდენობა იმდენად მცირე იყოს, რომ განსახილველი ხელშეკრულება სასყიდლიან გარიგებად ვერ იქნეს განხილული, კერძოდ: სადავო ქონების სიმბოლურ ფასად 1 (ერთ) ლარად გასხვისება სახელშეკრულებო ურთიერთობას აცლის სამართლებრივ საფუძველს, მისი არსობრივად ნასყიდობის ხელშეკრულებად განხილვისათვის.

სუსგ № ას-1048-968-2017, 31 ოქტომბერი, 2017 წელი.

ფაქტობრივი გარემოებები: ლ.შ. (შემდეგში - *მოსარჩელე*, *აპელანტი* ან *კასატორი*) და ნ.ყ. (შემდეგში - *მოპასუხე*, *მოწინააღმდეგე მხარე* ან *შემძენი*) 1994 წლის 04 მარტიდან რეგისტრირებულ ქორწინებაში იმყოფებოდნენ. 2009 წლის 1 ივლისს საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროსა და მოპასუხეს შორის „სახელმწიფო ქონების და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ქონების პრივატიზებისა და სარგებლობის უფლებით გადაცემის შესახებ“ საქართველოს კანონისა და „სახელმწიფო ქონების პირდაპირი მიყიდვის ფორმით პრივატიზების შესახებ დებულების“ საფუძველზე დაიდო „ნასყიდობის ხელშეკრულება“ (შემდეგში - *ქონების გადაცემის ხელშეკრულება*), რომლის მიხედვითაც, მოპასუხეს საკუთრების უფლებით გადაეცა საცხოვრებელი ბინა (შემდეგში - *სადავო ქონება ან ბინა*). სადავო ქონების საპრივატიზაციო ღირებულება სიმბოლური თანხით - 1 (ერთი) ლარით განისაზღვრა. ამასთან, შემძენს ხელშეკრულებით განესაზღვრა ვალდებულება, შეიღებოდა უზრუნველყო საცხოვრებელი ფართით გადაცემულ ბინაში.

2015 წლის 7 სექტემბერს მოსარჩელემ სასამართლოში მოპასუხის წინააღმდეგ აღძრა სარჩელი, რომლითაც ქორწინების შეწყვეტა, სადავო ქონების თანამესაკუთრედ ცნობა და ბინის რეალიზაციით მიღებული თანხის ნახევარი მოითხოვა.

პირველი ინსტანციის სასამართლოს პოზიცია: თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის განჩინებით მხარეთა შორის დამტკიცდა მორიგება - მეუღლეებს

შორის შეწყდა ქორწინება, ხოლო მხარეთა არასრულწლოვანი შვილის საცხოვრებელ ადგილად განისაზღვრა მოსარჩელის ადგილსამყოფელი მის სრულწლოვანების მიღწევამდე ან სხვა გარემოებების შეცვლამდე. ამასთან, თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებით სასარჩელო მოთხოვნა სადავო ქონების თანამესაკუთრედ ცნობის თაობაზე არ დაკმაყოფილდა. სასამართლომ ყურადღება გაამახვილა გარიგების ფაქტობრივად უსასყიდლო ხასიათზე და ქონების გადაცემის სამართლებრივ საფუძვლად ჩუქების ხელშეკრულება მიიჩნია.

სააპელაციო სასამართლოს პოზიცია: თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2017 წლის 16 მაისის განჩინებით სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის გასაჩივრებული გადაწყვეტილება.

პალატის განმარტებით, ქონების გადაცემის ხელშეკრულების არსებითი პირობების შინაარსმა განსაზღვრა ხელშეკრულების მიზანი - იძულებით გადაადგილებულ პირთა - დევნილთა მიმართ 2009-2012 წლებში სახელმწიფო სტრატეგიის განხორციელების სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 28 მაისის N403 განკარგულების (ძალდაკარგულია 2012 წლის 16 ივნისის N1162 განკარგულებით) და იძულებით გადაადგილებულ პირთა სახელმწიფოს უზრუნველყო სოციალური ფუნქციის შესრულება დევნილის საცხოვრებელი პირობების შექმნის გზით.

პალატის მოსაზრებით, სახელმწიფომ სადავო ქონებას მკაცრად ინდივიდუალური სტატუსი მიანიჭა და გადასცა არა დევნილ ოჯახს, არამედ უშუალოდ დევნილ მოპასუხეს, იმ პირობით, რომ შვილებს საცხოვრებელი უზრუნველ-

ყოფდა. პალატის განმარტებით, საცხოვრებელად გამოსაყენებელი ფართის გასხვისება სიმბოლურ ფასად - 1 (ერთ) ლარად, ხელშეკრულების უსასყიდლო ბუნებაზე მიუთითებდა, რაც გარიგებას ჩუქების სამართლებრივი ურთიერთობის ჩარჩოში აქცევდა. შესაბამისად, სსკ-ის 1161-ე მუხლის „ბ“ პუნქტის ვინრო განმარტების მეთოდზე დაყრდნობით, სადავო ქონება პალატამ მოპასუხის ინდივიდუალურ საკუთრებად მიიჩნია, რომელზედაც მეუღლეთა საერთო ქონების განაწილების წესების გავრცელებისათვის, არ არსებობდა შესაბამისი ლეგიტიმური პირობა.

საკასაციო სასამართლოს პოზიცია: საკასაციო პალატამ სრულად გაიზიარა სააპელაციო სასამართლოს მსჯელობა და დასკვნები, ერთი მხრივ, ხელშეკრულების შინაარსის შეფასებისა, ხოლო, მეორე მხრივ, სადავო ქონების რაობის განსაზღვრის თაობაზე და მიიჩნია, რომ, განსახილველ შემთხვევაში, სასარჩელო მოთხოვნა მართებულად არ დაკმაყოფილდა. კონკრეტულ შემთხვევაში, მართალია, სახელმწიფოსა და შემძენს შორის ნასყიდობის ხელშეკრულება ფორმალური თვალსაზრისით დაიდო, თუმცა ხელშეკრულებისა და მისგან გამომდინარე უფლებრივი მდგომარეობის შეფასებისას სასამართლოსთვის მნიშვნელოვანია არა გარიგების გარეგნული გამოხატულება, არამედ მისი შინაარსი, რამდენად შეესაბამება სამოქალაქო კანონმდებლობით ამა თუ იმ ხელშეკრულების რაობის განსაზღვრისათვის დამახასიათებელ თავისებურებებს.¹

საკასაციო სასამართლოს მითითებით, სსკ-ის 52-ე მუხლი ადგენს განსჯის შედეგად ნების დადგენის პრინციპს და გამორიცხავს ნების სიტყვასიტყვითი გაგების პრინციპის გამოყენებას. გონივრული განსჯის² შედეგად ნების დად-

¹ აღსანიშნავია, რომ საკასაციო სასამართლოს არაერთხელ დაუდგა დღის წესრიგში ხელშეკრულების რაობის განსაზღვრის, ხელშეკრულების სათაურისა და მისი რეალური არსის ურთიერთმიმართების დადგენის საკითხები: იხ. სუსგ №ას-194-2019, 27 მაისი 2019 წელი; №ას-849-2022, 22 ნოემბერი 2022 წელი; №ას-129-2023, 10 ივლისი 2023 წელი და სხვა.

² „გონივრული განსჯა“ აბსტრაქტული ცნებაა, შესაბამისად, საკასაციო სასამართლო არაერთხელ შეეცადა ამ

ბუნდოვანი ცნებისათვის მეტი სიცხადე მიენიჭებინა, მაგალითად: „მხარეთა საერთო ნების დადგენის შეუძლებლობის შემთხვევაში, განმარტების კრიტერიუმად მიიჩნევა ხელშეკრულების მხარეთა მსგავსი გონივრული აზროვნების მქონე პირების შეფასება მოცემულ გარემოებებში (იხ. სუსგ საქმე №ას-1144-1090-2014, 23 თებერვალი, 2015 წელი); „გონივრული განსჯა“ უნდა ემყარებოდეს გარკვეულ კრიტერიუმებს, კერძოდ, ნების გამოვლენის განმარტება უნდა განხორციელდეს

გენა მოითხოვს იმის გარკვევას, თუ რა იგულისხმებს გარიგების მონაწილეებმა გამოხატულ ნებაში, ეს კი იძლევა შესაძლებლობას, რომ უპირატესობა მიენიჭოს მათ ნებას და არა გარიგებაში სიტყვიერად გამოხატულს (**falsa demonstratio non nocet** - მცდარი სახელწოდება არ ახდენს გავლენას მხარეთა შეთანხმების შინაარსზე), ამასთან, ნების გამოვლენის ინტერპრეტაციისათვის აუცილებელია იმის გათვალისწინება, თუ რა საბოლოო შედეგს ისახავდა სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილე მიზნად.³

ნასყიდობის ხელშეკრულებას სამოქალაქო კანონმდებლობა ორმხრივ, კონსენსუალურ გარიგებად განიხილავს, რომლის ორივე მხარე კისრულობს ურთიერთშესაბამის ვალდებულებას - საგნის გადაცემას უპირისპირდება მიღებული სიკეთის საბაზრო ღირებულების შესატყვისი თანხის გადახდის ვალდებულება. განსახილველ შემთხვევაში, სადავო ქონების სიმბოლურ ფასად 1 (ერთ) ლარად გასხვისებამ სახელშეკრულებო ურთიერთობას გამოაცალა სამართლებრივი საფუძველი, იგი არსობრივად შეიძლება განვიხილოთ ნასყიდობის ხელშეკრულებად. გარიგების შინაარსიდან არ დგინდება ხელშეკრულების ნასყიდობად კვალიფიკაციისთვის ფუნ-

დამენტური საკითხი, გამყიდველი მხარის მატერიალური ინტერესის დაკმაყოფილების ნება, ქონების შესაძენად გადასახდელი თანხის ოდენობა⁴ იმდენად მცირეა, რომ განსახილველი ხელშეკრულება სასყიდლიან გარიგებად ვერ განიხილება.

ამდენად, საკასაციო სასამართლომ წარმოდგენილი ხელშეკრულება გონივრული განსჯის ფარგლებში, უსასყიდლო გარიგების სახედ - ჩუქების ხელშეკრულებად მიიჩნია, ჩუქებით მიღებული ქონება კი, სსკ-ის 1161-ე მუხლის შესაბამისად, მეუღლის ინდივიდუალურ საკუთრებაა და, ცხადია, მასზე არ ვრცელდება განქორწინების შემდგომ საერთო საკუთრების მეუღლეთა შორის გაყოფის მომწესრიგებელი სამართლებრივი ნორმები.

საბოლოოდ, დასკვნის სახით უნდა აღინიშნოს, რომ გარიგების ტიპის დასადგენად გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება მის შინაარსს და არა სათაურს. იმის დასადგენად სახეზეა ნასყიდობის ხელშეკრულება თუ ჩუქება, ყურადღება უნდა გამახვილდეს გამყიდველი მხარის მატერიალური ინტერესის დაკმაყოფილების ნებასა და ქონების შესაძენად გადასახდელი თანხის ოდენობაზე.

თამარ სვიმონიშვილი

ნების მიმღების შემცენების (გაგების) შესაძლებლობათა გათვალისწინებით. ამგვარი განმარტების დროს გათვალისწინებული უნდა იქნას ყველა ხელშესახები გარემოება, რომელიც ამ შემთხვევას ახასიათებს (იხ. სუსგ საქმე №ას-1144-1090-2014, 23 თებერვალი, 2015 წელი).

³ იხ. ლადო ჭანტურია, სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი I, გვ. 305.

⁴ საგულისხმოა, რომ სამეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნულია შემდეგი: ხელშეკრულების ერთ-ერთი არსებითი

თი, კანონით გათვალისწინებული პირობა მხარეთა შორის ფასზე შეთანხმებაა. ხელშეკრულების შინაარსის თავისუფლების პრინციპიდან გამომდინარე, ნასყიდობის ხელშეკრულებისთვის საკმარისია მის სასყიდლიანობაზე და არა ზუსტ ფასზე შეთანხმება, თუმცა ფასი უნდა იყოს, სულ მცირე, განსაზღვრადი, კერძოდ, მხარეებმა შეიძლება ღიად დატოვონ ესა თუ ის პირობა, მაგრამ უნდა შეთანხმდნენ მომავალში მისი განსაზღვრის საშუალებაზე (იხ. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 477-ე მუხლის კომენტარები, ველი 13).